

2016

# მთკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში

კვლევა მომზადებულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს"  
ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო  
მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს  
ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი  
მასალის შინაარსზე.

# მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში

ქეთევან ჩომახაშვილი  
თამარ თომაშვილი  
გირშელ ძეგნიური  
სალომე ოსეფაშვილი  
მარიამ პატარიძე

თბილისი  
2016 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**თავი 1. შესავალი** ..... 4

**თავი 2. მეთოდოლოგია** ..... 5

**თავი 3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და მისი აკადემიური კომენტარების ანალიზი მტკიცებულებათა წესებზე** ... 7

3.1. მხარეთა შეჭიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში ... 7

3.2. მოსამართლის როლი მხარეთა შეჭიბრებითობაში ..... 9

3.3. მტკიცებულებათა მოპოვების უფლება ..... 12

3.4. მტკიცებულებათა ცნება და სახეები ..... 16

3.4.1. ბრალდებულის ჩვენება ..... 17

3.4.2. მოწმის ჩვენება ..... 19

3.4.3. ირიბი ჩვენება ..... 21

3.4.4. ნივთიერი მტკიცებულება ..... 23

3.4.5. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება ..... 24

3.4.6. პრეიუდიცია ..... 25

3.5. ფარული საგამოძიებო მოქმედებები ..... 26

3.6. სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ..... 27

3.7. მტკიცებულებათა დაუშვებლობა ..... 28

3.7.1. დაუშვებლობა არსებითი დარღვევის და შესაძლო გამოცვლის მოტივით ..... 29

3.7.2. დაუშვებლობა გაცვლის წესის დარღვევის მოტივით ... 31

3.7.3. დაუშვებლობა არარელევანტურობის გამო ..... 35

3.7.4. დაუშვებლობა სხვა საფუძვლით ..... 36

3.7.5. მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის დაყენება ..... 37

3.8. მტკიცებულებათა შეფასება ..... 40

**თავი 4. საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობების ანალიზი** 42

4.1. ამერიკის შეერთებული შტატები ..... 42

4.2. ინგლისი (უელსი) ..... 55

4.3. იტალია ..... 61

<b>თავი 5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და მისი აკადემიური კომენტარების ანალიზი .....</b>	<b>64</b>
<b>თავი 6. საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი .....</b>	<b>69</b>
<b>თავი 7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზი .....</b>	<b>79</b>
<b>თავი 8. არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების ანალიზი .....</b>	<b>88</b>
<b>თავი 9. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი .....</b>	<b>96</b>
9.1. შესავალი .....	96
9.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ..	96
9.3. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა .....	102
9.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე .....	102
9.5. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე .....	127
9.6. პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე .....	133
<b>თავი 10. ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი .....</b>	<b>144</b>
<b>თავი 11. დასკვნები და რეკომენდაციები .....</b>	<b>152</b>

## თავი 1. შესავალი

2009 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც მთლიანად მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპზეა აგებული, სრულიად ახლებურად დაარეგულირა სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და სასამართლოს მხრიდან მათი შეფასების წესები. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი 2010 წლის ოქტომბერში ამოქმედდა და დღემდე არაერთი ცვლილება განიცადა, მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება დღემდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნულის მიზეზად შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც საპროცესო კოდექსის ნორმების ზოგადი და ზოგჯერ არაგანჭვრეტადი ხასიათი, ასევე ამ მიმართულებით არსებული აკადემიური ნაშრომების სიმცირე, რის გამოც ნორმათა განმარტება ძირითადად მინდობილი აქვს სასამართლო ხელისუფლებას. სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები კი ნორმის განმარტებისა თუ ამა თუ იმ საკითხზე პრაქტიკის დადგენის კუთხით არაერთგვაროვანია. იმის გამო, რომ ზოგჯერ თვით კანონის ნორმაც ხშირად არ იძლევა ერთგვაროვანი განმარტების საშუალებას, ხშირია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული მუხლების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევები და სააპელაციო სასამართლოების მიერ სასამართლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი განმარტების გაკეთება.

სასამართლო პრაქტიკაში ამ კუთხით გარკვეული პრობლემების არსებობას მოწმობს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს მიერ 2014 წელს შედგენილი «სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში», სადაც დამკვირვებელთა მიერ მოსამართლეთა მხრიდან ერთი და იგივე ნორმის სხვადასხვაგვარად განმარტებისა და მტკიცებულებათა დასაშვებობისა და გამოკვლევის დროს კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია დაფიქსირდა.

მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული ვითარების შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით ჩატარებულ იქნა კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა წესების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილის გაანალიზება და პროცესის მონაწილე პირთა მოსაზრებების გათვალისწინებით, მისი დახვეწის გზების შემოთავაზება და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება.

ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად, კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს კანონმდებლობა და მათი აკადემიური კომენტარები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები. კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს კი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წარმოადგენს, შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით, რამაც,

ერთობლიობაში, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ამ მიმართულებით ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და საქართველოს საერთო სასამართლოების მხრიდან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

## **თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდი. საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა წყაროებიდან და საბოლოოდ დასახული მიზნის მისაღწევად პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს:

- რა ნორმებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და შეფასების თაობაზე;
- რა ნორმებს ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და შეფასების თაობაზე;
- როგორია საერთო სასამართლოების იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებიც მსგავსია საქართველოს კანონმდებლობისა მტკიცებულებათა წესების ნაწილში;
- არსებობს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმების კომენტარები, როგორია მათი შინაარსი და რამდენად ეფექტურია ისინი პრაქტიკაში გამოყენებისას;
- არსებობს თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა წესების თაობაზე, როგორია მათი შინაარსი, ძირითადად რაზე მახვილდება ყურადღება ანგარიშებში;
- არსებობს თუ არა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა წესების თაობაზე, როგორია მათი შინაარსი, ძირითადად რაზე მახვილდება ყურადღება ანგარიშებში;
- შეიცავს თუ არა საქართველოს სახალხო დამცველის 2010-2015 წლების ანგარიშები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნორმების კრიტიკას, მტკიცებულებათა წესებზე, დადებით შემთხვევაში რაზე მახვილდება ყურადღება ანგარიშებში;

- როგორია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და შეფასების დროს;
- როგორია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა დასაშვებობის, მათ შორის, წამების აკრძალვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სამართლიანი სასამართლოს თვალსაზრისით;
- როგორია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის თვალსაზრისით.

კვლევის მიზნებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებში უკვე არსებული ინფორმაციის შინაარსიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდი, ხოლო საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა ისეთი წყაროდან, როგორცაა ქუთაისის, ბათუმის, გორის, რუსთავისა და თელავის სასამართლოები, ასევე სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიები და საქართველოს მთავარი პროკურატურა. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოდან და იურიდიული სამსახურიდან ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონისა და “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონზე მითითებით. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და სხვადასხვა ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან, მოძიებული და შესწავლილ იქნა მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შედეგის თვალსაზრისით ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდა სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების, ვიდრე ზემოთჩამოთვლილი რაიონული სამართლოებიდან მიღებული მასალები ანალიზი.

კვლევის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ მომზადდა ჩარჩმავებული ინტერვიუს კითხვარი და გამოიკითხა 10 პროკურორი და 10 ადვოკატი. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ მოხერხდა მოსამართლეთა გამოკითხვა, რაც მათ თავიანთი დაკავებულობით ახსნეს და ამ მოტივით უარი განაცხადეს მონაწილეობაზე.

საბოლოოდ, კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და ქმნის პრობლემებს მართმსაჯულების განხორციელების პროცესში, რის საფუძველზეც შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.



### **თავი 3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და მისი აკადემიური კომენტარების ანალიზი მტკიცებულებათა წესებზე**

მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას კვლევის პროცესში პირველ რიგში საქართველოს კანონმდებლობა და მისი აკადემიური კომენტარები იქნა შესწავლილი, რათა გარკვეულიყო თუ რა პრინციპზეა აგებული კანონმდებლობა მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობის და შეფასების კუთხით, რამდენად შეესაბამება სასამართლო პრაქტიკა და საპროცესო კოდექსზე არსებული აკადემიური კომენტარი ერთმანეთს და რა პრობლემების წინაშე დგანან პროცესის მონაწილენი თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა და ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია. კვლევის ჩატარების დროისათვის მასში უკვე განხორციელებული იყო 65 მცირე თუ დიდი მოცულობის, ტექნიკური შინაარსის თუ პრინციპულად მნიშვნელოვანი ცვლილება, თუმცა მათმა ანალიზმა ცხადყო, რომ მტკიცებულებათა წესების ნაწილში არსებული ნორმები კვლავ დასახვეწია და მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმდაგვარად არის აგებული, რომ მასში ცალკე თავად არის გამოყოფილი მტკიცებულებათა ცნება და მათი სახეები, მტკიცებულებათა მოპოვების გზები და ხერხები, მხარეთა უფლებები მტკიცებულებათა მოპოვებისა და გაცვლის პროცესში, ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან კავშირში მყოფი ნორმები და მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასების წესები. თუმცა, სანამ მტკიცებულებათა ცნებაზე, სახეებსა და მათი მოპოვების გზებზე ვისაუბრებდეთ, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეტიბრებითობის პრინციპი და მოსამართლის როლი ამ პროცესში.

#### **3.1. მხარეთა შეტიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეტიბრებითობის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო მხარეთა თანასწორობა და

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 09.10.2009 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>> [ბოლოს ნანახია 2016 წლის 16 ივნისს]

შეჭიბრებითობა საქმის წარმოების პროცესში გამოიხატება იმით, რომ პროცესში მხარეები თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი და თანაბარი შესაძლებლობები აქვთ თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოიყენონ კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური საშუალებები.

სასამართლოში მხარეების ასეთი თანასწორუფლებიანობა გამოიხატება მათ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ მდგომარეობაში. მათ უფლება აქვთ სასამართლომდელ გამოძიებასა და სასამართლოში მათთვის საჭირო საკითხის გასარკვევად წარადგინონ შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე; სასამართლოს ან მის რომელიმე წევრს მისცენ აცილება და სხვა.<sup>2</sup>

მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებით დავით ბენიძე, თავის სამეცნიერო ნაშრომში უთითებს, რომ მე-9 მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს. ავტორის აზრით, ამ მუხლში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ასევე, ვის ეკისრება ბრალდების ფუნქცია და ვის აქვს დაცვის უფლება და ის გარემოება, რომ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში განმარტებულია, ვინ არის ბრალდების მხარე და ვინ – დაცვის მხარე, არაფერს ცვლის. ავტორის აზრით, ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სპეციალურ ნორმაში შეჭიბრებითობასთან დაკავშირებით.<sup>3</sup>

შეჭიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას "იყოს მოსმენილი". შესაბამისად, შეჭიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას, გაეცნოს, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ კი მასალებთან, შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით.<sup>4</sup>

ამდენად, შეჭიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკევა;
- შეჭიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ჯ.გახოკიძის, მ.მამინაშვილის, ი. გაბოსონიას რედაქტორებით, თბილისი, 2013, გვ. 84.

<sup>3</sup> შეჭიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, დ. ბენიძე, სამეცნიერო შრომების კრებული 2010, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ 150;

<sup>4</sup> Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004, §34; Kamasinski vs. Austria, ECtHR, 19/12/1989, §102; Brandstetter v. Austria, ECtHR, 28/08/1991, § 67; Rowe and Davis v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, § 60; Fitt v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, §44; IJL, GMR and AKP v. UK, ECtHR, §112; Goc v Turkey, ECtHR, (GC), 11/07/2002, §34; Meftah v. France, ECtHR, (GC), 26/07/2002, §51; PG and JH v. UK, ECtHR, 25/09/2001, §67; JJ v the Netherlands, ECtHR, 27/03/1998, §43; Ernst et al. v Belgium, ECtHR, 15/07/2003, §60; Duricz-Costes v France, ECtHR, §32; Skondrianos v Greece, ECtHR, 18/12/2003, §29.

- მხარეთა თანაბარი უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე;
- მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.<sup>5</sup>

ამის პარალელურად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გამომძიებლის ვალდებულებას გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით აღნიშნული ნორმა გამომძიებლის მიერ როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულებას გულისხმობს, ყველა საჭირო და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით და კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებათა რომელიმე სტანდარტის დაკმაყოფილება არ გამორიცხავს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულებას, თუ კონკრეტული გარემოებები ამის აუცილებლობაზე მიუთითებს.<sup>6</sup>

კანონის აღნიშნული დებულება ხშირად ხდება ხოლმე როგორც პრაქტიკოსი, ასევე თეორიტიკოსი იურისტების დავის საგანი, მით უმეტეს მაშინ როცა იმავე საპროცესო კოდექსით გამომძიებელი და პროკურორი ბრალდების მხარეს წარმოადგენენ, ხოლო პრაქტიკაში ვერ ხერხდება გამოძიებისა და დევნის ინტერესების გამიჯვნა.

ფაქტია, რომ საქმის გამოძიების პროცესში, გამომძიებელი იმდენად არის დამოკიდებული პროკურორზე და მისი კანონიერი ინტერესების სასარგებლოდ მტკიცებულებების მოპოვებაზე, უჭირს შეასრულოს მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოძიების თაობაზე.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა პროკურატურის სისტემაში განხორციელდეს შესაბამისი სისტემური ცვლილებები, რათა გამომძიებელმა შეძლოს მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულების დევნის ინტერესებისგან გამიჯვნით შესრულება, ხოლო სასამართლომ სათანადო რეაგირება მოახდინოს ისეთ შემთხვევებზე, როცა გამომძიებელი არ ასრულებს ამ ვალდებულებას. ვფიქრობთ, ხსენებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კანონის აღსრულებას, არამედ მართმსაჯულების სრულყოფილად განხორციელებას.

### **3.2. მოსამართლის როლი მხარეთა შეჯიბრებითობაში**

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მხარეებს შორის შეჯიბრებითობა უზრუნველყოფილია როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე, საქმის სასამართლო განხილვისას. მხარეთა შეჯიბრებითობის უზუნველყოფა კი ევალება სასამართლოს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)\* რედაქტორებით, 2015, გვ. 84-85.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 170.

დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. თანაბარი შესაძლებლობების შექმნა გულისხმობს მხარეებისათვის მტკიცებულებების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობით უზრუნველყოფას და ამ მტკიცებულებების თანაბარ პირობებში გამოკვლევას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფას, თუ პროცესის რომელიმე მონაწილე არ ფლობს სამართალწარმოების ენას და ა.შ.<sup>7</sup>

სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი დავით ბენიძე სამეცნიერო ნაშრომში “შეჭიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში”, მიიჩნევს, რომ არასწორია 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირება, რომლის შესაბამისად, „სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.“ მისი აზრით, ასეთი კატეგორიული ტონით სასამართლოსთვის რაიმე მოვალეობის დაკისრება დაუშვებელია. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, აზრი იმპერატიულად, მაგრამ სხვაგვარად გადმოცემულიყო. მაგალითად, შემდეგნაირად: „სასამართლომ მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უნდა შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე.“ ამ შემთხვევაში სიტყვა „ვალდებულია“ იცვლება სიტყვით „უნდა“. მათი მნიშვნელობა ერთი და იგივეა, მაგრამ სასამართლოსთან მიმართებით „ვალდებულია“-ს გამოყენება არ შეესაბამება აღნიშნული ნორმის შინაარსს.<sup>8</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა, ხოლო მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაბუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სასამართლომ მხარეებს განუმარტოს დამაბუსტებელი კითხვის აუცილებლობა, რათა მხარეებმა გაიაზრონ ამ კითხვის აუცილებლობა და აღნიშნული არ იქნეს აღქმული მხარეთა შეჭიბრებითობაში ჩარევად.<sup>9</sup>

მოსამართლის მიერ კითხვის დასმის საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა ლიტერატურაში. ხშირად მიუთითებენ, რომ მოსამართლეს ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს კითხვის დასმის უფლება და ამ უფლების რეალიზაცია არ უნდა იყოს დამოკიდებული მხარეთა ნება-სურვილზე, თუმცა სამართალმცოდნეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი შეზღუდვა სწორედ შეჭიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე დააწესა კანონმდებელმა. მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, არ გამოიჩინონ ფაქტი, მტკიცებულება,

<sup>7</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>8</sup> სქოლიო N3, გვ. 151;

<sup>9</sup> სქოლიო N5, გვ. 149.



დაუსვან მოწმეს სათანადო კითხვა, რათა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო, მაგრამ, როდესაც ისინი ამას ვერ ახერხებენ და რჩება რაიმე გაურკვეველი გარემოება, ამოქმედდება მოსამართლის უფლებამოსილება, თუმცა მისი განხორციელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარეთა თანხმობაზეა დამოკიდებული.<sup>10</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დავით ბენიძე, თავის სადისერტაციო ნაშრომში უთითებს, რომ გაუმართლებელია 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის უფლებამოსილებას, გამონაკლის შემთხვევაში დასვას დამაბუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად, მაგრამ ის დასვას მხოლოდ მხარეებთან შეთანხმების შედეგად. იგი მიიჩნევს, რომ კანონმდებლის მიერ მსგავსი სიფრთხილის გამოჩენა დაუშვებელია. ასეთი შეზღუდვის დაწესებით, პირიქით, სასამართლოს ხელი ეშლება დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაში. მოცემულ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ დამაბუსტებელი კითხვების დასმაზე, რომლებიც შეიძლება მოსამართლეს ჰქონდეს მხარეთა შეკითხვების ამოწურვის შემდეგ. თუ მოსამართლეს, რომელმაც უნდა დაადგინოს განაჩენი (არ აქვს მნიშვნელობა, გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი), წავართმევთ იმის უფლებას, რომ დამაბუსტებელი შეკითხვა დასვას ისე, რომ მხარეებს არ სთხოვოს ამის ნებართვა (რომელიც შესაძლებელია ვერც კი მიიღოს), მას იმავდროულად იმის უფლებასაც წავართმევთ, რომ თავისი შინაგანი რწმენით მიიღოს გადაწყვეტილება. ნაშრომის ავტორს მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული დადებით გავლენას არ ახდენს მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებაზე.<sup>11</sup>

ამასთანავე, გაურკვეველია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეები მოსამართლეს დამაბუსტებელი კითხვის დასმის უფლებას მისცემენ, რა სახის კითხვა უნდა დაუსვას მოწმეს - პირდაპირი თუ ჭვარედინი. ნათლად ჩანს, რომ კანონმდებლის ნება, როდესაც მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვაში მონაწილეობის მიღებას აყალიბებდა, მაქსიმალურად მკაცრი იყო, რადგანაც ახალი ქართული სისხლის სამართლის პროცესი მოსამართლეს “უკლავს” ნებისმიერ სურვილს, ჩაერიოს მოწმის დაკითხვაში.<sup>12</sup>

დავით ბენიძეს შინაარსობრივად მიუღებლად მიაჩნია ასევე საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილიც, რომლის თანახმადაც, „თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.“ ავტორს მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, აღნიშნული ნორმა შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: „სასამართლო ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით ისმენს მეორე მხარის აზრსაც.“<sup>13</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსი დაცვის მხარეს

<sup>10</sup> ინკვიზიციიდან შევიბრუნებოთ ბაძე, ქ.ქისტაური, მართლმსაჯულება და კანონი N2 (33), თბილისი, გვ. 89.

<sup>11</sup> სქოლიო N3, გვ. 151.

<sup>12</sup> მოსამართლის როლი შევიბრუნებოთ პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, გიორგი ჩაკვეტაძე, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), 2014, გვ. 34;

<sup>13</sup> სქოლიო N3, გვ. 152.

ანიჭებს უფლებას ჩაატაროს პარალელური გამოძიება, ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული უფლების რეალიზაცია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე საჭიროებს დახმარებას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან. საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს აღნიშნულ ვითარებას და ადგენს სასამართლოს პროაქტიულ დახმარებას დაცვის მხარისათვის, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული/ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს ანდა საჭიროებს სასამართლოს ნებართვას.<sup>14</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვისა და ბრალდების ფუნქციები გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლებისგან. სასამართლო გამოდის მედიატორის როლში, არ მონაწილეობს მტკიცებულებათა მოძიებაში, არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება, შეზღუდულია ბრალდების ფორმულირებით, რის გამოც ბრალდების/ბრალდების ნაწილის მოხსნის შემთხვევაში სამართალწარმოება შესაბამის ნაწილში წყდება და შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით, რის გამოც სასამართლოს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოთხოვნა საჩივარში არ არის სწორად დაყენებული, არ აქვს საჩივრის ფარგლების გაფართოების უფლება.<sup>15</sup>

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც მოსამართლის როლს შეეხება, შეტიბრებით პროცესში მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობაა, მიუხედავად იმისა, შუამდგომლობენ თუ არა ამის თაობაზე მხარეები, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა მტკიცებულებათა დასაშვებობის ნაწილში უფრო ეფექტური იქნებოდა და, სწორედ ამიტომ, დასაშვებობის კრიტერიუმებზე მსჯელობისას ამ თემას ცალკე შევხებით.

### **3.3. მტკიცებულებათა მოპოვების უფლება**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დამკვიდრდა მხარეთა თანასწორობისა და შეტიბრებითობის ახალი მოდელი, რის საფუძველზეც მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა პრეროგატივაა და სასამართლო ამ პროცესში საერთოდ არ უნდა ერეოდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლში კანონმდებელი ახდენს ბრალდებულის ძირითადი პროცესუალური უფლებების და გარანტიების ზოგად ჩამონათვალს. ბრალდებულის უფლებათა აღნიშნული ჩამონათვალი მიანიშნებს იმაზე, რომ ბრალდებული არის სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური ფიგურა და ფართო უფლებებით აღჭურვილი პროცესის აქტიური მონაწილე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლში მითითებული უფლებები არ წარმოადგენს ბრალდებულის უფლებათა ამომწურავ ჩამონათვალს ისევე, როგორც 38-ე მუხლში მოყვანილი ჩამონათვალი არ ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით

<sup>14</sup> სქოლიო N5, გვ. 86.

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მოსამართლეები შიაი ოშხარელი, პაატა სილაგაძე, გიორგი შავლიაშვილი, 17/09/2014, N608.

აქვს მინიჭებული.<sup>16</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რას გულისხმობს მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის უფლება. საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი ანიჭებს ბრალდებულს უფლებას: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. აღნიშნული უფლება ემსახურება იმას, რომ ბრალდებულს გააჩნდეს სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანი დაცვისათვის საკმარისი საშუალებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შეტიბრებითი პროცესის პირობებში მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენასა და გამოკვლევაზე პასუხისმგებელნი არიან თავად მხარეები. ამიტომ, ბრალდებულის ჭეროვანი დაცვის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს კანონმდებელი აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად მოიპოვოს და წარადგინოს სასამართლოში მტკიცებულებები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით. ამ შემთხვევაში დაცვის მხარე ბრალდების მხარისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს გამოძიების ფარგლებსა და ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებს. ამასთან ბრალდების მხარე ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს ბრალდებულს გამოძიების წარმოებაში. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში იგი ვალდებულია, დაცვის მხარეს ხელი შეუწყოს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაში. მაგალითად, თუ ბრალდებულის ან მისი ადვოკატის ინიციატივით ტარდება ექსპერტიზა და საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს შესაძლოა არ გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია და უნარი გამოძიების საწარმოებლად და საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, იგი უფლებამოსილია ამ უფლების რეალიზაცია მოახდინოს ადვოკატის მეშვეობით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრალდებულს შესაძლოა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდეს პატიმრობა, ადვოკატის გარეშე იგი ვერ შეძლებდა მინიჭებული უფლებით სარგებლობას. როდესაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება დაცვის მხარის ინიციატივით, ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ დაესწრონ საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას. ამასთან, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებაში ადვოკატის დასწრება, რომელიც ტარდება მისი მონაწილეობით, იმის მიუხედავად, თუ რომელია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ინიციატორი მხარე. დაცვის მხარის მიერ გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პირობები და წესი რეგულირდება საპროცესო კოდექსის ცალკეულ

<sup>16</sup> სქოლიო N5, გვ. 177.

მუხლებში.<sup>17</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი ეხება ბრალდებულის უფლებას, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით, მოიპოვოს მტკიცებულებები. აღნიშნული ნორმა შინაარსობრივად ავსებს საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით უზრუნველყოფილ ბრალდებულის უფლებას მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენასთან დაკავშირებით. ამ ნორმებით განისაზღვრება დაცვის მხარის მიერ ცალკეულ შემთხვევებში მტკიცებულების მოსაპოვებლად საჭირო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების სამართლებრივი მექანიზმი და მოპოვებული მტკიცებულების იურიდიული ძალა. ამასთან, კანონმდებელმა მტკიცებულებების მოპოვებისათვის დამატებითი ბერკეტები შექმნა. კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვება.<sup>18</sup>

საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, კომერციული თუ სხვა სახის კერძო დაწესებულებიდან, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.<sup>19</sup>

შესაბამისად, დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, დაცვის მხარე აწარმოებს პარალელურ გამოძიებას და სასამართლოში წარადგენს იმ მტკიცებულებებს, რომელიც ამართლებენ ან სხვაგვარად უმსუბუქებენ ბრალდებულს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ დაცვის მხარე საკუთარი ხარჯით მოიპოვებს მტკიცებულებებს. მაგალითად, თუ მტკიცებულების გამოსავლენად საჭიროა ექსპერტიზა, მისი ჩატარების ხარჯებს თავად მხარე გაიღებს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ბრალდებული გადახდისუნაროა და მისი დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფო დაფარავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.<sup>20</sup>

საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილში მითითებული ბრალდებულის უფლებები გამომდინარეობს სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის და შეჭიბრებითობის პრინციპიდან, რომლებიც ამ უკანასკნელს სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობისა და პროცესის მსვლელობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ბრალდებულს

<sup>17</sup> სქოლიო N5, გვ. 183

<sup>18</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39 (2) მუხლი.

<sup>19</sup> სქოლიო N2, გვ. 154-155.

<sup>20</sup> სქოლიო N5, გვ. 189;



უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა როგორც სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში, ისე სასამართლო განხილვაში. იმისათვის, რომ ბრალდებულს ცალკეულ შემთხვევებში არ შეეზღუდოს სასამართლო განხილვაში უშუალო მონაწილეობა, მას კანონმდებელი აძლევს შესაძლებლობას, რომ აღნიშნული განახორციელოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ტექნიკური საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის სასამართლო დარბაზში ჩართვას იმგვარად, რომ მან შეძლოს პროცესის მონაწილეების სრულფასოვნად მოსმენა, მათთვის შეკითხვების დასმა და ასევე სასამართლოში მიმდინარე პროცესის ვიზუალური აღქმა.<sup>21</sup> ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობის უფლებას მიეკუთვნება აგრეთვე შუამდგომლობების დაყენებისა და აცილების განცხადების უფლება. ასევე სამართლიანი სასამართლო განხილვისა და შეჭიბრებითი პროცესის გარანტიის კონკრეტიზაციას წარმოადგენს ბრალდებულის უფლება, გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.<sup>22</sup>

ცალსახაა და დამატებით აღნიშნვას არ საჭიროებს, რომ გამოძიების ჩატარებისა და მტკიცებულების მოპოვების უფლებით აღჭურვილია ბრალდების მხარეც, კერძოდ კი გამომძიებელი და პროკურორი, რომელთაც უფლება აქვთ ჩაატარონ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება, ისევე, როგორც მოიპოვონ ყველა სახის მტკიცებულება.

ამის პარალელურად და იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარის ვალდებულებაა, მხარეები თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, ისევე როგორც ვერავინ აუკრძალავს მხარეს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით, ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვებას.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმების თანახმად ბრალდებისა და დაცვის მხარე თანაბრად არიან უფლებამოსილი კანონით დადგენილი წესის დაცვით მოიპოვონ მტკიცებულება, ისევე როგორც მათ მტკიცებულებათა მოპოვებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები, არსებობს გარკვეული გამონაკლისები, რომელიც დაცვის მხარეს უსპობს შესაძლებლობას ბრალდების მხარისაგან განსხვავებით, მოიპოვოს მტკიცებულება ან ისეთივე პირობებში გამოიკვლიოს მტკიცებულებები, როგორც ეს გათვალისწინებულია ბრალდების მხარის შემთხვევაში. საუბარია ბრალდების მხარისათვის კანონით მინიჭებულ უფლებაზე, ჩაატაროს ფარული საგამომძიებო მოქმედებები ან მოიპოვოს მტკიცებულება კომპიუტერული მონაცემებიდან,<sup>23</sup> მოითხოვოს მაგისტრატი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე<sup>24</sup> და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი თუ

<sup>21</sup> იქვე, გვ. 186;

<sup>22</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>23</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136 და 143<sup>3</sup> მუხლი;

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114 (2) მუხლი;

ნივთიერი მტკიცებულება.<sup>25</sup> ისევე, როგორც დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება, თვითონ ჩაატაროს და თვითონვე გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ან საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობით, როგორც ამას აკეთებს ბრალდების მხარე.<sup>26</sup>

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგამოძიებო მოქმედება მნიშვნელოვანია საქმეზე ობიექტური გარემოებების დასადგენად, დაცვის მხარისათვის დაწესებული აღნიშნული შეზღუდვები, ჩვენი აზრით, წარმოადგენს შეჭიბრებითობის პრინციპის მნიშვნელოვან დარღვევას და ვერ უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარ პირობებს, მით უმეტეს, რომ დაცვის მხარისათვის ამ უფლებათა ნაწილის მინიჭება, არ წარმოშობს განსაკუთრებულ სირთულეებს, რაზეც კვლევის ავტორთა მოსაზრებას კვლევის დასკვნით ნაწილში წარმოვადგენთ.

### 3.4. მტკიცებულებათა ცნება და სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა ცნებას, მტკიცებულებათა სახეებსა და მათი მოპოვებისათვის გათვალისწინებულ საპროცესო წესებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით: “მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას”.<sup>27</sup>

მტკიცებულებათა ცნებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სადაოა ხოლმესაკითხიწარმოადგენსთუარამტკიცებულებასისეთისაპროცესო დოკუმენტები (მაგალითად მოსამართლის განჩინება ჩხრეკის ჩატარებაზე, დაკავების ოქმი, დადგენილება ბრალდების შესახებ და ა.შ), რომლებიც ადასტურებს ამა თუ იმ მტკიცებულების კანონიერად მოპოვებას ან/და გამოხატავს მხარეების საპროცესო პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარეები და სასამართლო არაერთგვაროვნად განმარტავს და იყენებს კანონით მინიჭებულ თავიანთ უფლებამოსილებებს ამ საპროცესო დოკუმენტთა დაუშვებლად ცნობისა და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანის დაუშვებლად ცნობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე.

იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხში კარგად გავერკვიოთ, საჭიროა

<sup>25</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33 (6) (მ) მუხლი

<sup>26</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112 მუხლი

<sup>27</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3(23) მუხლი;

მიმოვიხილოთ საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრული მტკიცებულებათა სახეები და მათი მოპოვებისათვის გათვალისწინებული წესები.

### 3.4.1. ბრალდებულის ჩვენება

ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.<sup>28</sup> საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად კი ერთ-ერთ მტკიცებულებად არის მიჩნეული საქმის გარემოებათა შესახებ სასამართლოში ბრალდებულის მიერ თავის ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ჩვენების შინაარსს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება განსახილველი საქმის კონკრეტულ, ფაქტობრივ გარემოებებს;
2. ამ ინფორმაციას შემხებლობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან - მტკიცების საგანთან;
3. ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში დაკითხვის გზით;
4. ამ ინფორმაციის მატარებელია ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბრალდებულის სტატუსი.<sup>29</sup>

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, წაყენებული ბრალდებისადმი ბრალდებულის დამოკიდებულების შესახებ მისი განცხადება არ წარმოადგენს ჩვენებას, ვინაიდან არ შეიცავს მტკიცებულებისათვის დამახასიათებელ ელემენტს - ინფორმაციას ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ამიტომ თავისთავად ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების ან წაყენებული ბრალდების უარყოფის ფაქტი არ წარმოადგენს მტკიცებულებას და წარმოადგენს მხოლოდ მის საპროცესო პოზიციას, მის პირად დამოკიდებულებას წაყენებული ბრალდებისადმი. ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულებითი ხასიათი (ბრალის აღიარების, ბრალდების უარყოფის, სხვა პირთა მამხილებელი ჩვენება) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრული, კონკრეტული, წინააღმდეგობრიობის არმქონეა მისი ჩვენება, რამდენად შეესაბამება სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებს.<sup>30</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია საპროცესო კოდექსის დამოკიდებულება ბრალდებულის იმ ჩვენებასთან დაკავშირებით, რომელშიც ის აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად: “ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით”,<sup>31</sup> რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებულის აღიარება მტკიცებულებითი მნიშვნელობის მატარებელია მხოლოდ მაშინ, თუ აღწერს

<sup>28</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3(19) მუხლი.

<sup>29</sup> სქოლიო N5, გვ. 256

<sup>30</sup> იქვე, გვ. 256.

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74(4) მუხლი.

წარდგენილი ბრალდების ფაქტობრივ გარემოებებს, შერაცხული ქმედების შემადგენლობის ცალკეულ ასპექტებს, ეხება მტკიცების საგანს მიკუთვნებულ გარემოებებს, ხოლო სხვა პირთა მამხილებელი ჩვენება მტკიცებულებითი ხასიათის მატარებელია, თუ დაკითხვისას ბრალდებული მიუთითებს იმ პირთა კონკრეტულ ქმედებებზე, რომელთაც ამხელს მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო იმ შემთხვევაშიც კი თუ ბრალდებული აღიარებს წაყენებულ ბრალს და იძლევა მამხილებელ ჩვენებას საკუთარი თავის წინააღმდეგ, აღნიშნულ ჩვენებას უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს სხვა მტკიცებულებებთან შედარებით და კრიტიკულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ბრალდებული შეიძლება ცდილობდეს სხვისი ბრალის საკუთარ თავზე აღებას, ან აღიარებდეს ბრალს მისთვის შერაცხულ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულში მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, აღიარება გამოწვეული იყოს გამოძიების ორგანოების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზეწოლით და ა.შ. ამიტომ, ბრალდებულის აღიარება ისევე, როგორც ბრალდებულის მიერ ჩვენების შეცვლა სასამართლოს მხრიდან დამატებით ყურადღებას და ფრთხილ შეფასებას მოითხოვს.<sup>32</sup>

საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის აღიარებით ჩვენებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დასტურდებოდეს, როგორც მინიმუმ, ერთი სხვა მტკიცებულებით, რომელიც, სასურველია, არ იყოს ირიბი მტკიცებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება განაჩენის გამოტანა, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის (ასახულია შემთხვევის ადგილიდან დაზარალებულის გვამის მიმდებარედ ამოღებული ფეხის კვალი), ექსპერტიზის დასკვნის (ადასტურებს ფეხის კვალის ბრალდებულისადმი მიკუთვნებას) და ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების (რაც სინამდვილეში შესაძლებელია იყოს სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკუთარ თავზე აღება) საფუძველზე, რაც ვერ დააკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოთხოვნას, ვინაიდან არ იქნება დადგენილი მოტივი/ მიზანი, ბრალის სახე, გარდაცვალების მიზეზი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის მისვლის მიზეზი და დრო და ა.შ.<sup>33</sup>

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მისი უფლებაა<sup>34</sup> და არა მოვალეობა ისევე, როგორც ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ,<sup>35</sup> მაგრამ თუ ბრალდებული უარს ამბობს დუმილის უფლებით სარგებლობაზე, იგი სასამართლო სხდომაზე იკითხება მოწმის სახით და მას საერთო წესით ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

საკითხის ამდაგვარად ჩამოყალიბება პრობლემას ქმნის სასამართლო

<sup>32</sup> სქოლიო N5, გვ. 256-257.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>34</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74(2) მუხლი.

<sup>35</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48(7) მუხლი.



პრაქტიკაში და ხშირად იწვევს გაურკვევლობას თუ სად მთავრდება ბრალდებულის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ და სად იწყება მისი ვალდებულება არ იცრუოს სასამართლოში ჩვენების მიცემისას? როდის შეიძლება გახდეს ბრალდებულის ცრუ ჩვენება სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტი, როცა ის ცრუობს მისი დანაშაულში არ მონაწილეობის თვალსაზრისით თუ, როცა ის მისთვის ბრალად შერაცხულ დანაშაულში ამხელს სხვა პიროვნებას. სამწუხაროდ ამ კუთხით სრულყოფილი ინფორმაციისა თუ სასამართლო პრაქტიკის მოძიება ვერ მოხერხდა, გარდა პროცესორ გიორგი თუმანიშვილის მოსაზრებისა, რომლის თანახმადაც ბრალდებული სწორედ იმით განსხვავდება მოწმისაგან, რომ თუკი მოწმე პასუხს აგებს ცრუ ჩვენების მიცემისთვის, ბრალდებულს შეიძლება პასუხისმგებლობა მხოლოდ ცრუ დასმენისათვის დაეკისროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის შესაბამისად.<sup>36</sup>

### 3.4.2. მოწმის ჩვენება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი,<sup>37</sup> ხოლო ამავე მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის გარემოებების შესახებ.<sup>38</sup> კანონი ასევე განსაზღვრავს პირისათვის მოწმის სტატუსისა და უფლება-მოვალეობების შექმნის დროს და ამ ეტაპად ასახებელს მის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და ფიცის დადების მომენტს.<sup>39</sup>

ამავე დროს საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი ადგენს იმ პირთა წრეს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ მოწმე ან შეიძლება გათავისუფლდნენ მოწმის მოვალეობისაგან სასამართლოს მიერ.<sup>40</sup>

მხარეთათვის მნიშვნელოვანია, რომ მოწმე იყოს პირი, რომელიც ხასიათდება ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით და შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, მით უმეტეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია მოწმის სანდოობის თაობაზე ექსპერიტიზის ჩატარება.<sup>41</sup>

2016 წლის 20 თებერვალს ამოქმედებული კანონით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებით. კერძოდ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გარვეულ დანაშაულებთან მიმართებაში ერთმანეთისგან განასხვავა გამოძიების სტადიაზე მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის შექანიზმები და დაადგინა ახალი წესები ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით. ამდენად

<sup>36</sup> გ. თუმანიშვილის, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წელი, გვ. 206-212

<sup>37</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3(20) მუხლი.

<sup>38</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3(24) მუხლი.

<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3(20) მუხლი.

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50 მუხლი.

<sup>41</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51(3) მუხლის.

დღეისათვის მოქმედი საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე, სახეზეა გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის სამი წესი:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108, 109, 115, 117, 1261, 178, 179, 276, 315, 323-3232, 324-3241, 325-3302, 331-3311 და 3782 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების დროს - საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, რაც გულისხმობს, რომ გამოძიებელი და პროკურორი უფლებამოსილია საკუთარ კაბინეტში, მოწმის სურვილის შემთხვევაში, მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით და მოწმის წინასწარი გაფრთხილებით ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, დაკითხოს მოწმე იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.<sup>42</sup>

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით დადგენილი მოწმის გამოკითხვის წესი, რაც გულისხმობს მოწმის უფლებას, ნებაყოფლობით მისცეს ჩვენება მხარეებს მისთვის ცნობილი დასაქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე, გამოკითხვის დროს საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით და მის ვალდებულებას, გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, გამოკითხვის ჩამტარებელ პირს სწორი ინფორმაცია მოაწოდოს, მით უმეტეს, რომ პირი გამოკითხვის დაწყებამდე წერილობით ფრთხილდება ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილი გამოძიებისას მოწმის დაკითხვის წესი, რაც გულისხმობს მხარეების უფლებამოსილებას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, სათანადო გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდგომ დაკითხონ მოწმე კანონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) არსებობს მოწმის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) მოწმე დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულებების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა და შეჭიბრებითობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, საპროცესო კოდექსმა ბრალდების მხარეს მიანიჭა უფლებამოსილება, მოითხოვოს მოწმის მაგისტრატი

<sup>42</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 20.02.1998 წელი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31882N>>, [ხოლოს ნანახია 2016 წლის 20 აპრილი].

მოსამართლის წინაშე დაკითხვა, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებების დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს.<sup>43</sup>

მოწმის დაკითხვის ზემოთ ხსენებული სამი წესის არსებობა პრობლემებს ქმნის სამართალწარმოებაში და ბრალდების მხარეს ანიჭებს მუხლებით მანიპულაციის საშუალებას, არა მხოლოდ, მოახდინოს ზემოქმედება მოწმეზე, რომელიც არ არის თანახმა ნებაყოფილობით, გამოკითხვის გზით მისცეს ინფორმაცია მხარეს საქმის გარემოებების თაობაზე, არამედ პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებამდე აწარმოოს საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულებზე და ისარგებლოს მოწმის დაკითხვის ძველი წესით, რაც, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს.

პრობლემა ისიც, რომ პირველ და მესამე შემთხვევაში დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს მოწმის დაკითხვაში და ისარგებლოს მოწმისათვის შეკითხვის დასმის უფლებით, მაშინ, როცა ამ გზით მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს მტკიცებულებას და შესაძლოა გამოქვეყნდეს სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას.

და ბოლოს, მოწმის დაკითხვის ამ წესების გათვალისწინებით, დარღვეულია მხარეთა შეჭიბრობითობის პრინციპი, ვინაიდან პირის მხრიდან გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხოლოდ ბრალდების მხარეა უფლებამოსილი მოითხოვოს ამ პირის მოწმის სახით სასამართლოში დაკითხვა და ამ პროცესში მონაწილეობის უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნია, თანახმად საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-10 ნაწილისა.

### **3.4.3. ირიბი ჩვენება**

საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.<sup>44</sup>

ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ, როგორც წესი, მოდიფიცირებულ ფაქტობრივ ინფორმაციას, ვინაიდან ირიბ ჩვენებას იძლევა პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირის მეშვეობით გახდა ცნობილი. ანუ მოწმეს საკუთარი თვალით არ დაუნახავს ან სხვაგვარად უშუალოდ არ აღუქვამს (არ მოუსმენია, განუცდია, გაუსინჯავს და ა.შ.) ის გარემოება, რომლის თაობაზეც იძლევა ჩვენებას. ირიბი ჩვენებით დადგენილ ფაქტსა და ინფორმაციის წყაროს შორის არსებობს შუალედური რგოლი და შესაბამისად, რაც უფრო მეტი შუალედური რგოლი არსებობს წყაროსა და ჩვენების მიმცემ მოწმეს შორის, მით უფრო ნაკლებია მის მიერ მიწოდებული

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 114(2) მუხლი.

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 76(2) მუხლი.

ირიბი ჩვენების სარწმუნოების ხარისხი და მტკიცებულებითი წონა.<sup>45</sup>

ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების გამოყენებისათვის საპროცესო კოდექსი ადგენს ორ წინაპირობას:

1. მოწმემ სახელდებით უნდა მიუთითოს პირველწყარო, რომ შესაძლებელი იყოს საჭიროების შემთხვევაში მისი დაკითხვა;
2. აღნიშნული ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს საქმეში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

კოდექსის კომენტარის ავტორთა განცხადებით, ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურების ვალდებულება წარმოადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის სავალდებულო წინაპირობას მხოლოდ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე. შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე ირიბი ჩვენების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების, ჩხრეკა-ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლოს ნებართვის გამოთხოვისას, საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, ახალი მტკიცებულებების მოძიების და სხვა მიზნებისათვის დაიშვება მაშინაც, თუ ირიბ ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია არ დასტურდება საქმეზე შეკრებილი არც ერთი სხვა მტკიცებულებით.<sup>46</sup>

ამასთან, საპროცესო კოდექსი ადგენს წყაროს დასახელების ვალდებულებას, მაგრამ არ ადგენს ირიბი ჩვენების სარწმუნოების გადამოწმებისათვის დასახელებული პირველწყაროს დაკითხვის/გამოკვლევის ვალდებულებას. პირველწყაროს მოწვევა პროცესში შესაძლებელია მნიშვნელოვან (ობიექტურ და სუბიექტურ) სირთულეებთან იყოს დაკავშირებული: გარდაცვალება, დაუდგენელია ადგილსამყოფელი, უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე და სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე, აღარ ახსოვს და ა.შ. შესაბამისად, თუ მოწმე მიუთითებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა ან გარდაცვლილი მოქალაქისაგან, აღნიშნული ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს ობიექტურად არ ექნებათ შესაძლებლობა გადაამოწმონ პირველწყაროს სანდოობა.<sup>47</sup>

ირიბი ჩვენების გამოყენება, იკრძალება გამამტყუნებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის. ირიბი ჩვენების გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების და საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, დამატებითი მტკიცებულების მოძიების, მოწმის ჩვენების იმპიჩმენტის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, ქონებაზე ყადაღის დადების, სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების, ჩხრეკა-ამოღების და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელებისათვის.<sup>48</sup>

<sup>45</sup> სქოლიო N5, გვ. 265.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 268.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 269.



კოდექსის ავტორთა ზემოაღნიშნული განცხადებები სადაოა და, ჩვენი აზრით, არ გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან, მით უმეტეს, რომ ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მის დეტალურ განხილვას კვლევის შესაბამის ნაწილში შევეცდებით.

#### **3.4.4. ნივთიერი მტკიცებულება**

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილის მიხედვით, ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს როგორც თითის ანაბეჭდი, ასევე ფეხის კვალი, სიგარეტის ნამწვავი, სისხლის კვალი, სატრანსპორტო საშუალების საბურავების პროტექტორების კვალი, დოკუმენტები, ამონაწერები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, ნივთიერებები (თხევადი, გაზისებური, ფხვნილისებური კონსისტენციის და ა.შ.) და ა.შ. აქვე კოდექსი ადგენს, რომ შედარებითი კვლევის ნიმუში შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებაა.<sup>49</sup>

საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.

იმისათვის, რომ მატერიალური სამყაროს ობიექტმა შეიძინოს მტკიცებულების სტატუსი, პირველ რიგში, ის უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ მოთხოვნებს მის ამოღება-დამაგრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული, თავის მხრივ, გულისხმობს: ა) მის მოპოვებას კონკრეტული საპროცესო გზით; ბ) აღნიშნული ინფორმაციის მატარებლის მოპოვების შემდეგ მის დამაგრებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) მტკიცებულების ავთენტიკურობას.

ამასთანავე, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღინეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.<sup>50</sup>

ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნიდან, რომელიც მტკიცებულებას დაუშვებლად მიიჩნევს, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს მისი გამოცვლის ან ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ ეჭვი.

**ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, მისი დათვალიერების დასაქმებე**

<sup>49</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77(1) მუხლი.

<sup>50</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77(2) მუხლი.

დართვის ფაქტის ასახვა საპროცესო დოკუმენტში წარმოადგენს ამ ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობის წინაპირობას, ქმნის ობიექტის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ნიშან-თვისებების დამაგრების შესაძლებლობას, ნივთიერი მტკიცებულების წარმომავლობის და შესაბამისად, მასში მოცემული/მასზე ასახული ინფორმაციის სარწმუნოების შემოწმების შესაძლებლობას. ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის და დამაგრების წესის დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისი დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან შექმნის დაუძლეველ ეჭვს მისი წარმომავლობის კანონიერებაში ან/და ნიშან-თვისებების შეცვლაში. მაგალითად, თუ დაზარალებულის და ბრალდებულის ტანსაცმელი არ იყო ჯეროვნად ამოღებული და დალუქული ჩხრეკა-ამოღებისას, მაშინ ერთმანეთზე დადებით მათზე გადასული მიკრონაწილაკები არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც დაზარალებულის ან ბრალდებულის ფიზიკური კონტაქტის არსებობის მტკიცებულება.<sup>51</sup>

ავთენტიკურობის მოთხოვნას მუხლი უკავშირებს საქმის არსებით განხილვას. შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე არ გამოირიცხება იმ მტკიცებულების გამოყენება, რომლის ავთენტიკურობა სადავოა.<sup>52</sup>

### **3.4.5. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება**

საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადებით, **დოკუმენტი** მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

78-ე მუხლი კი არეგულირებს თუ როდის აქვს დოკუმენტს მტკიცებულების ძალა. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.<sup>53</sup>

დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება კუმულაციურად სამი სპეციალური წინაპირობის არსებობისას: 1. ცნობილია მისი წარმომავლობა; 2. ავთენტიკურია; 3. შესაძლებელია დაიკითხოს პირი, რომელმაც შექმნა/მოიპოვა ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე.<sup>54</sup>

დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს, რომ ცნობილია მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, შემდგენელი პირი, მასში ცვლილებების შეტანის საფუძველი და თარიღი, მასში ასახული ინფორმაციის საფუძველი და სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე.

დოკუმენტის ავთენტიკურობა ნიშნავს, რომ დოკუმენტი ნამდვილია, არ

<sup>51</sup> სქოლიო N5, გვ. 272-273.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 273.

<sup>53</sup> საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78 (1) მუხლი.

<sup>54</sup> სქოლიო N5, გვ. 275.

არისსახეშეცვლილი, მოდიფიცირებული, მასზე აღებჭდვილი ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს და ა.შ. ავთენტიკურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შესაძლებელია იყოს ხელმოწერის ნამდვილობა. ცალკეულ შემთხვევებში მხარე შესაძლებელია სადავოდ არ ხდიდეს ხელმოწერის ნამდვილობას, მაგრამ სადავოდ ხდიდეს დოკუმენტის ტექსტუალურ ნაწილს და მიუთითებდეს, რომ ის გაყალბებულია (მასში მოგვიანებით იქნა ჩამატებული გარკვეული ტექსტი რომელიც არ არსებობდა ხელმოწერის მომენტში). ოფიციალური დოკუმენტი ავთენტიკურია, თუ შეიცავს შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისათვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს: მითითებას გამომცემი ორგანოს შესახებ, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს/შტამპს, სარეგისტრაციო ნომერს და ა.შ.<sup>55</sup>

დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს.<sup>56</sup>

დოკუმენტის დაყოფა ნივთიერ მტკიცებულებად და დოკუმენტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საპროცესო კოდექსი დოკუმენტებისგან განსხვავებით სპეციალურ წესებს ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულების შენახვისთვის, ადგენს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგ და ა.შ.<sup>57</sup>; 79-ე და 81-ე მუხლები არეგულირებს სწორედ ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და ნივთიერი მტკიცებულებების ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სპეციალურ წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრებისას.

ასეთ მტკიცებულებებს მიეკუთვნება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმები. გამონაკლისია დაკითხვის ოქმები, რომელთაც დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. დაკითხვის შემთხვევაში მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება, ხოლო ოქმი მხოლოდ ფიქსაციის საშუალებაა. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუძლებელია მოწმის დაკითხვა არსებით სასამართლო სხდომაზე და სასამართლო სხდომაზე ხდება მის მიერ ადრე მიცემული ჩვენების გამოქვეყნება, მხარეები იკვლევენ არა დაკითხვის ამსახველ ოქმს, არამედ თავად ჩვენებას, რაც წარმოადგენს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს.

### 3.4.6. პრეიუდიცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება: ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; ბ) განაჩენი ნასამართლობაზე; გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის; დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.<sup>58</sup>

<sup>55</sup> იქვე, გვ. 276.

<sup>56</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78(2) მუხლი.

<sup>57</sup> სქოლიო N5, გვ. 279.

<sup>58</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73(1) მუხლი.

ამასთან, მხარეს შეუძლია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი სადავო გახადოს ორ გარემოებაზე აპელირებით: 1. სასამართლოს მიერ გაკეთებული ამ ფაქტობრივი გარემოების განმარტება/შეფასება არ არის ზუსტი; 2. ეს გარემოება არ არის საყოველთაოდ ცნობილი.<sup>59</sup>

საპროცესო კოდექსი ასხვავებს პრეიუდიციული ფაქტის უარყოფის და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმის ინსტიტუტს. კერძოდ, 73-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფის უფლება ენიჭება მხოლოდ სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. შესაბამისად, თუ პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კანონიერება სასამართლოს ეჭვს იწვევს, ეჭვის დასაბუთებულობის ხარისხის მიუხედავად, სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების უარყოფა. მაგრამ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ სასამართლო საეჭვოდ მიიჩნევს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნული გარემოების გამოყენება გამოკვლევის გარეშე არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, რომ: ა) მისი იურიდიული ძალის უარყოფა ფორმალურად არ განხორციელდება მხარის შუამდგომლობის არარსებობის გამო, და ბ) მხარეები შესაძლებელია მხარს უჭერდნენ განაჩენით დადგენილი აღნიშნული გარემოების გამოკვლევის გარეშე გამოყენებას.<sup>60</sup>

### 3.5. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებების შედეგად<sup>61</sup> ცალკე თავად განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები, ჩატარების წესები და მისი ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირები. კერძოდ: საპროცესო კოდექსის 1431-ე მუხლის თანახმად ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია:

- ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
- ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ან ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტანაცია;
- გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- დ) ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება;
- ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობების საფუძველზე, განზრახ მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

<sup>59</sup> სქოლიო N5, გვ. 252.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>61</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი 01.08.2014, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2457218NDOCUMENT:1;>> [ბოლოს ნანახია 2016 წლის 26 ივნისს]



1433-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოაღნიშნული დანაშაული;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიული საზოგადოების ლეგიტიმური მიზნია მისაღწევად აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

გ) ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისმეხას საჭიროებს.

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით<sup>62</sup> ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორის მოტოვირებული დადგენილებით, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება.<sup>63</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება კანონმდებელმა მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორის და მოსამართლეს მიანიჭა, იცის იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მოსამართლი მიერ განსახილველ საკითხს,<sup>64</sup> ხოლო დაცვის მხარეს ამ ინფორმაციაზე წვდომა მტკიცებულებათა გაცვლისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს ეძლევა.<sup>65</sup>

### **3.6. სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები**

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებათა სახეებისა, საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მტკიცებულებათა მოპოვებას ჩხრეკის, ამოღების, დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ამოცნობის, ექსჰუმაციისა და ექსპერტიზის ჩატარების გზით. თოთოეული მათგანისათვის კანონი განსაზღვრავს საერთო და კონკრეტულ წესებს, რომელთა დაცვის გარეშე ამ საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ჩატარება არ შეიძლება, ხოლო კანონის დარღვევით ჩატარების შემთხვევაში მათი დაუშვებლად ცნობა ხდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროკურორის უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე განჩინების გაცემის შუამდგომლობით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სწორედ აქ ინახება საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი.<sup>66</sup>

<sup>62</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup>(1) მუხლი

<sup>63</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup>(1) მუხლი.

<sup>64</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup>(1) მუხლი.

<sup>65</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>3</sup>(2) მუხლი.

<sup>66</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136(1) მუხლი.

იმის გამო, რომ კანონმა ეს უფლებამოსილება მხოლოდ ბრალდების მხარეს მიანიჭა და ამასთან სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით უჩვეულოდ განვითარდა, მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ თურას მიიჩნევს საპროცესო კოდექსი კომპიუტერულ სისტემადა ანდა კომპიუტერულ მონაცემადა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27 ნაწილის შესაბამისად კომპიუტერული სისტემა არის „ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს“, ხოლო კომპიუტერული მონაცემი არის „კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას“.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კომპიუტერული მონაცემია ისეთი მონაცემიც, რომელიც მართალია ინახება კომპიუტერულ სისტემაში, მაგრამ საჭაროა ნებისმიერი პირისათვის, ისევე როგორც მონაცემი, რომლის გაცემის ვალდებულებაც საჭარო დაწესებულებებს გააჩნიათ, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა, თუმცა დაცვის მხარეს ებღუდება უფლება მოიპოვოს და გამოიყენოს ისინი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად და ბრალდების უარსაყოფად.

### **3.7. მტკიცებულებათა დაუშვებლობა**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აიძულებს მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვებისას ყურადღებით მოეკიდონ კანონის მოთხოვნათა დაცვას და არ დაუშვას მისი ისეთი დარღვევა, რომელიც ამ მტკიცებულებას დაუშვებელს გახდის.

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, “სამართლებრივ სახელმწიფოში ქვეშარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს. ქვეშარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ კანონის მოთხოვნებს.<sup>67</sup>

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად წინასასამართლო სხდომაზე განიხილავს, სადაც მხარეები სასამართლოს აწვდიან ინფორმაციას მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თაობაზე და ითხოვენ მის დასაშვებობას, ხოლო სასამართლო წყვეტს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საფუძვლიდან გამომდინარე დასაშვებია თუ არა მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება/მტკიცებულებები. პრაქტიკოს იურისტთა შორის ხშირად დავას იწვევს საკითხი, შეუძლია თუ არა მოსამართლეს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხი, მაშინ, როცა მართალია დარღვეულია კანონით დადგენილი მოთხოვნები, მაგრამ ამის თაობაზე არ შუამდგომლობს მხარე. იურისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ აღნიშნულ უფლებამოსილებას მოსამართლეს ანიჭებს საპროცესო კოდექსის

<sup>67</sup> სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გ.თუმანიშვილი თბილისი, 2014, გვ. 248.

219-ე მუხლის მეოთხე ნაწილის “ა” ქვეპუნქტის ჩანაწერი - “განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დაშაშვებობის თაობაზე”, რაც გულისხმობს მოსამართლის უფლებამოსილებას იმსჯელოს არა დაუშვებლობაზე, არამედ დასაშვებობაზე და დამოუკიდებლადაც მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ რომელიმე მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული არსებით სხდომაზე. ამ ვერსიას ემხრობიან კოდექსის კომენტარის ავტორებიც, რომელთა მოსაზრებით “სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა შუამდგომლობებით და ვალდებულია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას”.<sup>68</sup> თუმცა პრაქტიკოსი იურისტების ნაწილის მტკიცებით, სასამართლოს ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს და არღვევს მხარის უფლებას თვითონ გადაწყვიტოს, თუ რომელი მტკიცებულების წარდგენა სურს არსებითი განხილვისთვის, მაშინ, როცა მოწინააღმდეგე მხარე ამ მტკიცებულების სასამართლოში წარდგენას სადაოდ არ ხდის.

### **3.7.1. მტკიცებულებათა დაუშვებლობა არსებითი დარღვევისა და შესაძლო გამოცვლის მოტივით**

მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძვლები, ძირითადად, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე და 83-ე მუხლებში. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე შევხებით მტკიცებულებათა მოპოვებისას დადგენილ სხვა წესებსაც, რომელთა შეუსრულებლობა აგრეთვე იწვევს ამ მტკიცებულებათა დაუშვებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეების მიერ მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის ზოგად საფუძველს და წესს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა არ იცნობს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს. კანონმდებელი კოდექსის ცალკეულ მუხლებში მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში ესა თუ ის მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. ამდენად, 72-ე მუხლი ადგენს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მხოლოდ ძირითად პრინციპებს<sup>69</sup> და ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, “არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია”.

ამ ნორმიდან გამომდინარე, მხოლოდ ის მტკიცებულებები დაუშვებელი, რომლებიც არსებით დარღვევას ეფუძნება. შესაბამისად, ნებისმიერი კანონდარღვევა არ გამოიწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. ამისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ უნდა შეფასდეს და დადგინდეს. მოსამართლემ საკითხის გადაწყვეტის დროს, სხვა გარემოებებთან ერთად (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისათვის

<sup>68</sup> სქოლიო N5, გვ. 654.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 244.

მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა, მტკიცებულების მოპოვების ხერხი და განხორციელებული საგამოძიებო ღონისძიების მიზანშეწონილობა და ა.შ.), უნდა გაითვალისწინოს დარღვეული ნორმის ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური უფლების დაცვას.<sup>70</sup>

მაკა ხოდელი სტატიაში „წამების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“ დასკვნის სახით განსახილველ ნორმასთან დაკავშირებით უთითებს, რომ წამება აუცილებლად უნდა შეფასდეს 72-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევად და მის საფუძველზე მიღებული მტკიცებულება დაექვემდებაროს გამორიცხვას.<sup>71</sup>

ამ მუხლის ფორმულირება გააკრიტიკა ია ჩხეიძემ თავის სადისერტაციო ნაშრომში.<sup>72</sup> მისი აზრით, წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება კანონმდებლობის ასეთი ცვლილება.<sup>73</sup> ავტორს მიაჩნია, რომ 2010 წლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები მტკიცების პროცესის მკაცრ რეგულაციას არ ახდენს.<sup>74</sup> ავტორი აუცილებლად მიიჩნევს სამართლებრივი ურთიერთობის ისეთი სფეროს მკაცრ რეგულირებას, როგორცაა მტკიცებულებათა დასაშვებობა და ფიქრობს, რომ „ნებისმიერი მტკიცებულება, თუ ის უკანონო მტკიცებულების საფუძველზეა მოპოვებული, აუცილებლად უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმიდან“<sup>75</sup> და რომ „მტკიცებულების დასაშვებობის წესი არავითარ გამონაკლისებს არ უნდა ემორჩილებოდეს“.<sup>76</sup>

ამ პოზიციის მიუხედავად, მტკიცებულებათა დასაშვებობის ეს კრიტერიუმი უფრო ფორმალიზებულია, ვინაიდან მოითხოვს მტკიცებულებების მოპოვების და დამაგრების მთელი პროცედურის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრას, ე.ი. ფაქტობრივი მონაცემების წყაროებისა და მტკიცებულების შეკრების ხერხის შესაბამისობას საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებასთან.<sup>77</sup>

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, “მტკიცებულებათა დასაშვებობის შემოწმებისას დგინდება მისი წარმომავლობა, ანუ, თუ რა გზით აღმოჩნდა ის ხელმისაწვდომი მხარეებისათვის და იმისათვის, რომ კონკრეტული მტკიცებულება დასაშვებად იქნეს მიჩნეული, როგორც მინიმუმ, უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი ნიშან-თვისებებით:

- მოპოვებული უნდა იყოს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ;

<sup>70</sup> სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გ.თუმანიშვილი, თბილისი 2014, გვ. 303-315.

<sup>71</sup> წამების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, მაკა ხოდელი, სამართლის ჟურნალი N2, 2014, გვ. 33;

<sup>72</sup> მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, ი. ჩხეიძე, თბ., 2010, გვ. 79-81.

<sup>73</sup> იქვე, 79;

<sup>74</sup> იქვე, 79;

<sup>75</sup> იქვე, 80;

<sup>76</sup> იქვე, 81;

<sup>77</sup> სქოლიო N5, გვ. 292.



- მოპოვებული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან;
- მოპოვებული უნდა იყოს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;
- ფიქსირებული უნდა იყოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით”.<sup>78</sup>

ხშირად დავას იწვევს საკითხი, ზემოთ ჩამოვლილი კრიტერიუმებიდან, რომლის დარღვევა წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას, რამაც ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა შეიძლება გამოიწვიოს, თუმცა ამ კითხვაზე პასუხის მიღება, მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზით შეიძლება და მას ცალკე შევხებით.

აქვე გვხვდება ე.წ. “მოწამლული ხის პრინციპი”, რომლის თანახმადაც, მტკიცებულება ასევე დაუშვებელია თუ მოპოვებულია კანონიერად, მაგრამ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე და ამავდროულად აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ამდენად, ამ საფუძველით მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის დროს მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ

ა) მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც მოპოვებული იქნა ახალი მტკიცებულება, კანონის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული;

ბ) არსებობს საკმარისი კავშირი უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებასა და კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებას შორის;

გ) კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება, რომლის დაუშვებლად ცნობასაც ითხოვს მხარე, აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას.

მხოლოდ ამ სამი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაშია უფლებამოსილი მოსამართლე დაუშვებლად ცნოს კანონიერად მოპოვებული მტკიცებულებები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლისა, მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ,<sup>79</sup> ვინაიდან მსგავსი სახის საეჭვო მტკიცებულებებმა შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მოსამართლე (ნაფიცი მსაჯულები) და ხელი შეუშალოს საქმეზე ქეშმარიტების დადგენას.<sup>80</sup>

### **3.7.2. მტკიცებულებათა დაუშვებლობა გაცვლის წესის დარღვევის მოტივით**

შეჭიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, მხარეების მიერ შესაძლო მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას აძლევს მხარეებს მოემზადონ

<sup>78</sup> იქვე, გვ. 292.

<sup>79</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72(2) მუხლი.

<sup>80</sup> სქოლიო N5, გვ. 249.

საქმის სასამართლო განხილვისათვის, ხელს უწყობს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას და ქმნის სამართლიანი სასამართლო განხილვის მნიშვნელოვან წინაპირობას.<sup>81</sup>

საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებულია მხარეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დაუყოვნებლივ და სრული მოცულობით გაცვლა სამ სხვადასხვა დროს:

- ა) სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე;
- ბ) ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის პირველ სხდომამდე;
- გ) წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

ხოლო ამ წესების დაუცველობა უპირობოდ იწვევს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ.

საკითხის სრულყოფილად გააზრებისათვის საჭიროა განვიხილოთ თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე.

ა) მტკიცებულებათა გაცვლა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე - საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.

აღნიშნული მუხლის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. შესაბამისად, ბრალდების მხარეს აღნიშნულ საკითხში: 1. არ გააჩნია ფორმალური დისკრეცია - მას ევალება მოთხოვნილი დოკუმენტაციის გადაცემა; 2. არ აქვს განსაზღვრული ვადა - კოდექსი იყენებს სიტყვას დაუყოვნებლივ; 3. ვალდებულია გადასცეს იმ დროისათვის მის ხელთ არსებული მასალები სრული მოცულობით, მათ შორის გამამართლებელი მტკიცებულებებიც.

ამასთანავე, მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია, დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.<sup>82</sup> ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.<sup>83</sup>

ამ წესიდან არსებობს ერთი გამონაკლისი, როცა ბრალდების მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სასამართლოს ნებართვით არ გადასცეს დაცვის მხარეს მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული

<sup>81</sup> იქვე, გვ. 299.

<sup>82</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83(2) მუხლი.

<sup>83</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83(3) მუხლი.

ინფორმაცია და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.<sup>84</sup>

ბ) მტკიცებულებათა გაცვლა ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე - ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე (იგულისხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობის განხილვის სხდომა ალკვეთი ღონისძიების გამოყენების ან წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ) მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები.<sup>85</sup>

გ) მტკიცებულებათა გაცვლა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა - კანონის ამ ნორმის თანახმად წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.<sup>86</sup> ამავე მუხლით, დასაშვებია ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებაც, თუ ეს არ იწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას ან განადგურებას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ორ სახეს ითვალისწინებს: 1. ინფორმაციის გაცვლას მოთხოვნისამებრ რეჟიმში და 2. ინფორმაციის სავალდებულო წესით გაცვლას, რაც თავის მხრივ ორ ქვესახედ იყოფა: წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე გაცვლის ვალდებულება და ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე.

მოთხოვნისამებრ პროცედურის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნა და გაცვლა დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. დაცვის მხარის მოთხოვნა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გაცნობაზე დევნის დაწყებიდან ნებისმიერ სტადიაზე უნდა დაკმაყოფილდეს, მიუხედავად იმისა, წარდგენილი აქვს თუ არა პირს ბრალდება.

მოთხოვნისამებრ პროცედურას ახასიათებს შემდეგი თავისებურება:

1. დაცვის მხარეს ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ, თუ ის ამას მოითხოვს. მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში მას ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ სავალდებულო წესით (პირველი წარდგენის სხდომამდე და წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე);
2. ბრალდების მხარის უფლება მასალების გამოთხოვაზე დაცვის მხარის უფლებიდან არის ნაწარმოები - თუ დაცვის მხარე არ დააყენებს შუამდგომლობას გაცვლის შესახებ, ბრალდების მხარეს არ ექნება წინასასამართლო სხდომამდე აღნიშნულის მოთხოვნის უფლება;

სავალდებულო პროცედურის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ წერილობითი მტკიცებულების ასლების გადაცემის და საქმეში არსებული სხვა მასალების გაცნობის ვალდებულება. კანონმდებლობა პირდაპირ არ აკონკრეტებს გასაცნობი მტკიცებულების სახეს, თუმცა ადგენს, რომ წერილობითი მტკიცებულება ასლის სახით უნდა იქნეს

<sup>84</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83(5) მუხლი.

<sup>85</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83(8) მუხლი.

<sup>86</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83(6) მუხლი.

წარდგენილი, ხოლო ნივთიერი მტკიცებულება \_ დათვალიერებული. შესაბამისად, გაცნობის შესაძლებლობა ეხება პრაქტიკულად მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც არ წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას.

ინფორმაციის გაცვლა სავალდებულო რეჟიმში ითვალისწინებს მარტივ წესს და ადგენს იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმად, ყველა ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც მხარე აპირებს სასამართლო სხდომაზე ამ ინფორმაციის ხასიათის მიუხედავად (სახელმწიფო საიდუმლოება, მათ შორის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გზით მოპოვებული ინფორმაცია და ა.შ.), სავალდებულო წესით უნდა გადაეცეს გასაცნობად მეორე მხარეს წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრისა. გადაცემაში კი იგულისხმება საქმის შესაბამისი მასალების ასლების გადაცემა და არა გაცნობის შესაძლებლობის/პირობების შექმნა, მაგალითად, საგამოძიებო ორგანოს ტერიტორიაზე სპეციალური სივრცის გამოყოფის გზით.<sup>87</sup>

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, კანონმდებლობა არ არეგულირებს იმ მტკიცებულების გაცვლის საკითხს, რომელიც ერთდროულად გამამართლებელი და გამამტყუნებელიცაა.<sup>88</sup>

გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაცვის მხარის მიერ 83-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაყენების ზღვრულ რაოდენობას და არც გამოძიების ეტაპს. შესაბამისად, დაცვის მხარეს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით და განუსაზღვრელი, მაგრამ გონივრული დროის ინტერვალებით დააყენოს შუამდგომლობა საქმის მასალების მისთვის გასაცნობად გადაცემის შესახებ. ინტერვალების ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმის გარემოებებსა და გამოძიების ეფექტიანობაზე და არა დროის მონაკვეთის ფორმალურ ხანგრძლივობაზე. შესაბამისად, თუ დაცვის მხარისათვის ცნობილი ხდება, რომ ბრალდების მხარემ ჩაატარა რამდენიმე საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება, რომელშიც არ მონაწილეობდა დაცვის მხარე და რომლის შედეგებიც შესაძლებელია მისთვის საინტერესო იყოს, მას შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დროა გასული ანალოგიური შუამდგომლობის დაყენებიდან.<sup>89</sup>

ამასთან საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი (და არც სხვა მუხლები) არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მტკიცებულების გამოთხოვა/ მოპოვება ხორციელდება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლები ვადით ადრე ან წინასასამართლო სხდომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 239-ე მუხლი არეგულირებს ახალი მტკიცებულების არსებით სასამართლო განხილვაზე წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს, საპროცესო კოდექსში არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ თუ ასეთი მტკიცებულების მოპოვებიდან რამდენ ხანში უნდა უზრუნველყოს მხარემ მოწინააღმდეგე მხარისათვის გასაცნობად გადაცემა ან/და საერთოდ თუ არსებობს აღნიშნული ვალდებულება, თუ მხარეს ასეთი მტკიცებულების მოწინააღმდეგე

<sup>87</sup> სქოლიო N5, გვ. 299 -300.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 301.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 302-303.

მხარისათვის გადაცემის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მტკიცებულების დაშვების შესახებ.<sup>90</sup> ისევე, როგორც საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს გრიფით საიდუმლო დოკუმენტების ანდა მთლიანად საქმის მასალების გაცნობა/გადაცემის წესს, რაც სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა, კერძოდ, მტკიცებულებათა მეორე მხარისათვის დაუყოვნებლივ და სრული მოცულობით გადაუცემლობა, ასევე ამ მტკიცებულებათა წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე სასამართლოში წარუდგენლობა იწვევს ამ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ.

### **3.7.3. მტკიცებულებათა დაუშვებლობა არარელევანტურობის გამო**

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, შესაძლოა არ ცნოს მტკიცებულება დასაშვებად, თუ ის არარელევანტურია განსახილველ საქმესთან მიმართებით.

მტკიცებულების რელევანტურობა გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე და მისი შეფასებისას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: ა) ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს მტკიცებულება და ბ) არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის.<sup>91</sup> მათივე განმარტებით მტკიცებულება რელევანტურია თუ ის:

- ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე;
- ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია სხვა მტკიცებულებებით;
- მიუთითებს სხვა მტკიცებულებების არსებობაზე;
- ახასიათებს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების წარმოების პირობებსა და წესს და ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმებას;
- ადგენს ფაქტებს, რომელიც ეწინააღმდეგება საგამოძიებო ვერსიას;
- უკუაგდებს უკვე დადგენილ გარემოებებს;
- მიუთითებს ე.წ. მომიჯნავე შემადგენლობის არსებობა/არარსებობაზე;
- ადასტურებს ე.წ. ნეგატიურ, ანუ არარსებულ, მაგრამ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში ბუნებრივ გარემოებებს.<sup>92</sup>

სწორედ ამ გარემოებებზე დაყრდნობით მოსამართლეს შეუძლია

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25/05/2015 წლის განაჩენი საქმეზე N493აპ-14.

<sup>91</sup> სქოლიო N5, გვ. 293.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 294



არ დაუშვას და არსებით განხილვას განარიდოს მტკიცებულებები, რომელიც კავშირში არ არის საქმესთან, ანუ არარელევანტურია.

### **3.7.4. მტკიცებულებათა დაუშვებლობა საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლით**

საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მაშინ თუმხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

ამ ნორმიდან გამომდინარე, ერთადერთი სადაო საკითხი სიტყვა “შეუძლია”-ს უკავშირდება, ვინაიდან კანონით ძნელია იმის განსაზღვრა მხარე ვალდებულია დოკუმენტთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე დაკითხოს პირი თუ ასეთი პირის არსებობა და მისი წინასასამართლო სხდომაზე დასახელება სრულიად საკმარისია მოსამართლისათვის, რომ დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება მიიჩნიოს დასაშვებად.

გარდა აღინშნულისა, მხარეები ვალდებულნი არიან ამტკიცონ დოკუმენტისა თუ ნივთიერი მტკიცებულებების ავთენტიკურობა, თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მეოთხე და 78-ე მუხლის პირველი ნაწილისა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი მიიჩნევიან დაუშვებლად. ამასთან, დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება ავთენტიკურია, თუ ის არ არის სახეშეცვლილი, მოდიფიცირებული, მასზე აღბეჭდილი ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს, შეიცავს ამ კატეგორიის დოკუმენტისათვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს და ა.შ.<sup>93</sup>

კვლევის წინა ნაწილში დეტალურად იქნა განხილული თუ რა მნიშვნელობა აქვს მოწმის ჩვენებას სისხლის სამართალწარმოებისათვის, თუმცა საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, ანუ იგი დაუშვებელია თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.<sup>94</sup>

კანონმდებელი კუმულაციურად მიუთითებს სამივე უნარის დაქვეითებაზე. შესაბამისად, ჩვენება მტკიცებულების სტატუსს მოკლებული იქნება თუ პირს მოვლენათა ერთდროულად აღქმის, დამახსოვრების და გადმოცემის უნარიც აქვს დაქვეითებული. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დარღვეული იყოს მოვლენის სწორად აღქმის უნარი (მაგალითად, დაზარალებულს იმდენად შეეშინდა, რომ ყარალური თავდასხმისას სათამაშო იარაღი ცეცხლსასროლ იარაღად მიიჩნია), მაგრამ შენარჩუნებული იყოს გადმოცემის და დამახსოვრების უნარები.<sup>95</sup>

ამასთანავე, მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ ენიჭება მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მტკიცების საგანში შემავალი

<sup>93</sup> იქვე, გვ. 277

<sup>94</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (75) (1) მუხლი.

<sup>95</sup> სქოლიო N5, გვ. 263.

გარემოებების შესახებ, თუ ის ვერ უთითებს ინფორმაციის წყაროს. მოწმემ ინფორმაციის წყარო შესაძლებელია ვერ მიუთითოს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე: მაგალითად, არ ახსოვს, ვერ დაინახა ვინ თქვა, არ სურს ინფორმაციის წყაროს დასახელება ბრალდებულის მხრიდან მასზე ძალადობის პრევენციის მიზნით, წყარომ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით და ა.შ.<sup>96</sup>

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი ადგენს ამოცნობის ჩატარების წესებს და იქვე განმარტავს, რომ ამოცნობის ოქმი შესაძლოა ცნობილ იქნეს დაუშვებლად თუ:

ა) ამოცნობის დროს არ არის დაცული ამოსაცნობად წარსადგენ პირთა/საგანთა რაოდენობა (საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით)

ბ) თუ დაკითხვის დროს ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის;

გ) თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე;

დ) ამოცნობა ჩატარებულია ფოტოსურათით, როცა სახეზე არ არის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები;

ე) თუ ამოცნობა ჩატარდა განმეორებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ წინა ამოცნობა ჩატარდა ფოტოსურათით.<sup>97</sup>

და ბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-31 ნაწილი ადგენს ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლობას თუ ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ვერ ან არ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა.

### **3.7.5. მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის დაყენება**

შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობაზე სავალდებულოა რომ აკმაყოფილებდეს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შუამდგომლობებთან დაკავშირებით. კერძოდ: საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: “სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოებების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე”. ამასთან “შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო

<sup>96</sup> იქვე, გვ. 260.

<sup>97</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (131) მუხლი

კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან”.<sup>98</sup>

ხშირად ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მხარემ არ ან ვერ წარმოადგინა შუამდგომლობა სათანადო ფორმით ან/და, შეუძლია თუ არა სასამართლომ განხილვის გარეშე დატოვოს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, იმის გამო, რომ მხარეებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს კანონის მოთხოვნათა დაცვა. ამ კითხვაზე პასუხებს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი გასცემს და ამ ეტაპზე მის დეტალურ განხილვას არ შევუდგებით, თუმცა კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა წესებში შეიძლება გამოიყოს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შუამდგომლობის განხილვის ეტაპი. საპროცესო კოდექსი სხვადასხვა მუხლებში განსაზღვრავს და ადგენს ამ შუამდგომლობის დაყენებისა და განხილვის შესაძლებლობას, მაგრამ არსად არ იძლევა განმარტებას, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული შუამდგომლობა განხილულ იქნას საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ცალკეულ შემთხვევებში. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მეოთხე ნაწილის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, რაც გულისხმობს ასევე მხარეების შესაძლებლობას, სასამართლოს წინაშე დააყენონ შუამდგომლობები იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე, რომელიც სხვადასხვა საფუძვლით არ აკმაყოფილებს მტკიცებულება დასაშვებობის კრიტერიუმს.

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლემ სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით უნდა შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულება. მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც მისი მოპოვების ხერხი, ისე მისი ავთენტურობა. თავდაპირველად უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას კანონი და პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ან კონსტიტუციით გარანტირებული რომელიმე უფლება. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით არ შელახულა პროცესის მონაწილეთა უფლებები, კანონდარღვევას ყოველთვის შედეგად არ უნდა მოჰყვეს მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. როდესაც მტკიცებულების მოპოვების დროს კანონდარღვევა უმნიშვნელოა და არსებითად არ ლახავს ბრალდებულის ან პროცესის რომელიმე მონაწილის ფუნდამენტურ უფლებებს, მაშინ სამართლებრივ სახელმწიფოში მიუღებელია, რომ ამ მიზეზით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის გამო ხელი შეეშალოს საქმეზე ქვეყნარტების დადგენას და ამით შეფერხდეს დამნაშავისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებლად უნდა მოხდეს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის ინტერესისა და

<sup>98</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93 (2) მუხლი



საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესის შეფასება.<sup>99</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, “საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზს”. აქაც მხარეები უფლებამოსილნი არიან იშუამდგომლონ დამატებითი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმს და, ამასთან, არ არსებობს საკმარისი დასაბუთება და საპატიო მიზეზი, თუ რატომ ვერ იქნა ეს მტკიცებულება წარმოდგენილი საქმის არსებით განხილვამდე. ანუ დამატებითი მტკიცებულების წარმომდგენ მხარეს აკისრია ვალდებულება დაასაბუთოს, რა საპატიო მიზეზით მოხდა აღნიშნული მტკიცებულების წარუდგენლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის სტადიაზე - წინასასამართლო სხდომაზე.<sup>100</sup>

კიდევ ერთი ეტაპი, როცა შესაძლოა სასამართლომ იმსჯელოს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით, როცა პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ხოლო ამ საჩივრის დაკმაყოფილება წარმოადგენს ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველს, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.<sup>101</sup>

სწორედ ზემოაღნიშნული ნორმების გამო და იმის გამო, რომ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა არ არსებობს დათქმა, თუ როდის უნდა იქნეს განხილული მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, პრობლემები წარმოიშობა, როცა მტკიცებულებათა წარდგენა ხდება არა 219-ე ან 239-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, არამედ სხვა დროს (მაგალითად წინასასამართლო სხდომის მიმდინარეობისას) ან მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველები გამოვლენილია საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე (მაგალითად, მოწმეების დაკითხვით გამოიკვეთა დათვალთქმების ჩატარება კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, ან სასამართლოში მოწმემ მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება და არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი ამ ჩვენების/ჩვენებების დაუშვებლად ცნობისა). სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები არ აძლევენ მხარეებს შესაძლებლობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დააყენონ შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე და უარს აცხადებენ მის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ საქმის არსებითი

<sup>99</sup> სქოლიო N5, გვ. 251.

<sup>100</sup> იქვე, გვ. 699.

<sup>101</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169 (9) მუხლი.

განხილვის სტადიაზე ამგვარი შუამდგომლობების განხილვა კანონით გათვალისწინებული არ არის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დარეგულირებას საჭიროებს, შეეხება კონკრეტული საპროცესო დოკუმენტების (დადგენილება ბრალდების შესახებ, დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ, მოსამართლის განჩინება ჩხრეკის ჩატარებაზე და ა.შ.) დაუშვებლად ცნობის მოთხოვნას.

საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა განცხადებით, “მტკიცებულება არ არის დადგენილება ბრალდების შესახებ, განჩინება ან სხვა საპროცესო გადაწყვეტილებები, რაც სპეციალური ნორმებით დადგენილი წესით შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან არ გაიზიაროს მოსამართლემ, მაგრამ მათი დაუშვებლად ცნობა წარმოუდგენელია. ამასთან, ეს მსჯელობა არ ეხება დადგენილებებს, რაც მიმართულია მტკიცებულებათა მოსაპოვებლად”.<sup>102</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში და კანონი არ ანიჭებს მხარეებს იმავე წესით გაასაჩივრონ მოსამართლის ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა და დასაშვებად იქნა ცნობილი მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებები. აღნიშნული გარემოებაც, ჩვენი აზრით, პრობლემას ქმნის სამართალწარმოებაში და მხარეებს ართმევს უფლებას მათთვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე იდაონ ორი ინსტანციის სასამართლოში.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას სწორედ ამ მიმართულებით მოხდება ყურადღების გამახვილება და ვიმედოვნებთ, რომ საპროცესო კოდექსის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი უფრო მეტად გამოააშკარავებს ამ პრობლემას.

### **3.8 მტკიცებულებათა შეფასება**

კვლევის ამ ნაწილში დეტალურად იქნა განხილული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესები მტკიცებულებათა მოპოვებასა და დასაშვებობასთან დაკავშირებით, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოპოვებული მტკიცებულებების შეფასების კრიტერიუმებიც, რომლებზეც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლში მახვილდება ყურადღება. კერძოდ საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით”.<sup>103</sup>

პრაქტიკაში დავას იწვევს საკითხი, თუ როდის აფასებს მოსამართლე მტკიცებულებას თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და რას გულისხმობს მტკიცებულებათა რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა.

<sup>102</sup> სქოლიო N5, გვ. 654.

<sup>103</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82(1) მუხლი.

კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, მტკიცებულებათა შეფასება ხორციელდება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე და ახასიათებს საქმეზე მთელ წარმოებას, თუმცა მტკიცებულებათა შეფასებასსრულიმასშტაბითმხოლოდსასამართლოახორციელებს.<sup>104</sup> ამასთან, მტკიცებულება შეიძლება აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილი სამი პირობიდან (იგულისხმება რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა), რომელიმე ორ პირობას, მაგრამ მესამე კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო არ იქნეს გათვალისწინებული განაჩენის დადგენისას.<sup>105</sup>

რელევანტურობა ეხება მტკიცებულების შინაარსს და გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსებობაზე. რელევანტურობის შეფასება ხდება საქმის გარემოებების და მტკიცებულებაში არსებული ინფორმაციის შინაარსის ურთიერთშეპირისპირებით. ამ დროს ფასდება არა მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც ეხება მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს, არამედ ასევე მტკიცებულებებიც, რომელთა მეშვეობით ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი დასამტკიცებელი გარემოების დადასტურება ან უარყოფა.<sup>106</sup> მტკიცებულებათა უტყუარობა კი გულისხმობს მასში მოცემული ინფორმაციის (ფაქტობრივი მონაცემების) ჭეშმარიტებას<sup>107</sup> და ამ საკითხის შეფასებისას, როგორც წესი ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე: ა) მტკიცებულების წყაროს სანდოობა; ბ) გარემოებები, რომლებშიც განხორციელდა მტკიცებულების ფორმირება; გ) ინფორმაციის მიღების ხერხები და საშუალებები; დ) შესაფასებელ მტკიცებულებაში მოყვანილი ინფორმაციის დადასტურება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.<sup>108</sup>

და მაინც, როდის აფასებს მოსამართლე მტკიცებულებებს მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით? კვლევაში აჩვენა, რომ მტკიცებულებათა რელევანტურობის და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის მიერ, როგორც წესი, წინასასამართლო სხდომაზე ხდება, მაშინ, როცა განიხილება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, ხოლო მტკიცებულებათა უტყუარობას იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეეხოს მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა ეს საკითხი აუცილებლად ხდება მსჯელობის საგანი განაჩენის გამოტანის დროს.

<sup>104</sup> სქოლიო N5, გვ. 288.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 289.

<sup>106</sup> იქვე, გვ. 293.

<sup>107</sup> იქვე, გვ. 289.

<sup>108</sup> იქვე, გვ. 291.

## **თავი 4. საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობის ანალიზი, რომელიც მსგავსია საქართველოს კანონმდებლობისა**

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა მიმოვიხილოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მიდგომები, სადაც სისხლის სამართლის პროცესი, ასევე, შეჭიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული და მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და შეფასების ანალოგიურ წესებს ითვალისწინებს.

საერთო სამართლის ქვეყნების (მაგ, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) სისხლისსამართლებრივი სისტემები ე.წ წინააღმდეგობრივ საწყისზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს, რომ პროცესზე წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე: ადვოკატი - როგორც ბრალდებულის დამცველი და ბრალმძებელი, როგორც სახელმწიფოსა და ხალხის წარმომადგენელი. ამ სისტემისთვის დამახასიათებელი შეჭიბრებითი პროცესი, ორი თანასწორუფლებიანი მხარის დაპირისპირებას გულისხმობს. მათ მტკიცებულებათა პროცესში თანაბარი პროცესუალური უფლებები აქვთ. აღნიშნული მოდელის ფარგლებში მოსამართლე ნეიტრალური არბიტრის როლში გვევლინება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან ყველაზე ახლოს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესებია მტკიცებულებათა მოპოვების და დასაშვებობის ნაწილში, რის გამოც კვლევა, პირველ რიგში, სწორედ ამ წესების ანალიზით შეიმოფარგლა, თუმცა თითქმის მსგავსი ვითარებაა ინგლისის საპროცესო კანონმდებლობაში და საქართველოს კანონმდებლობასთან გარკვეული მსგავსება იქნა მოძიებული იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. კერძოდ:

### **4.1. ამერიკის შეერთებული შტატები**

ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ჩამოყალიბების დღიდან სისხლის სამართლის წყაროებად იქცა 1787 წლის კონსტიტუცია, პრეცედენტული ნორმები და სტატუტების სამართალი. 1787 წლის კონსტიტუცია ზუსტად არ მიჭნავს შტატებისა და ფედერალური მთავრობის უფლებებს სისხლის სამართლის სფეროში, თუმცა, შეიცავს ცალკეულ სისხლისსამართლებრივ პრინციპებს, ხოლო უფლებების შესახებ ბილი, ანუ 1787 წლის კონსტიტუციის პირველი 10 დამატება, რომლებიც 1791 წლით თარიღდება შეიცავს მნიშვნელოვან პრინციპებს სისხლის სამართლის პროცედურების შესახებ. კერძოდ: მეოთხე შესწორებაში მოცემულია მოქალაქის ცხოვრების, მიმონწერისა და ქონების თავისუფლების, უმიზნო ჩხრეკისა და დაპატიმრებისაგან დაცვის გარანტიები, ხოლო მეხუთე შესწორება შეგვახსენებს, რომ მძიმე ან სხვა ბრალდება წარდგენილი უნდა იყოს ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ. მეექვსე შესწორება წყვეტს, რომ ყოველი ბრალდებული უფლებამოსილია მის საქმეზე მოითხოვოს საჯარო სასამართლო პროცესი მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, მასვე უფლება აქვს აიყვანოს ადვოკატი თავისი ინტერესების დასაცავად.

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართალი არ იცნობს ფედერალურ სისხლის სამართლის ერთიან კოდექსს, მისი ზოგადად



მიღებული გაგებით, თუმცა მტკიცებულებათა კონტექსტში არსებითი მარეგულირებელი დოკუმენტია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულებების შესახებ.

## **მტკიცებულებების დასაშვებობა**

ამერიკის შეერთებულ შტატებში მტკიცებულების დასაშვებობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ამ მტკიცებულების საქმესთან შემხებლობა.

მტკიცებულებათა წესების 401-ე მუხლი ადგენს მტკიცებულებათა რელევანტურობის (შემხებლობის) ტესტს, რომლის თანახმადაც მტკიცებულება რელევანტურია თუ:

ა) მტკიცებულებას შეუძლია ფაქტი გახადოს მეტად ან ნაკლებად სარწმუნო ვიდრე ის იქნებოდა ამ მტკიცებულების გარეშე და

ბ) ეს ფაქტი გამოვლენილია საქმის განხილვის შედეგად.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულებების შესახებ არეგულირებს რელევანტური მტკიცებულების ზოგადი დასაშვებობის საკითხს. კერძოდ: რელევანტური მტკიცებულება დასაშვებია თუ შემდეგი ჩამონათვალი უზრუნველყოფს მის დასაშვებობას:

- ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია;
- ფედერალური საკანონმდებლო აქტები;
- ფედერალური წესები;
- ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი წესები.<sup>109</sup>

არარელევანტური მტკიცებულება კი დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების მტკიცებულებების შესახებ 402-ე მუხლის მიხედვით.

ამასთან, მოსამართლეს შეუძლია ამორიცხოს რელევანტური მტკიცებულება თუ მისი მტკიცებულებითი ღირებულება არსებითად გადაწონილია შემდეგი საფრთხეების მიერ: ა) უსამართლო ზიანი; ბ) სადავო საკითხის ჩიხში შეყვანა, აბნევა; გ) ნაფიცო მსაჯულების შეცდომაში შეყვანა; დ) შეუსაბამო დაყოვნება; ე) დროის დაკარგვა; ვ) უსარგებლოდ წარმოდგენილი ერთობლივი მტკიცებულება<sup>110</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხეების საფუძველზე მოწმის ჩვენების ამორიცხვა, მისი ჩვენების გულწრფელობიდან გამომდინარე, ხდება სამოქალაქო საქმეებზე და იმ სისხლისსამართლებრივ საქმეებზე, სადაც მოწმე არ არის ბრალდებული.<sup>111</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულებების შესახებ ითვალისწინებს პირის დამახასიათებელ მტკიცებულებებს, თუმცა მტკიცებულება პირის დახასიათებასა თუ მისი ხასიათის თვისებაზე დაუშვებელი მტკიცებულებაა თუ ეს მტკიცებულება

<sup>109</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულებების შესახებ, მუხლი 402;

<sup>110</sup> იქვე, მუხლი 403.

<sup>111</sup> იქვე, მუხლი 609 (1)(a)



ადასტურებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში პირი მოიქცეოდა მისი ხასიათის ან თვისების შესაბამისად.<sup>112</sup>

არსებობს ზემოთ ხსენებული წესიდან გამონაკლისები ბრალდებულთან, სავარაუდო დაზარალებულთან და ექსპერტთან დაკავშირებით.

ფედერალური წესების 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულმა შეიძლება წარმოადგინოს ბრალდებულისა და სავარაუდო დაზარალებულის დამახასიათებელი მტკიცებულებები. თუ მტკიცებულება ნებადართული იქნება, პროკურორს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული მტკიცებულების ამორიცხვა.<sup>113</sup>

მკვლელობასთან დაკავშირებულ საქმეებზე პროკურორს შეუძლია წარმოადგინოს სავარაუდო დაზარალებულის მშვიდობის მოყვარე ხასიათთან დაკავშირებული მტკიცებულება იმ მტკიცებულების ამოსარიცხად, რომ სავარაუდო მსხვერპლი იყო პირველი თავდამსხმელი.<sup>114</sup>

რაც შეეხება გამონაკლისებს მოწმის დახასიათებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე, ნებისმიერ მხარეს მოწმის ჩათვლით, შეუძლია დააყენოს მოწმის იმპრინენტის საკითხი მოწმის სანდოობის თაობაზე.<sup>115</sup> მოწმის სანდოობის საკითხი შეიძლება შედავებულ ან მხარდაჭერილ იქნას დაკითხვაზე მოწმის რეპუტაციიდან გამომდინარე მისი პიროვნების გულწრფელობასთან ან არაგულწრფელობასთან დაკავშირებით ან მოწმის მიერ პირის დახასიათების შესახებ მიცემული შეხედულებით. მტკიცებულება პირის სარწმუნოობასთან დაკავშირებით დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწმის ჩვენება პირის დახასიათების სანდოობასთან დაკავშირებით სადაოდ იქნება გამხდარი. თუმცა, როდესაც პირის დახასიათების ან პირის თვისების შესახებ მტკიცებულება დასაშვებია მტკიცებულებაა, ის შეიძლება დადასტურდეს მოწმის ჩვენებით პირის რეპუტაციასთან დაკავშირებით ან ჩვენებით, რომელიც პირის შესახებ შეხედულებას შეეხება.<sup>116</sup>

ამასთანავე, პირის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაული, სამართალდარღვევა თუ სხვა ქმედების მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა პირის დახასიათების დასადასტურებლად იმ მიზნით, რომ აჩვენო, თუ როგორ მოიქცა პირი განსაკუთრებულ სიტუაციაში მისი ხასიათიდან გამომდინარე.<sup>117</sup>

**მოწმის ჩვენება** - მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულების სახე, ფედერალური წესების მიხედვით, მტკიცებულებების შესახებ, საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა. ყოველი პირი შეიძლება იყოს მოწმე. მისი კომპენტენცია უნდა შემოწმდეს კანონით დადგენილი წესით.<sup>118</sup> მოწმის კომპენტენციაში მოიაზრება მისი შესაძლებლობა - სწორად აღიქვას მდგომარეობა, ახსოვდეს და მისცეს სწორი ჩვენება, ანუ, უნდა

<sup>112</sup> იქვე, მუხლი 404 (1)

<sup>113</sup> იქვე, მუხლი 404 (2)(a)

<sup>114</sup> იქვე, მუხლი 404 (2) (c)

<sup>115</sup> იქვე, მუხლი 607;

<sup>116</sup> იქვე, მუხლი 405;

<sup>117</sup> იქვე, მუხლი 404 (1) (b);

<sup>118</sup> იქვე, მუხლი 601;

იყოს ქმედუნარიანი. ჩვენების მიცემამდე მოწმემ უნდა წარმოთქვას ფიცი, რომ იტყვის სიმართლეს.<sup>119</sup> გარდა ამისა, მოწმე არ შეიძლება დაიკითხოს, ჩამოერთვას ჩვენება, თუ მას არ აქვს პირადი ცოდნა იმ ფაქტების შესახებ, რომლის მიმართაც მიმართულია მის მიერ წარმოდგენილი ჩვენება,<sup>120</sup> ე.ი ფაქტის მოწმეები უფლებამოსილი არიან ჩვენება მისცენ მხოლოდ მათი დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის შესახებ.

ფედერალური წესები იყენებს ასევე მოწმე-ექსპერტის ინსტიტუტს. ამ შემთხვევაში ექსპერტი გამოდის როგორც მოწმე. ექსპერტსა და მოწმე-ექსპერტს შორის ის განსხვავებაა, რომ ექსპერტი იძლევა დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს ფაქტიდან, როგორც ის ამას აღიქვამს მისი ცოდნის მიხედვით, მაგრამ მისი მტკიცებულება არ წარმოადგენს ფაქტების შესახებ პირად ცოდნას. ამდენად, ის სხვის ნააზრევს, სხვის მიერ წარმოდგელ დოკუმენტზე იძლევა დასკვნას.

**ექსპერტის დასკვნა** - ექსპერტად ითვლება პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, უნარები და გამოცდილება. მისი ჩვენება შეიძლება მტკიცებულებად იქნას გამოყენებული თუ:

ა. ექსპერტის სამეცნიერო, ტექნიკური თუ სხვა სახის სპეციალიზებული ცოდნა მოსამართლესა თუ ნაფიც მსაჯულს დაეხმარება საქმის გადაწყვეტაში;

ბ. ჩვენება ემყარება საფუძვლიან ფაქტებსა თუ ცნობებს;

გ. ჩვენება სანდო, სარწმუნო პრინციპებისა და მეთოდების შედეგადაა მიღებული;

დ. ექსპერტი სანდოდ იყენებდა საქმის ფაქტების პრინციპებსა და მეთოდებს.

ამასთან, ექსპერტს უფლება აქვს მისცეს თავისი დაკვირვების შესახებ ჩვენება,<sup>121</sup> თუმცა, ექსპერტმა არ შეიძლება მისცეს ჩვენება ბრალდებულს ჰქონდა თუ არა ფიზიკური/ფსიქიური შესაძლებლობა ჩაედინა დანაშაული.<sup>122</sup>

თუკი სამეცნიერო, ტექნოლოგიური ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების მკვლევარს მტკიცებულებების გაგებაში ან ფაქტისა თუ საკითხის განსაზღვრაში, ცოდნის, უნარის, გამოცდილების, მომზადების ან განათლების მიხედვით ექსპერტად მიჩნეულმა მოწმემ შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნების ან სხვა ფორმით თუ: ა) ჩვენება ემყარება სათანადო ფაქტებს ან მონაცემებს; ბ) ჩვენება სანდო ხერხისა და მეთოდის შედეგია; გ) მოწმე იყენებს საქმის გარემოებების შესაბამის ხერხებსა და მეთოდებს.<sup>123</sup>

<sup>119</sup> იქვე, მუხლი 603;

<sup>120</sup> იქვე, მუხლი 602;

<sup>121</sup> იქვე, მუხლი 702-703;

<sup>122</sup> იქვე, მუხლი 704 (ბ);

<sup>123</sup> იქვე, მუხლი 702

რაც შეეხება ექსპერტის მიერ დასკვნის გაკეთებას „გადამწყვეტ საკითხზე“, ფედერალური კანონმდებლობა ადგენს, რომ ექსპერტის ჩვენება, თუ ის დასაშვებად არის მიჩნეული, არ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის ეხება გადამწყვეტ საკითხს. მნიშვნელოვანი გამონაკლისია სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტის დასკვნა იმის თაობაზე, იმყოფებოდა თუ არა ბრალდებული ისეთ ფსიქიკურ ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც დანაშაულებრივ ქმედების ელემენტს წარმოადგენს. თუმცა, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტმა განმარტოს, ახსნას და ჩვენება მისცეს მისი დასკვნის მიზეზებისა და საფუძვლების შესახებ.<sup>124</sup>

იერიში მოწმის დამატერებლობაზე სცილდება იმპირმენტის დასაშვებ საფუძვლებს. საწინააღმდეგო მტკიცებულებებზე მითითების ჩვეული მეთოდის გარდა, ზოგადად არსებობს მოწმის იმპირმენტის 5 გზა.

- მიკერძობა ან ცრუ შეხედულებები - თუ გადაუხდია მზად არის შეიძინოს მეგობარი ან მტერი;
- სუსტი ხასიათი - გულწრფელობისა და ალალ-მართლობისთვის;
- მსჯავრდებულად ყოფნა - თუ ეს 10 წელიწადზე ნაკლებ დროში მოხდა;
- ცუდი მენსიერება - თუ სახეზეა დაკვირვების, დამახსოვრების ან გახსენების დაქვეითებული შესაძლებლობა;
- ადრე გაკეთებული არათანმიმდევრული განცხადება - მაგრამ მხოლოდ მნიშვნელოვან ფაქტებთან მიმართებაში.<sup>125</sup>

წერილობითი მტკიცებულებები - მათ მეორენაირად დოკუმენტალურ მტკიცებულებებს უწოდებენ. მტკიცებულებათა აღნიშნული სახე რეგულირდება ფედერალური წესების 1001-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, წერილობით მტკიცებულებებში მოიპოვება ისეთი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია ასოთი, სიტყვით, ციფრით ან მათი ექვივალენტით, რომელიც შესრულებულია ხელით, საბეჭდო მანქანაზე, ფოტოგადაღებით, რენტგენული გადაღებით, ვიდეოფირით, მაგნიტური იმპულსებით, მექანიკურად ან სხვა ფორმით.

სავალდებულოა, რომ მხარემ წერილობითი მტკიცებულება წარადგინოს მხოლოდ ორიგინალის სახით,<sup>126</sup> თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ასლის წარმოდგენაც, თუ იგი მხარის მიერ არ გახდება საექვო, ან მოცემულ მდგომარეობაში სამართლიანი იქნებოდა ასლის წარმოდგენა.<sup>127</sup>

მტკიცებულების სახეს აგრეთვე წარმოადგენს ნივთიერი მტკიცებულებები, თუმცა ამერიკის მტკიცებულებათა სამართალი არ იცნობს ასეთ ტერმინს. მტკიცებულებათა სამართლის თეორიაში იყენებენ ტერმინს „რეალური მტკიცებულება“. მაგალითად,

<sup>124</sup> სახელმძღვანელო იურისტებისთვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“ რედაქტორობით, გამოცემლობა შერიდიანი, თბილისი 2002, გვ. 260;

<sup>125</sup> იქვე, გვ 241;

<sup>126</sup> სქოლიო N109, მუხლი 1002;

<sup>127</sup> იქვე, მუხლი 1003;

ფოტოსურათი, ვიდეორჩანაწერი. თუმცა, ვიდეო ჩანაწერმა შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ნაფიც მსაჯულებზე, ამიტომ, მოსამართლეები დიდი სიფრთხილით იყენებენ ამ მტკიცებულებას. ვიდეორჩანაწერებს იყენებენ აგრეთვე მოწმის დაკითხვის დროსაც. ასეთ შემთხვევაში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ იმას რაც მოწმემ თქვა, არამედ იმასაც თუ როგორ თქვა.<sup>128</sup>

მტკიცებულება, რომელიც დაფუძნებულია მოწმის რელიგიურ რწმენასა თუ შეხედულებაზე არ წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას, რომ შედავებულ ან მხარდაჭერილი არ იყოს მოწმის სარწმუნოება.<sup>129</sup>

გარდა ამისა, ფედერალური წესები მტკიცებულებათა შესახებ არეგულირებს მოწმის ჩვენების დასაშვებობას მტკიცებულების რეპუტაციიდან გამომდინარე. მოწმის ჩვენების სარწმუნოება შეიძლება შედავებულ ან მხარდაჭერილ იქნას დაკითხვისას მოწმის პიროვნების რეპუტაციიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია მის გულწრფელობასთან/წესიერებასთან ან მოწმის პიროვნებასთან დაკავშირებული შეხედულებიდან გამომდინარე. სარწმუნო პიროვნებასთან დაკავშირებული მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწმის პიროვნება მის გულწრფელობასთან/წესიერებასთან დაკავშირებით შედავებულ იქნება მოწმის დაკითხვისას.<sup>130</sup>

მოწმის გულწრფელობასთან/წესიერებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე შედავება არ არის შესაძლებელი ყველა შემთხვევაში. ფედერალური წესები მტკიცებულებების შესახებ 609-ე მუხლი განსაზღვრავს იმ დებულებებს, როდესაც შესაძლებელია მოწმის გულწრფელობასთან/წესიერებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებზე შედავება.

მოწმის დაკითხვისას და მტკიცებულებების წარმოდგენისას სასამართლომ უნდა განახორციელოს გონივრული კონტროლი იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნას სამართლიანობა, თავიდან იქნას აცილებული დროის ფუჭი ხარჯვა და მოწმეები დაცულები იყვნენ შევიწროვებისგან ან შეუსაბამო დაბრკოლებებისგან.<sup>131</sup>

გარდა ამისა, ფედერალური წესებით მტკიცებულებების შესახებ განსაზღვრულია, რომ მტკიცებულება უნდა იყოს ავთენტური/იდენტიფიცირებული. 901-ე მუხლის მიხედვით, იმისათვის, რომ შესრულდეს/დაკმაყოფილდეს მტკიცებულების ავთენტურობის/იდენტიფიცირების საჭირო მოთხოვნები, აუცილებელია, რომ მხარემ, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებებს წარმოადგინოს საფუძვლიანი დასაბუთება იმისა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება მხარეს დაეხმარება იმის მტკიცებაში, რასაც იგი სასამართლოს განაჩენით მოითხოვს.

**ფედერალური წესების მტკიცებულებების შესახებ 903-ე მუხლში**

<sup>128</sup> იქვე, მუხლი 1003;

<sup>129</sup> იქვე, მუხლი 610;

<sup>130</sup> იქვე, მუხლი 608 (a);

<sup>131</sup> იქვე, მუხლი 611;

კი ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც მტკიცებულება არის თვითიდენტიფიცირებადი. ესენია: შიდასახელმწიფოებრივი საჯარო დოკუმენტები, რომლებიც დალუქული და ხელმოწერილია, ასევე შიდასახელმწიფოებრივი საჯარო დოკუმენტები, რომლებიც დალუქული არ არის, მაგრამ ხელმოწერილი და დამოწმებულია; უცხო ქვეყნების საჯარო დოკუმენტები, ოფიციალური გამოქვეყნებები, გაზეთები, პერიოდული გამოცემები და ა.შ.<sup>132</sup>

რაც შეეხება ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხს, საერთო სამართლის ქვეყნებში ეს საპროცესო წესი ცნობილია როგორც „hearsay rule“ და ჩამოყალიბებულია ირიბი ჩვენების ზოგადი აკრძალვის ფორმით, რომლისგანაც არსებობს მრავალი გამონაკლისი. ასეთი გამონაკლისები ძირითადად მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ წესებში მტკიცებულებათა შესახებ.<sup>133</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესები მტკიცებულებათა შესახებ განმარტავს, თუ რას წარმოადგენს ირიბი ჩვენება. ამ წესის თანახმად, ირიბი ჩვენებას წარმოადგენს ყველა ის განცხადება, რომელიც განმცხადებლის (ჩვენების მიმცემის) მიერ არ გაკეთებულა სასამართლო პროცესზე ან განხილვაზე ჩვენების მიცემისას და რომელიც წარმოდგენილია მტკიცებულების სახით განცხადებული საკითხის ჭეშმარიტების დამტკიცების მიზნით.<sup>134</sup>

აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის განცხადებას წარმოადგენს: ზეპირი ან წერილობითი მტკიცება ან პირის არავერბალური ქმედება, რომელიც გამიზნულია მტკიცებისაკენ.<sup>135</sup> განმცხადებელი კი არის პირი, რომელიც აკეთებს განცხადებას.<sup>136</sup>

გარდა ამისა, ფედერალური წესები მტკიცებულებების შესახებ 801-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა არ წარმოადგენს ირიბი ჩვენებას. ესენია:

► მოწმის წარსული განცხადება<sup>137</sup> - განმცხადებელი ჩვენებას აძლევს სასამართლო პროცესზე ან განხილვაზე და ექვემდებარება ჯვარედინ დაკითხვას განცხადებასთან დაკავშირებით და განცხადება (ა) არ შეესაბამება განმცხადებლის ჩვენებას და გაკეთდა ფიცის ქვეშ, რაც ექვემდებარება სასამართლო პროცესზე, განხილვაზე, ან სხვა საპროცესო მოქმედების დროს ან წერილობით ჩვენებაში ცრუ ჩვენებისათვის სასჯელს, ან (ბ) შეესაბამება განმცხადებლის ჩვენებას და წარმოდგენილია უახლოეს წარსულში გაყალბების, არასათანადო გავლენის, ან მოტივის პირდაპირი ან ნაგულისხმევი ბრალდების გასაბათილებლად, ან (გ) შეეხება პირის იდენტიფიკაციას და განხორციელდა პირის შეცნობის შემდეგ.<sup>138</sup>

<sup>132</sup> იქვე, მუხლი 902.

<sup>133</sup> სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისთვის, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI)“ რედაქტორობით, 2012, გვ. 45.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 45-46

<sup>135</sup> სქოლიო N109, მუხლი 801 (a);

<sup>136</sup> იქვე, მუხლი 801 (b);

<sup>137</sup> იქვე, მუხლი 801 (d)(1);

<sup>138</sup> სქოლიო N133, გვ. 46.



► ოპონენტი მხარის მიერ აღიარება<sup>139</sup> - განცხადება წარმოდგენილია ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ და წარმოდგენს (ა) თვით მხარის საკუთარ, ინდივიდუალურად ან წარმომადგენლის მეშვეობით გაკეთებულ განცხადებას; ან (ბ) განცხადება, რომელიც მხარემ გაიზიარა ან წარმოაჩინა თავისი რწმენა მის ჭეშმარიტებაში; ან (გ) მხარის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული განცხადება საკითხის შესახებ; ან (დ) მხარის წარმომადგენლის ან მოსამსახურის მიერ გაკეთებული განცხადება ისეთ საკითხზე, რომელიც ორგანიზაციის კონპეტენციის ან შრომითი ურთიერთობის ფარგლებშია და გაკეთდა ასეთი ურთიერთობის არსებობის პერიოდში; ან (ე) განცხადება მხარის თანამშრომელის მიერ დანაშაულის ჩადენის, ან ხელშეწყობის პერიოდში;

ზოგადი წესის მიხედვით, ირიბი ჩვენება დაუშვებელია, თუ იგი გათვალისწინებული არ არის:

1. ფედერალური კანონით;
2. ამ წესებით;
3. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.<sup>140</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების შესაბამისი მუხლები ცნობენ ირიბი ჩვენების წინააღმდეგ არსებული წესიდან გამონაკლისებს მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა განმცხადებლის მოწმის სახით დაკითხვა სასამართლოში.<sup>141</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების 804-ე მუხლში ჩამოთვლილია ის გამონაკლისები, როდესაც ირიბი ჩვენების დაუშვებლად ცნობა არ შეიძლება მოხდეს იმ მოტივით, რომ განმცხადებელი მიუწვდომელია მოწმედ დაკითხვისათვის.<sup>142</sup>

- (1) მოწმის ძველი ჩვენება;
- (2) განცხადება, რომელიც გაკეთებული იყო მოახლოებული სიკვდილის რწმენის ქვეშ;
- (3) განცხადება მიმართული ინტერესის საწინააღმდეგოდ.

ამავე მუხლით განმარტებულია თუ რას ნიშნავს განმცხადებლის მიერ გაკეთებული განცხადება მიმართული ინტერესის საწინააღმდეგოდ:

(ა) რომელსაც განმცხადებლის პოზიციაში მყოფი გონიერი პირი გააკეთებდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სჭეროდა, რომ სიმართლეს ამბობდა, რადგან, როდესაც განაცხადა, იგი იმდენად ეწინააღმდეგებოდა განმცხადებლის საკუთრების ან მატერიალურ ინტერესს ან იმდენად დიდი იყო იმის მიდრეკილება, რომ ვიღაცის მიმართ განმცხადებლის მოთხოვნას ძალა დაეკარგებოდა ან მას სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

<sup>139</sup> სქოლიო N109, მუხლი 801 (d) (2);  
<sup>140</sup> იქვე, მუხლი 802.  
<sup>141</sup> იქვე, მუხლი 803.  
<sup>142</sup> იქვე, მუხლი 804.

საფრთხის წინაშე აყენებდა; <sup>143</sup> და

(ბ) რომელსაც განამტკიცებს დამადასტურებელი გარემოებები, რომლებიც ნათლად მიუთითებს მის საიმედოობაზე, თუკი იგი შემოთავაზებულია სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც განცხადება, რომელიც დეკლარანტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეში ჩაგდებისკენ არის მიმართული.

(4) განცხადება პირადი ან ოჯახური ისტორიის თაობაზე;

განცხადება, რომელიც:

ა) ეხება პირადად განმცხადებლის დაბადებას, შვილად აყვანას, კანონიერად შობილობას, წარმომავლობას, ქორწინებას, განქორწინებას, სისხლით ნათესაობას, შვილებას, ქორწინებას ან პირადი ან ოჯახური ისტორიის მსგავს ფაქტებს, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა გზა, რათა მოეპოვებინა ფაქტის შესახებ ცოდნა; ან

ბ) ეხება სხვა პირს, თუკი განმცხადებელი დაკავშირებული იყო მასთან სისხლით, შვილად აყვანით, ან ქორწინებით ან იმდენად მჭიდროდ ასოცირდებოდა პირის ოჯახთან, რომ განმცხადებლის ინფორმაცია სავარაუდოდ ზუსტი უნდა იყოს.

(6) განცხადება მიმართული იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც არაკანონიერად გამოიწვია მოწმის მიუწვდომლობა; განცხადება მიმართული იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც არაკანონიერად გამოიწვია, ან ირიბად დაუშვა მოწმის მიუწვდომლობა და ეს გააკეთა დამდგარი შედეგის განზრახვით.<sup>144</sup>

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებულებათა წესებში ჩამოთვლილია არაერთი გარემოება, რომლებიც არ წარმოადგენს ირიბი ჩვენების წესის გამოწვევას, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ხელმისაწვდომია როგორც მოწმე.<sup>145</sup>

ეს გარემოებები: აწმყოს შთაბეჭდილება, აღელვებით გაკეთებული განაცხადი, იმ მომენტში არსებული ფსიქიკური, ემოციური ან ფიზიკური მდგომარეობა; განცხადება, რომელიც გაკეთდა სამედიცინო დიაგნოსტიკის ან მკურნალობისათვის, ჩანაწერი რეგულარულად განხორციელებულ აქტივობებზე და ა.შ.<sup>146</sup>

ირიბ ჩვენებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ზოგადი წესი, როდესაც ირიბ ჩვენებაზე დამყარებული მტკიცებულება დაშვებულია პროცესზე, გამონაკლისის თანახმად, განმცხადებლის ნდობა \_ პირი, რომელმაც გააკეთა ეს განაცხადება/ჩვენება \_ არის გასათვალისწინებელი ფაქტორი იმის განსაზღვრის დროს თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მტკიცებულებას. შესაბამისად, ზოგადი წესია, რომ მტკიცებულება, რომელიც, სავარაუდოდ, დაასუსტებს განმცხადებლისადმი ნდობას, დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ასეთი მტკიცებულება დასაშვებია

<sup>143</sup> იქვე, მუხლი 804 (b).

<sup>144</sup> ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები, ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა, უზენაესი სასამართლოს კვლევა, 2016. გვ. 9;

<sup>145</sup> სქოლიო N109, მუხლი 803;

<sup>146</sup> იქვე, მუხლი 803.

იქნებოდა განმცხადებელი სასამართლოზე მოწმედ რომ ყოფილიყო.<sup>147</sup> ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ რჩება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პრეცედენტული სამართლის ძირითად წყაროებს ქმნის. სწორედ ამიტომ, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხში გასარკვევად აუცილებელია განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო თავიდან ირიდებს ისეთი მტკიცებულებების გამოყენებას, რომელიც მოპოვებულია კონსტიტუციის მე-4 და მე-5 შესწორებების დარღვევით. კონსტიტუციის მე-4 შესწორება: „ადამიანის უფლება, იყოს დაცული პირადად, სახლში, დაცული იქნეს მისი ინტელექტუალური საკუთრება ყოველგვარი დაუსაბუთებელი ჩხრეკისა და ამოღებისაგან. განჩინების მისაღებ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს ჩხრეკის და ამოღების ჩატარების სავარაუდო მიზეზი, რასაც ადასტურებს ფიცი ან დასტური, იმ ადგილის აღწერა, სადაც უნდა ჩატარდეს ჩხრეკა და იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელიც უნდა იქნეს ამოღებული“.

დაუშვებელ მტკიცებულებებთან მიმართებით განვიხილოთ ერთ-ერთი ძირითადი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც ე.წ. „მირანდას გაფრთხილების“, ასევე „მირანდას წესის“ სახელით არის ცნობილი, რომელსაც 1966 წელს საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საქმეზე მირანდა არიზონას შტატის წინააღმდეგ<sup>148</sup>. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც პრეცედენტული ხასიათისაა, დაკავებულ პირს დაკითხვის წინ გასაგებად უნდა ეცნობოს ის, რომ აქვს დუმილის უფლება, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის სასამართლოში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ; მას გასაგებად უნდა ეცნობოს, რომ აქვს უფლება ადვოკატის მომსახურებაზე და ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვაზე და საჭირო სახსრების არქონის შემთხვევაში, აქვს უფლება ადვოკატის უფასო მომსახურებაზე. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში პოლიციის თანამშრომლებს დევალბათ, რომ დაკავებული პირისთვის დაუყოვნებლივ გაეცნოთ ზემოხსენებული უფლებები.<sup>149</sup>

დაცვის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, ამიტომ, ამ ბრალდებულისგან დაცვის უფლების შეზღუდვით მოპოვებულ ინფორმაციას იურიდიული ძალა ვერ მიენიჭება და ასეთი ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი<sup>150</sup>.

## მონამლული ხის დოქტრინა და გამონაკლისები

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ამერიკის შეერთებული

<sup>147</sup> სქოლიო N133, გვ. 59.

<sup>148</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ernest Arthur Miranda v. Arizona, 384 U.S. 436 (1966); 86 S. Ct. 1602; 16 L. Ed. 2d 694; 1966 U.S. LEXIS 2817; 10 A.L.R.3d 974.

<sup>149</sup> სქოლიო N5, გვ. 181.

<sup>150</sup> სქოლიო N148.

შტატების სასამართლო პრაქტიკაში XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული დოქტრინის ანალოგს, რომელიც „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ სახელით არის ცნობილი. „მონამლული ხის ნაყოფი“ არის მეტაფორა, რომელიც გამოიყენა 1939 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტერმა გადაწყვეტილების დასაბუთებისას.<sup>151</sup>

შემდგომ ამ ტერმინმა შეიძინა სხვა სასამართლოებისთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა. „მონამლული ხის ნაყოფი“<sup>152</sup> შემდეგნაირად განიმარტება: გამოძიების ორგანოები შესაძლოა ვარაუდობდნენ, რომ გარკვეულ მტკიცებულებას (ხე) შეუძლია მათ საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი სხვა მტკიცებულებების (ნაყოფი) აღმოჩენაში შეუწყოს ხელი. თუკი ისინი პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას უხეშად დაარღვევენ კანონს და არ დაიცავენ სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სტანდარტებს, მაშინ ამ პირველად მტკიცებულებას (ხე) წამლავენ. როდესაც პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას კანონი არსებითად არის დარღვეული (ხე მოიწამლა), მაშინ ასეთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რადგან დანარჩენი მტკიცებულებებიც მიუღებელია სასამართლოსთვის.

სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ასეთი მტკიცებულებები წარმოადგენენ მონამლული ხის ნაყოფებს, რომლებიც ასევე მონამლულია. აღსანიშნავია, რომ ფელიქს ფრანკფურტერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებამდეც ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას ანალოგიური მიმართულებით ვითარდებოდა.<sup>153</sup>

თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, რომელიც განავითარა სასამართლო პრაქტიკამ, რადგან ყოველთვის მარტივია არ არის უშუალო და შუალობით მტკიცებულებებს (ე.ი. ხესა და ნაყოფებს) შორის ურთიერთკავშირის დადგენა. სირთულეს წარმოადგენს განსაკუთრებით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუძლია კანონდარღვევით მოპოვებულ პირველად მტკიცებულებას (მონამლულ ხეს) გამოიწვიოს სხვა მტკიცებულებების (ნაყოფების) დაუშვებლად ცნობა. არ იქნებოდა იმის მტკიცება მართებული, რომ კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებებმა ყოველთვის უნდა დაბლოკოს მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დასაშვებობა და მტკიცებულებების ნაკლებობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს აშკარად დამნაშავე პირის გასამართლების შესაძლებლობა. შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბსოლუტური ხასიათის და გააჩნია მთელი რიგი გამონაკლისები. ესენია:

ა) დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი - ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულებების აღმოჩენა ეფუძნება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროსაც. ამიტომ, როდესაც

<sup>151</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: *Nardone v. U.S.*, 308 U.S., პარ. 338 (1939).

<sup>152</sup> სქოლიო N5, 2015, გვ. 245.

<sup>153</sup> სქოლიო N5, გვ. 245-246;



მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას დამოუკიდებელი წყაროც იძლევა, დაშვებულია გამონაკლისი და „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ ვერ ზღუდავს მტკიცებულების დასაშვებობას. ამის არგუმენტად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ დამოუკიდებელი წყაროს საგამონაკლისო შემთხვევის დროს თავიდანვე არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და მის საფუძველზე კანონიერი გზით აღმოჩენილ მტკიცებულებებს შორის, ვინაიდან მათი მოპოვება სხვა დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით ისედაც მოხერხდებოდა.<sup>154</sup>

როდესაც საგამოძიებო ორგანოები ერთი და იმავე მტკიცებულების მოსაპოვებლად ახორციელებენ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედებას, ზოგიერთს კანონის დაცვით, ზოგს კი კანონდარღვევით, და თუ ამ საგამოძიებო მოქმედებებს შორის არ არსებობს კავშირი და ისინი ერთიმეორეზე არ არიან დამოკიდებული, მაშინ კანონის სრული დაცვით მოპოვებული მტკიცებულება აშშ-ში განვითარებული სამოსამართლო სამართლის მიხედვით დასაშვებად არის ცნობილი. მაგალითად, თუ საგამოძიებო ორგანოს ერთი თანამშრომელი დაკავებულ ბრალდებულს უფლებების განმარტების გარეშე დაჰკითხავს, იგი კანონს უხეშად არღვევს და „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ თანახმად, ასეთი დაკითხვის დროს ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ, თუ ამისაგან დამოუკიდებლად, სხვა საგამოძიებლები იმავედროულად ბრალდებულის ბინაში კანონიერად ჩატარებული ჩხრეკის საფუძველზე ამოიღებენ იმავე მტკიცებულებებს, „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისის“ შესაბამისად, ასეთი მტკიცებულება შეიძლება დასაშვებად იქნეს ცნობილი და გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ. შესაბამისად, მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა მოხდეს იმის დადგენა, არის თუ არა კანონიერად განხორციელებული საგამოძიებო მოქმედება მის მოპოვებასთან მიზეზობრივ კავშირში. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოზიტიურად დასტურდება, რომ საგამოძიებო ორგანოების ძალისხმევის შედეგად ასევე სხვა ლეგალური წყაროც იძლეოდა მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი“<sup>155</sup>.

ბ) მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი - როდესაც მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც. მტკიცებულების დასაშვებობისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კანონიერი გზით მისი აღმოჩენა დროის მოკლე მონაკვეთში დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და გარდუვალი. იმდენად მაღალი უნდა იყოს მტკიცებულების მოპოვების ალბათობა, რომ არსებულ სიტუაციაში მისი აღმოჩენილობა

<sup>154</sup> სქოლიო N5, გვ. 246;

<sup>155</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: U.S. v. Bacall, 443 F. 2d, gv. 1050 (9th Circuit 1971); U.S. v. Murray, 487 U.S., პარ.533 (1988); ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: State v. O'Brenski, 70 Wash. 2d 425, 423. 2, პარ.530, (1967).



ფაქტობრივად უნდა გამოირიცხებოდეს. ამრიგად, ჰიპოთეტურად მტკიცებულება კანონიერი გზით მოკლე დროში ისედაც აღმოჩენილი იქნებოდა. ის, რომ მაღალი ალბათობით მტკიცებულება კანონიერი გზით იქნებოდა აღმოჩენილი, ბრალდების მხარემ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაამტკიცოს<sup>156, 157</sup>

გ) განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისი - ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულების მოპოვებასა და კანონდარღვევით განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებას შორის, მართალია, მიზეზობრიობა დგინდება, მაგრამ, მტკიცებულების დაშვება მაინც ხდება, რადგან კანონდარღვევასა და მტკიცებულების მოპოვებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი სხვა დამატებითი ფაქტორის გამო იმდენად შესუსტდა, რომ მანამდე არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების გამოსწორება (განწმენდა) მოხდა, ე.ი. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კანონდარღვევასა და მოპოვებულ მტკიცებულებას შორის აღარ დგინდება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს შეფასება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო დამატებითი ფაქტორი და რამდენად არსებითად მოხდა ხარვეზების (ნაკლოვანებების) განწმენდა.<sup>158</sup>

დ) კეთილსინდისიერების გამონაკლისი - ამ შემთხვევისას დასაშვებია კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, მოქმედებდნენ მტკიცებულების მოპოვებისას საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები განზრახ უკანონოდ თუ არა. აღნიშნულ საგამონაკლისო შემთხვევას საფუძველი ჩაეყარა 1984 მიღებულ ე.წ. „ლეონის“ გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, ვინაიდან პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ეჭვი არ ეპარებოდა სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ნებართვის კანონიერებაში. მაშასადამე, მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ გაცემული ჩხრეკის ნებართვის გამოყენებით, დასაშვებია, თუ პოლიცია თავად კეთილსინდისიერად და ადეკვატურად მოქმედებდა. პოლიცია თავისი გადმოსახედიდან მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესებს იცავს. მათ არ უნდა მოვედავოთ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის კანონიერებაზე, ვინაიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება პოლიციის ამოცანას და ფუნქციას არ წარმოადგენს. „კეთილსინდისიერების გამონაკლისის“ საფუძველზე კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ შეცდომა დაშვებული უნდა ჰქონდეს არა საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს, არამედ მოსამართლეს ან სასამართლოს თანამშრომელს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს, თუ პოლიცია საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად ნებართვის მოპოვების მიზნით სასამართლოსთვის არასწორი მონაცემების მიწოდებით მას

<sup>156</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Nix v. Williams, 467 U.S., პარ. 431, 441-444 (1984); ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Soto v. New York, 476 U.S., პარ. 898 (1986).

<sup>157</sup> სქოლიო N5, გვ 247;

<sup>158</sup> იქვე, გვ. 248.

შეცდომაში შეიყვანს. იგი ასევე არ მოქმედებს მაშინაც, როდესაც საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სასამართლო ნებართვის ხარვეზიანობა პოლიციისთვის ამკარად თვალშისაცემი იყო.<sup>159</sup>

#### 4.2. ინგლისი (უელსი)

სისხლის სამართლის პროცესი, ინგლისში იყოფა ე.წ. წინასასამართლო გამოძიებად და არსებით განხილვად. მართალია, ახალი პროცესის ფარგლებში თავად ტერმინი „წინასასამართლო გამოძიება“ აღარ გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი დღეს უკვე გამოძიების ცნებაშია მოაზრებული. ინგლისის სამძებრო სამსახურის სასამართლოს განცხადებით, „სისხლის სამართლის საქმეში შეჭიბრებითი პროცესის უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდებას, ისე დაცვას უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობის და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა“.<sup>160</sup>

ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში შემდეგი სახის მტკიცებულებებს ვხვდებით: მოწმის ჩვენება, რეალური მტკიცებულებები, ირიბი ჩვენება, აღიარება, დოკუმენტის სახით არსებული მტკიცებულებები და ბიზნეს დოკუმენტები და ცხრილები<sup>161</sup>.

მტკიცებულებათა დასაშვებობის მთავარი კრიტერიუმი მისი რელევანტურობა და საქმესთან შემხებლობაა. მიუხედავად ამისა, საქმესთან შემხებლობის მქონე ყველა მტკიცებულება როდი ითვლება დასაშვებად. ინგლისური მტკიცებულებითი სამართალი, გარკვეულწილად, მოიაზრება, როგორც ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ადგენს მტკიცებულებათა გამორიცხვის წესებს.<sup>162</sup>

სასამართლოს შეუძლია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქმის ყველა გარემოების, მათ შორის მისი მოპოვების წესის გათვალისწინებით, მისი დაშვება იმდენად დააზიანებს პროცესის სამართლიანობას, რომ ეს მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული.<sup>163</sup>

მოწმის ჩვენება - მოწმის ჩვენება მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენება მიცემულია სასამართლოში.<sup>164</sup> ამასთან, სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ ითვლება პირი, რომელიც გამოძახებულია, ან გამოძახებულ იქნება სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად (იგივე, მტკიცებულების მისაღებად).<sup>165</sup>

#### 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 123-ე მუხლის

<sup>159</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: U.S.v Leon, 468 U.S., პარ. 897, 918-921 (1984); ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე U.S. v. Martin, 297 F.3d, პარ.1308, 1313 (2002); ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Killo v. U.S., 533 U.S., პარ.27 (2001).

<sup>160</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Laukhanen & Manninen V. Finland, §34; აგრეთვე Kamasinski V. Austria, §102; Brandstetter V. Austria §67; Rowe & Davis V. UK §60 და სხვა.

<sup>161</sup> Guidance – Evidence in criminal investigations – version 3.0, (is based on the Criminal Justice Act 2003 and the Police and Criminal Evidence Act 1984), by Home Office, გვ 15;

<sup>162</sup> ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. წიქარიშვილის თარგმანი, 1993, გვ. 111.

<sup>163</sup> გაერთიანებული სამეფოს კანონი „პოლიციისა და სისხლის სამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, მუხლი 78.

<sup>164</sup> სქოლიო N161, გვ 16;

<sup>165</sup> Criminal Justice Act 2003, მუხლი 56(1);

მიხედვით, იმისათვის, რომ მოწმის ჩვენება დასაშვები იყოს, აუცილებელია, რომ ჩვენების მიმცემ პირებს ესმოდეტ მათ მიმართ დასმული შეკითხვების შინაარსი და შეეძლოთ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.<sup>166</sup>

რეალური მტკიცებულებები - რეალურ მტკიცებულებად განმარტებულია იგივე ნივთიერი მტკიცებულებები, ანუ მტკიცებულებები, რომლებიც ფიზიკურად არსებობს. მაგალითად, დანა, იარაღი, დოკუმენტი, აუდიოჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, სურათები და რომელთა შეფასება პირს შეუძლია გრძნობის ორგანოებითა და შეგრძნებებით, მაგალითად: მხედველობით, სმენით, შეხებით, ყნოსვით და გემოთი.<sup>167</sup>

აღიარება - აღიარების განმარტება მოცემულია 1984 წლის სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა აქტის 82-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, აღიარება მოიცავს ნებისმიერ განცხადებას, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მიუთითებს იმაზე, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

ბაზისური კრიტერიუმი ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებით მტკიცებულების საიმედოობაა, ამასთანავე, ბრალდებულის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენება შესაძლებელია მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩვენება რელევანტურია საქმესთან მიმართებით და არ არის ამორიცხული, დაუშვებელი სასამართლოს მიერ.<sup>168</sup>

სასამართლოს შეუძლია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, ბრალდებულის აღიარება, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნოს თუ: ა) მტკიცებულება მოპოვებულია ზეწოლის შედეგად და ბ) ბრალდებულის მიერ აღიარებით ჩვენება მიღებულია ისეთ გარემოებების შედეგად, რაც მას არასანდოს, არასაიმედოს ხდის. ამ მიზნებისთვის კი სიტყვა ზეწოლა, ზემოქმედება გულისხმობს „წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან ძალადობის მუქარას (მიუხედავად იმისა, აღწევს თუ არა იგი წამების დონემდე).<sup>169</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესზე ბრალდებული პირის მიერ წარმოდგენილი აღიარებითი ჩვენება ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი გონივრულს ექვს მიღმა სტანდარტით დაამტკიცებს, რომ აღიარება მიღებული არ ყოფილა ზემოთ ხსენებული წესების დარღვევით.<sup>170</sup>

ამასთანავე, ბრალდებულს უფლება აქვს წარმოადგინოს თანაამსრულებლის აღიარება მტკიცებულებად იმის დადასტურებით, რომ აღიარება მიღებული არ არის პირზე ზემოქმედების, ზეწოლის შედეგად ან ისეთი გარემოებების შედეგად, რომლის საფუძვლებზეც გადაწყვეტილების გამოტანა არასანდოა.<sup>171</sup>

**დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება - იმისათვის რომ სასამართლომ**

<sup>166</sup> სქოლიო N166, მუხლი 123;

<sup>167</sup> სქოლიო N161, გვ. 16;

<sup>168</sup> Criminal Evidence Act 1984, მუხლი 76 (1);

<sup>169</sup> იქვე, მუხლი 76 (8);

<sup>170</sup> იქვე, მუხლი 76 (2) (a,b)

<sup>171</sup> სქოლიო N165, მუხლი 128;

დოკუმენტი დასაშვებ მტკიცებულებად ცნოს, აუცილებელია დოკუმენტის სახით წარმოდგენილი მტკიცებულება წარმოდგენილი იყოს მოწმის მიერ, რომელმაც უნდა განმარტოს დოკუმენტის მნიშვნელობა და თან ჰქონდეს მტკიცებულება (დოკუმენტი).

ამ მიზნებისათვის პირი, რომელიც სასამართლო პროცესზე ინფორმაციას იძლევა დოკუმენტის შესახებ არის რელევანტური პირი.<sup>172</sup>

ბიზნეს-დოკუმენტები - ბიზნეს-დოკუმენტებია განცხადება ან/და ჩვენება ბიზნესის შესახებ დოკუმენტების თაობაზე.

ამგვარი დოკუმენტები დასაშვებ მტკიცებულებაა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დოკუმენტი შექმნილი ან მიღებულია იმ პირის მიერ, რომელმაც დოკუმენტი წარმოადგინა. ეს დოკუმენტები შეიძლება უკავშირდებოდეს: კომერციულ საქმიანობას, ბიზნესს, პროფესიულ საქმიანობას ან ქონებრივ უფლებებს, გადახდილ ან გადაუხდელ ვადებულებებს.

ბ) ინფორმაცია მოწოდებულია იმ პირის მიერ, რომელსაც ჰქონდა, ან მოსალოდნელია რომ ჰქონოდა ინდივიდუალური ცოდნა ამ საკითხის შესახებ, ეს პირი შეიძლება იყოს ან არ იყოს პირი, რომელიც აკეთებს განცხადებას ანუ აძლევს ჩვენებას.

სასამართლომ შეიძლება ამგვარი მტკიცებულება დაუშვებლად ცნოს ჩვენების სანდოობიდან გამომდინარე, რადგან შესაძლებელია ეჭვს იწვევდეს შემდეგი გარემოები: ა) დოკუმენტის შინაარსი; ბ) ინფორმაციის წყარო, რომელიც დოკუმენტშია წარმოდგენილი; გ) ინფორმაციის მოწოდების ან მიღებას გზები და ვითარება; დ) ინფორმაციის შექმნასა და მიღებასთან დაკავშირებულ გზები და ვითარება.<sup>173</sup>

სამართალწარმოებაში დაკუმენტის სახით არსებული განცხადება, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დოკუმენტის დედანით ან ავთენტური ასლის სახით.<sup>174</sup>

ირიბი მტკიცებულებები - 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 114 (1)-ე მუხლი ირიბ ჩვენებას განსაზღვრავს, როგორც განაცხადს, რომელიც „სამართალწარმოებაში არ არის გაკეთებული ზეპირად“, თუმცა გამოიყენება, როგორც „მტკიცებულება ნებისმიერ დადგენილ საკითხთან მიმართებით“. მაგალითად, ეს არის იმ სახის ინფორმაცია, როდესაც მოწმე არ ყოფილა უშუალო თვითმხილველი, თუმცა ფაქტის შესახებ ინფორმაცია შემთხვევით გაიგო სხვისგან რაიმე სახით.<sup>175</sup>

ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის პირველადი ჩვენების მიმცემი, არ გამოცხადებული პირი, (როდესაც მოწმე ხელმიუწვდომელია) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

ა) უნდა იყოს გარდაცვლილი;

ა) ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო, შეუძლებელი უნდა

<sup>172</sup> სქოლიო N165, მუხლი 117 (2) (b);

<sup>173</sup> იქვე, მუხლი 117(7);

<sup>174</sup> იქვე, მუხლი 133;

<sup>175</sup> სქოლიო N161, გვ. 17.

იყოს მისი მოწმედ გამოცხადება;

გ) უნდა იმყოფებოდეს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ და გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს მისი პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა;

დ) შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოძებნა თუ მიღებულია ყველა გონივრული ზომა მის მოსაძებნად;

ე) პირმა უნდა გამოთქვას ჩვენების მიცემის შიში ან ჩვენების მიცემის გაგრძელების შიში.<sup>176</sup>

ირიბი მტკიცებულებების დასაშვებობის კრიტერიუმები მოცემულია 2003 წლის კანონის 114-ე მუხლის პირველ ნაწილში. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ირიბი მტკიცებულება დასაშვებია მტკიცებულებაა იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- აღნიშნული მუხლის ან სხვა საკანონმდებლო დებულებით მტკიცებულება მიჩნეულია დასაშვებად;
- 118-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვები მტკიცებულებაა;
- პროცესის მხარეები თანხმდებიან მტკიცებულების დასაშვებობაზე;
- სასამართლოს აქვს საკმარისი მართლმსაჯულების ინტერესი, რომ ეს მტკიცებულება მიიჩნიოს დასაშვებად.<sup>177</sup>

2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 118-ე მუხლით გათვალისწინებულია ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისები, რომლებიც დადგენილია პრეცედენტული სამართლით, ეს გამონაკლისებია:

1. საჯარო ინფორმაცია - ეს შეიძლება იყოს გამოქვეყნებული ნაშრომები, როგორცაა ისტორია, სამეცნიერო ნაშრომები ლექსიკონები, რუკები და საჯარო სახით არსებული სხვა ფაქტები. ასევე საჯარო დოკუმენტები, მაგალითად საჯარო ამონაწერები. არჩევნების შედეგები და სხვა შემთხვევები, რასთან დაკავშირებითაც არსებობს საჯარო ინტერესი. ჩანაწერები, როგორცაა სასამართლოს გადაწყვეტილებები, ხელშეკრულებები, უფლებამოსილების მინიჭების ფაქტები. გარდა ამისა, თუ ინფორმაცია დაკავშირებულია პირის ასაკთან, დაბადების თარიღთან ან ადგილთან;
2. პირის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეპუტაცია;
3. ოჯახური ტრადიციის რეპუტაცია - მაგალითად საგვარეულო ქორწინების ტრადიციის არსებობა;
4. Res gestae - ანუ ნათქვამი, რომელიც ეხება კონკრეტულ ქმედებას და იგი ახლავს ამ ქმედებას;
5. აღიარებითი ჩვენება - სამართლებრივი ნორმა, რომელიც დაკავშირებულია აღიარების დასაშვებობასთან ან შერეული სახის ჩვენებასთან სისხლის სამართლის პროცესში ისევე, როგორც

<sup>176</sup> სქოლიო N161, მუხლი 116(2)

<sup>177</sup> იქვე, მუხლი 114 (1) (d).



ბრალდებულის აღიარება მესამე პირთან;

6. პოლიციის აგენტის აღიარება- სამართლებრივი ნორმა სისხლის სამართლის პროცესში, რომლის საფუძველზეც აგენტის აღიარება ბრალდებულის წინააღმდეგ არის მიმართული.
7. საერთო საქმიანობა- ეს შემთხვევა ეხება, როდესაც განცხადება გაკეთებულია ერთი მხარის მიერ მეორე მხარის წინააღმდეგ და ,როდესაც ორივე მხარეს საერთო საქმიანობა აქვთ.
8. ექსპერტის მტკიცებულება - მხარის ან ექსპერტის მიერ იმ ექსპერტების ნააზრევზე მითითება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პროცესზე;<sup>178</sup>

და ბოლოს, გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია სანდოდ ითვლება ინგლისურ სამართალში. საქმეში სახელმწიფო ვუდქოქის წინააღმდეგ ქალი სასიკვდილოდ სცემეს, სიკვდილიდან ორი დღით ადრე მსხვერპლმა უთხრა ერთ-ერთ მოწმეს, რომ მას ქმარმა სცემა. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპი ასეთი სახის ირიბი ჩვენების დასაშვებობის არის ის, რომ ის უნდა იყოს განცხადებული სიკვდილის პირას, როცა ყველა იმედი დაკარგულია და აღარ არსებობს ტყუილის მოტივი. ამ დროს გონება მიმართულია სიმართლისკენ.<sup>179</sup>

ინგლისური სამართალი ითვალისწინებს მტკიცებულებათა სახეს, რომლებიც დაკავშირებულია პირის უარყოფით დახასიათებასთან. ამ სახის მტკიცებულების განმარტება მოცემულია 2003 წლის სისხლის სამართალწარმოების აქტის 98-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, იგი წარმოადგენს პირის არასათანადო ქცევების მიდრეკილებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს, რომელიც შემხებლობაში უნდა იყოს ბრალდებულისათვის ბრალად შერაცხულ დანაშაულთან ან პირის არასათანადო ქცევა უნდა უკავშირდებოდეს აღნიშნული დანაშაულის გამოძიებასა თუ სისხლისსამართლებრივ დევნას.<sup>180</sup> პრაქტიკაში ეს ნიშნავს იმას, რომ ბრალდების მხარეს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც დაკავშირებული არ არის დანაშაულთან, მაგრამ ის უკავშირდება ბრალდებულის სხვა, წარსულში არსებულ არასათანადო ქცევას, მაგალითად: არასათანადო ქცევებისკენ მიდრეკილება; წინა ნასამართლობას, პარალელურად სასამართლო განსახილველ საქმეს ან ბრალდებულის მიმართ ადრე წაყენებულ ბრალს, რომელშიც პირი გამართლდა.<sup>181</sup>

რაც შეეხება ბრალდებული პირის უარყოფით დახასიათებასთან დაკავშირებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს, ეს მტკიცებულება დასაშვებია, თუ

ა) პროცესის მხარეები შეთანხმდებიან მტკიცებულების დასაშვებობაზე.<sup>182</sup>

ბ) მტკიცებულება ბრალდებულმა თავად წარმოადგინა ან მტკიცებულება წარმოადგენს ბრალდებულის პასუხს ჭვარედინ დაკითხვაზე და

<sup>178</sup> სქოლიო N165, მუხლი 118.

<sup>179</sup> სქოლიო N144; გვ. 3.

<sup>180</sup> სქოლიო N165, მუხლი 98.

<sup>181</sup> სქოლიო N161, გვ. 19.

<sup>182</sup> სქოლიო N165, მუხლი 101 (1)(a)

წინასწარ განზრახულია მის გამოსავლენად.183(მაგალითად, მიუთითებს ალიბს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს იყო პატიმრობაში სხვა დანაშაულის ჩადენისთვის.)<sup>184</sup>

გ) წარმოადგენს მნიშვნელოვან განმარტებით მტკიცებულებას.185(მაგალითად, ეხმარება სხვა მტკიცებულების განმარტებაში, რომლის გარეშეც ძალიან რთული ან შეუძლებელი იქნებოდა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულების გაგება.)<sup>186</sup>

დ) რელევანტურია საქმის მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით ბრალდებულსა და ბრალდებას შორის.<sup>187</sup>(მაგალითად, პროკურატურას შეუძლია წარმოადგინოს ბრალდებულის მიერ ჩადენილი თაღლითური ქცევა იმის დასადასტურებლად, რომ ბრალდებული მატყუარაა. აგრეთვე ამ ნაწილში შეიძლება წარმოადგენილ იქნას პირის მიერ წარსულში ჩადენილი ძალადობრივი ქმედება).<sup>188</sup>

ე) მას აქვს არსებითი მამტკიცებელი ძალა საქმის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ბრალდებულსა და თანაბრალდებულს (თანამონაწილეს) შორის.<sup>189</sup>

ვ) წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც მიმართულია ბრალდებულის მიერ მიცემული მცდარი შთაბეჭდილების გამოსწორებასკენ.<sup>190</sup>

ბ) ბრალდებულმა „იერიში მიიტანა“ სხვა პირის დახასიათებასთან დაკავშირებით.<sup>191</sup>

ამავე მუხლის პირველი ნაწილის ა) პუნქტისთვის, მტკიცებულება მნიშვნელოვანი განმარტებითი მტკიცებულებაა თუ: ა) მის გარეშე სასამართლოს ან ნაფიც მსაჯულებს გაუჭირდებოდათ ან შეუძლებელი იქნებოდა სხვა მტკიცებულებების გაგება; ბ) მისი ძალა საქმის გადასაწყვეტად არის არსებითი.<sup>192</sup>

ინგლისურ სამართალში მტკიცებულებების საკითხი მნიშვნელოვანია პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტისთვისაც.

სამეფო პროკურატურის კოდექსის მიხედვით, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი ტესტით: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს (საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლი). მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა.

**გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ**

<sup>183</sup> იქვე, მუხლი 101 (1)(b)

<sup>184</sup> სქოლიო N161, გვ. 20

<sup>185</sup> სქოლიო N165, მუხლი 101 (1)(c)

<sup>186</sup> სქოლიო N161, გვ. 20

<sup>187</sup> სქოლიო N165, მუხლი 101 (1)(d)

<sup>188</sup> სქოლიო N161, გვ. 23.

<sup>189</sup> სქოლიო N165, მუხლი 101 (1)(e).

<sup>190</sup> იქვე, მუხლი 101 (1)(f)

<sup>191</sup> იქვე, მუხლი 101 (1)(g)

<sup>192</sup> იქვე, მუხლი 101 (2)

მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტექსტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ, როცა:

ა) საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის - მტკიცებულებითი ტესტი;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი - საჯარო ინტერესის ტესტი.

მტკიცებულებითი ტესტი - პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებულ ვარაუდს ან/და მაშინ, როდესაც მაღალი ალბათობით მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ. პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა პროკურორის მიერ ფასდება მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. მას შემდეგ კი, რაც პროკურორი შეკრებს მტკიცებულებებს ბრალდებულის საწინააღმდეგოდ, მან უნდა განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა აღნიშნული მტკიცებულებების სასამართლოში გამოყენება და რამდენად სანდოა ისინი. ( სამეფო პროკურატურის კოდექსის 4.5 და 4.7 მუხლები).

### 4.3. იტალია

იტალიის ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც ძალაში 1989 წლის 24 ოქტომბერს შევიდა, წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ზოგადი გაგებით, რეფორმამ იტალიური მართლმსაჯულების სისტემა საერთო სამართლის ქვეყნების შეჭიბრებითობით სისტემას გაუთანაბრა.<sup>193</sup>

იტალიურ სამართალწარმოებაში შეჭიბრებითობის პრინციპის არსი გამოიხატება მხარეთა დაპირისპირებაში, სადაც თითოეული მათგანი თავის ინტერესს ახორციელებს და ხელს უწყობს მტკიცების პროცესს. იტალიური სასამართლო პროცესი ამჟამად არის პროცესი მხარეებს შორის, სადაც იქმნება გარანტია ბრალდებასა და დაცვას შორის თანასწორობის მისაღწევად.<sup>194</sup>

1988 წლის კოდექსი თავის ერთ-ერთ ნაწილი - მესამე წიგნი - მტკიცებულებათა საკითხს ეხება და მტკიცებულებათა შეგროვებისას ინდივიდის მორალური თავისუფლების პრინციპს ითვალისწინებს, რაც გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენების აკრძალვას, რომლებიც გავლენას მოახდენს პირის თვითგამორკვევაზე და მის უნარზე დაინახსოვროს და შეაფასოს ფაქტები, მიუხედავად იმისა, თანხმდება თუ არა ჩვენების მიცემაზე ჩვენების მიმცემი პირი (ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული).<sup>195</sup>

მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპი - იტალიის სისხლის სამართლისსაპროცესოკოდექსიძლევა მტკიცებულებისსაშუალებების ჩამოთვლას, რომელიც ამომწურავი არ არის. მოსამართლეს შეუძლია დაეყრდნოს კანონში უშუალოდ მოუხსენიებელ მტკიცებულებას,

<sup>193</sup> სქოლიო N162, გვ. 244.

<sup>194</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>195</sup> იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 188.

მხოლოდ იმ პირობით რომ იგი საქმესთან შემხებლობშია და არ ხელყოფს პირის მორალურ თავისუფლებას. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მხარეებისგან მოისმენს მტკიცებულებების მოპოვების (შეგროვების) მეთოდებს, წყვეტს მიიღებს თუ არა დასაშვებად აღნიშნულ მტკიცებულებას.<sup>196</sup>

მტკიცებულების წარმოდგენის უფლება - მხარეებს (როგორც დაცვის, ისე ბრალდების) აქვთ მტკიცებულების წარდგენის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მტკიცებულება კანონით არ არის აკრძალული, არ არის აშკარად ზედმეტი ან საქმესთან შემხებლობის არმქონე.<sup>197</sup>

იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცებულება დასაშვებია ex officio, მტკიცებულებადაიშვება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, <sup>198</sup> თუმცა გადაწყვეტილება მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, შესაძლებელია მხარეთა მოსმენის შედეგადაც გაუქმდეს.<sup>199</sup>

უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები - იტალიის საპროცესო კოდექსის თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება მხედველობაში არ მიიღება. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის წამოჭრა შეუძლიათ მხარეებს და მოსამართლეს.

მტკიცებულებების შეფასება - კანონი ავალდებულებს მოსამართლეს საბოლოო გადაწყვეტილებაში ასახოს როგორც მტკიცებულებების შედეგები, ისე შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები.<sup>200</sup>

მოწმის ჩვენება - იტალიის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს ფიზიკური და ფსიქიკური უნარი მისცეს ჩვენება.<sup>201</sup> მოწმე ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოს წინაშე, დაემორჩილოს სასამართლო მითითებებს და კეთილსინდისიერად უპასუხოს მის მიმართ დასმულ შეკითხვებს<sup>202</sup>. თუმცა, მოწმე ვალდებული არ არის მისცეს თავის საწინააღმდეგო ჩვენება.<sup>203</sup>

ექსპერტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება - იტალიის სისხლის სამართლის პროცესით მტკიცებულებად მიიჩნევა ექსპერტის დასკვნაც და დოკუმენტებიც. საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის თანახმად, ექსპერტს ნიშნავს სასამართლო, როცა საჭირო ხდება არასამართლებრივი ხასიათის სპეციალური ცოდნის გამოყენება. მაგრამ, თუ ექსპერტიზა პროკურატურის მოთხოვნით დაინიშნა, მაშინ პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, დანიშნონ თავისი სპეციალური კონსულტანტი, რომელთა რიცხვი ექსპერტების რიცხვს არ უნდა აღემატებოდეს. ასეთი ტექნიკური კონსულტანტი უფლებამოსილია დაესწროს სასამართლოს მიერ ექსპერტისათვის დავალების მიცემას, წარმოადგინოს შუამდგომლობები და შენიშვნები, რაც ოქმში შეიტანება. მას აგრეთვე უფლება აქვს დაესწროს ტექნიკურ პროცედურებს და

<sup>196</sup> იქვე, მუხლი 189;

<sup>197</sup> იქვე, მუხლი 190(1)

<sup>198</sup> იქვე, მუხლი 190(2);

<sup>199</sup> იქვე, მუხლი 190(3)

<sup>200</sup> იქვე, მუხლი 192(1)

<sup>201</sup> იქვე, მუხლი 196;

<sup>202</sup> იქვე, მუხლი 198(1);

<sup>203</sup> იქვე, მუხლი 190 (2) ;

გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ექსპერტების მოხსენებაში უნდა იყოს აღნიშნული.<sup>204</sup>

აღსანიშვანვია, რომ მოსამართლე არ არის შეზღუდული ესპერტის დასკვნით, მაგრამ ვალდებულია ასაბუთოს თუ რატომ არ იზიარებს მას.<sup>205</sup>

დოკუმენტალურ მტკიცებულებებს წარმოადგენს ხელნაწერები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია სასამართლო სხდომის გარეთ. მათ შეიძლება ჰქონდეთ მტკიცებითი ძალა, თუ მოსამართლე მათ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მტკიცებულებად ცნობს.<sup>206</sup>

რაც შეეხება ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხს იტალიაში, იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის 1-3 ნაწილების მიხედვით, ირიბი ჩვენების არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ, მხარის შუამდგომლობის ან საკუთარი ნების საფუძველზე, უნდა დაიბაროს პირდაპირი მოწმე სასამართლოში. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოწმე გარდაიცვალა, აქვს ფსიქიური პრობლემები ან თუ მისი მოძებნა შეუძლებელია.<sup>207</sup>

---

204 იქვე, მუხლი 225;

205 სქოლიო N162, გვ 268;

206 იქვე, გვ 269;

207 სქოლიო N195, მუხლი 195 (1-3);



## თავი 5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და მისი აკადემიური კომენტარების ანალიზი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების ანალიზისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსხვავებით სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობისგან, რომელმაც საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რამდენჯერმე განიცადა ძირეული ცვლილებები და ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო აქტები ძირითადად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ადმინისტრაციული გადაცდომების სფეროში საქართველოში დღემდე მოქმედებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კოდექსის მიმართ უამრავი კრიტიკა ისმის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების მხრიდან. კოდექსში გამალებული ცვლილებების მაღალი ტემპის მიუხედავად, თანხმობა არსებობს იმაში, რომ კოდექსი როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად მოძველდა და ვეღარ პასუხობს განვითარების იმ დინამიკას, რასაც საზოგადოება ამჟამად განიცდის.

კოდექსის სიძველის, დრომოჭულობის და თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოძახილია ისიც, რომ არ არსებობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აკადემიური კომენტარები ან შესაბამისი მეცნიერული ნაშრომები, რომელიც დააკმაყოფილებდა საკვლევი საკითხის კრიტერიუმს და ნათელ წარმოდგენას შექმნიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მტკიცებულებების მოპოვების, სასამართლოში გამოკვლებისა და ზოგადად დასაშვებობის წესებზე.<sup>208</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2012-2013 წლებში დაიგეგმა და დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით (დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობით), თუმცა ამ კოდექსის მიღება დღემდე არ მომხდარა. რეფორმის ფარგლებში სხვადასხვა დროს საერთაშორისო და ადგილობრივი საექსპერტო წრეების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები კი იმაზე

<sup>208</sup> ამ სფეროში არსებული იშვიათი სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომები და სტატიები ან მოძველებულია (იხ. მაგ: ვ. ლორია, პ. შავაძე, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის კოდიფიკაცია, 1995; ვ. ლორია, მ. სალხინაშვილი, ადმინისტრაციული სახდელეები და მათ გამოყენება, თბილისი, 2000), ან ნაკლებად შეეხება ჩვენს მიერ განსახილველ საკითხს (იხ. მაგ: მ. სალხინაშვილი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა, მართლმსაჯულება და კანონი, N2(17)08, თბილისი, 2008; თ. ღვამიჩავა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან, Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence 2006/No.1(7); ლ. გიორგაძე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ადგილი საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში - კოდიფიკაციის ეფექტური მოდელი, ქართული ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები, სტატეიათა კრებული, 2016, გვ. 1-25; მ. სალხინაშვილი, ნ. შუბლაძე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გამოტანილი დადგენილებების (განკარგულების) გასაჩივრების თავისებურებანი, მართლმსაჯულება, 2008, N2, გვ. 100-104; ქ. ცხადაძე, ადმინისტრაციული გადაცდომა და მისი გამიჯვნა სისხლის სამართლის დანაშაულისაგან, მართლმსაჯულება, 2008, N2, გვ. 124-132.)

მეტყველებს, რომ წინ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა, არა მხოლოდ ადმინისტრაციული გადაცდომების სფეროში მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვობის, შეფასებისა და მტკიცების სტანდარტების შემუშავების მხრივ, არამედ იმ უფრო ზოგადი საკითხის გადასაჭრელად, თუ რომელი საკანონმდებლო მოდელის დანერგვაა მიზანშეწონილი და გამართლებული ადმინისტრაციული გადაცდომების სფეროში.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, შეუძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების იზოლირებულად განხილვა საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლებებისგან. პირიქით, რეფორმის საბოლოო მიზანი სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სრულფასოვნად მოხდეს პირების მიერ კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტებით მათთვის მინიჭებული უფლებების რეალიზება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განსაკუთრებით, გადაწყვეტილების შემდგომ საქმეზე *Öztürk v. Germany*), ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლების მიზნებისთვის, სისხლისსამართლის ბრალდების და დანაშაულის ცნების ავტონომიური შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ დებულებებს ავრცელებს ასევე იმ საქმეებზე, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით (მათ შორის ქართული კანონმდებლობით) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს განეკუთვნება. ადმინისტრაციული პატიმრობის საქმეების გარდა, ეს პოტენციურად შეეხება ასევე ნებისმიერ იმ საქმეს, რომელშიც პირის მიმართ დადგენილი სანქცია სადამსჯელო ღონისძიებას ატარებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება იქნეს გამახვილებული ევროპული სასამართლოს მიერ გამოყენებულ კრიტერიუმებზე, რომელიც მან თავდაპირველად შეიმუშავა *Engel*-ის საქმეზე. ასევე საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-40 და 42-ე მუხლებთან დაკავშირებით და გროვილ გამოცდილებაზე. საბოლოო ჯამში, უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში არსებული სამართლის ზემოთ ხსენებული წყაროები ყოველთვის უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სფეროში მოქმედი ქართული კანონმდებლობის გამოყენებისას.<sup>209</sup>

ზემოთ აღნიშნული შენიშვნების და არსებული ვითარების გათვალისწინებით, კვლევაში განვიხილავთ უშუალოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ რამდენიმე მუხლს, რომელიც მტკიცებულებათა მოპოვებასა და შეფასებას შეეხება და შევეცდებით, გამოვკვეთოთ კანონში არსებული ხარვეზებიც.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა

<sup>209</sup> Lorena Bachmaier Winter, Peter Pavlin, Review Of The Draft Code On Administrative Offences Of Georgia As Of June 2012, p. 5.

ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.<sup>210</sup>

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.<sup>211</sup>

ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ცნობს შემდეგი სახის მტკიცებულებებს: მოწმის ჩვენებას, ექსპერტის დასკვნას, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებს, ვიდეოფირს, ფოტოფირს, სხვა ნივთიერ მტკიცებულებებს (ვიდეოფირისა და ფოტოფირის გარდა), დოკუმენტებს (ეს დოკუმენტი შეიძლება იყოს ამოღების შესახებ ოქმი ან ნებისმიერი სხვა ოქმი).

რაც შეეხება ზემოთ ხსენებული მტკიცებულებების დასაშვებობას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში წარმოდგენილი არ არის ამ საკითხის მარეგულირებელი წესები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც აკადემიური კომენტარი არსებობს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში წარმოდგენილია ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, 237-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.<sup>212</sup>

გარდა ამისა, კოდექსი უთითებს ორგანოს (თანამდებობის პირს) მასალების პროკურატურისთვის (საგამოძიებო ორგანოსთვის) გადაცემის ვალდებულებას შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, თუ დარღვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.<sup>213</sup>

როგორც ვხედავთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მტკიცებულების შეფასების მთავარი კრიტერიუმი ორგანოს (თანამდებობის პირის) შინაგანი რწმენაა, რაც საქმის ყველა გარემოების ერთობლივად ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას

<sup>210</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, მიღების თარიღი: 31/12/1984, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/>> [ბოლოს ნანახია 16 აპრილი, 2016 წელი];

<sup>211</sup> იქვე, მუხლი 236 (2).

<sup>212</sup> იქვე, მუხლი 237;

<sup>213</sup> იქვე, მუხლი 238;

ემყარება. კოდექსით დარეგულირებული არ არის მტკიცებულების შეფასების კრიტერიუმები მოსამართლის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქმეების გადაწყვეტისას. აგრეთვე, კოდექსი არ არეგულირებს მხარეების მხრიდან მტკიცებულებათა გაცვლის წესებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას.

გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები, კერძოდ, ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება, თუმცა კოდექსი უშვებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირის მონაწილეობის გარეშეც, მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე და ამ პირისათვის უფლება-მოვალეობების წერილობითი განმარტების პირობებში.<sup>214</sup>

ზემოთ ხსენებულ მუხლში მხარეთა შეჭიბრებითობის კონტექსტში მნიშვნელოვანია პირის მიერ საქმის მასალების გაცნობის, შუამდგომლობების დაყენების და მტკიცებულებების წარდგენის უფლება. თუმცა კოდექსით არ არის განსაზღვრული პირის მიერ მასალის გაცნობის დრო, მეორე მხარის ვალდებულება მასალების გადაცემასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. აგრეთვე კოდექსი არ განსაზღვრავს შუამდგომლობების დაყენებისა და მტკიცებულებების წარდგენის დროსა და ადგილს.

მტკიცებულებათა დასაშვებობის რეგულირებასთან დაკავშირებით ერთადერთი ჩანაწერი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მესამე ნაწილში გვხვდება, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა.<sup>215</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ჯერ კიდევ 1984 წელს არის მიღებული, განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, იგი არ შეიცავს მკაფიო წესებს მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და გამოკვლევის თაობაზე და მხოლოდ ზემოთ აღწერილი ნორმებით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, კვლევის პროცესში ვერ იქნა მოძიებული მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული აკადემიური კომენტარი, თუმცა ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაცია “Human Right Watch”-ის 2012 წლის იანვარში გამოქვეყნებული კვლევა

<sup>214</sup> იქვე, მუხლი 252 (1);

<sup>215</sup> იქვე, მუხლი 245 (5);



საქართველოში ადმინისტრაციულ დაკავებათა შესახებ.<sup>216</sup>

კვლევის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა დაცვის გარანტიები ბევრად უფრო სუსტი და ბუნდოვანია ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. სამართალდამრღვევი პირები არ სარგებლობენ სათანადო საპროცესო უფლებებით დაკავების თაობაზე შეატყობინონ ოჯახის წევრებს ან/და სრულყოფილად ისარგებლონ დაცვის უფლებით. კვლევის ჩატარების დროს გამოკითხული პირების განცხადებით კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა იმართება ზერელედ, იშვიათად გრძელდება 15 წუთზე მეტ ხანს და მოსამართლის გადაწყვეტილება უმეტესწილად პოლიციელთა მიერ მიცემულ ჩვენებებს ეფუძნება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაკავებულს ჰყავს ადვოკატი მათ არასაკმარისი დრო ეძლევათ ეფექტური დაცვის განსახორციელებლად.<sup>217</sup>

სწორედ ამიტომ, ორგანიზაციამ, ჯერ კიდევ 2012 წელს, რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს მთავრობას მიმდინარე რეფორმის ფარგლებში დაუყოვნებლივ შესულიყო ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რათა უზრუნველყოფილიყო სამართალდამრღვევი პირის უფლებების რეალიზაცია, დაცვის მომზადებისათვის სათანადო დროის უზრუნველყოფის, დაცვისა უფლების რეალიზაციისა და დაკავებისას ოჯახის წევრებისათვის შეტყობინების ვალდებულების გათვალისწინებით.<sup>218</sup>

ვიმედოვნებთ, რომ რეფორმა, რომელიც 2012 წელს დაიწყო უახლოს პერიოდში დასრულდება და ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევი პირები ისარგებლებენ არსებითად ისეთივე უფლებებით, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ისეთივე ვალდებულებებით, როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული.

<sup>216</sup> Administrative Error, Georgia's Flawed System for Administrative Detention, 2012, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.hrw.org/report/2012/01/04/administrative-error/georgias-flawed-system-administrative-detention>>, [ბოლოს ნანახია 09 მაისი, 2016 წელი];

<sup>217</sup> იქვე, გვ. 2;

<sup>218</sup> იქვე, გვ. 4.



## თავი 6. საერთაშორისო ორგანიზაციების ანარიშების ანალიზი

საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად იკვლევენ და მონიტორინგს უწევენ საქართველოში არსებულ მდგომარეობას როგორც სამართლებრივი კუთხით, ასევე სოციალური თვალსაზრისითაც. მათ მიერ გამოცემული კვლევები და მათგან გამომდინარე რეკომენდაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მართლმსაჯულების პროცესის დახვეწაში და ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების წინაპირობაც კი ხდება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული ანგარიშები და კვლევები, თუმცა კვლევის ფარგლებისათვის საინტერესო და მტკიცებულებათა წესების თაობაზე რეკომენდაციის მომცემი მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აღმოჩნდა. კერძოდ:

**ევროპის საბჭოს 2011 წლის 28 მარტის ანგარიშში**, რომელიც საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემას შეეხება, სხვა საკითხებთან ერთად საუბარია 2010 წელს ძალაში შესულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე და მის ძირითად პრინციპებზე. ანარიშის ავტორთა აზრით, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სამართლიანი სასამართლოს უფლების გაძლიერებაა. საპროცესო კოდექსი იცავს პირს თვით ბრალდებისაგან და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდებული დასჯილ/გასამართლებულ იქნას მხოლოდ თავის ჩვენებაზე დაყრდნობით. ამასთან, კოდექსის ნორმები მტკიცებულებების მოპოვებასა და პროცესამდე წარდგენისათვის თანაბარ უფლებებს ანიჭებს პროკურატურასა და დაცვის მხარეს.<sup>219</sup>

მკვლევართა აზრით, იუსტიციის სამინისტროს პრობლემები დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სამართლის სისტემა ჯერ კიდევ მიკერძოებულია დევნის სასარგებლოდ, რაც არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. წინასასამართლო განცხადებების პასუხად, რომ ადამიანების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო არარსებული ან ყალბი/შეთხზული მტკიცებულებების საფუძველზე, ნაციონალურმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა დაწყო სასამართლო მონიტორინგის პროექტი იმ საქმეებზე, რომლებზეც პირები ბრალდებულნი იყვნენ ნარკოტიკების ან იარღის უკანონო მფლობელობისთვის, ვინაიდან აღნიშნული ბრალდების საქმეები ადამიანის უფლებათა გარკვეული ორგანიზაციების მიერ გამოკვეთილ იქნა პრობლემურ საკითხად. პროექტის მიმდინარეობისას, წინასწარმა შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს საქმეების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებზეც პირები გაასამართლეს მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით, დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე. გარკვეულ შემთხვევებში პროკურატურას არ შეეძლო წარმოედგინა ის იარაღი ან ნარკოტიკული საშუალება, რომელიც პირის ბრალდების საფუძველი გახდა. ასამბლეა აღნიშნულთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ პირის გასამართლება მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით, სხვა

<sup>219</sup> ევროპის საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა, „საქართველოს პატივისცემა ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების მიმართ“, დოკ. 12554, 28 მარტი, 2011წ., გვ. 21.

დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, მიუღებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით.<sup>220</sup>

ამავე ანგარიშის თანახმად, ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების სისტემა ჯერ კიდევ ბრალდების მხარის გავლენის ქვეშაა უზენაესი სასამართლოს სტატისტიკითაც დასტურდება. სტატისტიკის მიხედვით, გამამტყუნებელ განაჩენთა რაოდენობა საქართველოში 98%, საიდანაც 75% საპროცესო შეთანხმებებს წარმოადგენს. საპროცესო შეთანხმებების არსებობა, მკვლევართა გადმოსახედიდან, საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულებისადმი ძალიან დაბალი ნდობის მაჩვენებელია.<sup>221</sup>

**კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის თომას ჰამარბერგის 2011 წლის 30 ივნისის ანგარიშიც,** რომელიც საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებას და ადამიანის უფლებების მდგომარეობას შეეხება საქართველოს სასამართლო სისტემაში. ანგარიშის ავტორი ეხება 2010 წელს ძალაში შესულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და აღნიშნავს, რომ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შემოაქვს. მისი ერთ-ერთი საჭაროდ გაცხადებული მიზანი არის მხარეებს შორის სრული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და შეტიბრებითობის პრინციპის განხორციელება სამართალწარმოების ისეთ სისტემაში, რომელიც აქამდე, ძირითადად ინკვიზიციური იყო. ახალი სისტემა ითვალისწინებს პროკურორის როლის შეზღუდვასაც. კოდექსის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია სასამართლომდე ხუთი დღით ადრე წარმოადგინოს მტკიცებულებები, ასევე, უზრუნველყოფილია ადვოკატის მიერ პროფესიული უფლებების უკეთ განხორციელება, კერძოდ, უზრუნველყოფილია წინასწარი გამოძიების ეტაპზე საქმეში არსებული მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა. მოსამართლეს უფრო ნეიტრალური ზედამხედველის როლი ეკისრება და მან სასამართლო პროცესის სამართლიანობა უნდა უზრუნველყოს.<sup>222</sup>

ტომას ჰამარბერგი ხაზს უსვამს მტკიცებულებების მოპოვებასა და გამოძიების ეტაპზე დაშვებულ პროცედურულ დარღვევებს. მისი დაკვირვებით, პროკურორები ზოგჯერ არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას გამოძიების პროცესში დაშვებულ პროცედურულ დარღვევებზე. ეს დარღვევებია მოწმის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა, უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებები, უზუსტობები ჩხრეკის და დაკავების ოქმებში და ა. შ. ასეთი დარღვევების მიუხედავად, გამოძიება გრძელდება და ხდება ბრალდებულებისთვის სასჯელის დადგენა. ამ შემთხვევებმა გაამყარა აზრი იმის შესახებ, რომ პროკურორები შერჩევითად მოქმედებენ და ხელისუფლების ინტერესს იცავენ, ნაცვლად იმისა, რომ იმოქმედონ საზოგადოების სახელით და საზოგადოების ინტერესების დასაცავად.<sup>223</sup>

<sup>220</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>221</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>222</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ტომას ჰამარბერგის ანგარიში, მომზადებული საქართველოში 2011 წლის 18-24 აპრილის ვიზიტის შემდგომ, სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011წ., გვ. 5-6.

<sup>223</sup> იქვე, გვ. 15.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მკლევარი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს, და აღნიშნავს, რომ მონაცემები იმის შესახებ, რომ პროკურატურამ აღძრა ან გააგრძელა ისეთი საქმეების გამოძიება, სადაც აშკარაა პოლიციის მიერ წინასწარი გამოძიებისა დაშვებული პროცედურული დარღვევები, მაგ. ჩხრეკა და დაპატიმრება, სერიოზულ განხილვას საჭიროებს. მიღებული უნდა იქნას ეფექტური ზომები იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების ეფექტური საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება.<sup>224</sup>

კომისარი დადებითად მიესალმება დაცვის მხარისათვის საპროცესო კოდექსით მინიჭებულ უფლებას, გაეცნოს მტკიცებულებებს წინასწარი გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე, ხოლო პროკურორის ვალდებულებას, წარმოადგინოს ყველანაირი მტკიცებულება სასამართლო პროცედურის დაწყებამდე 5 დღით ადრე და სთხოვს ხელისუფლებას, სრულად მოახდინოს ამ უფლებების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველყოფა. თუმცა, კომისარი აღნიშნავს, რომ დაცვასა და პროკურატურას შორის უთანასწორობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჯერ კიდევ აშკარად არსებობს. აუცილებელია სისტემური ღონისძიებების განხორციელება და ადვოკატებისთვის ფართომასშტაბიანი სამართლიანი ტრენინგი იმისთვის, რომ ეს უთანასწორობა აღმოიფხვრას და უზრუნველყოფილი იყოს ქვეშაირი შეჭიბრებითობის პრინციპზე აგებული პროცესის წარმართვა.<sup>225</sup>

აუცილებლად აღსანიშნავია კომისრის შეშფოთება იმ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კვლევის შედეგი გახდა და მეტ-ნაკლებად მტკიცებულებების მოპოვებასა თუ დასაშვებობაზე ორიენტირებული:

√ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა ბრალის დადასტურებისთვის აუცილებელი მინიმალური მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე;

√ საგამოძიებო ორგანოებმა არ გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ყველა აუცილებელი ზომა, რომელიც მათ სავარაუდო სამართალდარღვევის თანამდევი ყველა შესაბამისი გარემოების დადგენაში დაეხმარებოდა;

√ იარაღის და ნარკოტიკის უკანონო ტარების საქმეებში ხშირად აღინიშნებოდა პროცედურული დარღვევები ჩხრეკის დროს, კერძოდ, არ იყო უზრუნველყოფილი მოწმის დასწრება, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს ჩხრეკის კანონიერებას და, შესაბამისად, ამოღებული მტკიცებულების სამართლებრივ დასაშვებობას;

√ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სასამართლო პროცესზე მოსამართლეები ადვოკატებს სისტემატიურად ეუბნებოდნენ უარს სასამართლოსთვის მოწმის წარდგენის შუამდგომლობაზე და, ზოგ შემთხვევაში, ამგვარ გადაწყვეტილებას პოლიციის ჩვენების არსებობით ხსნიდნენ. იმ საქმეებში, სადაც დაიკითხა დაცვის მხარის მოწმეები, სასამართლომ მათი ჩვენება არ გაითვალისწინა, რადგან ჩათვალა, რომ მათი მიზანი იყო „ბრალდებულისთვის

<sup>224</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>225</sup> იქვე, გვ. 18.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არიდება.“

√ სასამართლოები სისტემატურად და სათანადო დასაბუთების გარეშე ამბობდნენ უარს დაცვის მხარის იმ შუამდგომლობებზე, რომლებიც პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებების დადგენას და შეფასებას მოითხოვდა.<sup>226</sup>

კომისრის რეკომენდაციით, მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულთა სამართლებრივი გარანტიები და დაცული იქნას საპროცესო უფლებები სისხლის სამართლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეფექტური სასამართლო ზედამხედველობის დაწესება ჩხრეკისა და დაპატიმრების პროცედურებზე. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაცული უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს გარანტიები და მხარეების თანასწორუფლებიანობის პრინციპის პატივისცემა.<sup>227</sup>

გარდა ზემოაღნიშნული ანგარიშებისა, კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა **ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ.**<sup>228</sup> აღნიშნულ მოსაზრებაში დეტალურადაა განხილული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა პრობლემატური საკითხები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევხებით მხოლოდ იმ მუხლებს, რომლებიც მტკიცებულებათა მოპოვებასა და დასაშვებობასთან არის კავშირში, კერძოდ, საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-4 ნაწილს.

ანგარიშის ავტორთა აზრით, როდესაც მოწმის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე ხორციელდება სასამართლოს ფარგლებს გარეთ, 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს მოწმის დაკითხვას წინასწარ ინფორმირებისა და ადვოკატის დასწრების გარეშე, თუ ეს განპირობებულია მართლმსაჯულების ინტერესებითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელი მტკიცებულებაა, „თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა.“ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოწმე არ დაიკითხება ხელახლა, დაკითხვა ჩაითვლება დაშვებულად, მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის დროს დაცვის მხარეს არ ჰქონია მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. თუმცა, კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გარანტიას, რომ ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, ასეთი პრაქტიკა შეშფოთებას იწვევს. თუ საერთოდ დასაშვები იქნება, ასეთი სახით დაკითხვა უკიდურეს ზომას უნდა წარმოადგენდეს, როდესაც დაკითხვის ყველა სხვა ალტერნატიული ფორმა გაუმართლებელია ან შეუძლებელია მათი განხორციელება, ხოლო სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღოს, როდესაც სხვა მტკიცებულებებით

<sup>226</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>227</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>228</sup> ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014 წ.



დასტურდება. შესაბამისად, რეკომენდებულია 114-ე მუხლის მე-4 ნაწილში გათვალისწინებული იქნეს მოთხოვნა, რომ მტკიცებულების მიღება მოწმისაგან, რომელიც არ ყოფილა ჯვარედინ დაკითხვაზე დაცვის მხარის მიერ სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე, უკიდურეს ზომას უნდა წარმოადგენდეს. მისი გამოყენების შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ყველა ალტერნატიული საშუალება გაუმართლებელი ან პრაქტიკულად განუხორციელებადია, რაც უნდა მყარდებოდეს სხვა მტკიცებულებებით.<sup>229</sup>

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლი, 2015 წლის 18 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მნიშვნელოვნად შეიცვალა და აღნიშნული ფართოდ იქნა მიმოხილული კვლევის შესაბამის თავში.

როგორც სხვადასხვა ანგრიშებზე საუბრისას უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. მოსაზრების ავტორთა აზრით, ინფორმაციის გაზიარების ვალდებულება აქ არ უნდა მთავრდებოდეს, არამედ უნდა იყოს უწყვეტი, როგორც ეს იგულისხმება 83-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა, ამ მუხლის ფორმულირებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, გააზიაროს ყველა ინფორმაცია სპონტანურად, ხოლო დაცვის მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად, წინასწარ აცნობოს ბრალდების მხარეს, რათა შესაძლებელი იყოს შემდგომი გამოძიება. ამდენად, მიზანშეწონილია, 83-ე მუხლი სათანადოდ შეიცვალოს.<sup>230</sup>

განსახილველი მოსაზრების ავტორები თავიანთი შეფასებებისას საუბრობენ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე - მტკიცებულებების დაფარვა დაცვის მხარისაგან. აღნიშნულმა საკითხმა ყურადღება მიიპყრო იქიდან გამომდინარე, რომ მანამდე განხილულ არცერთ ანგარიშში მსგავსი საკითხი და ინიციატივა არსად წამოჭრილა. მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ შესაბამისი მტკიცებულების გაზიარების უფლება არ არის აბსოლუტური. ნებისმიერი სისხლის სამართალწარმოებისას შეიძლება არსებობდეს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები, როგორცაა: ეროვნული უსაფრთხოება, მოწმეთა რეპრესიისაგან დაცვის აუცილებლობა ან სისხლის სამართლებრივ საქმეზე გამოძიების გარკვეული მეთოდების საიდუმლოდ შენახვა, რაც უნდა შეწონილი იქნეს ბრალდებულის უფლებებთან მიმართებით. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი იყოს გარკვეული მტკიცებულებების დაფარვა დაცვის მხარისაგან სხვა პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცადა, ზოგადი პრინციპის სახით, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დასაშვებია დაცვის უფლებების

<sup>229</sup> იქვე, გვ. 19-20.

<sup>230</sup> იქვე, გვ. 27.



შებლუდვისათვის მხოლოდ ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც მკაცრად აუცილებელია. ამასთანავე, ბრალდებულისათვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად დაცვის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა სათანადოდ უნდა იყოს დაბალანსებული სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, კოდექსში დეტალურად განისაზღვროს მტკიცებულების დამალვა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც სასამართლოს აძლევს სათანადო ანალიზის გაკეთების საშუალებას, დამალული იქნეს თუ არა მტკიცებულება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>231</sup>

**2014 წელს გამოცემული ეუთო - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში<sup>232</sup> კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ფაქტი.**

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გავრცელებულია ბრალდების შესახებ დადგენილების მტკიცებულებად გამოყენების პრაქტიკა. მონიტორინგის ყველა საქმეზე სასამართლო პროცესის დასაწყისში ბრალდების მხარის მიერ ამოკითხული მტკიცებულებათა სია შეიცავდა ბრალდებულად ცნობის დადგენილებასაც და ერთ საქმეზე დაცვის მხარე შეეცადა გამოერიცხა იგი მტკიცებულებებიდან, თუმცა წარმატების გარეშე.<sup>233</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღნიშნავს, რომ პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. შემდგომ კოდექსი მოითხოვს, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილება წარედგინოს ბრალდებულს, რომელიც დაადასტურებს, რომ იგი გაეცნო მის შინაარსს. კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებას, როგორც ინფორმაციას „რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს...“ ასევე განსაზღვრულია, რომ დოკუმენტის გამოყენება მტკიცებულებად შესაძლებელია, „თუ იგი შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ინფორმაციას.<sup>234</sup> ბრალდებულად ცნობის დადგენილების მიზანია მიაწოდოს ბრალდებულს ინფორმაცია წაყენებული ბრალის შესახებ, რომელიც საფუძველად დაედება ბრალდებულის დაცვის მომზადებას, აგრეთვე სასამართლოს განხილვას და საქმეზე განაჩენის გამოტანას. იგი წარმოადგენს პროკურატურის გამოძიების შედეგს და ამ შედეგთა ინტერპრეტაციას, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბრალდებულისთვის ბრალის წასაყენებლად დასაბუთებული ვარაუდის ფორმით. დოკუმენტი არ შეიცავს მტკიცებულებით ღირებულებას და შეიცავს მოსაზრებას, რომელიც შემდგომში უნდა დამტკიცდეს სასამართლო პროცესზე ფაქტების წარდგენის მეშვეობით. ამდენად, ბრალდებულად ცნობის დადგენილება ვერ ჩაითვლება „ფაქტად“ ან ცალკეულ „მტკიცებულებად“.

<sup>231</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>232</sup> ეუთო - დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში - საქართველო, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014 წ.

<sup>233</sup> იქვე, გვ. 74.

<sup>234</sup> იქვე, გვ. 70.

მიუხედავად იმისა, რომ არცერთ საქმეში ყოფილა დადგენილი, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილებაზე დაყრდნობით მოხდა პირის მსჯავრდება. მისი მტკიცებულებად მიჩნევა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ დაცვის მხარემ იგი უნდა უარყოს, რაც უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტურ პრინციპს ეწინააღმდეგება. სწორედ ამიტომ, სასამართლო ხელისუფლებას მკლევარები მიმართავენ რეკომენდაციით, არ დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებად მიჩნევა,<sup>235</sup> ვინაიდან აღნიშნული ფაქტიურად იწვევს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე, გადატანას, რადგან მას უწევს მისი მცდარობის დადგენა.<sup>236</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართავენ პროკურატურასაც. კერძოდ, მთავარმა პროკურორმა უნდა განიხილოს პროკურორებისთვის დირექტივების გამოცემის შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს, რომ ბრალდებულად ცნობის დადგენილება არ იქნეს განხილული როგორც მტკიცებულება.<sup>237</sup>

ანგარიში ეხება ბრალდებულის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის წარდგენასაც. ბრალდებულის წინა ნასამართლეობის შესახებ მსჯელობის დაშვებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ბრალდებული არის კრიმინალი, რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს საქმეში წარმოდგენილ ფაქტებს და შექმნას შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მოქმედებს პირის დამნაშავეობის შესახებ წინასწარ შექმნილი აზრის საფუძველზე. შეჭიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, ინფორმაცია წარსული ნასამართლობის შესახებ უნდა იქნას შემოთავაზებული, როგორც მტკიცებულება წინასასამართლო განხილვაზე. მიუხედავად იმისა, რომ წინა ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება არ იქნას წარმოდგენილი სავალდებულოდ, ბრალდების მხარეს მაინც უნდა მოეთხოვოს მისი დასაშვებობის შესახებ მტკიცება ბრალდებულის მიმართ, როცა ნასამართლობა დანაშაულის აუცილებელი ნიშანია ან ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებების სანდოობის დადასტურება მოწმდება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნას წარმოდგენილი საქმის არსებით განხილვაზე, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დაადგენს, რომ მის მიერ გამოწვეული ზიანი გადაწონის მის მტკიცებით ღირებულებას. ხოლო თუ ასეთი ინფორმაცია არ არის რელევანტური ან არ აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა, შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის უზრუნველყოფისათვის.<sup>238</sup>

მონიტორინგის ჩამტარებელთა აზრით, კიდევ ერთი პრაქტიკა, რაც შეშფოთების საფუძველს იძლევა გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით, შეეხება მტკიცებულებათა მთლიანი ნუსხის წაკითხვას წინასასამართლო სხდომებზე და საქმის არსებით განხილვისას. ეს ინფორმაცია ძალზე ელემენტარული იყო, რაც მდგომარეობდა მოწმეთა გვარებისა და დოკუმენტების სათაურების წაკითხვაში მათი შინაარსის ყოველგვარი განმარტების გარეშე, ასევე არ აღინიშნებოდა, თუ როგორ იყო ეს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებული. პროცესის ეფექტური მართვა, რაც დაკავშირებულია

<sup>235</sup> იქვე, გვ. 18.  
<sup>236</sup> იქვე, გვ. 75.  
<sup>237</sup> იქვე, გვ. 76.  
<sup>238</sup> იქვე, გვ. 72.

ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან, სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხია. მხარეთა დისკრეცია გადაწყვეტიონ მტკიცებულებათა რიგითობისა და მოცულობის საკითხი, როგორც ეს განწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არ ათავისუფლებს სასამართლოს ვალდებულებისგან უზრუნველყოს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება. მოსამართლეები იგნორირებას უკეთებდნენ არსებული დებულებების გამოყენებას, რათა პროცესის მართვა ჯეროვნად განხორციელებულიყო. წინასასამართლო სხდომის მოსამართლეები არ აწარმოებდნენ მტკიცებულებათა დასაშვებობის დეტალურ შემოწმებას, ასევე რელევანტურობის, საზიანობისა და მტკიცებულებითი ღირებულების შეფასებას და არც მოუწოდებდნენ მხარეებს მტკიცებულებათა გრძელი ნუსხის შემცირებისკენ.<sup>239</sup> სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ მტკიცებულებათა წაკითხვის პრაქტიკა საქმის არსებით განხილვაზე და ამის სანაცვლოდ სრულად განიხილონ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა დასაშვები მტკიცებულება ღია სასამართლო სხდომაზე.<sup>240</sup>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ეუთო აღნიშნავს თავის ანგარიშში, არის მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა სხვა ინფორმაციის გამოყენებით. მონიტორინგმა გამოავლინა პრობლემები მოწმეების ჩვენებების გაბათილების კუთხით, რაც მიგვანიშნებს, რომ საჭიროა გარკვეული წესების შემოღება იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება იქნას გამოყენებული ამ მიზნებისთვის და როგორ. ადრინდელი ნასამართლობის შესახებ ცნობები, რომლებიც არ არის დასაშვები სასამართლოზე, გამოიყენება არა ჯეროვნად ჯვარედინი დაკითხვის დროს. მაგალითების სახით ანგარიშში განხილულია რამდენიმე შემთხვევა: ერთ-ერთი ადვოკატი შეეცადა ბრალდების მოწმის სანდოობა დაეყენებინა ეჭვქვეშ, ამხელდა რა მას ტყუილში, და ამას ამტკიცებდა იმ არსებული მოსაზრებით, რომ მოწმე წარსულში სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტი იყო. მტკიცებულება არ შეიცავდა არავითარ ფორმალურ ჩანაწერს მოწმის წარსულის შესახებ და ამ განცხადების რაიმე სახით შემოწმებაც არ მომხდარა. სხვა შემთხვევაში პროკურორმა გამოიყენა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მოწმის მიმართ, მისი სანდოობის დასაკნინებლად. რამოდენიმე შემთხვევაში ადვოკატებმა დაუპირისპირეს მოწმეებს იმ სხვა მოწმეთა მიერ გამოცხადებისთვის მიცემული ინფორმაცია, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ მიცემული ჩვენება სასამართლოზე. ერთ-ერთ შემთხვევაში ჯვარედინი დაკითხვისას დამკითხავმა წარმოუდგინა მოწმეს დოკუმენტი, რათა დაედასტურებინა, რომ ხელი ჰქონდა მასზე მოწერილი, თუმცა ეს დოკუმენტი არ იყო შესული საქმის მასალებში. კიდევ ერთ საქმეზე, ადვოკატი შეეცადა შედავებოდა მოწმეს, რომელმაც ბრალდებული ამოიცნო, როგორც დამნაშავე. პროკურორი შეეწინააღმდეგა მას იმ არგუმენტაციით, რომ ამოცნობის საშუალებები კანონიერი იყო და არ არსებობდა ისეთი ნორმა, რომელიც მოითხოვდა მოწმისგან, რომელმაც დანაშაულის ჩამდენი პირი ამოიცნო ფოტოებით, დაკითხულიყო იგივე ფაქტებთან დაკავშირებით.<sup>241</sup>

<sup>239</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>240</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>241</sup> იქვე, გვ. 112.

აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ნორმატიული ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს ჩვენების მიცემის მკაფიო წესებს, ანუ, რა ტიპის ინფორმაციის გამოყენებაა შესაძლებელი მოწმის ჯვარედინი დაკითხვისთვის და როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული. მაგალითად, არ არსებობს პროცედურა მოწმის საექვო რეპუტაციის დასამტკიცებლად, არც საზომი, თუ რა ითვლება ამგვარი რეპუტაციის მაჩვენებლად. აგრეთვე, ცნობა „წინა ნასამართლეობის“ შესახებ შესაძლებელია გამოდგეს მოწმის სანდოობის შესაფასებლად, მაგრამ ამ ინფორმაციის მომწოდებელს უნდა მოსთხოვონ მისი მტკიცებითი ღირებულების დასაბუთება. თუმცა ასეთი მოთხოვნა ცალსახად არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევის მოწმის საწინააღმდეგოდ წარმოჩენა არ შეესაბამება კოდექსს, რომელიც მხოლოდ მოწმისთვის წინა ნასამართლეობაზე კითხვის დასმის საშუალებას იძლევა მისი სანდოობის შესამოწმებლად. მოწმეში ეჭვის შეტანის ასეთი საშუალებები არა მხოლოდ სადავოა თავისი შინაარსით, არამედ, იგი აგრეთვე ძირს უთხრის მოწმის უდანაშაულობის პრეზუმფციას იმის გათვალისწინებით, რომ მათი საკუთარი საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.<sup>242</sup>

შესაბამისად, რეკომენდაციის სახით ანგარიშის ავტორები აღინიშნავენ:

- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიტანოს შესწორება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243(2) მუხლის ფორმულირებაში, რომლის მიხედვითაც მოწმის მიმართ უნდობლობის გამოხატვა შესაძლებელი იქნება წინააღმდეგობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოწმის იძულების, დამუქრების, დაშინების ან მოსყიდვის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის დადგენის გარეშე.<sup>243</sup>
- სასამართლოებმა არ უნდა მოითხოვონ მოწმის თანხმობა სავალდებულოდ იმისთვის, რომ მოხდეს ამ მოწმის მიერ სასამართლო განხილვის გარეთ გაჟღერებული ინფორმაციის სასამართლოზე წარმოდგენა.
- საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიმუშაოს მკაფიო წესები მტკიცებულებებთან დაკავშირებით. ეს მოიცავს ინფორმაციას, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას და იმას, თუ როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული.
- საკანონმდებლო ორგანომ სიცხადე უნდა შეიტანოს პროცედურაში იმის დასადგენად, თუ რა წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას და როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული.
- ამ წესების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება, რელევანტურობა, მტკიცებითი ღირებულება, ზიანის მიყენება და მოწმის დაცვა.<sup>244</sup>

<sup>242</sup> იქვე, გვ. 112-113.

<sup>243</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>244</sup> იქვე, გვ. 115.



გარდა ზემოთ დასახელებული ანგარიშებისა, კვლევის მიზნებისათვის შესწავლილ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტი-კორუფციული ქსელის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მესამე მონიტორინგის ანგარიში.<sup>245</sup> ანგარიშში მოცემულია საკითხები, რაც პირდაპირ კავშირშია ანტიკორუფციული პოლიტიკის დახვეწის, კორუფციის კრიმინალიზაციისა და მის წინააღმდეგ გასატარებელ მრავალმხრივ მექანიზმებთან. თუმცა მასში არაფერია ნათქვამი ჩვენ მიერ კვლევის ფარგლებში განსაზღვრულ საკითხებზე.

კვლევის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა **ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ნილს მუიუნეკსის 2014 წლის ანგარიში**.<sup>246</sup> მასში მიმოხილულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი მართლმსაჯულების აღსრულებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, დეტალურადაა განხილული სისხლის სამართლის პოლიტიკა და პრაქტიკა. თუმცა კომისარი, თავისი 2014 წლის ანგარიშში არაფერს ამბობს მტკიცებულებათა მოპოვებასა და მათ დასაშვებობაზე. მისთვის ამ ეტაპისთვის უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვებითობის განხორციელების საკითხი და სასამართლოს დამოუკიდებლობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კვლევის მიზნებისათვის შესწავლილ იქნა აგრეთვე **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2014 წლის ანგარიში „დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში“**.<sup>247</sup> აღნიშნული კვლევა თავის მხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია, მასში განხილულია საქართველოს მაღალჩინოსნების - გიგი უგულავას, ივანე მერაბიშვილის, ბაჩო ახალიასა და სხვათა საქმეები, თუმცა მასში ასახული ინფორმაციით მტკიცებულებების შეგროვებაზე, მოპოვებასა და დასაშვებობაზე დასკვნების გამოტანა ფაქტობრივად შეუძლებელია.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს **ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ნილ მუიუნეკსის 2016 წლის ანგარიში**.<sup>248</sup> წარმოდგენილი ანგარიში კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და უფლებადამცველები აქტიურად ადევნებენ თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ადამიანის უფლებათა დაცვის, ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციულობის თვალსაზრისით. მასში მოცემულია 2014 წლის ანგარიშის გამოქვეყნებისა და რეკომენდაციების გაცემის შემდგომ მდგომარეობის შეფასება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ სამ საკითხზე.

## **თავი 7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზი**

<sup>245</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მესამე მონიტორინგი, მონიტორინგის ანგარიში, 25 სექტემბერი 2013 წ.

<sup>246</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ნილ მუიუნეკსის ანგარიში, 2014 წლის 20-25 იანვარს მისი საქართველოში ვიზიტის შემდგომ, სტრასბურგი, 12 მაისი, 2014 წ.

<sup>247</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, „დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში“, დოკ. 13588, 05 სექტემბერი, 2014 წ.

<sup>248</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ნილ მუიუნეკსის ანგარიში, „ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დაკვირვება საქართველოში: მართლმსაჯულების რეფორმების განახლება, ტოლერანტობა და არადისკრიმინაცია“, სტრასბურგი, 12 იანვარი, 2016 წ.



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ხშირად ახდენს სხვადასხვა დაწესებულებებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მონიტორინგს. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში გამოიცემა ყოველწლიური, სპეციალური, საქმიანობისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები. აღნიშნულ ანგარიშებში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა საკუთრების უფლება, პატიმართა მოპყრობა, ოჯახში ძალადობის პრევენცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში და სხვა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2010 წლის 10 ოქტომბერს ამოქმედდა, შესწავლილი იქნა საქართველოს სახალხო დამცველის 2010-2015 წლის ყველა სახის ანგარიში.

კვლევამ აჩვენა, რომ სახალხო დამცველის დასკვნები მტკიცებულებების მოპოვებასა და დასაშვებობის თემაზე საკმაოდ მწირია. ძირითად შემთხვევებში არის პატიმართა თუ სხვა პირთა მიმართვიანობის შედეგად მოკვლეული უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების შედეგები. სწორედ ერთ-ერთ ანგარიშში,<sup>249</sup> სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც აღნიშნული პრობლემა იკვეთება.

კერძოდ, ანგარიშის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.“ ამ მუხლით გარანტირებულია ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებები კანონის შესაბამისად უნდა იყოს მოპოვებული. აღნიშნული დებულება არ წარმოადგენს ე.წ. დეკლარაციული შინაარსის მუხლს, არამედ იგი ადგენს ძირითად გარანტიას, რომლის მიხედვითაც, ბრალდებული პირის წინააღმდეგ არ უნდა იქნას გამოყენებული ის მტკიცებულებები, რომლებიც კანონის დარღვევითაა მოპოვებული. ტერმინი „კანონის დარღვევა“ არ უნდა გავიგოთ ვიწროდ და ყველა კანონისმიერ დებულებასთან წინააღმდეგობა არ უნდა განვიხილოთ მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძვლად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი „არსებითად ეწინააღმდეგება“ სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს, ანუ ნებისმიერი დარღვევა, რომელიც მტკიცებულებების მოპოვების პროცესში წარმოიშობა, არ არის უფლების შემლახავი, აუცილებელია აღნიშნული დამატებით იწვევდეს მოქმედი რეგულირების აშკარა, თვითნებურ ხელყოფას.<sup>250</sup>

განსხვავებით 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო დებულებებისგან, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს დაუშვებელი მტკიცებულების Numerus Clausus ჩამონათვალს და ადგენს ზოგად წესს, რომლის ფარგლებშიც მტკიცებულები მიიჩნევა დაუშვებლად.

<sup>249</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2010 წელი, გვ. 246.

<sup>250</sup> იხ. სკოლიო N249, გვ. 246-247.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც მსჯავრდებული პირი დააკავეს 2009 წლის 9 სექტემბერს. იმავე წლის 11 სექტემბერს დაკავებულს წაეყენა ბრალი. როგორც პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებიდან ირკვევა, დადგენილებას საფუძვლად უდევს ამოღებული პასპორტი, თუმცა აღნიშნული პასპორტი სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილ იქნა 2009 წლის 16 დეკემბერს, ანუ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შემდეგ. საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ მტკიცებულებები კანონიერად უნდა იყოს მოპოვებული. საქმის განხილვის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ნივთიერი მტკიცებულება პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით უნდა ყოფილიყო ასეთად მიჩნეული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მტკიცებულებად არ მიიჩნეოდა. იმავე კოდექსის 282-ე მუხლის მიხედვით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულება. ვინაიდან პირის პასუხისგებაში მიცემის საფუძველი იყო ამოღებული პასპორტი, რომელიც იმ დროისთვის მტკიცებულებად ცნობილი არ იყო, ამგვარ საგანს საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით არ ჰქონდა იურიდიული ძალა. ამის ფონზე დაკავებული პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა მოხდა საპროცესო დებულებების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.<sup>251</sup>

სახალხო დამცველი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და ასეთი მტკიცებულება “a priori” დარღვევად მიიჩნევა, სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის მიუხედავად. შესაბამისად, აუცილებელია მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში კანონისმიერი ნორმების დაცვა, რათა საპროცესო გარანტიები სრულად იქნეს უზრუნველყოფილი საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში.<sup>252</sup>

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატი 2010 წლის ანგარიშში ირიბად, თუმცა ასევე ეხება წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების უფლებებს. სწორედ აღნიშნულ ნაწილში მონიტორინგის ჯგუფმა პრაქტიკულად ვერ ნახა შემთხვევა, როდესაც დაკმაყოფილდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის მოთხოვნა სამედიცინო ან ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. “ექსპერტიზა ან დაგვიანებით ტარდება, ან საერთოდ არ ინიშნება. დაგვიანებით ჩატარებული ექსპერტიზის შემთხვევაში კი ვეღარ ხდება იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პატიმრისათვის”.<sup>253</sup> სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველი გასცემს რეკომენდაციას, უზრუნველყოფილი იქნეს წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთათვის სამედიცინო და ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროული ჩატარება, რათა ისედაც სტრესულ გარემოში მყოფ პირებს არ შეეზღუდოთ საპროცესო უფლებები და შეძლონ თავისი პოზიციის დაცვა.

<sup>251</sup> იქვე გვ. 248.

<sup>252</sup> იქვე, გვ. 248.

<sup>253</sup> იქვე, გვ. 97.

## სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის ანგარიში<sup>254</sup>

მიხედვით, სასამართლო პროცესების მონიტორინგისას, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით პრობლემური შემთხვევები გამოიკვეთა. იყო შემთხვევები, როდესაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ფარული ჩანაწერის სასამართლო განხილვის დროს მხარეები (დაცვის და ბრალდების მხარე) ვერ თანხმდებოდნენ მათი გამოკვლევის წესზე, რომელსაც არ არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებით, გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა მიდგომა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების წესთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო. ცალკეულ შემთხვევებში, მოსამართლემ განაცხადა, რომ ჯერ უნდა მომხდარიყო ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება და შემდეგ დაცვის მხარეს დაესვა შეკითხვები. თუმცა, პროცესის მიმდინარეობის ეტაპზე, ამ წესის დაცვა მოსამართლის მიერ ვერ მოხერხდა. სხვა შემთხვევაში, მოსამართლე აძლევდა დაცვის მხარეს შეკითხვების დასმის უფლებას მტკიცებულებათა გამოკვლევისას, პარალელურ რეჟიმში. პროცესის ამ მიმდინარეობით, მტკიცებულებათა გამოკვლევა და საქმის განხილვა უმეტეს შემთხვევაში ქაოსურ რეჟიმში მიმდინარეობდა.<sup>255</sup>

ანგარიშის თანახმად, მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო რეგულირებით უნდა დადგინდეს მტკიცებულებების გამოკვლევის წესი, რომელიც სამართლიან საწყისებზე განსაზღვრავს მხარეთა უფლებებს და ამავდროულად, ხელს შეუწყობს მტკიცებულებათა ობიექტურ შესწავლას. საწინააღმდეგო პირობებში, ადგილი ექნება არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, რამაც, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა გაუმართლებლად გაზარდოს საქმის განხილვის ხანგრძლივობა და მხარეთა უფლებრივი თანასწორობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.<sup>256</sup>

განსახილველ ანგარიშში მკვლევარები ეხებიან ევროპული სასამართლოს განმარტებებსაც მხარეთა თანასწორობის შესახებ და აღნიშნავენ, რომ ევროპული სასამართლო მხარეთა თანასწორობის დარღვევად არ მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეთა შორის თანასწორობა უმნიშვნელოდ დაირღვა და მან მთლიანობაში გავლენა არ მოახდინა სასამართლო განხილვის სამართლიანობაზე. მხარეთა თანასწორობის პრინციპი არ მოიცავს შესაბამისი პროცესუალური წესების ამომწურავ ჩამონათვალს და მხარეთა შორის თანასწორობაზე ზუსტი მოთხოვნები კონკრეტულ საქმეში, საქმის ხასიათის, მათ შორის, მხარეებს შორის დავის საგნის ხასიათისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით განისაზღვრება.<sup>257</sup>

მკვლევარების აზრით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრობითობის პრინციპის განმტკიცებისაკენ გადადგმული ნაბიჯია 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის

<sup>254</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2013 წელი.

<sup>255</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>256</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>257</sup> იქვე, გვ. 255.

სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში შეტანილი ცვლილება, რომელიც დაცვის მხარეს, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე აძლევს საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლებას.<sup>258</sup> მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრობითობის პრინციპის დაცვის კუთხით, ასევე პროგრესულად აფასებენ 2009 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ მხარეთა ვალდებულების ასახვაც. თუმცა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების გადაცემა დაცვის მხარისთვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ხორციელდება, რაც ნაკლოვანი პრაქტიკაა და დაცვის მხარეს არათანაბარ პირობებში აყენებს. მოქმედი კანონმდებლობა მტკიცებულებათა გაცვლისათვის ვადას, პირველ რიგში, ბრალდებულისთვის ეფექტიანი დაცვის უფლების გარანტირებისა და შეჭიბრობითობის პრინციპზე დამყარებული სასამართლო პროცესის უზრუნველსაყოფად ადგენს. ხუთდღიანი ვადის დაცვა წარმოადგენს იმპერატიულ დანაწესს და შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნას. ამრიგად, ბრალდების მხარის მხრიდან ამ ვადის დარღვევა კანონმდებლის ნების უგულებელყოფაა. ამასთან, ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის საკითხის განხილვისას, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს და დაასაბუთოს, რატომ მიაჩნია, რომ კანონის დანაწესი არ დარღვეულა ბრალდების მხარის მიერ. სხვა შემთხვევაში, ადგილი აქვს მხარეთა შეჭიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე სასამართლოს მხრიდან არასათანადო რეაგირებას, რაც მართლმსაჯულების განხორციელებაში უარყოფითი როლის მატარებელია.<sup>259</sup>

სახალხო დამცველის აპარატი ასევე ეხება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების, კერძოდ, ჩხრეკა-ამოღების საკითხებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ხშირად ჩხრეკა ტარდება სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე და მხოლოდ შემდეგ ხდება ამ საგამოძიებო მოქმედებათა კანონიერად ცნობა სასამართლოს მიერ.<sup>260</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების/ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონიერების საკითხი განიხილოს მხარეთა ან/და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა. გარდა ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებისა და საფუძვლების შესწავლის მიზნით გაეცნოს ყველა

<sup>258</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>259</sup> იქვე, გვ. 256-257.

<sup>260</sup> იქვე, გვ. 264.



საჭირო მასალას. თუმცა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის ან კანონიერად ცნობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობას, სასამართლო განიხილავს დახურულ სხდომაზე ზეპირი მოსმენის გარეშე.<sup>261</sup> სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, საკითხის განხილვაში სავალდებულო გახდეს მხარეების ან/და იმ პირის მონაწილეობა, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. ამასთან, მოსამართლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს იმ ოპერატიულ ინფორმაციასა თუ მასალაზე, რაც გახდა გადაუდებელი აუცილებლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საგამოძიებო მოქმედება უკვე ჩატარებულია და სისხლის სამართლის საქმისთვის საჭირო ინფორმაცია, ნივთი თუ სხვა მტკიცებულება ამოღებულია გამოძიების მიერ, ბრალდებულის ან/და იმ პირის მონაწილეობა სასამართლოს მიერ საკითხის განხილვაში, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ხელს ვეღარ შეუშლის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას.<sup>262</sup> სასამართლომ მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხების სრულყოფილად და ზეპირი მოსმენით განხილვის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის ან კანონიერად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე.<sup>263</sup>

შესაბამისად, ანგარიშის ავტორთა აზრით, პრობლემას წარმოადგენს არა უშუალოდ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიება, არამედ, მისი დასაშვებობა, ვინაიდან სასამართლო დასაშვებად ცნობს მტკიცებულებას, რომლის შინაარსიც და საქმესთან კავშირიც მისთვის უცნობია ან ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობიდან.

**სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის ანგარიშში<sup>264</sup>** ყურადღება გამახვილებულია კვლავ მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვებითობის პრინციპებზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანონით ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, მხარისთვის მეორე მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების გაცნობის, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის სავალდებულოება ნათლად მეტყველებს იმ ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე, რაც მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბვებითობის პრინციპს აქვს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, კერძოდ, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ

<sup>261</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>262</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>263</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>264</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2014 წელი.



მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ამასთან აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ საქმე იხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ვინაიდან სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდაამკოდექსითგათვალისწინებული გამონაკლისებისა.<sup>265</sup> აღნიშნული საკითხი სახალხო დამცველის აპარატს ჯერ კიდევ **2012 წლის ანგარიშში**<sup>266</sup> აქვს განხილული და გაცემული აქვს შესაბამისი რეკომენდაციებიც. საკითხის პრობლემატურობა 2 წლის შემდეგ კვლავ ანალოგიური და აქტუალურია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განუვლი რეკომენდაცია, უზრუნველყოფილ ყოფილიყო შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების პრაქტიკაში იმპლემენტაცია, კერძოდ, სრულად დაკმაყოფილებულიყო დაცვის მხარის მოთხოვნა იმ ინფორმაციის გაცნობის შესახებ, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს,<sup>267</sup> ვერ შესრულდა.

ანგარიშის თანახმად, მხარეთა შეჭიბრებითობის თვალსაზრისით ასევე პრობლემა იკვეთება, როდესაც საქმეს ენიჭება გრიფი „საიდუმლო“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსი არ კრძალავს/ზღუდავს ასეთი საქმის განხილვის დროს მხარეთა შორის მტკიცებულებების გაცვლას, ე.წ. „კაბელების“ საქმეზე, გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლის საქმეს მთლიანად მინიჭებული ჰქონდა გრიფი „საიდუმლო,“ დაცვის მხარეს არ გადაეცა საქმის მასალების ასლები.<sup>268</sup> საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შეფასდეს საქმის კონკრეტული მასალისთვის (დოკუმენტისთვის) „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა; ასევე, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალა უნდა გასაიდუმლოვდეს, რომელიც შეიცავს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას, რადგან მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების პროცესში ბრალდებულებისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, დაცვის მხარისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.<sup>269</sup>

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და აუცილებლად უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციულ საქმეთა სამართალწარმოება. კერძოდ, 2011 წლის ანგარიშში, აღნიშნულია, რომ საქმეთა ანალიზის შედეგად იკვეთებოდა დაცვის უფლების დარღვევის ფაქტები. პირის უფლება, დაიცვას საკუთარი თავი პირადად ან მის მიერ

<sup>265</sup> იქვე, გვ. 388.

<sup>266</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2012 წელი.

<sup>267</sup> იქვე, გვ. 473.

<sup>268</sup> იხ. სქოლიო N264, გვ. 389.

<sup>269</sup> იქვე, გვ. 389-390.

მონვეული ადვოკატის მეშვეობით, მოიცავს შესაძლებლობას, პირს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი თავის დასაცავად. ამ პრინციპის უგულებელყოფა ერთ-ერთ საქმეში მოხდა სასამართლოს მიერ, როდესაც სასამართლომ პირს განუსაზღვრა მხოლოდ 30 წუთი დამცველის მოსაყვანად, რის გამოც ამ უკანასკნელმა დაცვის უფლებაზე უარი განაცხადა.<sup>270</sup>

განხილულ საკითხებთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ინფორმაცია და შედეგი, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატი თითქმის ყველა თავის ანგარიშში წერს. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა, როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. თანასწორობის პრინციპის დარღვევა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებებით ირღვევა, ვინაიდან განაჩენის გამოტანის დროს მოსამართლე მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს ეყრდნობა და არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, ან საერთოდაც, არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ასეთის მაგალითს წარმოადგენს სახალხო დამცველის აპარატის 2010 წლის ანგარიშში განხილული საქმეები. კერძოდ, ერთ-ერთ ხულიგნობის საქმის განაჩენში თითოეული მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება იდენტიფიცირდება აღწერილი და შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ხასიათის ფრაზებით – „ძალადობით დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა“. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებისას გადაწყვეტილებაში კონკრეტული მტკიცებულებები ინდივიდუალურად და ერთობლივად უნდა შეფასდეს, მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებებზე ზოგადი მითითებით არ შეიძლება პირის მსჯავრდება. მტკიცებულებათა ანალიზის შემდეგ თითოეული ფაქტი ინდივიდუალურად უნდა დამტკიცდეს. დანაშაულის შემადგენლობის (Corpus Delicti) სხვადასხვა ნიშანი უნდა დადგინდეს ცალკე აღებული და შემდგომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. სასამართლოს ფორმულირებები კი საკმაოდ მარტივ მიდგომას ეფუძნება დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობაზე უბრალო მითითებითა და ზოგადი ფრაზით, რომ აღნიშნული დამტკიცდა „საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით“.<sup>271</sup>

ანგარიშის თანახმად, აღნიშნული პრობლემა უფრო მეტად დგას ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს. ყურადსაღებია, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ საქმეებს, როდესაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არ აღიარებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და სასამართლოს აწვდის საქმეში არსებული მტკიცებულებებისგან განსხვავებული შინაარსის ინფორმაციას. ასეთ შემთხვევებში დადგენილებების გამოტანისას სასამართლოები ეყრდნობიან მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც მიუთითებს პირის ბრალეულობაზე. დადგენილებებში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იზიარებს სასამართლო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს

<sup>270</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2011 წელი, გვ. 15.

<sup>271</sup> იხ. სქოლიო N249, გვ. 238-239.

და უარყოფს სხვას. სასამართლოები შემოიფარგლებიან მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ სამართალდამცავი ორგანოს მიერ წარმოდგენილი მასალები საკმარისია ბრალდების დასამტკიცებლად, თუმცა არ ითვალისწინებენ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც შეიძლება პირის უდანაშაულობას ადასტურებდეს. უმეტეს შემთხვევებში დადგენილებები საერთოდ არ შეიცავს არგუმენტაციას, თუ როგორ მივიდა სასამართლო კონკრეტულ დასკვნამდე და შემოიფარგლება მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობის ფორმალური განმარტებით.<sup>272</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსამართლე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას, უმეტეს შემთხვევაში, ეყრდნობა პოლიციელის განმარტებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებს. სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ არსებობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობის პრეზუმფცია და ამ მოტივით არ იზიარებს სამართალდამრღვევის პოზიციას, მაშინ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ შედგენილი პატაკისა და სამართალდარღვევის ოქმის გარდა საქმეს არ ერთვის სხვა ინფორმაცია და არც მოწმეები არიან წარმოდგენილნი. საგულისხმოა ისიც, რომ, მიუხედავად მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობის ფორმალური საფუძვლისა, ყველა მათგანი მოპოვებული და წარმოდგენილია ერთი სამართალდამცავი ორგანოს/პირის მიერ, რომელიც სასამართლო პროცესზეც იმეორებს სამართალდარღვევის ოქმში დაფიქსირებულ ფაქტებს.<sup>273</sup> აღნიშნული პრობლემა სახალხო დამცველის აპარატის მიერ დასმულია 2013 წლის ანგარიშშიც<sup>274</sup>.

აპარატმა სხვა სახის რეკომენდაციებთან ერთად, საქართველოს საერთო სასამართლოებს მიმართა რეკომენდაციით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილებოდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრულყოფილი დაცვით, მათ შორის, მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრობითობის პრინციპისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლების უზრუნველყოფით.<sup>275</sup> თუმცა პრობლემა 1 წლის შემდეგაც გადაუჭრელი და აქტუალური დარჩა.

გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებიდან გამომდინარე, დაკავებული პირები არახელსაყრელ პირობებში იყვნენ ბრალდების მხარესთან შედარებით, რაც გამოიხატებოდა მოსამართლეთა მიერ მათი ჩვენებების სრულ უგულებელყოფაში. სასამართლო როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ პატრულ-ინჰექტორთა ჩვენებებს ითვალისწინებდა. არ იზიარებდა სამართალდამრღვევთა ახსნა-განმარტებებს და არ აკმაყოფილებდა მათ შუამდგომლობებს დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის ან მოწმეთა დაკითხვის მოთხოვნაზე.<sup>276</sup>

<sup>272</sup> იხ. სქოლიო N266, გვ. 449.

<sup>273</sup> იხ. სქოლიო N264, გვ. 399.

<sup>274</sup> იხ. სქოლიო N254, გვ. 272.

<sup>275</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>276</sup> იხ. სქოლიო N270, გვ. 15.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეთა უმრავლესობაში არ გვხვდება სამართალდამრღვევის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევა და როგორც წესი, სამართალდამრღვევი მხოლოდ სიტყვიერი განმარტებითა და მონანიებით შემოიფარგლება. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესობა იმეორებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის დისპოზიციას და არადგენს კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობას მოცემული მუხლის დესკრიფციულ ნაწილთან. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილება უმეტეს შემთხვევაში გაჭერებულია სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციით და გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვან ნაწილში არ გვხვდება მოსამართლის დამატებითი მსჯელობა სამართალდარღვევის ოქმში დაფიქსირებული შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტის გამოკვლევისა და დადგენის შესახებ.<sup>277</sup>

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემულ ანგარიშებში იკვეთება არის მტკიცებულებითი სტანდარტი საპროცესო შეთანხმების დროს. 2014 წლის ანგარიშში განხილულია საპროცესო შეთანხმების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს. სწორედ, ამ უკანაკსნელის შესახებ, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ბრალის დასადასტურებლად, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, გაუმართლებელია საქმის პროკურორისთვის დაბრუნების უფლებამოსილების არსებობა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. პროკურორისთვის საქმის დაბრუნება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ ეტაპზე, როცა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რადგან წინასასამართლო სხდომის გამართვამდე შესაძლებელია დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო თუ არსებითი განხილვის ეტაპზე მოსამართლე მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, მან კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.<sup>278</sup>

როგორც ჩანს, სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ ამახვილებს ყურადღებას და მიაჩნია პრობლემად, თუმცა ეს არის ცალკე კვლევის საკითხი, ანგარიშებიდან გამომდინარე აშკარად იკვეთება იმის კვლევის საჭიროება, რამდენად საჭიროა „საკმარისი“ ან „უტყუარი“ მტკიცებულებების არსებობა საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად და საერთოდაც, რამდენად მოითხოვს საპროცესო შეთანხმება მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობის საჭიროებას.

<sup>277</sup> იხ. სქოლიო N264, გვ. 400.

<sup>278</sup> იქვე, გვ. 381.



## თავი 8. არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების ანალიზი

ქვეყანაში მართმსაჯულების ეფექტურად განხორციელებასა და კანონის უზენაესობის მიზნებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტურად ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ხსენებული ორგანიზაციის ფუნქციები ხშირად სამთავრობო ორგანიზაციების კონტროლს, მათი მხრიდან კანონის შესრულებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას გულისხმობს. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეფექტურად ამოქმედებისა და მისი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციასთან შესაბამისობის ნაწილში არც თუ ისე ბევრი კვლევა არის ჩატარებული. განსაკუთრებით მწირია ინფორმაცია მტკიცებულებათა წესების ნაწილში და მხოლოდ ორი სრულყოფილი ანგარიშით შემოიფარგლება, რომლის შინაარსზეც დეტალურად გვექნება საუბარი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „**კონსტიტუციის 42-ე მუხლის**“ მიერ 2013 წლის ივნისში მომზადდა ანგარიში „დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“. კვლევის ფარგლებში, ძირითადად, განხილულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილი და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. ასევე გამოკითხულ იქნენ პრაქტიკოსი ადვოკატები, პროკურორები, მოსამართლეები და უცხოელი სისხლის სამართლის სპეციალისტები. ამასთან, ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო პრაქტიკაზეც.

მკვლევართა მოსაზრებით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია საქმის განხილვის არსებით სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობის შეზღუდვა. მათი აზრი ემყარება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შუამდგომლობის წარდგენის უფლებას ნებისმიერ ეტაპზე მაშინ, როდესაც შუამდგომლობის უმთავრესი მიზანი სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებაა, სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა კი ქვეშარჩევების დადგენაა. მკვლევარები ასევე აპელირებენ მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ წესებზე, რომელიც მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის თავისუფლებას უზრუნველყოფდა და მიაჩნიათ, რომ ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება სწორედ მხარეთა შეჭიბრებითობას ეფუძნება, სადაც პროცესის ბედს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები წყვეტს და აპელირება მხოლოდ იმაზე, რომ მხარეს ზედა სასამართლო ინსტანციებში შეუძლია გადაწყვეტილების გასაჩივრება უკანონო მტკიცებულებით მიღებული გადაწყვეტილების მოტივით, ეწინააღმდეგება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას და საბოლოო ჯამში, ექვემდებარება აყენებს შეჭიბრებითი პროცესის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, კვლევის ავტორთა აზრით, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შეჭიბრებითი პროცესის შინაარსის რეალური განხორციელებისათვის ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში



სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.<sup>279</sup>

პრობლემების უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, ორგანიზაცია საერთაშორისო პრაქტიკასაც მიმართავს და აღნიშნავს, რომ “სამართლიანი სასამართლო განხილვა” მოითხოვს შეჭიბრებითობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბრალდებასა და დაცვის მხარეს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაეცნონ და გამოხატონ თავიანთი პოზიცია მეორემხარისმიერწარმოდგენილმოსაზრებებსა დამტკიცებულებებთან დაკავშირებით, მათ შორის, წარადგინონ შუამდგომლობები.<sup>280</sup> შეჭიბრებითობის პრინციპის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი საქმის მასალები ხელმისაწვდომი იყოს ორივე მხარისთვის, რათა მხარემ შეძლოს შესაბამისი დაცვის მომზადება, მათ შორის შუამდგომლობის დაყენება. ყველა მტკიცებულება გამოკვლეული უნდა იყოს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო სხდომაზე შეჭიბრებითობის პირობებში. აღნიშნული ასევე მოიცავს მოწმეთა დაკითხვისა და მათ ჩვენებებზე განმარტების მიცემის შესაძლებლობას, თუ მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე გამოთქვას თავისი მოსაზრებები და შესაბამისად დააყენოს შუამდგომლობები, ეს ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო პროცესის „სამართლიანობას“.<sup>281</sup>

კვლევაში განხილულ საქმეებში ყურადღება მახვილდება მხარეების უფლებაზე, განაცხადონ მტკიცებულებების თაობაზე, დააფიქსირონ საკუთარი არგუმენტები და წარადგინონ საწინააღმდეგო მოსაზრებები და მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია საუბარი დაცვის ამ უფლების გამოყენებაზე ისე, რომ საკუთარ თავში არ მოიაზრებდეს შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობას მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.<sup>282</sup>

მომზადებული ანგარიშის ფარგლებში ძალიან საინტერესოა პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები სხვადასხვა პოზიციებიდან. მაგალითად, ადვოკატების აზრით, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ დაცვის მხარის მიერ არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობის დაყენებისას, საქმის განხილველი მოსამართლე მიუთითებს ხოლმე, რომ ეს არ წარმოადგენს იმ ეტაპს, როდესაც უნდა მოხდეს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობის განხილვა და მოსამართლე აღნიშნავს, რომ ეს წინასასამართლო სხდომაზე უნდა მომხდარიყო. არსებით სხდომაზე დაყენებულ შუამდგომლობას მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე სასამართლო არათუ აკმაყოფილებს, არამედ ასეთი შუამდგომლობის განხილვაზეც კი უარს ამბობს, იმ მოტივით, რომ შუამდგომლობის დაყენება უნდა მომხდარიყო მაინცდამაინც წინასასამართლო სხდომაზე. შესაბამისად, დაცვის მხარეს პრობლემად მიაჩნია შუამდგომლობების განუხილველად დატოვება.<sup>283</sup> აქედან გამომდინარე, ადვოკატები ფიქრობენ, რომ ირღვევა როგორც

<sup>279</sup> „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“, იენისი, 2013 წ. გვ.12

<sup>280</sup> იქვე, გვ. 13

<sup>281</sup> იქვე, გვ. 14

<sup>282</sup> იქვე, გვ. 15

<sup>283</sup> იქვე, გვ.16

თანასწორობის პრინციპი, ასევე შუამდგომლობების დაყენების წესიც, ვინაიდან შეიძლება წინასასამართლო სხდომის შემდეგ გამოიკვეთოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც დაცვის მხარეს მანამდე არ შეეძლო სცოდნოდა.<sup>284</sup>

ადვოკატები აკეთებენ დღევანდელი ვითარების შეფასებას და ფიქრობენ, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულირების და სასამართლო პრაქტიკის პირობებში, დაცვის უფლებების მსგავსი შეზღუდვა, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი შეზღუდვა, აზარალებს მხარეს და საქმის საბოლოო შედეგზე უარყოფით გავლენას ახდენს, ვინაიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, ხშირ შემთხვევაში, ეყრდნობა სწორედ კანონის დარღვევით მოპოვებულ დაუშვებელ მტკიცებულებებს. ისინი აპელირებას აკეთებენ საპროცესო კოდექსის ძველ რედაქციაზე (1998 წ.), როდესაც სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე იყო შესაძლებელი მტკიცებულების დაუშვებლობაზე შუამდგომლობის დაყენება და სასამართლო იხილავდა ასეთ შუამდგომლობებს.<sup>285</sup>

ადვოკატებისაგან განსხვავებით, სრულიად საწინააღმდეგოა პროკურორებისა და მოსამართლეების დამოკიდებულება. მათი აზრით, როდესაც საქმე ეხება არა ახალ, არამედ ძველ მტკიცებულებას, რომლის შესახებაც დაცვის მხარემ გვიან შეიტყო, რომ კანონდარღვევით არის მოპოვებული, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, სასამართლო ამ შუამდგომლობას არ განიხილავს. შუამდგომლობის ავტორს სასამართლო უარს ეუბნება შუამდგომლობის განხილვაზე და იმ არგუმენტზე მიუთითებს, რომ ამგვარი შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე არ განიხილება. ისინი ფიქრობენ, რომ ეს არის სწორი, რომ ამით არ ირღვევა მხარეთა უფლებები შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით და რომ დაცვის მხარეს შეუძლია დასვნიტ სიტყვაში ისაუბროს აღნიშნულის შესახებ.<sup>286</sup>

მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს ეხებიან ასევე პოლონელი და უნგრელი ადვოკატებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ჩანაწერი არის შეზღუდვა, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს დაცვის უფლება და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რამდენადაც აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.<sup>287</sup>

აქედან გამომდინარე, მტკიცებულებების მოპოვებისა და დასაშვებობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პროცესის მონაწილეთა ერთი ნაწილისთვის პრობლემას წარმოადგენს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და შეჭიბრებითობის პრინციპის დარღვევა, თუმცა მეორე ნაწილისათვის საპროცესო კოდექსში არსებული ჩანაწერები წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან და ამით არ ირღვევა არანაირი სამართლებრივი პრინციპი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ასკვნის, რომ შეჭიბრითობა

<sup>284</sup> იქვე, გვ.17  
<sup>285</sup> იქვე, გვ.19  
<sup>286</sup> იქვე, გვ. 20  
<sup>287</sup> იქვე, გვ. 22

სასამართლო პროცესზე ეს არის უფლება ნებისმიერი კანონიერი სახის ქმედებაზე. სამართლიანი სასამართლოს არსებობისათვის, ქართულმა კანონმდებლობამ უნდა მიიღოს იმ რიგი ცვლილებებისა, სადაც დაცვის მხარე მაქსიმალურად იქნება გახსნილი საკუთარ მოქმედებებში, სადაც ბრალდებულის უფლებები მაქსიმალურად იქნება დაცული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული ნორმების (მუხლები 93.1, 219.4 „ა“) დღეს არსებული ფორმულირება კი ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას და, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილების მცდარობის საფუძველი გახდეს. ამიტომ, აუცილებელია ნორმების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მოსპობს მისი სხვაგვარად გაგება-განმარტების შესაძლებლობას და არასწორი პრაქტიკის განვითარების ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს.<sup>288</sup>

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოვლენილი ხარვეზის აღოსაფხვრელად ანგარიშის ავტორები რეკომენდაციებით მიმართავენ საქართველოს პარლამენტს, განახორციელონ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე,“ ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე: ა) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ასეთი შუამდგომლობის დაყენება მხარეებს შეუძლიათ საქმის არსებით განხილვის დროსაც.“<sup>289</sup>

გარდა ამისა, კვლევის პროცესში გაანალიზდა არასამთავრობო ორგანიზაცია „**საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის**“ 2015 წლის ანგარიში „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში“. აღნიშნული კვლევა თავიდან ბოლომდე აგებულია ყოფილ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორებიც არიან გიგი უგულავა, ივანე მერაბიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ბაჩანა ახალაია და სხვა. წარმოდგენილ კვლევაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისათვის საჭირო მტკიცებულებების არსებობასა და საკმარისობაზე, პირთა მიმართ ბრალის წარდგენის სისწორესა და დაკავებისათვის ჩამოთვლილი წინაპირობების სამართლიანობაზე.

კვლევაში მტკიცებულებების მოპოვებასა და დასაშვებობასთან მიმართებაში საუბარია მხოლოდ თანასწორობის პრინციპზე. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეში, 2014 წლის 19 ნოემბერს პროკურატურის წარმომადგენელმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომლის თანახმად, პროკურატურა მზად არის და არაერთხელ შესთავაზა დაცვის მხარის წარმომადგენლებს საქმის მასალებს გაეცნონ პროკურატურის შენობაში, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. თუმცა კანონი მათ პირდაპირ ავალდებულებს მტკიცებულებათა ასლების გადაცემას მაშინ, როცა დაცვის მხარეს

<sup>288</sup> იქვე, გვ. 23

<sup>289</sup> იქვე, გვ. 24

სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების გაცნობის მსგავსი ფორმა არ მიაჩნია დაცვის პოზიციის მომზადების საკმარის შესაძლებლობად. ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც საპროცესო კოდექსი მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემასთან დაკავშირებით ითვალისწინებს, არის ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გადაცემის შეზღუდვა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ნაწილში და ისიც მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. შესაბამისად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცალსახად ირღვეოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპი” - ნათქვამია ანგარიშში.<sup>290</sup>

ამავე ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაწილი პირდაპირ არაფერს ამბობს მტკიცებულებათა მოპოვებისა თუ მათი დასაშვებობის საკითხზე, იგი ეხება დაცვის მხარის უფლებას, მიიღოს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები სრულად და შეძლოს საკუთარი პოზიციის მომზადება ხელშემშლელი გარემოებების გარეშე.

2015 წელს „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჭიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“ კვლევა ჩაატარა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამაც (შემდგომში „ასოციაცია“). აღნიშნული კვლევა საკმაოდ ბევრ საკითხს მოიცავდა, თუმცა ჩვენი მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ასოციაციის მოსაზრებები მტკიცებულებების მოპოვების, დასაშვებობისა და შეფასების თაობაზე:

### **სასამართლოს მეშვეობით მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში**

ასოციაციის ანგარიში ეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლს, 33-ე მუხლის მე-6 ნაწილს „მ“ ქვეპუნტს, 38-ე მუხლის მე-7 ნაწილსა და 39-ე მუხლის მე-2 ნაწილს. საკითხის გაანალიზების შედეგად, ასოციაციის მოსაზრებით, ქართული სასამართლოების მიერ დამკვიდრდა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობების არდაკმაყოფილების პრაქტიკა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ასეთი შუამდგომლობა, თავისი არსით იყო ამოღების შესახებ შუამდგომლობა. სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს მეშვეობით მტკიცებულების მოპოვების უფლება განიმარტებოდა იმგვარად, რომ იგი ეხებოდა მხოლოდ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას სასამართლოსთვის დახმარებით მიმართვის შემთხვევებს. გამოთხოვა კი, რამდენადაც, არც საგამოძიებო მოქმედებაა და არც სხვა საპროცესო მოქმედებების თავშია მითითებული, არ განიხილება სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობად. არსებული პრობლემების აღმოფხვრა მეტ-ნაკლებად შესაძლოა მოხდეს საპროცესო კოდექსში 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული ცვლილებებით, რომლითაც დაცვის მხარეს მიენიჭა უფლება სასამართლოს მიმართოს საგამოძიებო მოქმედების, მათ შორის, ჩხრეკა/ამოღების ჩატარების შუამდგომლობით. თუმცა მხოლოდ ეს ნოვაცია სრულად ვერ აღმოფხვრის მხარეთა შესაძლებლობების

<sup>290</sup> „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში“, 2015 წელი, გვ. 93



უთანასწორობის პრობლემას. მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში მხარეთა შესაძლებლობების უთანასწორობა გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებით, რომ ბრალდების მხარეს, სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით პირდაპირ აქვს მინიჭებული უფლება „სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შესამდგომლობით.“ დაცვის მხარეს კი ასეთი უფლება არ აქვს – სასამართლო პრაქტიკა ერთმნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით.<sup>291</sup>

კვლევის ავტორთა მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემაში შენახული მონაცემების გამოთხოვა, რომლის უფლებაც სსსკ-ის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით მხოლოდ ბრალდების მხარეს ენიჭება. კვლევის შედეგად, ჩანს, რომ მკვიდრდება პრაქტიკა, როდესაც დაცვის მხარის შუამდგომლობა კომპიუტერულ ბაზაში დაცული ინფორმაციის ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებით მოპოვების შესახებ, განიხილება სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მცდელობად და შესაბამისად, შუამდგომლობა არ კმაყოფილდება. მათ შორის, სასამართლოები უარს ეუბნებიან დაცვის მხარეს დათვალეირების გზით ინფორმაციის ფიქსირებაზე. ასევე, ამოღების გზით ინფორმაციის მოპოვებაზე.<sup>292</sup>

შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებში დამკვიდრებული ტენდენცია საერთოდ ართმევს დაცვის მხარეს შესაძლებლობას მიიღოს მტკიცებულება/ინფორმაცია, რომელიც კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება. ასეთი ვითარება უკიდურესად აღრმავებს მტკიცებულებათა მოპოვების სფეროში მხარეთა უთანასწორობას და სისხლის სამართლის პროცესს არსებითად უსამართლოდ ხდის.<sup>293</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასოციაცია რეკომენდაციას გასცემს, დაცვის მხარეს, ბრალდების მხარის მსგავსად, მიეცეს უფლება სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება. ასეთი ცვლილების გზად მკვლევარები სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების შეცვლის შესაძლებლობას ხედავენ შემდეგი ფორმულირებით – „თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ან გამოთხოვის ჩატარება, რასაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს.“ ასევე, სსსკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის ან ინფორმაციის სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვის უფლება მიენიჭოს დაცვის მხარესაც.

**მტკიცებულებათა რელევანტურობა და დასაშვებობის** კუთხით კი ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის თვალსაზრისით მხარეთა მიერ წარმოდგენილი

<sup>291</sup> „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია“, „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შევიწროების და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის“, თბილისი, 2015 წელი, გვ. 33

<sup>292</sup> იქვე, გვ. 35

<sup>293</sup> იქვე, გვ. 35



მტკიცებულების თავდაპირველი შეფასება ხდება წინასასამართლო სხდომაზე. სწორედ ამ ეტაპზე განიხილება შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხებზე. თუმცა, მოგვიანებით, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე, სასამართლო კვლავ შეიძლება დაუბრუნდეს დასაშვებობის თვალსაზრისით მტკიცებულებათა შეფასებას. აღსანიშნავია, სასამართლოებში მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ განაჩენის გამოტანის დროს მტკიცებულება ფასდება არა მარტო მათი უტყუარობის, არამედ მათი დასაშვებობის და რელევანტურობის თვალსაზრისითაც. სასამართლო აფასებს მტკიცებულებათა უტყუარობას, ძირითადად, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე.<sup>294</sup>

კვლევის ავტორთა მოსაზრებით, საპროცესო კოდექსის 219–ე მუხლის მე–4 ნაწილით დადგენილი წინასასამართლო სხდომის განაწესი ეხება მტკიცებულებათა შეფასებისას მხოლოდ მათი დასაშვებობის საკითხს – მოპოვებულია თუ არა მტკიცებულება კანონის არსებითი დარღვევით. რელევანტურობა არ არის დაკავშირებული მტკიცებულების მოპოვების კანონიერების ფორმალურ მხარესთან. რელევანტურობისთვის განმსაზღვრელია შინაარსი. შესაბამისად, რელევანტურობის შეფასება ხდება არა მისი მოპოვების ფორმის დაცულობის, არამედ შინაარსის გათვალისწინებით – რამდენად არის მტკიცებულება შემხებლობაში საქმის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მხარესთან.

შესაძლებელია თუ არა არარელევანტური მტკიცებულების ჩამოშორება საქმის განხილვიდან წინასასამართლო სხდომაზე? ანგარიშის ავტორებს მიაჩნიათ, რომ 219–ე მუხლის მე–4 ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით, მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის შეფასება წინასასამართლო სხდომაზე რთულად განსაზღვრადელია. შესწავლილი სასამართლო პრაქტიკამონწიბობს, რომ არარელევანტური მტკიცებულების საქმიდან გამორიდების საკითხის განხილვა წინასასამართლო სხდომაზე ძირითადად არ ხდება. სასამართლოები მტკიცებულებებს რელევანტურობის თვალსაზრისით აფასებენ არსებით სხდომაზე ახალი მტკიცებულების რელევანტურობის სადავლობის შემთხვევაში ან საბოლოო გადაწყვეტილების – განაჩენის მიღების დროს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლეებს დაუშვებლად უცვნიათ მტკიცებულებები მათი არარელევანტურობის გამო.

ასოციაციას დაკვირვების შედეგად მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, მტკიცებულებათა რელევანტურობის საკითხის განხილვა მოხდეს არსებითი სხდომის დაწყებამდე – წინასასამართლო სხდომაზე.<sup>295</sup>

მკვლევარები რეკომენდაციის სახით აცალიბებენ, რომ შესაძლებლობა მიეცეს მხარეებს, წინასასამართლო სხდომაზე იშუამდგომლონ არარელევანტური მტკიცებულების გამორიდების შესახებ, რაც დასაშვებია გათვალისწინებულ იქნას სსსკ–ის 219–ე მუხლის მე–4 ნაწილში, წინასასამართლო სხდომაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალის გაზრდით.<sup>296</sup>

რაც შეეხება უშუალოდ მტკიცებულებათა დასაშვებობის ეტაპს,

<sup>294</sup> იქვე, გვ. 41

<sup>295</sup> იქვე, გვ. 43

<sup>296</sup> იქვე, გვ. 44

ასოციაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში განხილულია სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ქვეპუნქტი და სხვა რიგი მუხლები და დგინდება, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოები მტკიცებულებებს მათი დასაშვებობის თვალსაზრისით აფასებენ ასევე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დოკუმენტში – განაჩენში.<sup>297</sup>

სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, არსებითი განხილვის დროს ამა თუ იმ მტკიცებულების გამოკვლევის დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევის (რაც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველია) შემთხვევაში, მხარის მიერ ამ კონკრეტული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნას სასამართლო განიხილავს არა იქვე, არამედ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.<sup>298</sup>

კვლევის ავტორთა მოსაზრებით ამგვარი პრაქტიკა დამატებით სირთულეებს წარმოშობს მხარეთათვის, კერძოდ კი:

ა) საქმეში, რომელსაც იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არსებით სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის განუხილველობა ზრდის რისკებს, რომ მსაჯულები ვერდიქტის გამოტანის დროს იხელმძღვანელებენ ისეთი მტკიცებულებითაც, რაც არ იყო დასაშვები;

ბ) მხარეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, არსებით სხდომაზე, მტკიცებულების გამოკვლევისთანავე, მიიღონ სასამართლოს პასუხი მათ დასაშვებობაზე და მხოლოდ განაჩენის დასაბუთების შემდგომ იგებენ პასუხს ამ საკითხზე. ამ ვითარების გამო, მხარეები იძულებულნი არიან, გასწიონ ძალისხმევა საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას და დასკვნით სიტყვებში ისეთი მტკიცებულებების გაანალიზებაზე, რომელსაც საბოლოოდ სასამართლო დაუშვებლად ცნობს. ბუნებრივია, მტკიცებულების გამოკვლევისთანავე დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში, მხარეები მათზე ძალისხმევას აღარ გასწევენ.<sup>299</sup>

ასოციაციის აზრით, საპროცესო კოდექსის ნორმები, იძლეოდა შესაძლებლობას სასამართლო პრაქტიკა მიმართულიყო დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობების არსებით სხდომაზე, მტკიცებულების გამოკვლევისთანავე განხილვის სასარგებლოდ. თუ მტკიცებულების გამოკვლევის პროცესში გამოვლინდებოდა მათი არსებითი დარღვევით (ან დაუშვებლობის ცნობის სხვა საფუძვლით) მოპოვება, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტდა ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს.<sup>300</sup>

აქედან გამომდინარე, საკითხის გაანალიზების შედეგად, მკვლევართა რეკომენდაციით, სსსკ-ის 239-ე მუხლში უნდა განისაზღვროს შესაძლებლობა, რათა მხარეებმა მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ დააყენონ ერთიანი შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.<sup>301</sup>

297 იქვე, გვ. 45  
298 იქვე, გვ. 45  
299 იქვე, გვ. 46  
300 იქვე, გვ. 46  
301 იქვე, გვ. 47

## თავი 9. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

### 9.1. შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების განმარტებასა და მართლმსაჯულების პროცესის სრულყოფილად განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სასამართლოს, რომელიც ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით აფასებს ამა თუ იმ საპროცესო ნორმის შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპულ კონვენციასთან და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მხარეთა აზრით ბუნდოვანი საპროცესო ნორმის განმარტებას.

კვლევის ამ ნაწილში, შესაბამისი თანმიმდევრობით დეტალურად არის განხილული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლითაც მოსამართლემ იმჯელა მტკიცებულებათა წესებზე და ამ წესებთან დაკავშირებული საპროცესო ნორმების გამოყენებაზე.

### 9.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა კონსტიტუციური პრინციპია და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი მტკიცებულებათა დასაშვებობასთან და სხვადასხვა დროს გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე ნორმას ითვალისწინებს და ზოგიერთი მათგანი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანიც გამხდარა.

კვლევის ამ ნაწილში სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებებს შევეხებით, რომლებიც მტკიცებულებათა წესებს უკავშირდება და მათი შინაარსი კვლევის მიზნებისთვის რელევანტურია.

საქმეზე მათა რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის სიტყვები „ამ კოდექსით“ არ აკმაყოფილებდა მტკიცებულებების მოპოვების კონსტიტუციურ სტანდარტს. ვინაიდან მოსარჩელის განმარტებით სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მტკიცებულებათა მოპოვების წესი განისაზღვრება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ სხვა ნორმატიული აქტებითაც, ხოლო სსს კოდექსის სადავო ნორმები დაუშვებლად აცხადებდა მხოლოდ „ამ კოდექსის“, ე.ი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით და არა სხვა ნორმატიული აქტებით, მაგალითად „ოპერატიულ-სამძებრო

საქმიანობის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ კანონებით დადგენილი წესის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ასევე მოსარჩელის განმარტებით სადავო ნორმიდან გამომდინარე, დასაშვები იყო ისეთი მტკიცებულებებიც, რომლებიც შესაძლოა ზემოხსნებული საკანონმდებლო აქტების დაცვით ყოფილიყო მოპოვებული, თუმცა უარყოფილი არ იყოს გონივრული ეჭვი მათი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.<sup>302</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ამ კოდექსის“ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით ვინაიდან მიიჩნია, რომ მტკიცებულებების მოპოვების პროცესში, შესაძლოა, დაირღვეს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, არამედ ასევე საქართველოს კონსტიტუციის და სხვა საკანონმდებლო აქტების [როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო] მოთხოვნები, რომლებიც ადგენენ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიებს. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს, ერთი მხრივ, პროცესის მონაწილეების და გარეშე პირთა უფლება-თავისუფლებების ხელყოფისგან და სახელმწიფოს მხრიდან უფლებებში გადამეტებული და უკანონო ჩარევის შესაძლებლობისგან დაცვის ეფექტიან და ქმედით გარანტიებს და მეორეს მხრივ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის ბრალდებულის მამხილებელ მტკიცებულებად გამოყენების შეუძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლო განჩინებაში აღნიშნავს, რომ „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შეიმუშაოს მტკიცების წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას, კონკრეტული პირის სამართლიან მსჯავრდებას საქართველოს კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე.“<sup>303</sup>

ამასთან, სასამართლოს განმარტებით „მტკიცებულების უტყუარობა უკავშირდება, პირველ რიგში, მისი მოპოვების ხერხის კანონიერებას. კონსტიტუციით დადგენილი ღირებულებათა სისტემა მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელებას პიროვნული თავისუფლების და ადამიანის ღირსების პატივისცემით, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ხერხითა და საშუალებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალწარმოების და მტკიცებულებათა მოპოვების წესის მკაცრი საკანონმდებლო რეგულირების გარეშე, იქმნება სახელმწიფოს

<sup>302</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalae-maia-robaqidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page>>, [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 აპრილს], თავი I, პარ. 7-11.

<sup>303</sup> იქვე, თავი II, პარ. 2



მხრიდან თვითნებობის საფრთხე“.<sup>304</sup>

აქვე, სასამართლო ადგენს, რომ „კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების აკრძალვით საქართველოს კონსტიტუცია მიზნად ისახავს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ქეშმარიტების დადგენას, პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებების დაცვას, მართლმსაჯულებისადმი მოსახლეობის და პროცესის მონაწილეების ნდობის და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მთლიანად პროცესის სამართლიანობას და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების რეალიზაციას“.<sup>305</sup>

რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების „ამ კოდექსით“ არაკონსტიტუციურად ცნობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მან უკვე იმსჯელა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის აუცილებლობაზე, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 72-ე მუხლისპირველი ნაწილისა და დავოსიტყვები, რომლებიც მტკიცებულების დასაშვებობას უკავშირებდა მხოლოდ სსსკ-ის მოთხოვნათა არსებით დარღვევას. შესაბამისად, მიიჩნია, რომ „ყველა ის მტკიცებულება, რომელიც არ არის მოპოვებული საპროცესო კოდექსის დაცვით, წარმოადგენს ამ კოდექსის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება ასევე ვრცელდება სხვა კანონის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებებზეც, თუ მტკიცებულების მოპოვებისას დარღვეული არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა.

**საქმეზე N1/1/548 საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ** მოსარჩელე მხარე ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები არ აკმაყოფილებდა, „უტყუარობის“ კონსტიტუციურ სტანდარტს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. მოსარჩელე კი განმარტავდა, რომ სადავო ნორმების მიხედვით, პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება შესაძლებელი იყო განისაზღვრულიყო არა

<sup>304</sup> იქვე, თავი II, პარ. 3

<sup>305</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-zurab-miqadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdgeg-884.page>>, [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 აპრილს], ნაწილი II, პარ. 4



უტყუარი მტკიცებულებების, არამედ ორი ირიბი ჩვენების, როგორც ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. შესაბამისად, ორი ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის შეტანიდან მის განხილვამდე პერიოდში სსს კოდექსი 76-ე მუხლის მესამე ნაწილში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით - „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“<sup>306</sup> - 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის მიღება და პირის ბრალდება უნდა მოხდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელთა ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს, სხვა შემთხვევაში ჩნდება პირის უსაფუძვლო და თვითნებური ბრალდების რისკი. როგორც სასამართლო აღნიშნავს: „დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღვწის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება“.<sup>307</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ ირიბი ჩვენება ზოგადად ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა და მისი გამოყენება შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები იძლევა ისეთი მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით არ არის უტყუარი და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტს.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის ნაწილში საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიცვალა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებამდე და სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში შეწყვიტა სამართალწარმოება

<sup>306</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76(3) მუხლი.  
<sup>307</sup> სქოლიო N304, ნაწილი II, პარ. 42

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონისმე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, რისკის შემცველია სისხლის სამართლის პროცესში ისეთი მტკიცებულების დასაშვებობა რომელიც სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ემყარება, ვინაიდან „სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო“.<sup>308</sup>

სასამართლოს მოსაზრებით, „გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. კანონი ასევე უნდა გამორიცხავდეს ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობას. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად“.<sup>309</sup>

აღნიშნულ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოებისას ირიბი ჩვენების გამოყენებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ნორმები, რომლებიც მოსარჩელემ სადავოდ გახადა, შესაძლებელს ხდიდა, რომ „სასამართლოს, მათ შორის, ნაფიც მსაჯულებს შინაგანი რწმენა, პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ირიბი ჩვენების (ან ჩვენებების) შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოუყალიბდეთ. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, რაიმე სხვა წინა პირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, არაფერი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებების მსგავსად დაეყრდნოს.“<sup>310</sup>

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი დებულების საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობაზე მსჯელობს. კერძოდ: საქართველოს

<sup>308</sup> იქვე, ნაწილი II, პარ.29.

<sup>309</sup> იქვე, ნაწილი II, პარ.34

<sup>310</sup> იქვე, ნაწილი II, პარ. 35.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე **N3/1/608** და **N3/1/609** საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შეჭიბრებითობის პრინციპზე აღნიშნავს: “საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, “სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის საფუძველზე”. აღნიშნულ დებულებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში უნდა გავმიჯნოთ სისხლის სამართლის პროცესის შეჭიბრებითი მოდელი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართალწარმოების მოდელი და შეჭიბრებითობის პრინციპი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ელემენტი. სისხლის სამართლის პროცესის შეჭიბრებითი მოდელი ხასიათდება საპროცესო მოქმედებების ჩატარების თავისებური სისტემითა და პროცესის მონაწილეთა როლების თავისებური გამიჯვნით. ინკვიზიციური პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოსამართლე აღჭურვილია უფლებამოსილებებით, საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები, შეჭიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში სასამართლოში ქვემარტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. აღნიშნულ მოდელში მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინი მოქმედებს, ხოლო თვით შეჭიბრებითი პროცესი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ინკვიზიციური სისტემისგან განსხვავებით, შეჭიბრებით მოდელში, ზოგადი წესის მიხედვით, მხარეები წყვეტენ, რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ. სასამართლოს განმარტებით, შეჭიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტია და წარმოადგენს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჭიბრებითი სისხლის სამართლის მოდელის ნაწილს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს მოეთხოვება პროცესის შეჭიბრებითობის, როგორც კონვენციით დაცული პრინციპის უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, სისხლის სამართლის პროცესის შეჭიბრებით თუ ინკვიზიციურ მოდელს ირჩევნ ისინი ეროვნულ დონეზე.<sup>311</sup>

სასამართლოს განმარტებით, როგორც სისხლის, ისე სხვა ტიპის სამართალწარმოების ფარგლებში შეჭიბრებითობის პრინციპის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პროცესის მხარე შესაძლებლობით, გაეცნოს, აზრი გამოთქვას და თუ ეს მის ინტერესებშია გააქარწყლოს ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება, აგრეთვე დაარწმუნოს სასამართლო თავისი პოზიციის სისწორეში, წარუდგინოს მას შესაბამისი მტკიცებულებები და მოსაზრებები, რასაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, როგორც

<sup>311</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/1/608,609, პუნქტი 14-16

მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე უარყოფის შემთხვევაში. ამ მიზნიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც - მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონას დაცვის მოსამზადებლად და დაცვის უფლებას, პირადად ან დამცველის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის და საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ა.შ.<sup>312</sup>

### **9.3. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება სისხლის სამართლის ფარგლებში მოიცავს პროცედურულ გარანტიებს, რომელიც ეფუძნება მხარეთა (ბრალდება და დაცვა) თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპს.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ამყარებს ევროპის კონვენციის მე-6(3) მუხლში მოცემულ ცალკეულ უფლებებს, რომელიც დაკავშირებულია დაცვის უფლების განხორციელებასთან (მაგ. ბრალდებულის უფლება, იცოდეს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი, დაიკითხოს ან დააპითხინოს ბრალდების მოწმეები და ა.შ.).<sup>313</sup>

ევროპის სასამართლო ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი თავის თავში მოიცავს შეჯიბრებითობას, რაც მიზნად ისახავს მხარეებისთვის ერთმანეთის პოზიციების ირგვლივ აზრის გამოხატვის გონივრული შესაძლებლობის უზრუნველყოფას.<sup>314</sup>

თავის მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოიცავს ბრალდების და დაცვის მხარისთვის შესაძლებლობის მიცემას გაეცნონ და წარადგინონ პოზიცია მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.<sup>315</sup> ამასთანავე, ევროკონვენციის მე-6(1) მუხლის თანახმად, ბრალდება ვალდებულება, დაცვის მხარეს გაუმჟღავნოს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულის გამამართლებელ ან გამამტყუნებელ მონაცემებს მოიცავს.<sup>316</sup> ბრალდების ეს ვალდებულება ვრცელდება იმ მტკიცებულებასთან მიმართებაში, რომელსაც ბრალდება ეყრდნობა თავის საქმეში (რაზეც აგებულია ბრალდების საქმე).<sup>317</sup>

ამგვარად, ევროპის სასამართლო მტკიცებულების საკითხს მოიაზრებს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე.

<sup>312</sup> იქვე, პუნქტი 18.

<sup>313</sup> Stefania Negri, The Principle of “Equality of Arms” and the Evolving Law of the International Criminal Procedure, 5 Int'l Crim. L. Rev. 513, 2005, p. 515-517;

<sup>314</sup> *Ocalan v. Turkey*, No. 46221/99, 2005 წლის 12 მაისი, პარა. 140-147;

<sup>315</sup> *Kuopila v. Finland*, No. 27752/95, 2007 წლის 27 ივლისი, პარა. 38;

<sup>316</sup> *Rowe and Davis v. United Kingdom*, Grand Chamber, No. 28901/95, პარა. 60;

<sup>317</sup> *Jasper v. United Kingdom*, Grand Chamber, პარა. 58;



## მტკიცებულების ხელმისაწვდომობა გამოძიების პროცესში და საქმის არსებითი განხილვის ეტაპამდე

ექვმიტანილ/ბრალდებულ პირს სისხლისსამართლის საქმის წარმოების ადრეულ ეტაპზევე წარმოეშობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობის უფლება, რაც პირდაპირ დაკავშირებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპთან, ევროპის კონვენციით გარანტირებული დაკავების კანონიერების გასაჩივრების უფლების (მუხლი-5(4)) და დაცვის უფლების (მუხლი-6(3)(ბ)) ეფექტურ განხორციელებასთან.

**ბრალდებულის უშუალო ხელმისაწვდომობა საქმეში არსებულ მასალებზე** - ევროპის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით ბრალდება ვალდებულია, დაცვის მხარეს გააცნოს საქმეში არსებული მასალები. აღნიშნული უფლება არ გულისხმობს საქმეში არსებული მასალების თავად ექვმიტანილის/ბრალდებულის მიერ ხელმისაწვდომობას: „კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ“ საქმის თანახმად ადვოკატისთვის საქმის მასალების ხელმისაწვდომობა და საქმის მასალების ასლების მიღება უზრუნველყოფს ამ მოთხოვნის შესრულებას.<sup>318</sup>

**გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე საქმის მასალებზე წვდომის უფლების შეზღუდვა** - საქმეში „გარსია ალვა გერმანიის წინააღმდეგ“, ბრალდებამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის უფლება, ენახა (გაცნობოდა) საქმეში არსებულ მასალებს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული მასალების საფუძველზე შიდა სასამართლომ მოახდინა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის გაგრძელება. მართალია, ევროპის სასამართლომ დაუშვა გამოძიების ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის შესაძლებლობა ბრალდებულის მიერ მტკიცებულების განადგურების ან მართლმსაჯულების ინტერესების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ მან არ გაამართლა აღნიშნული ლეგიტიმური მიზნების უზრუნველყოფა დაცვის უფლების არსებითი დარღვევის ხარჯზე.<sup>319</sup>

საქმეში „ლითხოუ გერმანიის წინააღმდეგ“ განმცხადებელს გააცნეს საქმეში არსებული ფაქტების მხოლოდ მოკლე შინაარსი: ბრალდებამ საშუალება არ მისცა დაცვის მხარეს, გასცნობოდა უშუალოდ იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მისი წინასწარი პატიმრობის გაგრძელება. ევროპის სასამართლომ ჩათვალია, რომ დაირღვა განმცხადებლის მე-5(4) მუხლით დაცული უფლება, რადგან სადაო ჩვენებები არსებითი აღმოჩნდა პატიმრობის შეფარდების კუთხით.<sup>320</sup>

საქმეში „მოისეიევი რუსეთის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6(1) მუხლის დარღვევა, რადგან ჩათვალია, რომ სახელმწიფოს მიერ ეროვნულ უსაფრთხოებაზე დაყრდნობით განმცხადებლისთვის საქმის მასალებზე წვდომის (მათ შორის ასლებზე) შეზღუდვა არ იყო კანონით გნასაზღვრული, გამართლებული და თანაბრობით.<sup>321</sup> კერძოდ, სამართალწარმოების ეტაპზე საქმის

<sup>318</sup> Kamasinki v. Austria, no 9783/82, 1989 წლის 19 დეკემბერი, პარა. 88;

<sup>319</sup> Garcia Alva v. Germany, No.23541/94, 2001 წლის 13 თებერვალი, პარა. 39-42;

<sup>320</sup> Lietzow v. Germany, No. 24479/94, 2001 წლის 13 თებერვალი, პარა. 44-47;

<sup>321</sup> Moiseyev v. Russia, No.62936/00, 2008 წლის 9 ოქტომბერი, პარა. 213 – 217.



მასალები ინახებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციალურ დეპარტამენტში ან საქალაქო სასამართლოს სპეციალურ რეესტრში, საიდანაც მათი გატანა აკრძალული იყო. სასამართლო სხდომების დამთავრების შემდგომ დაცვის მხარეს ასევე უწევდა მის ხელთ არსებული საქმის მასალების ან ჩანაწერების გადაცემა სასამართლოს სპეციალური რეესტრისთვის. რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საქმის მასალების შენახვის ასეთ წესს. სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია ის გარემოება, რომ რუსეთის ხელისუფლებამ შეზღუდვა გაავრცელა მთლიან მასალებზე, როდესაც მას შეეძლო სენსიტიური მასალების გამოყოფა საქმეში არსებული დანარჩენი დოკუმენტაციიდან (მაგ. სასამართლოს გადაწყვეტილებები პროცედურულ საკითხებთან მიმართებაში) და მისი საიდუმლოდ კლასიფიცირება. ამასთან, სასამართლომ დარღვევად მიიჩნია ის გარემოება, რომ ადვოკატებს შეეზღუდათ მათივე ჩანაწერების გამოყენების შესაძლებლობა.<sup>322</sup>

**ბრალდების ხელთ არსებულ საქმის მასალებზე წვდომის ფარგლები:** საქმეში „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რა სახის მასალები უნდა იქნას ხელმისაწვდომი დაცვის მხარისთვის.<sup>323</sup> საქართველოს ხელისუფლებამ არ მისცა განმცხადებლების ადვოკატებს გადაცემის (ექსტრადირების) შესახებ რუსეთიდან მიღებული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა, რადგან მისი შესწავლა მიმდინარეობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლების მიერ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია მოპასუხე სახელმწიფო არ იყო ვალდებული განმცხადებლებისთვის გაეცნო მთლიანი საქმის მასალები, მაგრამ მას უნდა მიეწოდებინა საკმარისი (sufficient) ინფორმაცია, რაც მეორე მხარეს მისცემდა დაკავების კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობას.

აქვე უნდა აღნიშნოს ის გარემოება, რომ სასამართლომ მიერ ფასდება ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებები იმის დასადგენად ბრალდების მხარის მიერ გაზიარებული საქმის მასალები რამდენად საკმარისია პირის მიერ დაკავების კანონიერების გასაჩივრების კუთხით. მაგალითად, საქმეში „მურენი გერმანიის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა საგადასახადო სფეროში თაღლითობას, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის მასალების ოთხგვერდიანი მოკლე შინაარსის დაცვის მხარისთვის გაზიარება არ აკმაყოფილებდა ბრალდების მიერ მასალების გამჟღავნების ვალდებულებას და არღვევდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს.<sup>324</sup> ამავე საქმეში, სასამართლომ, ასევე, მიუღებლად ჩათვალა ბრალდების მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების ზეპირი ფორმით წარმოდგენა.<sup>325</sup>

საქმეში „ორჩიანი თურქეთის წინააღმდეგ“ განმცხადებელს თავის ადვოკატებთან კომუნიკაცია ჰქონდა შეზღუდული. ადვოკატებს ეკრძალებოდათ მისთვის ბრალდების გარდა რაიმე დოკუმენტის

<sup>322</sup> იქვე, პარა. 216 – 2018.

<sup>323</sup> Shamayev and Others v Georgia an Russia, No. 36378/02, 2005 წლის 12 აპრილი, პარა. 427.

<sup>324</sup> Mooren v. Germany, No. 11 364/03, 2009 წლის 9 ივლისი, პარა. 121;

<sup>325</sup> იქვე;

(საქმის მასალების) გაზიარება.<sup>326</sup> ოჩალანს სასამართლო განხილვის ეტაპზე მიეცა საშუალება, გაცნობოდა მის წინააღმდეგ საქმეში არსებულ მასალებს ორი რეგისტრატორის (სასამართლოს თანამშრომლის) თანდასწრებით. ადვოკატებმა მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე შეძლეს მისთვის საქმეში არსებული მასალების გარკვეული ნაწილის გაზიარება. ამასთან, ოჩალანს 20 დღე მისცეს მასალების გასაცნობად, რომელთა რაოდენობაც 17 000 გვერდს აღემატებოდა.

აღნიშნული საქმე არსებითად გასწავადებოდა სასამართლოს მიერ ამავე სამართლებრივ საკითხთან მიმართებაში განხილულ ორი საქმისგან, რომელსაც თურქეთის სახელმწიფო ეყრდნობოდა:

- პირველი საქმე გახლდათ „კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (იხ. ზემოთ), რომელშიც ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ ადვოკატისთვის საქმის მასალებზე წვდომა საკმარისია დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რითაც ოჩალანის საქმე განსხვავდა კამასინსკის საქმიდან - ამ უკანასკნელ საქმეში ადვოკატს შესაძლებლობა ჰქონდა დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის გადაეცა საქმის რელევანტური მასალების ასლები.<sup>327</sup> ოჩალანის შემთხვევაში, მის ადვოკატებს ასეთი შესაძლებლობა არ მისცემიათ.<sup>328</sup>
- მეორე საქმე გახლდათ „კრემზოვი ავსტრიის წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, ბრალდებამ დაცვის ქვეშ მყოფ პირს და მის ადვოკატს ზეპირ მოსმენამდე 3 კვირით ადრე გადასცა 49 გვერდიანი საქმის მასალები.<sup>329</sup> შესაბამისად, მასალების ოდენობის გათვალისწინებით მოსამზადებელი დრო ადეკვატური გახლდათ.

შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა მე-6(1) მუხლის დარღვევა, რადგან საქმის მასალების განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომობის გარდა, ბრალდებამ ოჩალანისთვის უნდა მიეცა საკმარისი დრო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.<sup>330</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შევაჯამოთ, რომ:

ინფორმაცია, რომელიც გადამწყვეტია პირის დაკავების კანონიერების შესაფასებლად, უნდა იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი ფორმით ექვმიტანილის/ბრალდებულის ადვოკატისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო დაადგენს განმცხადებლის მე-5(4) მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

ევროსასამართლო აღიარებს იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულების გამჟღავნება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვისას ბრალდება შესაძლოა ხელმძღვანელობდეს ლეგიტიმური მიზნით, აუცილებელი და დაბალანსებული პროცედურული

<sup>326</sup> Ocalan v. Turkey, დიდი პალატა, No. 46221/00, 2005 წლის 12 აპრილი, პარა. 140 – 141;

<sup>327</sup> Kamasinski v. Austria, პარა. 87-88.

<sup>328</sup> Ocalan v. Turkey, პარა. 142;

<sup>329</sup> Kremzow v Austria, No. 12350/85, 1993 წლის 21 სექტემბერი, პარა.

<sup>330</sup> იქვე, გვ. 143.

გარანტიებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მე-6(1) და მე-6(3)(ბ) მუხლის დარღვევა.

### **მტკიცებულების დასაშვებობის სტანდარტი**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი არ მოიცავს დებულებას მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის რეგულირების ნაწილს.<sup>331</sup> სასამართლოს მოცემული პოზიცია დაკავშირებულია კონვენციის წევრი სახელმწიფოებისთვის შეფასების ფართო თავისუფლების მინიჭების ზღვართან (wide margin of appreciation), რომლის ფარგლებშიც სასამართლო იტოვებს უფლებამოსილებას, თავად შეაფასოს სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილება კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებაში.<sup>332</sup>

შესაბამისად, ევროპის სასამართლო, როგორც წესი, არ აფასებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს განყენებულად: როგორც წესი, ევროპის სასამართლოს მიერ ფასდება მთელი საქმისწარმოების სამართლიანობა.<sup>333</sup> სწორედ ამ პროცესში, სასამართლოს მიერ განხორციელებული ანალიზი ითვალისწინებს მტკიცებულების მოპოვების პროცედურის/მეთოდის შეფასებას სამართლიანი სასამართლოს უფლების ქრილში.

სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დავასკვნით, რომ სასამართლო დაუშვებლად სცნობს მტკიცებულებას, რომლის გამოყენებაც:

1. არღვევს კონვენციით გარანტირებულ კონკრეტულ უფლებას; და
2. გავლენას მოახდენს პროცესის სამართლიანობაზე.

პირველი მოთხოვნის შემთხვევაში საუბარია კონვენციის მე-3, მე-6(3) (დ) და მე-8 მუხლებით გარანტირებულ უფლებებზე. მაგალითად, ხომ არ აქვს ადგილი „უკანონობას“<sup>334</sup> რომელიც არღვევს პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის საკითხს.<sup>335</sup>

დაყოფა პირველ და მეორე მოთხოვნას შორის არსებითია, რადგან კონვენციით გარანტირებული უფლების ნებისმიერი დარღვევა არ ახდენს გავლენას პროცესის სამართლიანობაზე და შესაძლოა, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მსგავსი მტკიცებულება დასაშვები გახდეს.<sup>336</sup>

**„შენკი შვეიცარიის წინააღმდეგ“ საქმის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სასამართლო აფასებს დაცვის ქვეშ მყოფი**

<sup>331</sup> Schenk v. Switzerland, No. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი, პარა. 46; Bykov v. Russia, Grand Chamber, No. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი, პარა. 88;

<sup>332</sup> R. Dworkin, Taking Rights Seriously, Harvard University Press 1978, pp. 31-33;

<sup>333</sup> Bykov v. Russia, Grand Chamber, No. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი, პარა. 89; ფ. ლინი, როგორ მივმართოთ ევროსასამართლოს, შესამე გამოცემა, თბილისი 2013, გვ. 335;

<sup>334</sup> რამდენად გაერთიანებული სამეფოს შიდა კანონმდებლობა იძლეოდა პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის საშუალებას;

<sup>335</sup> Khan v. the United Kingdom, No. 35394/97, 2000 წლის 4 ოქტომბერი, para. 34; P.G. and J.H. v. the United Kingdom, No. 44787/98, 2001 წლის 25 დეკემბერი, პარა. 76 – 81; Allan v. the United Kingdom, No. 48539/99, პარა. 42;

<sup>336</sup> Ana Maria Torres Chedraui, An analyzes of the exclusion of evidence obtained in violation of the human rights in light of the jurisprudence of the European Court of Human Rights, 15 Tilburg. L. Rev. 205, 2010 – 2011, p. 209;

პირის ინტერესების უზრუნველყოფის შესაძლებლობას და სწავლობს ყველა შესაბამის გარემოებას - განმცხადებელს რამდენად ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა პოზიცია მის წინააღმდეგ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე წარმოდგენილ მტკიცებულებასთან დაკავშირებით (მაგ. საქმეში არსებული ჩანაწერის ავთენტურობის და გამოყენების გაპროტესტება, სასამართლო სხდომაზე ჩანაწერის განმახორციელებელი პოლიციელის გამოძახება და დაკითხვა, ჩანაწერზე არსებული მეორე პირის დაკითხვა და ა.შ.).<sup>337</sup> მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფა/ხელმისაწვდომობა გარკვეულ შემთხვევებში წარმოადგენს პროცესის სამართლიანობის შეფასების დამატებით კრიტერიუმს (აღნიშნული ფაქტორი, მაგალითად, არ არის რელევანტური წამების აკრძალვის სტანდარტთან მიმართებაში). სასამართლო პრაქტიკაში, ასევე, პროცესის სამართლიანობის შეფასებისას გადამწყვეტ როლს თამაშობს ის გარემოება, თუ აღნიშნული მტკიცებულება რამდენად ერთადერთია (ე.ი. საქმე გამყარებული არ არის სხვა მტკიცებულებებით).<sup>338</sup>

### **ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება**

ამ მხრივ, ევროპის სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, დაუშვებელია ისეთი მტკიცებულების გამოყენება, რომელიც კონვენციით გარანტირებული აბსოლუტური უფლებების დარღვევით არის მოპოვებული. სასამართლომ შესაძლოა დაადგინოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული მტკიცებულება არ იყო გადამწყვეტი პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად.<sup>339</sup> სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მე-3 მუხლის დარღვევას არაფერი არ ამართლებს: იქნება ეს დანაშაულის სიმძიმე, სიმართლის დადგენის საჭარო ინტერესი, თუ ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის საჭიროება.<sup>340</sup>

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წამების აკრძალვის დარღვევით მოპოვებული ჩვენების გამოყენება არღვევს როგორც ევროკონვენციის მე-3 მუხლს, ასევე მე-6 მუხლს (სამართლიანი სასამართლოს უფლება).<sup>341</sup> საქმეში „ლევინტა მოლდავეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ არ დააკონკრეტა მტკიცებულების გამოყენების საკითხი და ჩათვალა, რომ წამებით მოპოვებული მტკიცებულება ავტომატურად მთელ პროცესს ხდიდა უსამართლოს (ევროკონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოს).<sup>342</sup> შესაბამისად, სასამართლო წამებით მოპოვებული მტკიცებულების შემთხვევაში აღარ აფასებს პროცედურული გარანტიების არსებობას, რადგან მე-3 მუხლის დარღვევის სიმძიმით მიყენებული უსამართლობის დაბალანსება მიუღებლად მიაჩნია.<sup>343</sup> აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება როგორც ბრალდებულის, ასევე

<sup>337</sup> Schenk v. Switzerland, No. 10862/84, 1988 წლის 12 ივლისი, პარა. 28 - 46;

<sup>338</sup> იგივე;

<sup>339</sup> Harutyunyan v. Armenia, No. 34334/04, 2010 წლის 15 სექტემბერი, პარა. 63; Jalloh v. Germany, No. 54810/00, 2006 წლის 11 ივლისი, პარა. 99;

<sup>340</sup> Jalloh v. Germany, პარა.99; Gafgen v Germany, პარა. 107, 176

<sup>341</sup> Jalloh v. Germany, Grand Chamber, პარა.105;

<sup>342</sup> Levinta v. Moldova, No. 17332/03, 2008 წლის 16 დეკემბერი, პარა. 103-105;

<sup>343</sup> Ors and Others v. Turkey, პარა. 60-61;



მესამე პირისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით (წამებით) მოპოვებულ მკტიცებულებებზე.<sup>344</sup>

შესაბამისად, ევროპის სასამართლო ბრალდებულის პროცედურული გარანტიების არსებობას (ადვოკატის ხელმისაწვდომობა, გაპროტესტების უფლება და ა.შ.) არ ითვალისწინებს წამების აკრძალვის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის განხილვისას.<sup>345</sup>

სასამართლოსპრაქტიკაცხადყოფს, რომზემოაღნიშნულიაბსოლუტური ხასიათის აკრძალვა მოქმედებს ყოველთვის, იმისდა მიუხედავად, მტკიცებულება მოპოვებულია პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით.

რაც შეეხება მკტიცებულების მოპოვებას არაჰუმანური მოპყრობის შედეგად (რაც თავის მხრივ ასევე წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას), აღნიშნული შემთხვევა ჩაითვლება მე-6 მუხლის დარღვევად თუ არსებობს საკმარისი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც მიუთითებს რომ აღნიშნული მტკიცებულება გადამწყვეტია ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი სასჯელის გამოტანის კუთხით.<sup>346</sup> მაგალითად, საქმეში „იალოჰი გერმანიის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე პირის ბრალდება მიუღებელია, მაგრამ შესაძლოა მისი მეორედ მტკიცებულებად გამოყენება.<sup>347</sup>

ამ მხრივ საინტერესოა საქმე «გაფგენი გერმანიის წინააღმდეგ», რომელშიც სასამართლომ იმსჯელა გაფგენის არაჰუმანური მოპყრობის საფუძველზე მიღებული მტკიცებულების (ბავშვის გვამის) დასაშვებობაზე. ის პასუხისგებაში მისცეს ბავშვის მკვლელობისათვის. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად გაფგენმა ჩვენება მისცა ორჯერ. პირველადი დაკითხვისას მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. სწორედ აღნიშნული დაკითხვის საფუძველზე მოპოვებული იქნა ინფორმაცია ბავშვის გვამის ადგილსამყოფელის შესახებ. გაფგენის მსჯავრდება კი მოხდა მისი მეორედ დაკითხვისას მიღებული აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელიც გამყარებული იყო პირველადი ჩვენების საფუძველზე ამოღებული მტკიცებულებით.

ევროპის სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, თუ მსგავსი გზით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება რამდენად დაარღვევდა პროცესის სამართლიანობის პრინციპს და შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით უარყოფითად გასცა პასუხი დასმულ შეკითხვას:

- გვამის მტკიცებულებად გამოყენება მოხდა არა პირის ბრალის დასადგენად არამედ საქმეში არსებული გადამწყვეტი მტკიცებულების (გაფგენის მეორე ჩვენების) საიმედოობის გასამყარებლად;
- აღნიშნული მტკიცებულება არ გამხდარა თავისთავად უვარგისი გაფგენის პირველი ჩვენების სამართალდარღვევის გზით მიღების

<sup>344</sup> Othman v. the United Kingdom, No. 8130/09. 2012 წლის 17 ივლისი, პარა. 263 – 267;

<sup>345</sup> Ors and Others v. Turkey, პარა. 61; Goçmen v. Turkey, პარა. 75;

<sup>346</sup> El Haski v. Belgium, no. 649/08, 2012 წლის 25 სექტემბერი, პარა. 85;

<sup>347</sup> Jalloh v. Germany, პარა. 105-106;

მიუხედავად, რადგან მის მსჯავრდებასა და მტკიცებულებას შორის არ არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი;

- ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა გაეპროტესტებინა აღნიშნული მტკიცებულების დასაშვებობა და ეროვნული სასამართლოს მოსამართლე სარგებლობდა დისკრეციით დაეშვა ან ამოერიცხა აღნიშნული მტკიცებულება.<sup>348</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოცემული მტკიცებულება არ იყო გადამწყვეტი პირის მსჯავრდებისთვის.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულების გამოყენება არ ჩათვალა პროცესის სამართლიანობაზე ზეგავლენის მოხდენის მქონედ და არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა.<sup>349</sup>

### **ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის (დუმილის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია) დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება**

დაცვის ქვეშ მყოფი პირის საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე (თვითინკირიმინირება) უარის თქმის პრივილეგია და დუმილის უფლება მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელების<sup>350</sup> და, მეორე მხრივ, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე ბრალეულობის შერაცხადობის თავიდან აცილებას.<sup>351</sup>

საინტერესოა, თუ რა შემთხვევებში მიიჩნევენ ევროპის სასამართლო პროცესის სამართლიანობის დარღვევას დუმილის უფლების ან/და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიის შელახვისას, და, შესაბამისად, ადგენს მე-6 მუხლის დარღვევას:

**პოლიციის წაქეზების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება** ნებისმიერ შემთხვევაში არღვევს პროცედურულ გარანტიებს, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მტკიცებულება გამოყენებულ იქნა თუ არა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. მსგავსი მტკიცებულების გამოყენება დაუშვებელია სასამართლო პროცესზე, მაშინაც კი, როდესაც დაცვის მხარეს საშუალება მიეცა გაებათილებინა აღნიშნული ჩვენება და ბრალდება ემყარებოდა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.<sup>352</sup> სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან წაქეზებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ფარულად მოქმედი პოლიციელი გადაიქცევა პოლიციელ პროვოკატორად (agent provocateur), რომელიც ზეწოლას ახდენს პირზე და ეს უკანასკნელი ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას. ესე იგი, რომ არა პოლიციელის ქმედება, პირი დანაშაულს არ ჩაიდენდა.<sup>353</sup>

<sup>348</sup> Gäfgen v. Germany, პარა. 179 – 185;

<sup>349</sup> სავარაუდოდ ევროპის სასამართლოს ასეთი მსჯელობა წინააღმდეგობაში მოდის გაეროს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-15 მუხლთან, რომლის თანახმად დაუშვებელია ნებისმიერი მტკიცებულება რომელიც მიზეზობრივ კავშირშია წამების ფაქტთან.

<sup>350</sup> Aleksandr Zaichenko v. Russia, No. 39660, 2010 წლის 28 ივნისი, პარა. 38;

<sup>351</sup> Jalloh v. Germany, პარა. 100;

<sup>352</sup> Ramanauskas v. Lithuania, No. 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი, პარა. 60 – 73;

<sup>353</sup> Vanyan v. Russia, No 53203/99, 2005 წლის 15 დეკემბერი, პარა. 47;

ევროპის სასამართლო პოლიციელის მხრიდან წაქეზების კვალიფიკაციისას აფასებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წინასწარი ეჭვის არსებობას, რაც აიხსნება შემდეგი ობიექტური ფაქტორებით: სასამართლო ბრძანების საფუძველზე ფარული ოპერაციის ჩატარება, მიმდინარე გამოძიების არსებობა, ბრალდებულის ადრეული ნასამართლობა, პირის ხელთ დანაშაულებრივი ნივთის არსებობა (მაგ. ნარკოტიკული საშუალება) და ა.შ.<sup>354</sup> თუ პირის მიმართ არსებული ეჭვი არ ეყრდნობა ზემოაღნიშნულ ფაქტორებს, ევროპის სასამართლო მიიჩნევს რომ პოლიციელი დანაშაულის პროვოცირებას ახორციელებდა, რის გამოც სამართალწარმოება ჩაითვლება უსამართლოდ.

**დაშინების (პირის მიმართ იძულებითი ხასიათის სამართლებრივი საფუძვლების გამოყენება)** საფუძველზე მიღებული აღიარებითი ჩვენების გამოყენება დაუშვებელია. საქმეში „საუნდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ განიხილა პირის აღიარებითი ჩვენება, რომელიც იძულების კანონიერი უფლებამოსილების საფუძველზე იქნა მიღებული, რითაც დაირღვა პირის საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია.<sup>355</sup> სასამართლომ ასევე შეაფასა აღნიშნული პრივილეგიის დარღვევა დანაშაულის სიმძიმესთან და საჯარო ინტერესთან მიმართებაში: მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩვენება არ იყო ერთდარეოთი ან/და წამყვანი მტკიცებულება საქმეში, სასამართლომ მაინც ჩათვალა სამართალწარმოების სამართლიანობის დარღვევად.<sup>356</sup>

საქმეში „ჰინი და მაკგინესი ირლანდიის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებისგან აღიარებითი ჩვენების მიღებას, ევროპის სასამართლო ასევე არ დაეთანხმა სახელმწიფოს, რომ პროცედურული გარანტიების არსებობა საკანონდემლო დონეზე უზრუნველფოს პროცესის სამართლიანობას. კერძოდ, აღნიშნულ საქმეში ირლანდიის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ქვეყნის შიდა ინსტანციის მოსამართლეს მინიჭებული ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება, გამოერიცხა იძულების საფუძველზე მიღებული აღიარება, რაც აღნიშნული სახელმწიფოს აზრით წარმოადგენდა საკმარის გარანტიას პირის საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის პრივილეგიის დასაცავად. ევროპის სასამართლო არ დაეთანხმა ირლანდიის ხელისუფლებას ამ შეფასებაში და დაადგინა, რომ მსგავს შემთხვევებში სამართლიანი სასამართლოს უფლება დაცული არ იქნებოდა.<sup>357</sup>

**ევროპის სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დასკვნის გაკეთება პირის მიერ დუმის უფლების გამოყენებისას არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუ სახეზე გვაქვს შემდეგი პროცედურული გარანტიები:** საქმეში არსებული გარემოებები უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი ბრალდებულისგან განმარტების მიღებასთან დაკავშირებით; ბრალდებულისგან ასეთი განმარტების საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბრალდებას უკვე აქვს მის წინააღმდეგ

<sup>354</sup>

იქვე;

<sup>355</sup>

Saunders v. the United Kingdom, No. 19187/91, 1996 წლის 17 დეკემბერი, პარა. 72;

<sup>356</sup>

იქვე, პარა. 75;

<sup>357</sup>

Heaney and McGuinness v. Ireland, პარა. 53-4;

შედგენილი საქმე და განმარტება ან დაცვის უფლების გამოყენება საქიროა მოსამართლისათვის საქმეში არსებული გარემოების განმარტებისთვის.<sup>358</sup> ამავე დროს, ბრალდებული უნდა იქნას გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ მის მიერ დუმილის უფლების გამოყენება შეიძლება განიმარტოს - გამოყენებულ იქნას დასკვნის სახით.<sup>359</sup>

შესაბამისად, ბრალდებულს უნდა ესმოდეს ის პოტენციური რისკი რასაც მის მიერ დუმილის უფლების გამოყენება მოიცავს. ბრალდებულის გაფრთხილებისას ადგილზე უნდა იმყოფებოდეს მისი ადვოკატი, გარდა იმ საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც ბრალდებულმა უარი განაცხადა ადვოკატზე.<sup>360</sup>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულებსაც უნდა მიეცეთ საკმარისი განმარტება რა შემთხვევაში შეუძლიათ დასკვნის გაკეთება.<sup>361</sup>

საქმეში „მურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლომ დააკონკრეტა, რომ დუმილის უფლების გამოყენების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა შეიძლება შეეხოს ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულების სანდოობის შეფასებას (მსგავსი ლოგიკური დასკვნის გამოყენება ბრალდებას არ შეუძლია გარკვეული ფაქტის დადგენის/დამტკიცების მიზნით).<sup>362</sup> შესაბამისად, ასეთი დასკვნის საფუძველზე პირის ბრალეულობის დადგენა ასევე დაარღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

### **ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება**

ევროპის სასამართლოს მიერ ფასდება ინფორმაციის მოპოვების შესაბამისობა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან, რომელიც იცავს პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.<sup>363</sup> ამ დროს, სასამართლოს მიერ ხდება საქმეში არსებული ყველა გარემოების მათ შორის, მტკიცებულების მნიშვნელობის და ხარისხის შესწავლა და შეფასება. კერძოდ, ევროპის სასამართლო აფასებს შემდეგ გარემოებებს იმის დასადგენად თუ რა გავლენა იქონია სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ევროკონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევამ:

3. დანაშაულის სიმძიმე;
4. საჯარო ინტერესი (გარკვეული ტიპის დანაშაულების გასამართლების კუთხით ან სიმართლის დადგენის მიზნით);
5. ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაზე აღნიშნული მტკიცებულების გავლენის ხარისხი;
6. ბრალდებულის მხრიდან აღნიშნული მტკიცებულების გამოყენების გასაჩივრების უფლების არსებობა.

<sup>358</sup> Condrion v. United Kingdom, No 35718/97, 2000 წლის 2 მაისი, პარა. 61.

<sup>359</sup> Aleksandr Zaichenko v. Russia, პარა. 52-56;

<sup>360</sup> Aleksandr Zaichenko v. Russia, პარა. 37, 40;

<sup>361</sup> Beckles v United Kingdom, No.44652/98, 2002 წლის 8 ოქტომბერი, პარა. 62-66;

<sup>362</sup> John Murray v The United Kingdom, პარა. 51.

<sup>363</sup> Gafgen v Germany, პარა. 165;



ევროპის სასამართლოს მიერ მე-6 მუხლთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, ის არ განასხვავებს დამნაშავეების და დანაშაულების ტიპებს.<sup>364</sup> როგორც წესი, ნებისმიერი განსხვავება ბრალდებულის საკეთილდღეოდ წყდება: მაგალითად, საქმეში “ილოჰი გერმანიის წინააღმდეგ”, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი სოციალური საჭიროება რაც გაამართლებდა ნარკომოვაჭრის (ილოჰის) მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების შეზღუდვას. მეორე მხრივ, საქმეში “ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ”, ევროპის სასამართლომ გაითვალისწინა დანაშაულის სიმძიმე და შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულის გასამართლების საჭარო ინტერესი, როდესაც შეაფასა მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულის დასაშვებობის საკითხი.<sup>365</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამ მიდგომით სასამართლომ გადაუხვია მე-6 მუხლის საფუძველზე დადგენილ დამნაშავეების და დანაშაულის განუსხვავებლობის სტანდარტს.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას ევროპის სასამართლო ასევე აფასებს აღნიშნული მტკიცებულების გავლენას ბრალდებულის მსჯავრდებაზე.<sup>366</sup>

საქმეში „ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული ჩანაწერის გაკეთება არღვევდა პირის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებას, რადგან აღნიშნული ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებდა. მართალია, მტკიცებულება გამოიყენეს პირის მსჯავრდებისას, მაგრამ ევროპის სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ ფარული ჩანაწერი არღვევდა პირის საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიას. შესაბამისად, სასამართლო დაეყრდნო თავად მე-6 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას და არა მე-8 მუხლის შელახვას პროცესის სამართლიანობის შეფასებისას.<sup>367</sup>

საქმეში „პ.გ. და ჯ.ჰ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები, როდესაც შეაფასა მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება:

1. აღნიშნული მტკიცებულება რამდენად იყო ერთადერთი, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო პირის მსჯავრდებისას;
2. ჰქონდა თუ არა ბრალდებულს შესაძლებლობა გაეპროტესტებინა მტკიცებულების ავთენტურობა; და ბოლოს -
3. სარგებლობდა თუ არა შიდა ინსტანციის მოსამართლე დისკრეტული უფლებამოსილებით თავად მიეღო გადაწყვეტილება აღნიშნული მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ.

კერძოდ, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ გაკეთებული ჩანაწერი არ იყო ერთადერთი მტკიცებულება. გამცხადებლებს ჰქონდათ არაერთი შესაძლებლობა

<sup>364</sup> Bykov v Russia, პარა.93.

<sup>365</sup> Heglás v. Czech Republic, პარა. 87, 91.

<sup>366</sup> Ana Maria Torres Chedraui, გვ. 229;

<sup>367</sup> Allan v. the United Kingdom, პარა. 51-52;

გაპროტესტებინათ ჩანაწერის ავთენტურობა და გამოყენების საკითხი. მათ გააპროტესტეს ჩანაწერის გამოყენების საკითხი მოსამართლის წინაშე,<sup>368</sup> რომელმაც იმსჯელა აღნიშნული შუამდგომლობის ირგვლივ და ჩათვალა, რომ მტკიცებულების დაშვება გავლენას არ მოახდენდა პროცესის სამართლიანობაზე. აღნიშნული პროცედურული გარანტიების განხილვის საფუძველზე, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა მე-6 მუხლის დარღვევას.<sup>369</sup>

საქმეში „შენკი შვეიცარიის წინააღმდეგ“, განმცხადებელმა წააქეზა ბ-ნი პაუტი თავისი ყოფილი მეუღლის მკვლელობაში. პაუტიმ გადაწყვიტა შენკის მხილება აღნიშნულ დანაშაულში და სამართალდამცავ ორგანოებს წარუდგინა მისი და შენკის საუბრის ჩანაწერი. ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ჩანაწერი არღვევდა შენკის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებას, თუმცა არ დაადგინა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, რადგან ბრალი გამყარებული იყო პაუტის და თავად შენკის ჩვენებებით.<sup>370</sup>

საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს საქმე „ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა ნარკომოვაჭრის მსჯავრდებას მხოლოდ ერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით: საუბრის ფარული ჩანაწერი, რომელიც შედგა ბ-ნ ხანსა და მის მეგობარს შორის (ჩანაწერის მოპოვება შესაძლებელი გახდა პოლიციის მიერ წინასწარ დამონტაჟებული მოწყობილობის საშუალებით). ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მტკიცებულების მოპოვება მოხდა მე-8 მუხლის დარღვევით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი განმცხადებლის წინააღმდეგ არსებულ ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა და შესაბამისად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირის მსჯავრდების კუთხით - მან არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა.<sup>371</sup> ამ საქმეში შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სასამართლომ მტკიცებულების „საიმედოობა“ შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით იყო მოპოვებული - რაც გარკვეულ წილად განსხვავდება სასამართლოს არსებული მიდგომებისგან, როდესაც საქმე ეხება პირის დუმილის უფლების დარღვევას.

რას შეეხება ბრალდებულების მიერ მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გაპროტესტებას, ევროპის სასამართლო აფასებს ამ უფლების ეფექტური განხორციელების არსებობის შესაძლებლობას: მაგალითად, საქმეში „ილოჰი გერმანიის წინააღმდეგ“ გულისამრევი საშუალების გამოყენება არ იყო აკრძალული გერმანიის კანონმდებლობით. შესაბამისად, ქვეყნის შიდა დონეზე განმცხადებლის მიერ ნაზო-გასტრული მილის მეშვეობით გულის ამრევი საშუალების მიღების იძულებით მიღებული ნარკოტიკული საშუალების მტკიცებულებად გამოყენების გაპროტესტება არ იყო ეფექტური.<sup>372</sup>

ასევე, ევროპის სასამართლომ საქმეში ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ

<sup>368</sup> განმცხადებელმა არ გააპროტესტეს ჩანაწერის ავთენტურობის საკითხი;

<sup>369</sup> PG. and J.H. v. The United Kingdom, პარა. 76-81;

<sup>370</sup> Schenk v. Switzerland, პარა. 48-49;

<sup>371</sup> Khan v. the United Kingdom, პარა. 37 – 38;

<sup>372</sup> alloh v. Germany, პარა. 107;

გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შესახებ აქტი არ განსაზღვრავდა თუ რა შემთხვევაში ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს უფლება განეხორციელებინად ფარული სატელეფონო ჩაწერა. ამასთანავე, აქტი არ ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ ჩანაწერის განხორციელებაზე ნებართვის გაცემას სამართალდამცავი ორგანოების დისკრეტული უფლებამოსილების კონტროლის მიზნით. შესაბამისად, ევროპის სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ შიდა ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული მტკიცებულების გაპროტესტება არაეფექტური იქნებოდა, რადგან მსგავსი სამძებრო ოპერაციის კანონიერების შეფასება არც კი დაექვემდებარებოდა განხილვას.<sup>373</sup>

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების მთლიანი პროცედურის სამართლიანობის შეფასებისას, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაცვის მხარის ინტერესების დაცვას. მოგვიანებით, ჩვენ ცალკე შევხებით დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებებს მტკიცებულებათა მოპოვების და გამჟღავნების კუთხით. ამ ეტაპზე შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ სასამართლო აფასებს იმას თუ რამდენად მიეცა საშუალება დაცვის მხარეს შეეფასებინა მტკიცებულების ავთენტურობა და საჭიროების შემთხვევაში წარმოედგინა საპასუხო პოზიცია და ა.შ.

### **ირიბი მტკიცებულების სტანდარტი**

ევროკონვენციის მე-6(3)(დ) მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მინიმუმ, აქვს უფლება დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები. აღნიშნული მუხლი დაცვას ანიჭებს უფლებას ზეპირ მოსმენაზე დაიბაროს მოწმე და მოახდინოს მისი ჭვარედინი დაკითხვა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკონვენცია მოიცავს *prima facie* აკრძალვას ბრალდების მიერ წარმოდგენილი ირიბი მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ. ევროპის სასამართლოს პრაქტიკა არ ტოვებს ასეთ ერთმნიშვნელოვან შთაბეჭდილებას მისი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

ბოლო დრომდე, ევროპის სასამართლო პრაქტიკაში წამყვან საქმეს წარმოადგენდა „ლუკა იტალიის წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, პირს მსჯავრი დაედო მეორე ბრალდებულის მიერ პოლიციისთვის და პროკურორისთვის მიცემული ჩვენების საფუძველზე. სასამართლოს აზრით დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან განმცხადებელს საშუალება არ მიეცა შეესწავლა (დაეკითხა) აღნიშნული მტკიცებულება (მოწმის ჩვენება), რომელიც ერთადერთი და გადამწყვეტი (ე.წ. *sole and decisive rule*) აღმოჩნდა საქმისთვის.<sup>374</sup>

რამოდენიმე წლის შემდეგ ევროპის სასამართლომ განიხილა საქმე „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში გაერთიანდა ორი განმცხადებლის აპლიკაცია: პირველი, ეხებოდა ექიმს (ალ-ხავაჯა), რომელიც გაასამართლეს მდედრობითი სქესის 2 პაციენტის მიმართ უხამსი ძალადობისთვის,

<sup>373</sup> Bykov v. Russia, პარა. 80;

<sup>374</sup> Luca v. Italy, 2002, პარა. 46;

ხოლო ტაჭერი განზრახ მძიმე სხეულის დაზიანების მიყენებისთვის. ევროპის სასამართლოს წინაშე ორივე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ეყრდნობოდა ნაფიცის მსაჯულების მიერ სასამართლოს მიღმა დაკითხული მოწმის ჩვენების გაზიარებას. აღნიშნული მოწმე საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპს არ დასწრება:

- ალ-ხავაჯას საქმეში მოწმე გახლდათ ვინმე “ST”- უშუალო მომჩივანი, რომელიც სხვა გარემოებების გამო საქმის არსებით განხილვამდე გარდაიცვალა. ბრალდებამ ორ ეპიზოდთან მიმართებაში წაუყენა ბრალი ექიმს და პირველ ეპიზოდს სწორედ აღნიშნული ჩვენება ამყარებდა.
- ტაჭერის საქმეში არსებული მოწმე “T” იყო უშუალო თვითმხილველი, რომელმაც მოსამართლის ნებართვის საფუძველზე ჩვენება მისცა ჩანაწერის ფორმით წინასწარი დაკითხვის საფუძველზე (*voire dire*), რადგან ეშინოდა ნაფიცის მსაჯულების წინაშე პირდაპირი წარდგენის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გაერთიანებული სამეფოს 2003 წლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტი იძლევა ირიბი მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობას პირის გარდაცვალების ან შიშის არსებობისას (ეს უკანასკნელი შესაძლებელია მოსამართლის თანხმობის საფუძველზე).

ორივე განმცხადებელი დაობდა იმის შესახებ რომ მოსამართლის მიერ ირიბი მტკიცებულების დაშვება არღვევდა ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს და მესამე პუნქტის “დ” ქვე-პუნქტს.<sup>375</sup>

ევროპის სასამართლომ დაასკვნა, რომ თუ არ არსებობს “სპეციალური გარემოებები” სახელმწიფოს პოზიციის გასამყარებლად, სასამართლო არ გაიზიარებს მოპასუხის (ანუ სახელმწიფოს) მიერ წარმოდგენილ “საპირწონე ფაქტორებს”<sup>376</sup> ირიბი ჩვენების მტკიცებულებად წარმოდგენის გამამართლებლად. სასამართლო ამ სტანდარტს განსაკუთრებით იყენებს იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ჩვენება წარმოადგენს ერთადერთ ან წამყვან მტკიცებულებას პირის მიმართ

<sup>375</sup> ირიბი მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა წარმოადგენს საერთო სამართლის სისტემის ნაწილს და ძირითადად მიზნად ისახავს მტკიცებულების სანდოობის უზრუნველყოფას/გამყარებას. დაპირისპირების უფლება, რომელიც გამოიხატება მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობაში წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების პროცედურულ გარანტიას, როგორც ამას ევროკონვენციის ტექსტი და სამოქალაქო სამართლის სისტემა მოწმობს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Eoin O’Connor, *The Right to Confrontation, Hearsay, and the European Court of Human Rights*, 14 U. C. Dublin L. Rev. 78, 2014, pp. 78 – 99;

<sup>376</sup> ალ-ხავაჯას შემთხვევაში, ST ჩვენების გამო ბრალდებული არ იყო იძულებული ჩვენება მიეცა, არ არსებობდა რაიმე ფაქტობრივი გარემოება რომელიც მიუთითებდა ST-ს, ექიმის მეორე მომჩივანს და ორ დამატებით მოწმეს შორის რაიმე წინასწარი შეთქმულების არსებობის შესახებ (ოთხივე მათგანის ჩვენება ეხებოდა მათ მსგავს გამოცდილებას ექიმთან მიმართებაში), მომჩივანთა და მოწმეთა ჩვენებების შეუთავსებლობის გადამოწმება შესაძლებელი გახლდათ დანარჩენი მოწმეების ჯვარედინი დაკითხვის საფუძველზე, დაცვის მხარეს მიეცა საშუალება რომ ST ჩვენების სანდოობა გაეპროტესტებინა საქმის განხილვისას, და ა.შ. ტაჭერის შემთხვევაში საპირწონე ფაქტორებზე წარმოდგენილი იქნა თავად ბრალდებულის (ევროპის სასამართლოს წინაშე განმცხადებლის) შესაძლებლობა გაეზიარებინა მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულება, ნაფიცის მსაჯულები წინასწარ გააფრთხილეს ირიბი მტკიცებულების მიმართ სიფრთხილის გამოჩენის შესახებ და შეახსენეს, რომ ბრალდებული არ იყო პასუხისმგებელი მოწმის შიშზე, და ა.შ.



მსჯავრდების დადების კუთხით.<sup>377</sup>

ევროპის სასამართლო “სპეციალურ გარემოებად”, მაგალითად, მიიჩნევს მოსამართლის რწმენას, რომ მოწმის მიერ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავება დაკავშირებულია დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ გამოწვეული შიშით.

ამ საქმიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მე-6 მუხლის დარღვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს თუ (ი) ბრალდება იყენებს არადაამსწრე მოწმის ჩვენებას, ან/და (იი) მოწმე ხელმისაწვდომია, მაგრამ სურს ჩვენება მისცეს ანონიმურად. შესაბამისად, ევროპის სასამართლომ ჩათვალა რომ მე-6 (3) (დ) გარანტირებული უფლებას “აბსოლუტური” ხასიათი აქვს.

მოგვიანებით, აღნიშნული საქმე გასაჩივრდა ევროპის სასამართლოს დიდი პალატის წინაშე რადგან გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება არ დაეთანხმა მე-6(3)(დ) მუხლის მკაცრ განმარტებას, რომელიც უფლების აბსოლუტურ ხასიათს ეყრდნობა. დიდ პალატას მოუწია ორი ცენტრალური საკითხის განხილვა:

**არის თუ არა ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების სტანდარტი აბსოლუტური აკრძალვის ტოლფასი.**<sup>378</sup> დიდმა პალატამ აქამდე გამოყენებული მკაცრი ფორმულირებისგან განსხვავებით განაცხადა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიძლება დაირღვას, როდესაც განმცხადებელს საშუალება არ მიეცა შეესწავლა საქმეში არსებული ერთადერთი ან გადამწყვეტი (ე.წ. sole and decisive rule) მტკიცებულება.<sup>379</sup> ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა მოწმის ჩვენებას.

შესაბამისად, დიდი პალატის მიერ შემოთავაზებული შერბილებული ფორმულირების თანახმად, ირიბი მტკიცებულების გამოყენება ავტომატურად მე-6(1) მუხლის დარღვევად არ ჩაითვლება.<sup>380</sup>

ამავე საქმეში, ევროპის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, მტკიცებულება “გადამწყვეტია” თუ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი გავლენა შეუძლია იქონიოს საქმის საბოლოო შედეგზე.<sup>381</sup> ყოველივე ეს კი შეფასების საგანია და დამოკიდებული იქნება საქმეში არსებულ გარემოებებზე.

**რამდენად არსებობდა კარგი მიზეზი, რომელიც გაამართლებდა მოწმის გამოცხადებლობას სასამართლო სხდომაზე:** ევროპის სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა მე-6(1) და 3(დ) მუხლის დარღვევა, როდესაც მოწმის ჩვენება არ წარმოადგენდა ერთადერთ ან გადამწყვეტ მტკიცებულებას, მაგრამ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს

<sup>377</sup> Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom, No. 26766/05, 2009 წლის 20 იანვარი, პარა. 37;

<sup>378</sup> იხილეთ ზემოთ განხილვა საქმის ლუკა იტალიის წინააღმდეგ;

<sup>379</sup> Al-Khawaja and Tahery v United Kingdom, Nos. 26766/05 and 22228/06, 2011 წლის 15 დეკემბერი, პარა. 119;

<sup>380</sup> იხილეთ მოსამართლე შაიოს და კარაკასის განხვავებული აზრი

<sup>381</sup> Bas De Wilde, A Fundamental Review of the ECHR right to examine witnesses in criminal cases, 17, Int’l J. Evidence & Proof 157, 2013, pp. 162-163;

კარგი მიზეზი მოწმის გამოუცხადებლობის გასამართლებლად.<sup>382</sup>

ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც პირის გარდაცვალების ფაქტი (ალ-ხავატას მოწმის შემთხვევა), ასევე მოწმის შიშის ფაქტორი (ტაჰერის მოწმის შემთხვევა). ევროპის სასამართლომ მსჯელობისას განიხილა:

- შიშის ფაქტორი, რომელიც განპირობებულია/დაკავშირებულია დაცვის ქვეშ მყოფი პირის /პირთან ან მის სახელით მოქმედი პირების მიერ/პირებთან: ევროპის სასამართლო მიიჩნევს რომ მსგავს შემთხვევებში დასაშვებია მოწმის ჩვენება წარმოდგენილ იქნას სასამართლო სხდომაზე უშუალო დაკითხვის გარეშე. მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ მოწმის ჩვენება არის ერთადერთი ან გადამწყვეტი.
- შიშის ფაქტორი, რომელიც უფრო ზოგადია და დაკავშირებულია მოწმის აღქმასთან თუ რა მოხდება მას შემდეგ, რაც ის ჩვენებას მისცემს სასამართლოზე: ევროპის სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს რომ ზოგადი ხასიათის შიში უფრო ხშირია და მას დაცვის ქვეშ მყოფი პირის ან მისი თანამზრახველების ცნობადობა განაპირობებს.<sup>383</sup> სასამართლოს აზრით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოსამართლემ უნდა შეაფასოს თუ რამდენად არსებობს შიშის არსებობის ობიექტური გარემოებები და რამდენად გამყარებულია ეს გარემოებები მტკიცებულებით.

აღნიშნული საკითხის შეჭამებისას, დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოწმის ჩვენების ჩანაწერის გამოყენება საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა წარმოადგენდეს ბოლო ზომას: სასამართლო უნდა დარწმუნდეს რომ ყველა შესაძლოა ალტერნატიული დაცვის საშუალების გამოყენება შეუძლებელია.<sup>384</sup>

ალ-ხავატას და ტაჰერის საქმის შემდგომი პრაქტიკა ცხადყოფს ევროპის სასამართლოს მიერ ახალი მიდგომის გამოყენებას: საქმეში „კარპენკო რუსეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა სასამართლოზე ორი მოწმის ჩვენების ჩანაწერის გამოყენების გამო, რადგან მათი ჩვენებები არ იყო არსებითი ბრალის დასადაგენად;<sup>385</sup> ასევე იხილეთ „გაბრიელანი სომხეთის წინააღმდეგ“.<sup>386</sup>

### **მტკიცებულების გამჟღავნების/გაცვლის ვალდებულება**

პროცესის მხარის მიერ მტკიცებულების გამჟღავნების ვალდებულების მოთხოვნა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას შესაძლოა აღნიშნულ უფლებას დაუპირისპირდეს განსხვავებული ინტერესის დაცვის საჭიროება, როგორც არის ეროვნული უსაფრთხოება, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული საგამოძიებო მეთოდების

<sup>382</sup> Lüdi v. Switzerland, 15 June 1992, Series A no. 238; Mild and Virtanen v. Finland, no. 39481198 and 40227198, 26 July 2005; Bonev v. Bulgaria, no. 60018100, 8 June 2006; Pello v. Estonia, no. 11423/03, 12 April. 2007) - თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დიდი პალატის მიერ ციტირებული ეს საქმეები ნამდვილად არ აყალიბებს ასეთ წესს ერთმნიშვნელოვნად: მაგალითად, პირველ სამ საქმეში, მოწმის ჩვენებები მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ბონევის საქმეში არსებული ორი მოწმი ჩვენება გადაწყვეტი იყო ბრალდებულის მსჯავრდებისას;

<sup>383</sup> Dzelili v. Germany, no. 15065/05, 2009 წლის 29 სექტემბერი;

<sup>384</sup> Al-Khawaja and Tahery v United Kingdom, პარა. 120-125.

<sup>385</sup> Karpenko v. Russia, No. 5604/04, 2012 წლის მარტის გადაწყვეტილება;

<sup>386</sup> Gabrielyan v Armenia, No. 8088/05, 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება;

გაუმჟღავნებლობის ვალდებულება ან მესამე პირთა ინტერესების დაცვა (მაგ. საფრთხის ქვეს მყოფი მოწმის დაცვა).

მაგალითად, საქმეში „დოუსეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ბრალდებას საჯარო ინტერესებზე დაყრდნობით გადაწყვიტა საქმეში არსებული გარკვეული მტკიცებულების გაუმჟღავნებლობა.<sup>387</sup> ევროპის სასამართლომ აღიარა, რომ ისეთი გარემოებების არსებობისას, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება, მოწმის დაცვა, პოლიციის გამოძიების მეთოდების საიდუმლოდ შენახვა და სხვა, სახელმწიფო ორგანოებმა შესაძლოა არ გაუზიარონ დაცვის მხარეს მათ ხელთ არსებული მტკიცებულება. ასეთ ვითარებაში, სახელმწიფოს უწევს დაცვის მხარის უფლების შეზღუდვის აუცილებლობის დასაბუთება. ამასთანავე, უფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს სასამართლო ორგანოების მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე. შესაბამისად, ევროპის სასამართლომ მიიჩნია, რომ პროცედურა, რომლის თანახმად, პროკურატურამ ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულების გაუმჟღავნებლობის შესახებ არღვევდა პირის მე-6(1) მუხლით გარანტირებულ უფლებას.

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ევროპის სასამართლო საქმეში „როვი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.<sup>388</sup> აღნიშნული საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ საიდუმლო მასალების განხილვას და მათი დასაშვებობის შეფასებას, რომელიც ბრალდებას არ გაუზიარა დაცვის მხარეს. ევროპის სასამართლომ სახელმწიფოს დაუდგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით:

- სააპელაციო სასამართლოს ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა უშუალო წვდომა სადაო მტკიცებულებაზე: მას მოუწია შეფასების გაკეთება პირველი ინსტანციის სასამართლოს ტრანსკრიპტის და ბრალდების მიერ გაზიარებული ინფორმაციის (მონაყოლის) საფუძველზე.
- სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო, ჩაენაცვლებინა პირველი ინსტანციის მოსამართლე, რომელიც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე უკეთ შეაფასებდა სადაო მტკიცებულების მნიშვნელობას, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

შესაბამისად, ევროპის სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოში წარმართული მსჯელობა არ გახლდათ განმცხადებლების ინტერესების დაცვის საკმარისი გარანტია და დაირღვა მათი სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საქმეში „მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ იმსჯელა მირილაშვილის წინააღმდეგ მტკიცებულების მოპოვების და გამოყენების საკითხზე. მტკიცებულების მოპოვებასთან მიმართებაში, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ:

- ჩვენებების მოპოვება გამოძიების ეტაპზე არ მოდის პირდაპირ წინააღმდეგობაში ევროკონვენციის მე-(6)(3)(ბ) მუხლთან, თუ დაცვის

<sup>387</sup> Dowsett v. the United Kingdom, no 39482/98, 2003 წლის 24 ივნისი, პარა. 44;

<sup>388</sup> Rowe and Davis v. the United Kingdom, no. 28901/95, 2000 წლის 16 თებერვალი, პარა. 63-66;

უფლება უზრუნველყოფილია. კერძოდ, დაცვის მხარეს საშუალება უნდა მიეცეს გააპროტესტოს და დაკითხოს მოწმე მაშინ, როდესაც მოწმე იძლევა ჩვენებას ან/და მოგვიანებით გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე.

- თუ მოწმე არ არის ხელმისაწვდომი, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ გონივრული ძალისხმევა მოწმის უზრუნველსაყოფად/წარმოსადგენად.

რაც შეეხება მტკიცებულების გაუმჟღავნებლობას, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის საიდუმლო ოპერაციის შესახებ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა დასაშვებია მე-6 მუხლთან მიმართებაში. როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ორგანოების მსგავსი ქმედება უნდა დაბალანსდეს ადეკვატური პროცედურული გარანტიებით: აღნიშნულ საქმეში, სადაო მტკიცებულებას წარმოადგენდა მირილაშვილის მოსმენის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც დაექვემდებარა მოსამართლის შეფასებას. შესაბამისად, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურის მიერ არ იქნა მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილება (პოლიციის საიდუმლო) ოპერაციის დეტალების გაუმჟღავნებლობის შესახებ.

ტესტის მეორე ნაწილის თანახმად, ევროპის სასამართლო აფასებს საჯარო ინტერესს პირის ინდივიდუალურ უფლებასთან მიმართებაში (მაგ. მტკიცებულების გამჟღავნება რა საჯარო ინტერესს დააზიანებდა): აღმოჩნდა, რომ რუსეთის შიდა ინსტანციის სასამართლომ ბლანკეტური გადაწყვეტილება მიიღო და არ უმსჯელია შეზღუდვის შინაარსზე. ამასთანავე, რუსეთის ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შესახებ აქტი პირდაპირ კრძალავდა პოლიციის საიდუმლო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას; შესაბამისად, შიდა სასამართლოს აქტი არ აძლევდა საკითხის არსებითი განხილვის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების საფუძველზე ამოღებული მტკიცებულების გაუზიარებლობის შესახებ მოპასუხე სახელმწიფოს ორგანოების გადაწყვეტილებას არ იყო დაბალანსებული შესაბამისი პროცედურული გარანტიებით და ამავე დროს, არ იყო გამართლებული; ევროპის სასამართლომ მოგვიანებით აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინა პროცესის სამართლიანობის შეფასებისას.<sup>389</sup>

ევროპის სასამართლოს პრეტიკა ცხადყოფს, რომ ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება დაცვის მხარის უფლების შეზღუდვის აუცილებლობა.<sup>390</sup> ამავე დროს, დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლების შეზღუდვის საპირწონედ, პროცესის ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნას ადეკვატური პროცედურული გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის ინტერესების დაცვას.<sup>391</sup> სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ეს მიდგომა გამომდინარეობს კანონიერების და დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის განმტკიცების პრინციპებიდან, რომლის თანახმად, პირის ფუნდამენტურ უფლებაზე

<sup>389</sup> Mirilashvili v. Russia, no. 6293/24, 2008 წლის 11 დეკემბერი, პარა. 200 – 209.

<sup>390</sup> Van Mechelen and Others v. the Netherlands, პარა. 58;

<sup>391</sup> Edwards and Lewis v. the United Kingdom.



(ამ შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლება) გავლენის მქონე ნებისმიერი ზომა უნდა შეიქმნას “კანონის ძალით” და უნდა იყოს დასახული მიზნის “შესაბამისი”.<sup>392</sup>

#### **9.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე**

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ არაერთმა მსჯავრდებულმა მიმართა საჩივართ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას მათ მიმართ გამოტანილი განაჩენების ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის მოთხოვნით. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ საჩივრების უმეტესი ნაწილი დაუშვებლად ცნო და წარმოებაში არ მიიღო, თუმცა კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელთა გამოტანისას სასამართლომ იხელძღვანელა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქმეში N58აგ-15 განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ირიბ ჩვენებებთან მიმართებით მიღებულია 2015 წლის 22 იანვარს. ამ დროისთვის გ.ი ე-ის მიმართ გამოტანილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 19 ნოემბრის განაჩენი დაცვის მხარეს გასაჩივრებული ჰქონდა საკასაციო სასამართლოში, რომლითაც ითხოვდა მის გამართლებას. ამდენად, ვინაიდან ამ დროისათვის უკვე არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2015 წლის 24 აპრილს საჩივრის დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლო **მტკიცებულებათა** საკმარისობის, მათ შორის - **ირიბი** ჩვენებების გამოყენების საკითხის (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კონტექსტში) შეფასებისა და მისი გათვალისწინების გარეშე საკასაციო საჩივარს დაუშვებლად ვერ ცნობდა.<sup>393</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის N225/აპ-15 განაჩენში კი სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად მიიჩნია, რომ უშუალოდ დ. კ-ს მიერ ქრთამის შესაძლო მოთხოვნისა და მიღების თობაზე მიუთითებდა მხოლოდ მოწმეების - ნ. დ-სა და ი. ი.-ს ჩვენებები, რაც არ იყო საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. უზენაესმა სასამართლომ არგუმენტად მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/548 გადაწყვეტილებაზე და განმარტა: „ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს, ასეთი ჩვენება საფუძვლად არ უნდა დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.”

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ დეტალურად განიხილა ცალკეული მტკიცებულება და ზოგიერთ შემთხვევაში მიიჩნია, რომ მტკიცებულება წარმოადგენდა ირიბ

<sup>392</sup> Moiseyev v. Russia, პარა. 216;

<sup>393</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 ნოემბრის N58 აგ-15 განჩინება.

ჩვენებს, რაზეც არ შეიძლება დაყრდნობოდა გამამტყუნებელი განაჩენი. კერძოდ:

- განაჩენის მიხედვით ნ. დ-მა მხოლოდ ი. ი-გან გადმოცემით იცოდა ამ შეხვედრის თაობაზე, რაც იმას ნიშნავდა, პალატის აზრით, რომ ამ შემთხვევაში ნ. დ-ს ჩვენება წარმოადგენდა მოწმის ირიბ ჩვენებას.
- ანალოგიური ვითარებაა ი. ი.-ს ჩვენების იმ ნაწილთან დაკავშირებით, სადაც იგი მიუთითებს, რომ მან ერთ-ერთი მორიგი შეხვედრისას გაორმაგებული თანხა შესთავაზა ქრთამის სახით დ. კ-ს. ვინაიდან ამ შეხვედრასაც, არ დასწრებია და ნ. დ-მა ამ შეხვედრის თაობაზეც მხოლოდ ი. ი-სგან გადმოცემით იცის. შესაბამისად, ნ. დ-ს ჩვენება წარმოადგენდა მოწმის ირიბ ჩვენებას.
- პალატამ ირიბად მიიჩნია ასევე ნ.დ.-სა და ი. ი-ს ჩვენებების ის ნაწილი, რომელშიც ისინი განმარტავდნენ, რომ თანხების გაზრდა ხდებოდა დ. კ-ს მოთხოვნით, ვინაიდან ასეთის შემსწრე და თვითმიხილველები თვითონ არ ყოფილან და ეს ფაქტი მათთვის ცნობილია მ. ჯ-სგან (რომელიც არ არის დაკითხული).”

ამავე განჩინებაში საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული მოწმის ჩვენების სარწმუნოობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ არასარწმუნოდ ჩათვალა მოწმეების - მ. ბ-ს, მ. გ-ს, თ. ფ-ს ჩვენებები, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, მოწმეები ვერ უთითებდნენ ინფორმაციის წყაროს და დასკვნებს მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე აკეთებდნენ.

ა.ბ.-ს მიმართ, 2015 წლის 15 ივნისს გამოტანილ გამამართლებელ განაჩენში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ეფუძნება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპებზე, რაც ვლინდება მხარეთა მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესშიც.<sup>394</sup> სასამართლომ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით აღნიშნა, რომ საქმეში არსებული ერთ-ერთი მოწმის ჩვენება არსებითი იყო ა. ბ-ს მსჯავრდების საკითხის გადასაწყვეტად და სააპელაციო სასამართლოს განაჩენიც მეტწილად მის ჩვენებას ეფუძნებოდა, ხოლო დაცვის მხარეს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს არ ჰქონია ამ მოწმის დაკითხვის/ გამოკითხვის და ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური და ჯეროვანი შესაძლებლობა. მაშინ, როცა დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებს შეეძლო არა მხოლოდ მოწმეთა სანდოობის შეფასებაზე მოეხდინა გავლენა, არამედ ნათელი მოეფინა ისეთი გარემოებებისთვის, რომლებიც რელევანტური იქნებოდა წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ განაჩენის ისეთ მტკიცებულებაზე დაფუძნება, რომელიც არ გამოკვლეულა სასამართლოში დაცვის მხარის მონაწილეობით, უკანონო იყო.

საქმეში ო.თ.-ს მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2014 წლის 13 იანვრის საგნის

<sup>394</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 15 ივნისის N510აპ-14 განაჩენი.

(ელექტროსადენი) ამოცნობა ჩატარდა კანონის დარღვევით ვინაიდან, საგნის ამოცნობისას არსებითად დაირღვა სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, ამომცნობისათვის ამოსაცნობი ობიექტის არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად წარდგენის თაობაზე. კერძოდ: თ.კ.-ს შავი ფერის ელექტროსადენთან, შესადუღებელი ჩარხის დგარსა და აპარატზე დასამაგრებელ ალუმინის დგართან ერთად ამოსაცნობად წარედგინა მისგან ფერით განსხვავებული - თეთრი და ყვითელი ელექტროსადენები, მხოლოდ შესადუღებელი დგარით, იმ პირობებში, როდესაც შავი ფერის ელექტროსადენს ასევე ჰქონდა აპარატზე დასამაგრებელი ალუმინის დგარი. სისხლის სამართლის პალატამ ასეთი ფორმით ჩატარებულ ამოცნობაზე განმარტა, რომ „ამოსაცნობად წარდგენილი ნივთები ვერ მიიჩნევა ერთგვაროვან საგნებად, ვინაიდან ამომცნობის განმარტებით, მოპარეს შავი ფერის ელექტროსადენი, ხოლო წარდგენილ ამოსაცნობ ობიექტებს შორის მხოლოდ ერთი იყო შავი ფერის, დანარჩენი ორი კი მისგან მკვეთრად განსხვავებული - თეთრი და ყვითელი. ამასთან, ამომცნობს არ მიუთითებია ამოსაცნობი საგნის ისეთ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც მის იდენტიფიკაციას დამაჯერებელს გახდიდა” სასამართლო მსჯელობისას ასევე ყურადღება გაამახვილა საგნის ნიშანთვისებებზე და დამატებით მიუთითა „რომ მოცემულ შემთხვევაში ნივთის ამოცნობა მხოლოდ ფერით, სიგრძით, ხელმოსაჭიდი დგარითა და სპილენძის მრავალწვერიანი გამტარით არ მიუთითებს მისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც გამოარჩევს მას სხვა ასეთივე ელექტროსადენებისაგან, როგორც არაერთი არსებობს.” ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო მოქმედება - ნივთის ამოცნობა ჩატარებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რის გამოც შეუძლებელი იყო უტყუარად დადგენილიყო, ამოცნობილი ელექტროსადენი ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა დაზარალებულ ორგანიზაციას. საბოლოოდ კი, ვინაიდან ეს მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს, ჩათვალა, რომ იგი ვერ დაედებოდა საფუძვლად სასამართლოს განაჩენს.

**საკასაციო პალატამ 2013 წელის 28 ივნისის №40აპ-15 განაჩენში იმსჯელა პროკურორის მხრიდან გამომძიებლისადმი დავალების თაობაზე და განმარტა, რომ „ამ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად არ ითხოვს პროკურორის წერილობით დავალებას და მსგავს სიტუაციებში საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის სიტყვიერი დავალების საფუძველზე იმ გამომძიებლის მიერ, რომელიც უშუალოდ არ იძიებდა საქმეს, მოპოვებული მტკიცებულებები არ წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას”.<sup>395</sup>**

მსჯავრდებულ მ.გ სისხლის სამართლის საქმეზე კასატორი ითხოვდა გამამართლებელ განაჩენის გამოტანას და სხვა დარღვევებთან ერთად უთითებდა, რომ საქმეზე დარღვეული იქნა მტკიცებულებების მოპოვების სტანდარტი ვინაიდან. მსჯავრდებული მ.გ-ს დაკავება მოხდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო საქმეზე

<sup>395</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წელის 28 ივნისის №40აპ-13 განაჩენი

ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი ერთჯერადი მოხმარების შპრიცი, მასში მოთავსებული სითხით, ამოღებულ იქნა მ. გ-ის ადმინისტრაციული წესით დაკავებისას, ადმინისტრაციული გასინჯვის გზით. შესაბამისად, დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ მთავარი მტკიცებულება არ ყოფილა მოპოვებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამ საკითხზე მსჯელობისას სასამართლო მწირი დასაბუთებით შემოიფარგლა და განმარტა, რომ „კასატორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისას არსებითად დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები, საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.“<sup>396</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო საჩივრით მიმართა დაცვის მხარემ და მოითხოვა სასამართლოს მხრიდან არ ყოფილიყო გაზიარებული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და მოწმის სახით დაკითხული ექსპერტ ა. მ-ს ჩვენება, რადგან დაცვის მხარეს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით გადაეცათ დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და თავად ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა. კასატორის განცხადებით, დადგენილება ფონოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე დაცვის მხარეს გადაეცა წინასამართლოს სხდომამდე 4 დღით ადრე, მაშ შემდეგ რაც მხარეებმა გაცვალეს მტკიცებულებები, ხოლო ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნა - საქმის არსებითი განხილვის დროს. აღნიშნულით კი დარღვეულ იქნა მათი დაცვის უფლება. ამ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, საქმის არსებითი განხილვის დროს მხარემ წარადგინოს დამატებითი მტკიცებულება. მხარის შუამდგომლობით სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე. საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ „მართალია, მხარეების მიერ მტკიცებულებითი მნიშვნელობის ინფორმაციის გაცვლის შემდეგ მხარეების მიერ ახალი დამატებითი მტკიცებულების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში ამ საპროცესო დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების, მხარისათვის გადაცემის საკითხს საქმის არსებითი განხილვის სხდომამდე საპროცესო კანონმდებლობა არ აწესრიგებს, მაგრამ პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის უფლება არ დარღვეულა, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იყო მისი დაცვის უფლებისთვის იმ საპროცესო გარანტიით, რომ გასცნობოდა ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებას, ხოლო შემდეგ, საქმის არსებითი განხილვის დროს, მის საფუძველზე მიღებულ ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნას და გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით“.<sup>397</sup>

<sup>396</sup>

**WORD-ში აქ ტექსტი აკლია**

<sup>397</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის N494აპ-14 განაჩენი.



ამავე განაჩენში, საკასაციო სასამართლო თავისი განმარტების გასამტკიცებლად მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსპრაქტიკა, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ: „აღნიშნულ საკითხთან მიმართებით იგივე პოზიცია აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეზე მ-ი რუსეთის წინააღმდეგ (Mirilashvili v. Russia). ამ გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაცვის უფლების შეზღუდვას აქვს ლეგიტიმური მიზანი, შემდგომ განხილულ უნდა იქნეს ის საკითხი, იყო თუ არა ამ უფლების შეზღუდვა დაბალანსებული სხვა საპროცესო გარანტიებით, რაც მოცემულ შემთხვევაში დაბალანსებულ იქნა.<sup>398</sup>

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ვინაიდან დაცვის მხარეს მის სასარგებლოდ ბრალდების მხარემ გადასცა დადგენილება და ექსპერტიზის დასკვნა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა. აღნიშნული ვერ ჩაითვლება იმ აბსოლუტურ დარღვევად, რაც სასამართლოს არ მისცემს შესაძლებლობას, მტკიცებულებებზე გამოიყენოს აღნიშნული ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და მოწმე-ექსპერტის ა. მ.-ს ჩვენება.

ი.გ.-ს ბრალდების საქმეზე 2013 წლის 11 ნოემბერს გამოტანილ განაჩენში საკასაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტად მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ ი.გ.-ის მიმართ საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2011 წლის 27 დეკემბერს, ხოლო მოწმე ხ. მ-ი გამოძიების პროცესში გამოყოფილ საქმეზე დაიკითხა 2012 წლის 7 თებერვალს - საქმის არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ. საკითხზე მსჯელობისას პალატა განმარტავს. რომ საქართველოს სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მითითება დამატებითი მტკიცებულების მიღებისას სსსკ-ის 239-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ.

ამავე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულ ი.გ.-ის ადვოკატს სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებები გადაეცა 2011 წლის 20 დეკემბერს, როცა წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2012 წლის 12 იანვარს. ამის შემდეგ, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და დაცვის მხარის თანხმობით, წინასასამართლო სხდომის თარიღი შეიცვალა 2011 წლის 23 დეკემბრით. შესაბამისად, დაცვის მხარეს მტკიცებულებები გადაეცა კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ხოლო ის გარემოება, რომ დაცვის მხარის თანხმობით წინასასამართლო სხდომა გაიმართა ამ მტკიცებულებების გადაცემიდან 5 დღეზე ადრე, არ წარმოადგენს მათი დაუშვებლობის საფუძველს.<sup>399</sup>

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მიხედვით,** „თუ ბრალდებული წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მოხდეს მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჭაროდ წაკითხვა, აგრეთვე განხორციელდეს ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეორჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება), ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად

<sup>398</sup> იქვე.

<sup>399</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის N106<sup>ა</sup>-13 განაჩენი.

გამოყენება დაუშვებელია. უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.”

აღნიშნული არგუმენტი გამყარებული იქნა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 19 აპრილის განაჩენით, რომლის თანახმადაც, სასამართლომ განმარტა, რომ „მართალია, დაცვის მხარემ სადაოდ არ გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, მაგრამ სასამართლოს დასკვნით სააპელაციო სასამართლოს განაჩენში საერთოდ არ უნდა ემსჯელა და შეეფასებინა (ბრალდებულის) გ. გ-ს მიერ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენება და წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულის განმარტება, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს სრულად ცნობდა დამნაშავედ, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გ.გ-ა დაიკითხა მოწმის სახით და მან თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში”.<sup>400</sup>

საპროცესო კოდექსის თანახმად, თანასწორობისა და შეჭიბრობითობის პრინციპი სრულად მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და გრძელდება საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე. სწორედ აღნიშნული უფლების რელიზაციის აუცილებლობაზე მიუთითა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავის 2015 წლის 29 ივნისის განაჩენში. კერძოდ:

- დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა ბრალდების მხარეს გადასცა მოქალაქეების - ბ. ბ-ის, დ. ბ-ის, რ. წ-ის, ლ. ჭ-ის, ლ. კ-ის, ლ. კ-ისა და ნ. გ-ის გამოკითხვის ოქმები, ასევე ვიდეომასალები თანდართული ტექსტებით.
- აღნიშნული მტკიცებულებები 2013 წლის 8 ნოემბერს განცხადებით, წარედგინა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს;
- ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის ზემოაღნიშნული ყველა მტკიცებულება დასაშვებად ცნო.
- სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოქალაქეთა გამოკითხვის ოქმები დასაშვებად იქნა ცნობილი, არსებითად განმხილველმა მოსამართლემ უარი თქვა მათ დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა არ გადასცა სრული ინფორმაცია მტკიცებულებების თაობაზე, რომელთა წარდგენასაც სასამართლოში აპირებდა, კერძოდ, სასამართლოში დასაკითხ პირთა ნუსხა. ამასთან, ზუგდიდის რაიონულის სასამართლოს მოსამართლე მიიჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ მხოლოდ გამოკითხვის ოქმების გადაცემა მოწინააღმდეგე მხარისათვის თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მხარე მათ დაკითხვას ითხოვს საქმის არსებითად განხილვისას;

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვაზე

<sup>400</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 19 აპრილის N279აპ-14 განაჩენი.

უარის თქმის შესახებ და საბოლოოდ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

სადაო საკითხზე მსჯელობისას საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთივე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვს ბრალდების მოწმეებს. სასამართლო ასევე მიუთითა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (d) პუნქტზე კერძოდ, „**ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში** და აღნიშნული უფლება წარმოადგენს მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჭიბვებითი პროცესის მნიშვნელოვან გარანტიას”.<sup>401</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი და მასში მოხსენიებული ტერმინი - „სრული ინფორმაცია“, რომლის ერთმანეთისთვის მიწოდების ვალდებულება აქვთ მხარეებს. სასამართლოს განცხადებით, “სრულ ინფორმაციაში” მოიაზრება ყველა ის ინფორმაცია (მტკიცებულება), რომელიც მხარეებს ხელთ აქვთ და მის სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ, ასევე, ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან, რის გამოც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილება ამ საკითხზე არამართებულია.”<sup>402</sup>

ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ „მხარის მიერ მოწმის გამოკითხვის ოქმის მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემა, ამ დოკუმენტის გაცვლის თაობაზე ოქმის შედგენა და სასამართლოსათვის წარდგენა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს, რომ მხარეს სურს აღნიშნული პირის (პირების) მოწმის სახით დაკითხვა, ვინაიდან გამოკითხვის ოქმს, დამოუკიდებლად აღებულს, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია და დაცვის მხარის მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ყველა საპროცესო მოქმედება ამ შემთხვევაში ყოველგვარ აზრს დაკარგავს”.<sup>403</sup>

საკასაციო პალატა ამავე საქმეში მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სადაო საკითხის ერთ-ერთ მთავარ ასპექტზე და აღნიშნა, რომ - „მოცემულ შემთხვევაში, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ გ.ლ.-ას სისხლის სამართლის საქმეზე დაამტკიცა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნუსხა, მათ შორის - მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, დაცვის მხარეს წარმოეშვა მათი არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლევის - დაკითხვის

<sup>401</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის N 526 აპ-14 განაჩენი გვ. 8

<sup>402</sup> იქვე, გვ. 9

<sup>403</sup> იქვე, გვ. 11

უფლება, ხოლო საქმის არსებითი განხილვისას ქვედგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმით, არალეგიტიმურად შეიზღუდა დაცვის მხარის უფლება, მისი მოწმეების ისეთსავე პირობებში დაკითხვის თაობაზე, როგორც ჰქონდა მოწინააღმდეგე - ბრალდების მხარეს.<sup>404</sup>

ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ საქმე განსახილველად დაუბრუნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოთ, იმ მოტივით, რომ “საკასაციო პალატას არ გააჩნია აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისა და დაცვის მხარის უფლებების აღდგენის - მოწმეთა დაკითხვის სამართლებრივი მექანიზმი”.

### **9.5. სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე**

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2015 წლის 22 თებერვლის კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად<sup>405</sup> მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიებში გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის განჩინებები მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების განჩინებები პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასების ნაწილში და გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია და ნორმის ცალკეული განმარტება, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინებაში საქმეზე Nსგ-1310-15, გაიზიარა რა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის პოზიცია, დაუშვებლად მიიჩნია უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, ვინაიდან ის არ იყო ლეგალიზებული კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ, მიუხედავად იმისა რომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტი თარგმნილი იყო სამართალწარმოების ენაზე და თარგმანის სიზუსტე დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ, მიიჩნია რომ ფაქტობრივად უცნობი იყო ამ დოკუმენტის წარმომავლობა.<sup>406</sup>

დოკუმენტის თარგმანთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ N1გ/1721-15 საქმეზე. მოსამართლემ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინება უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტების დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა ამ დოკუმენტების თარგმანთან გაგზავნის ფაქტი, წინასასამართლო სხდომაზე ერთი თვით ადრე.

<sup>404</sup> იქვე, გვ. 12

<sup>405</sup> საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ”, მიღებულია 19.02.2015, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2742406NDOCUMENT:1;>>, [ბოლოს ნანახია 2016 წლის 20 ივნისი]

<sup>406</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 სექტემბრის განჩინება საქმეზე Nსგ-1310, გვ. 2



მოსამართლის განმარტებით, ბრალდების მხარე ვალდებული იყო წინასასამართლო სხდომაზე ემტკიცებინა დოკუმენტის წარმომავლობა და ავთენტურობა, ამ შემთხვევაში კი არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი დოკუმენტების ავთენტიკურობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტების შინაარსი გაურკვეველია და უცნობია ამ დოკუმენტებში მითითებული ფაქტები და გარემოებები არის თუ არა შემხებლობაში მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.<sup>407</sup>

საქმეებში N1/გ-911 და N1/გ-707 ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააკეთა განმარტება დოკუმენტთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს, იმას, რომ ცნობილია მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, შემდგენელი პირი, მასში ცვლილებების შეტანის საფუძველი და თარიღი, მასში ასახული ინფორმაციის საფუძველი და სხვა გარემოება, რომელიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე. დოკუმენტი ნამდვილია, თუ ის არ არის სახეშეცვლილი, მოდიფიცირებული და მასზე აღბეჭდილი ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის მითითებულ პირს, ხოლო დოკუმენტი ავთენტიკურია თუ შეიცავს შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისათვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს: მითითებას გამცემი ორგანოს შესახებ, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას, ორგანიზაციის შტამპს/ბეჭედს, სარეგისტრაციო ნომერს და ა.შ.<sup>408</sup>

დოკუმენტის ავთენტიკურობაზე მსჯელობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 1/გ-257 საქმეზე, რა დროსაც მან ავთენტურად ცნო ბრალდებულის დახასიათება, როგორც დოკუმენტი იმ მოტივით, რომ დახასიათებაზე ხელმოწერა პირთა გარკვეული ნაწილი შეტანილია დასაკითხ პირთა სიაში, ასევე დახასიათებაში მითითებულია ხელმოწერა პირთა საცხოვრებელი ადგილი, გარკვევითაა მითითებული მათი სახელები და გვარები და პირადობის მოწმობები ნომრები, რაც სასამართლოს განმარტებით ერთობლიობაში ასაბუთებს დოკუმენტის ავთენტურობას.<sup>409</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე არ შეიცავს არც საქმის ფაქტობრივი გარემოებებისათვის და არც სამართლებრივი გარემოებების დადგენისათვის საჭირო ცნობებს, ამდენად იგი არ არის წერილობითი მტკიცებულება და მისი დაუშვებლად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ მისი მიღების წესის დარღვევის შემთხვევაში და არა მტკიცებულებათა გაცვლის წესების დარღვევისას“.<sup>410</sup> ასევე, სასამართლომ საქმეებში Nსგ-1164, N1გ/1019, N1გ-760 და N1გ-720 მიიჩნია, რომ გამოკითხვის ოქმი არ წარმოადგენს მტკიცებულებას, მას არ აქვს სამართლებრივი ძალა და ის მხოლოდ შეიცავს ინფორმაციას, რომ ეს პიროვნება საქმის არსებითი განხილვისას დაადასტურებს ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებას. შესაბამისად გამოკითხვის ოქმების

<sup>407</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება საქმეზე N1გ/1721-15, გვ.2

<sup>408</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრისა და 26 ოქტომბრის განჩინებები, საქმეებზე NN1/გ-911 და 1/გ-707, შესაბამისად გვ.4 და გვ. 5

<sup>409</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე N1გ-257, გვ. 4

<sup>410</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინება საქმეზე Nსგ/1455, გვ 4.

გაცვლა მხარისათვის, საკმარისი საფუძველია ვარაუდისათვის, რომ მხარეები ამ მტკიცებულებების სასამართლოში გამოკვლევას აპირებენ, ხოლო ცალკე დასაკითხ პირთა სიის შედგენა არ გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან.<sup>411</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინებით არ დააკმაყოფილა პროკურორის საჩივარი პირველი ინსტანციის მოსამართლის განჩინებაზე ბრალდების ყველა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ და მიიჩნია, რომ იმ ბრალდებულისათვის მტკიცებულებათა გადაცემა, რომელსაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად არ შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი დაცვის განხორციელება და, მაშინ, როცა ამ ბრალდებულს უკვე დანიშნული ჰყავდა ადვოკატი, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევას.<sup>412</sup> ისევე როგორც, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევად ჩათვალა შემთხვევა, როცა ადვოკატმა 17 დეკემბერს დანიშნული სხდომის 24 დეკემბერს გადადების მოტივით მხარეს მტკიცებულებები გაუცვალა არა 17 დეკემბრის სხდომამდე 5 დღით ადრე, არამედ 24 დეკემბრის სხდომამდე 5 დღით ადრე.<sup>413</sup>

საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა პროკურორის საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გაუქმების თაობაზე და სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეს არ აკისრებს ვალდებულებას ორჯერ გადასცეს მეორე მხარეს მის მიერ მოპოვებული მტკიცებულება, მთავარია რომ მტკიცებულება ერთხელ უკვე გაცვლილი იყოს და წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე მოხდეს მხარის ინფორმირება უკვე გაცვლილი მტკიცებულებების საქმის არსებითი განხილვის დროს გამოყენების თაობაზე.<sup>414</sup>

სასამართლო ინსტანციებში ხშირად ხდება დავის საგანი მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონის არსებითი დარღვევა. სწორედ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების რამდენიმე გადაწყვეტილება ცალკეულ შემთხვევებში კანონის არსებითი დარღვევის შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით. კერძოდ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ 2015 წლის 17 ივლისის განჩინებაში ნ.ს.-ს სისხლის სამართლის საქმეზე, განიხილა რა პირადი ჩხრეკის ოქმის, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებისა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლად ცნობის თაობაზე ბრალდების მხარის მიერ შეტანილი საჩივარი, განმარტა, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარებისას არსებით დარღვევად უნდა მივიჩნიოთ

<sup>411</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის განჩინება საქმეზე N1გ-1019, გვ. 4; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 აგვისტოს განჩინება საქმეზე N1გ/1164 გვ.4, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ნოემბრის განჩინება საქმეზე N1გ-760, გვ. 4; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე N1გ-720; გვ.4

<sup>412</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განჩინება საქმეზე Nსგ/1213, გვ. 5.

<sup>413</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 31 დეკემბრის განჩინება, საქმეზე Nსგ-934, გვ. 3

<sup>414</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის განჩინება, საქმეზე Nსგ/792, გვ. 2

როგორც კანონის უხეში დარღვევა მისი ჩატარების დროს, ანუ პირადი ჩხრეკის პროცედურა, ისე პირადი ჩხრეკის საპროცესო გაფორმების დროს დაშვებული დარღვევა, ანუ მისი ე.წ. დაოქმების არასწორად განხორციელება<sup>415</sup>.

საქმეებში N1გ/118, N1გ/548 და N1გ/119 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეებმა სრულად გაიზიარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება და კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულად მიიჩნიეს CD დისკზე გაკეთებული და ბრალდების მხარისათვის მესაკუთრის მიერ ნებაყოფლობით დათვალიერების გზით გადაცემული მასალები, იმ მოტივით, რომ მხარე ვალდებული იყო, ეს მტკიცებულებები მოეპოვებინა მოსამართლის განჩინების გზით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. განჩინებებში სასამართლომ განმარტა, რომ „როდესაც საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელის მხრიდან ადგილი აქვს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოთხოვას, ეს მოქმედება უნდა ჩატარდეს ისევე, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედება და არა როგორც ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას“. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ „ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობა, სხვაგანაირად ეს საგამოძიებო მოქმედება დაკარგავდა იმ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რასაც ემსახურება ფარულ რეჟიმში ინფორმაციის მოპოვება“.<sup>416</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინებით მოსამართლე განიხილა რა დაცვის მხარის საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის განჩინებაზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, ვინაიდან ისინი ჩატარებული იყო გამოძიების დაწყების ბარათის ე.წ. ფორმა N1-ის შევსებამდე, განმარტა შემდეგი: „გამოძიება დაწყებულად ითვლება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შემცველი შეტყობინების მიღებისა და პირველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთანავე, რაზეც დამკვიდრებული პრაქტიკის შესამაბამისად უფლებამოსილი პირი ავსებს გამოძიების დაწყების ბარათს - ფორმა 1, რომელიც არ არის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტი.“<sup>417</sup>

საინტერესოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ დათვალიერების ოქმსა და ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში ნივთმტკიცების ამოღების ადგილად სხვადასხვა ადგილის მითითება არ წარმოადგენდა ამ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველს და არ ქმნიდა ეჭვს, რომ არ იყო გაქარწყლებული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის თაობაზე. სასამართლოს განჩინებით

<sup>415</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე Nსგ/1016, გვ. 3.

<sup>416</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის, 7 თებერვლისა და 2016 წლის 30 მარტის განჩინებები საქმეებზე NN1გ/118, 1გ/119, 1გ/548 გვ.4,5,6.

<sup>417</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინება საქმეზე N1გ/1731, გვ. 4

“ძირითადი საპროცესო დოკუმენტი, რომლითაც დგინდება თუ რა ობიექტი იქნა ამოღებული საცხოვრებელი ბინის დათვალიერების დროს და კონკრეტულად საიდან, არის აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების - შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი ოქმი, რომელშიც გარკვევით არის მითითებული საიდან იქნა ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება”,<sup>418</sup> მაშინ, როცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებით მოსამართლემ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაუშვებლად მიიჩნია დათვალიერების ოქმი და ამ ოქმის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები, ვინაიდან დათვალიერების ოქმი შედგენილი იყო ორი საათის დაგვიანებით და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება მთელი ამ პერიოდის მანძილზე იმყოფებოდა დაულუქავ მდგომარეობაში დამკავებელი პირის ხელში. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო უარყოფილი ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის თაობაზე.<sup>419</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 3 ივლისის განჩინებით, ბრალდებულისაგან ხმის ნიმუშის აღება, თუნდაც. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, როდესაც ის უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე, მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლებების დარღვევად, ვინაიდან, კანონის თანახმად, ბრალდებული არა მხოლოდ სარგებლობს დუმილის უფლებით, არამედ აქვს უფლება არ მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში.<sup>420</sup>

ბრალდებულის უფლებების რეალიზაციას შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც გამოძიებლის მიერ ჩატარებული ფოტოსურათით ამოცნობის ოქმის დაუშვებლად ცნობა მიიჩნია საფუძვლიანად, იმ ვითარებაში, როცა ბრალდებული უარს არ აცხადებდა ამოცნობაში მონაწილეობაზე, თუმცა პრეტენზიას გამოთქვამდა ამოცნობაში მონაწილე პირებსა და ბრალდებულს შორის არსებულ გარეგნულ განსხვავებაზე და ამ საფუძვლის აღმოფხვრამდე არ სურდა ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა.<sup>421</sup>

რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მხრიდან მტკიცებულება-თა შეფასების კუთხით. კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხის შეფასებისას აღნიშნა, რომ „პირველ რიგში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს წინასასამართლო სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლის შეფასების კრიტერიუმები მტკიცებულებებთან მიმართებაში და ყურადღება უნდა მიექციოს იმას, რომ წინასასამართლო სხდომაზე მხოლოდ ზედაპირულად ხდება (ფორმალური თვალსაზრისით) მტკიცებულებათა

<sup>418</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N1/გ-666  
<sup>419</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე N1გ/1776  
<sup>420</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ივლისის განჩინება საქმეზე N1გ/945, გვ. 3  
<sup>421</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N1გ/1507, გვ. 4



შეფასება, რადგან მათი გამოკლვევა შესაძლებელია მხოლოდ საქმის არსებითი განხილვისას”.<sup>422</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინებაში კი მოსამართლემ არ გაიზიარა პროკურორის მოსაზრება მტკიცებულებათა შეფასების აკრძალვასთან დაკავშირებით წინასასამართლო სხდომაზე და აღნიშნა, რომ „იმისათვის, რათა მოხდეს განსაზღვრა თუ რამდენად ურთიერთშეთავსებადია და დამატებელი ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, უნდა მოხდეს მათი გაანალიზება და უნდა დადგინდეს მათი შემხებლობა ბრალდებულთან”.<sup>423</sup>

კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ 2016 წლის 4 მაისის განჩინებით, საქმეზე N1გ/816. განჩინების თანახმად, ბრალდებულმა შუამდგომლობით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს და ითხოვა განჩინების გაცემა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში დახმარებოდა სასამართლო საქარო დაწესებულებიდან მტკიცებულებების გამოთხოვაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2016 წლის 28 აპრილის განჩინებით, ბრალდების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ეს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული შემდეგი არგუმენტაციით: სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია მხარის უფლებაზე დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, გამოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით, მიუთითებს, რომ ყველა პროცედურა უნდა ჩატარდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. მე-9 მუხლში მითითებული ჩანაწერი არის ნორმა პრინციპი, ზოგადი მოქმედების ნორმა [...] რაც ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს მტკიცებულება მოიპოვოს, გამოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით, კონკრეტულ შემთხვევაში საგამომძიებო მოქმედების - კერძოდ, ამოღების, ჩხრეკის, დათვალიერების და ა.შ. ჩატარების გზით და ცალკე გამოთხოვა მე-9 მუხლის მიხედვით არ ხდება, ანუ მე-9 მუხლი არის ზოგადი ნორმა პრინციპი, რომელიც შემდგომ ასახვას პოულობს შესაძლებლობის შემთხვევაში კონკრეტული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას. ასევე განიმარტება საქართველოს სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა, სადაც შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებულია დაცვის მხარისათვის, რომ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით კონკრეტული საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებით და არა, ზოგადად, სსსკ-ის მე-9 და 39-ე მუხლების მიხედვით”.<sup>424</sup>

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც მხარეს მიენიჭა უფლებამოსილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლოებს მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრათ ამა თუ იმ ნორმის განმარტებისა და მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების პროცესში. ამასთან, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო

<sup>422</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინება, საქმეზე N1გ/1390, გვ. 6

<sup>423</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N1გ 1568, გვ. 4

<sup>424</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინება საქმეზე N1გ/816, გვ. 3.

კოლეგიის მოსამართლეების განჩინებებში გამოხატული წუხილი წინასასამართლო სხდომის მოსამართლეების მხრიდან მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე არა დასაბუთებული წერილობითი, არამედ საოქმო განჩინების გამოტანის შესახებ, რითაც, მათივე განცხადებით, მხარეს ერთმევა უფლება არგუმენტირებულად გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში, ხოლო საჩივრის განმხილველ მოსამართლეს შესაძლებლობა - სრულყოფილად გაეცნოს მიღებულ საკვანძო გადაწყვეტილებებს, ზოგ შემთხვევაში კი შემატყობველი გადაწყვეტილებისას გაანალიზოს მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძველი<sup>425</sup>.

## **9.6. პირველი ინსტანციის სასამართლების პრაქტიკა მტკიცებულებათა წესებზე**

კვლევის ფარგლებში სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიზნით ჩვენს მიერ გამოთხოვილ იქნა საქართველოს ექვსი დიდი ქალაქის - თბილისის, თელავის, გორის, რუსთავის, ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მიერ, 2015 წელს ჩატარებული წინასასამართლო სხდომის ოქმის ასლები. მიუხედავად, არაერთი მცდელობისა, თბილისის საქალაქო სასამართლოდან ამ მასალების მიღება ვერ მოხერხდა. სწორედ ამიტომ, ანალიზი ეყრდნობა ხუთი რაიონის - თელავის, გორის, რუსთავის, ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების წინასასამართლო სხდომის ოქმების იმ ნაწილს, სადაც მხარეები შუამდგომლობენ მტკიცებულებათა დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობას, ხოლო მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას დასაშვებია თუ არა მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონფიდენციალურობის მიზნებიდან გამომდინარე, განსხვავებით სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებისა, ანალიზში სპეციალურად არ არის მოხსენიებული კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების დასახელება, ბრალდებულის, ადვოკატის, პროკურორისა და მოსამართლის მონაცემები და თვით საქმის ნომერიც, ვინაიდან ამ ეტაპზე და ამ მონაცემებით შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელ საქმეზე დასრულდა სასამართლო განხილვა და რომელი საქმე იხილება ისევ საქართველოს სასამართლოებში, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შეფასებამ კი შესაძლოა დააზიანოს მართლმსაჯულების პროცესი.

როგორც უკვე აღინიშნა, ანალიზი გაუკეთდა საქართველოს ხუთი დიდი ქალაქის წინასასამართლოს სხდომის 778 ოქმს და შევეცდებით კვლევის ამ ნაწილში გამოვკვეთოთ სასამართლო პრაქტიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

იმის გამო, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნა, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებაზე, პირველ რიგში, ჩვენი ყურადღება მიექცა ამ მონაცემს და დადგინდა, რომ შესწავლილი 778 შემთხვევიდან 613 შემთხვევაში ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს მთლიანად, 30 შემთხვევაში - ნაწილობრივ,

<sup>425</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე N1გ/522, გვ. 4

107 შემთხვევაში - თავს დამნაშავედ არ ცნობს, რასაც ემატება 21 შემთხვევა, სადაც ბრალდებული იყენებს დუმილის უფლებას. ყველა დანარჩენ შემთხვევაში საქმის განხილვა მიმდინარეობდა ბრალდებულის დაუსწრებლად, რის გამოც შეუძლებელი გახდა მისი პოზიციის გარკვევა, თუმცა იგულისხმება, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.

იმ 643 შემთხვევიდან, სადაც ბრალდებული სრულად ან ნაწილობრივ აღიარებს დანაშაულს, დაცვის მხარე სადავოდ ხდის მტკიცებულებებს მხოლოდ 72 საქმეში, ხოლო ისეთ საქმეებზე, რომლებზეც ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ, მხარეთა მიერ 65 საქმეზეა დაყენებული შუამდგომლობა მტკიცებულებათა სადაოდ გახდის შესახებ, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და მიუთითებს დაცვის მხარის პასიურობაზე.

დაბალია ასევე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის შემთხვევებიც, ვინაიდან განხილული 778 საქმიდან მხარეებმა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა მხოლოდ 42 საქმეზე მოითხოვეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მტკიცებულებების დაუშვებლად/დასაშვებად, სადაოდ/უდაოდ ცნობის მოთხოვნა დაცვის მხარის მიერ დამოკიდებულია იმაზე, ბრალდებული აღიარებს თუ არა დანაშაულს. დაახლოებით 95% შემთხვევებისა, როდესაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, დაცვის მხარეს არ აქვს შუამდგომლობა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე და მტკიცებულებებს ხდის უდაოდ. ფაქტობრივად, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს და დაცვის მხარე მტკიცებულებას სადაოდ ხდიდა, ისიც იმ მოტივით, რომ სანამ საპროცესო შეთანხმების პირობები დაზუსტდებოდა, დაცვის მხარეს გაეგრძელებინა სასამართლო სხდომები.

რაც შეეხება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის დასაბუთებას და კონკრეტულ შემთხვევებს იკვეთება, თუ რა არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კანონის არსებითი დარღვევა. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად აფასებს და აღნიშნულის დასადგენად კონკრეტული კრიტერიუმები ან ერთიანი პრაქტიკა არ არსებობს.

სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვის შედეგად, აღნიშნული კრიტერიუმები მეტ-ნაკლებად შესაძლოა ნათელიც კი გახდეს, თუმცა მათი ანალიზის შედეგად აშკარად იკვეთება როგორც მხარეთა, ასევე მოსამართლეთა პოზიციის დასაბუთების სიმცირე. მაგ. ერთ-ერთ საქმეში, როდესაც დაცვის მხარემ მოითხოვა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ფოტო-ცხრილის დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ ფოტოებზე არ არის აღნიშნული თარიღი და დრო, რაც სსკ-ის 72-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებელი მტკიცებულებაა, სასამართლომ არ დააკამყოფილა მხარის შუამდგომლობა, ვინაიდან საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია კანონის სრული დაცვით. ოქმში მითითებულია როგორც საგამოძიებო მოქმედების დაწყების, ისე დასრულების თარიღი, ასევე ოქმში არის მითითება რომ ფოტო-გადაღება ხდება ფოტოაპარატი „ნიკონით“. აღნიშნული ფოტო-

ილუსტრაციები ოქმს თან ერთვის, ამიტომ მხოლოდ ის საფუძველი, რომ ფოტოებზე არ არის აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაწყების და დასრულების თარიღი არ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და ვერ იქნება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი. გარდა ამისა, ოქმის სისწორეს როგორც ბრალდებული, ისე მოწმე ადასტურებენ ხელის მოწერით.

ასევე, მოსამართლე არსებით დარღვევად არ მიიჩნევს ისეთ საკითხებს, როგორცაა ბრალდებულის ღამით დაკითხვა, პირის დაკითხვის აუცილებლობის აღნიშვნის გარეშე.

მოსამართლე მხარეების მიერ მტკიცებულებების დასაშვებად/ დაუშვებლად თუ სადაოდ/უდაოდ გახდის შუამდგომლობაზე მსჯელობისას ერთმანეთისაგან მიჯნავს მტკიცებულებებსა და საპროცესო დოკუმენტაციას და განმარტავს, რომ საპროცესო დოკუმენტაცია მტკიცებულებებს არ წარმოადგენს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ადვოკატი ითხოვდა სადაო გამხდარიყო დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, თუმცა მას შემდეგ, რაც მოსამართლემ განუმარტა, რომ დადგენილება პროცესუალური დოკუმენტი და არა მტკიცებულება და რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოკვლევით კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ, რადგან პროკურორის ანუ დადგენილების შემდგენი პირის დაკითხვა მოუწევდათ, ადვოკატმა აღარ მოითხოვა პირის ბრალდების შესახებ დადგენილების დაუშვებლად ცნობა. მოცემულ გარემოებაში, ფაქტობრივად, მოსამართლემ მხარეს არა თუ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უთხრა უარი, არამედ შუამდგომლობის დაყენებაც კი გადააფიქრებინა და შეიძლება ითქვას, წაართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლება.

მოსამართლეების მიერ არაერთი გადაწყვეტილების დასაბუთებისას იკვეთება საპროცესო დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების გამიჯნვის საკითხი. მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ მაგალითად, დადგენილება სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მიმართვის წერილი საპროცესო დოკუმენტაციაა და მტკიცებულებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, შესაძლოა ე.წ. საპროცესო დოკუმენტაციის დაუშვებლად ცნობის მოთხოვნა ან სადაოდ გახდა, მიზნობრიობის თვალსაზრისით, არ იყოს მნიშვნელოვანი, თუმცა ისევ და ისევ წინააღმდეგობაში მოდის მხარის პრეროგატივასთან, დააყენოს შუამდგომლობა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ.

რამდენიმე საქმეზე, როდესაც მხარეთა მიერ მტკიცებულებების გაცვლის ვადების დარღვევაზე იყო საუბარი, მოსამართლემ, მართალია, დაადგინა, რომ დარღვეულია, სსკ 83/6 მუხლი, რომლის მიხედვითაც წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა დაცვის მხარეს ბრალდების მხარისთვის და სასამართლოსთვის უნდა მიეწოდებინა იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია, როგორც ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და ფინანსური მხარე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ქორწინების მოწმობის ასლი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები, საბანკო კრედიტის



ხელშეკრულება, ფორმა 100, ფიზიკურ პირთა ერთობლივი განცხადება, ადვოკატის ორდერი, დაცვის მხარის მტკიცებულებების ოქმი, დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნუსხა), დაურთო საქმეს როგორც საპროცესო დოკუმენტები. იგივე მიდგომა აქვს მოსამართლეს სხვა საქმეში, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები და ცნობები საქმეს დაერთვება არა როგორც მტკიცებულებები, არამედ როგორც პიროვნების მახასიათებელი ცნობები.

არის ოდნავ განსხვავებული შემთხვევებიც, როდესაც, მაგალითად მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას უთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის ორდერი არ წარმოადგენს მტკიცებულებას და საპროცესო დოკუმენტია, ადვოკატის ორდერი უნდა დამტკიცდეს დასაშვებ მტკიცებულებად.

ანალოგიურ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე წარმოადგინა ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან და ბების პენსიის მოწმობის ასლი, რომელიც მანამდე ბრალდების მხარისთვის და სასამართლოსთვის არ გადაუცია, ანუ დარღვეული იყო სსკ-ის 83/6 მუხლი და ამ საფუძვლით პროკურორი მოითხოვდა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ბრალდებულის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია გავლენას არ ახდენს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე, აღნიშნული ინფორმაცია არ შეიცავს ბრალდების მხარის საპირისპირო ინფორმაციას, ეჭვქვეშ არ აყენებს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შინაარსს, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეხება მხოლოდ ბრალდებულის სოციალურ, ეკონომიურ მდგომარეობას და იგი წარმოადგენს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებელს, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნაზე. მოსამართლე განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულება კანონის დარღვევით არის წარდგენილი, ზემოთ ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე მტკიცებულებების გადაუცემლობა მხარისათვის არ წარმოადგენს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

მტკიცებულებათა გაცვლის ვადებთან დაკავშირებითაც აზრთა სხვადასხვაობაა მოსამართლეთა შორის, კერძოდ, თუ საიდან აითვლება მტკიცებულებათა გაცვლისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა. ერთ-ერთ საქმეში, ბრალდების მხარემ მოითხოვა დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ დარღვეულია სსკ-ის 83/6 მუხლი, რადგან წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა დაცვის მხარეს ბრალდების მხარისათვის არ მიუწოდებია იმ მომენტისათვის მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდა დაცვის მხარე. დაცვის მხარეს ბრალდების მხარისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა არაუგვიანეს 25 თებერვლისა, დაცვის მხარის მიერ კი მტკიცებულებები წარმოდგენილ იქნა 26 თებერვალს. დაცვის მხარე აღნიშნავდა, რომ ვინაიდან წინასასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო 2 მარტს, 26 თებერვალს

დაცვის მხარეს უფლება ჰქონდა მტკიცებულების წარდგენისა. სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრება და ბრალდების მხარის შუამდგომლობა ვადების დარღვევის გამო მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ არ დააკმაყოფილა.

ასევე არსებობს სრულიად განსხვავებული მოსაზრებებიც, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასამართლოს არაერთგვაროვან პრაქტიკას. ზემოთ ხსენებულ საკითხთან მიმართებით (წარმოდგენს თუ არა პიროვნული მახასიათებლები მტკიცებულებებს) ერთ-ერთ საქმეში მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი არ მოითხოვდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი რომელიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, მოსამართლემ დააყენა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საკითხი და განმარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით განსაზღვრული მტკიცებულების ცნება, რომლის მიხედვითაც ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები მტკიცებულების ძალის მქონეა, რის გამოც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების დაუშვებელი მტკიცებულებებია, რადგან დარღვეულია 83/6 მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა დაცვის მხარეს ბრალდების მხარისათვის და სასამართლოსთვის არ მიუწოდებია იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდა.

ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ მოტივითაც, რომ მოსამართლე მხარის შუამდგომლობის გარეშე წყვეტს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხს, რაც გამოკვლეულ გადაწყვეტილებებსა და, ზოგადად, პრაქტიკაში ძალიან იშვიათია. განვიხილოთ სხვა მსგავსი შემთხვევები:

- სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობისას გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც მოსამართლე თვითონ, მხარის შუამდგომლობის გარეშე, იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, იმ საფუძვლით, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან ამონაწერი არ არის მითითებული მტკიცებულებათა ნუსხაში.
- მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას მოსამართლემ განმარტა რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, კერძოდ ოქმი საგამოძიებო ექსპერიმენტის შესახებ (თანდართული ფოტოსურათებით და დისკით) დაუშვებელი მტკიცებულებაა სსკ-ის 129-ე და 130-ე მუხლებიდან გამომდინარე. საგამოძიებო ექსპერიმენტის შესახებ ოქმში აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა მიუთითა მომხდარი ინციდენტის ადგილმდებარეობა, რის შედეგადაც შემთხვევის ადგილს ადვოკატმა გადაულო ფოტოსურათები და დაურთო ოქმს. მოსამართლის განმარტებით, წარმოდგენილ ოქმში სხვა ინფორმაცია არ არის მითითებული და შესაბამისად, დარღვეულია სსკ-ის 130-ე მუხლი, ვინაიდან არ ჩანს, რა ადგილია ფოტოებზე აღბეჭდილი და მხოლოდ იმის მითითება, რომ ბრალდებულმა მიუთითა ინციდენტის ადგილმდებარეობა არ არის საკმარისი. სწორედ ამიტომ, მტკიცებულების ავთენტურობის

დაუდგენლობის საფუძველზე, მტკიცებულება დაუშვებლად იქნა ცნობილი.

- მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას მოსამართლემ განმარტა, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, კერძოდ CD დისკი, საბავშვო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სსკ-ის 78-ე მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან არ დასტურდებოდა მტკიცებულების წარმომავლობა და ავთენტურობა.

ასევე განსხვავებული მიდგომა ადვოკატის საქმეში გვიან ჩართვიდან გამომდინარე მტკიცებულებების დასაშვებობის თვალსაზრისით. ნაწილი მოსამართლეებისა მიიჩნევს, რომ ის ფაქტი, რომ ადვოკატი წინასასამართლო სხდომის დღეს ჩაერთო, არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს და დაცვის მხარე ვალდებული იყო ინფორმაცია/ მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე წარმოედგინა, თუმცა ნაწილს მიაჩნია, რომ ასეთი სახით წარდგენილი მტკიცებულებები დასაშვებია.

გადაწყვეტილებების ანალიზისას იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემა. ეს არის დასაბუთების განზოგადებული ხასიათი. მოსამართლეები, როგორც წესი, გადაწყვეტილებას მტკიცებულების დასაშვებობის ან დაუშვებლობის შესახებ იღებენ პირდაპირ, საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის საფუძველზე, რომ ის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული ან მტკიცებულებათა გაცვლის კანონმდებლობით დადგენილი ვადაა დარღვეული. პირველ შემთხვევაში მოსამართლეები არ აკონკრეტებენ რაში გამოიხატა კანონის არსებითი დარღვევა. ფორმალური საფუძველი და ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობასასამართლო გადაწყვეტილებებიდან თითქმის არასდროს იკვეთება. არის არაერთი გადაწყვეტილება სადაც მოსამართლის მიერ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი არის ზოგადი, შემდეგი სახით: „სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილით, 72-ე, 78-ე, 83-ე, 93-ე, 94-ე, 193(2), 219-ე, 220-ე და ადგილზე თათბირით დაადგინა არ დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე.“

იყო შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე ითხოვდა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას იმ მოტივით, რომ თარჯიმანი იყო ბრალდებულის ბიძა, რომელსაც აღნიშნული პირი აღნიშნავდა თავისსავე გამოკითხვის ოქმში. ბრალდების მხარის პოზიცია გახლდათ შემდეგი: ის, რომ თარჯიმანი იყო ბრალდებულის ბიძა ამის შესახებ მას არანაირი ცნობა არ წარმოუდგენია და ბრალდების მხარემ მხოლოდ მტკიცებულებათა გაცვლის პროცესში შეიტყო. ვინაიდან საქმე სასამართლოში იყო გაგზავნილი, მათ აღარ ჰქონდათ შესაძლებლობა გადაემოწმებინათ. პროკურატურამ იკითხა, ხომ არ იყო ბრალდებულის ახლო ნათესავი და მიიღო უარყოფითი პასუხი. სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, თუმცა კონკრეტული დასაბუთება ამ საკითხთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

დაუშვებლად ცნობამოუთხოვია დაცვის მხარეს პოლიციელის პატაკისა, რისი საფუძველიც იყო ოქმის შედგენის დრო - ოქმი შედგა წინასწარ თუ დაკავების შემდეგ, ვინაიდან ოქმში აღნიშნული იყო ისეთი ინფორმაცია

(ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ყოფნის შესახებ), რომელიც პოლიციელს ვერ ეცოდინებოდა სპეციალური გადამოწმების გარეშე. ბრალდების მხარის პოზიციით, ბრალდებულის დაკავება მოხდა ჯერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესაბამისი მუხლის ნორმების დაცვით და გადამოწმდა აღნიშნულ სამსახურში, რა დროსაც დადასტურდა, რომ ბრალდებული იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და ნარკოტიკის მოხმარება მოხდა პირობითი ვადის გამოსაცდელ პერიოდში. შესაბამისად, მოხდა მისი გათავისუფლება ადმინისტრაციული წესით დაკავებიდან და დაკავება სისხლისსამართლებრივი წესით. სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, თუმცა ამ შემთხვევაშიც სასამართლოს არგუმენტაცია უცნობია.

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას აქცენტი კეთდება დასაკითხ პირთა სიაზეც, კონკრეტულად, თუ რამდენად სავალდებულოა პირის შეყვანა დასაკითხ პირთა სიაში მის არსებით განხილვაზე დასაკითხად. ადვოკატის განმარტებით, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დასაკითხ პირთა სიაში გამოსაკითხი პირების შეყვანა აუცილებელი არ არის, გამოკითხვის ოქმების მხარისთვის გადაცემით იგულისხმება, რომ მხარეს სურს ამ პირების სასამართლოზე დაკითხვა. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს სასამართლო და პირის დასაკითხ პირთა სიაში არარსებობის გამო მის ჩვენებას არ მიიჩნევს დაუშვებლად. ასევე ერთ-ერთ საქმეში ადვოკატმა მოითხოვა ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლად ცნობა, იმ მოტივით, რომ დოკუმენტი დასაშვები მტკიცებულებაა თუ მხარეს შეუძლია დაკითხოს პირი რომელმაც შექმნა იგი, ბრალდების მხარეს კი ექსპერტი საერთოდ არ ჰყავს დაკითხული. სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ, მართალია, ექსპერტი დაკითხული არ არის, ჩვენება არ აქვს მიცემული გამოძიებისთვის, თუმცა დასაკითხ პირთა სიაში არის და საექსპერტო დასკვნის შესახებ სასამართლოში მისცემს განმარტებას. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ისეთი პროცესუალური დარღვევები, რაც საფუძვლად დაედებოდა ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას.

საკითხი დადგა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობის შესახებაც, რისი საფუძველიც გახდა ჩხრეკის ოქმში მითითებული ინფორმაციისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებულ ვიდეოჩანაწერს შორის არსებული წინააღმდეგობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, ვინაიდან დაცვის მხარე ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე ითხოვს ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობას, აღნიშნული მტკიცებულებები კი ჯერ არ გამოკვლეულა. შესაბამისად, გამოსაკვლევი გარემოებების დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიჩნევა შეუძლებელია, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს მთავარ სხდომაზე და არა აღნიშნულ სხდომაზე. გარდა ამისა, პირადი ჩხრეკის ოქმსაც ხელს აწერენ მონაწილე პირები.

გასარკვევად იმისა, შეიძლება თუ არა მოწმის სახით გამოკითხვის დროს მიცემული ინფორმაცია გახდეს პირის დაკავების საფუძველი, ერთ-ერთ საქმეში ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომელშიც პირის ჩვენებით ფიქსირდებოდა იარაღის კუთვნილების ფაქტი. დაცვის მხარე



უთითებდა პირის კონსტიტუციურ უფლებებზე - გამოიყენოს დუმილის უფლება. ამ შემთხვევაშიც სასამართლო გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ვინაიდან მოსამართლის განმარტებით პირმა ბრალდებულის სტატუსი შეიძინა მას შემდეგ, რაც ჩატარდა ჩხრეკა და ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ის, რაც შეიძლება იყო კანონსაწინააღმდეგო. ამის შემდეგ მოხდა მისთვის უფლებების განმარტება კანონმდებლობის სრული დაცვით. მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა შესაძლებელია, როცა დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობა, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

კიდევ ერთი საკითხი, რაც იკვეთება, შეეხება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის ზეპირი ფორმით დაყენებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე.“ ამ თვალსაზრისით სასამართლო ერთგვაროვანია, გარკვეულ შემთხვევებში მოსამართლე მაინც იხილავს ზეპირი ფორმით დაყენებულ შუამდგომლობებს, ასევე სასამართლო მიუთითებს არა მხოლოდ შუამდგომლობის ზეპირი ფორმით დაყენებაზე, არამედ პოზიციის არგუმენტებზეც, რომ უნდა იყოს დასაბუთებული და არ უნდა ეყრდნობოდეს ვარაუდს.

ზეპირი ფორმით დაყენებული შუამდგომლობა განხილულია საქმეზე, რომელზეც დაცვის მხარემ მოითხოვა გარდაცვლილი პირების ჩვენებების დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან არ მომხდარა მათი გამოკვლევა და გამოკითხვა იყო ცალმხრივი. სასამართლომ, რა თქმა უნდა, არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, ვინაიდან სსკ-ის 332/1 მუხლით, 2016 წლის 20 თებერვლამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით. შესაბამისი რედაქციის საპროცესო კოდექსი კი ითვალისწინებს მოწმის ჩვენების გამოქვეყნების წესს, მოწმის გარდაცვალების შემთხვევაში. ამიტომ, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ გვაქვს და აღნიშნული ჩვენებების გამოკვლევა უნდა მოხდეს სასამართლოში საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ბრალდების მხარის მხრიდან მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველი ადვოკატის ორდერის თარიღიც შეიქმნა. კერძოდ, ბრალდების მხარემ მოითხოვა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა იმ მოტივით, რომ დაცვის მხარეს ბრალდების მხარეს გაუცვალა მტკიცებულებები ორდერის წარმოდგენამდე, ადვოკატსა და ბრალდებულს შორის ურთიერთობა კი სწორედ ადვოკატის ორდერით დასტურდება. დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ მართალია ორდერი გვიან იყო გამოწერილი, თუმცა ბრალდებულთან არსებობდა ხელშეკრულება.

სასამართლო ამ შემთხვევაში არ დააკამყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, ვინაიდან არსებობდა ხელშეკრულება, რაც ადვოკატის ქმედებას ხდიდა მართლზომიერს.

ე.წ. მოწამლული ხის პრინციპით მტკიცებულებათა დაუშვებლად მოთხოვნა ძალიან იშვიათია. ერთ-ერთ საქმეში ადვოკატმა მოითხოვა დაკავების ოქმის დაუშვებლად ცნობა და აღნიშნული საფუძველზე ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება. იგი თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ გამომძიებელმა, რომელმაც დაკავების ოქმი შეადგინა და არ არსებობდა სასამართლოს განჩინება, ოქმში არ მიუთითა გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების საფუძველები, რომლებსაც ითვალისწინებს სსკ-ის 171-ე მუხლი. პროკურორის მოსაზრებით, ადვოკატები ესწრებოდნენ ალკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომას, სადაც მოსამართლემ განიხილა ყველა დოკუმენტი, რომელიც დაკავებასთან იყო კავშირში და მიიჩნია, რომ მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მოსამართლემ კი არ დააკამყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, ვინაიდან, მართალია, ალკვეთის ღონისძიების სხდომაზე არ ხდება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა, თუმცა იხილება საკითხი იმის შესახებ იყო თუ არა საპროცესო ნორმების დარღვევა ბრალდებულის მიმართ საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, რაც შეიძლება გახდეს ალკვეთი ღონისძიების შეფარდების ან გაუქმების საფუძველი. დაკავების ოქმში მითითებულია, რომ ბრალდებულს განემარტა უფლებები და მას ხელი აქვს მოწერილი, რის გამოს არ უნდა იქნეს იგი დაუშვებლად ცნობილი.

საკითხი დგება ასევე მოწმეთა ჩვენებების ურთიერთწინააღმდეგობის გამო მათ დაუშვებლობაზე. ერთ-ერთ საქმეში დაცვის მხარე ითხოვს დაზარალებულის ჩვენებების დაუშვებლად ცნობას ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო. ბრალდების მხარის პოზიციით, დაცვის მხარემ არ წარმოადგინა ის კონრეტული მტკიცებულება ან მითითება, რომელშიც არის ამ ჩვენებებში არსებული შეუსაბამობა. მიაჩნია, რომ დაცვის მხარე გადადის საქმის არსებითი განხილვის სხდომის კომპეტენციაში და ითხოვს მტკიცებულებათა გამოკვლევას, რაც მიაჩნია, რომ არ არის წინასასამართლო სხდომის კომპეტენცია. დაცვის მხარემ შუამდგომლობაში არ მიუთითა შინაარსზე, თუნდაც ამ ჩვენებებიდან, რაც გამომძიების ეტაპზე არის მითითებული, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. შესაბამისად, ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობა არ არის. მტკიცებულების ძალას მოწმის ჩვენება იძენს სასამართლოში დაკითხვის შემდეგ და თუ სხდომაზე იქნება ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, მაშინ შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი. სასამართლომ არ დააკამყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და განმარტა, რომ მოწმის დაკითხვა ხდება საქმის არსებითი განხილვისას, რა დროსაც იგი ფრთხილდება ცრუ ჩვენების მიცემაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, მან მისცა თუ არა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება.

სასამართლომ ასევე არსებითი განხილვის სხდომაზე განსახვილველად მიიჩნია ისეთი საკითხი, როგორცაა ბრალდებულის დაკავების ოქმი, რომელზეც დაცვის მხარე დაობდა, რომ ბრალდებულის დაკავება

ფაქტობრივად მოხდა სხვა ადგილას, ხოლო ოქმში მითითებულია სხვა ადგილი. ამის შესახებ მოსამართლემ აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა, რადგან დაცვის მხარე მტკიცებულების შინაარსობრივ მხარეში შედის.

გადაწყვეტილებების ანლიზისას გამოიკვეთა მხარეთა მიერ ნივთმტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საკითხი შესაძლო გამოცვლის საფუძველზე. დაცვის მხარე შუამდგომლობას ასაბუთებს იმით, რომ ამოღებული ნივთმტკიცებები დაილუქა ლუქით ნორმის გარეშე, თუმცა ბალისტიკური ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტი უთითებს, რომ ექსპერტიაზაზე წარმოდგენილია 1 ცალი გამჭირვალე პოლიეთილენის პაკეტი, ფაილი დალუქული შსს-ს კახეთის სამმართველოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს ნომერ მე-19 ბექდის ანაბეჭდით, თანდართული ფოტოსურათებით. ჩხრეკის ოქმში არც ბექდის ნომერია მითითებული და აღნიშნულია, რომ ნივთმტკიცებები დაილუქა თეთრი ფერის პოლიეთილენის პარკში და არა ფაილში, როგორც მითითებულია ექსპერტის დასკვნაში. აღნიშნულ ბრალდების მხარე პასუხობს, რომ გამომძიებელმა ფაილი განმარტა როგორც პოლიეთილენის პარკი, ხოლო ექსპერტმა პირდაპირ დააწერა ფაილი. ფაილი არ არის ქართული სიტყვა და შესაძლებელია გამომძიებელი ფაილს ეძახის პოლიეთილენის პარკს. რაც შეეხება დალუქვას, ნივთმტკიცებები დაილუქა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამხარეო სამმართველოს აქვს მხოლოდ ერთი ნომერი, რომლითაც ხდება დალუქვა და თუ ნომერი არ დაემთხვა ან შესაბამისი ლუქი იყო არასწორი მოხდება შესაბამისი რეაგირება მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე. სასამართლომ არ დააკამყოფილა დაცვის მხარის პოზიცია, ვინაიდან პოლიეთილენის პარკს თეთრ ფერად აღწერენ ხოლმე, რაც შეეხება ლუქს, ფოტოსურათით ჩანს რომ ნივთმტკიცებები დალუქულია და ხელმოწერილი (რაც მითითებულია ჩხრეკის ოქმში) და აღნიშნულს ადასტურებს ექსპერტიც. შესაბამისად, მოსამართლის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ისეთი პროცესუალური დარღვევები რაც საფუძვლად დაედებოდა ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას.

დაახლოებით მსგავსი საკითხი დადგა სხვა საქმეზეც, როდესაც ბრალდების მხარე მოითხოვა ერთ-ერთი კომპანიიდან ამოღებული ამონაწერის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან აღნიშნული ამონაწერი გაცემულია მოწმეზე, რომელიც არ არის მითითებული დასაკითხ პირთა სიაში და არ არის გამოკითხული პირი, რომელმაც მოიპოვა აღნიშნული მტკიცებულება. სასამართლომ დააკამყოფილა მხარის შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დოკუმენტს არ აქვს მტკიცებულებითი ძალა, რადგან დაცვის მხარეს არ შეუდგენია მტკიცებულების მოპოვებელი პირის გამოკითხვის ოქმი, აგრეთვე აღნიშნული პირი არ ყოფილა მითითებული დასაკითხ პირთა სიაში.

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება სხვა საქმეებში, სადაც იქიდან გამომდინარე, რომ დასაკითხ პირთა სიაში არ არის შეყვანილი მტკიცებულების შემქნასა და მოპოვებაში მონაწილე პირი, სასამართლო დაუშვებლად ცნობს წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოკიდებულება მხარეთა მიერ მტკიცებულებების თანასწორ პირობებში მოპოვების შესახებ. ერთ-ერთ საქმეში მოსამართლე უთითებს, რომ ბრალდების მხარე დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მოტივით აპელირებს შემდეგ საფუძვლებზე: გამოკითხული პირები არ არიან მითითებული ცალკე სიაში, გამოკითხვის ოქმებში არ არის მითითებული გამოკითხვის დაწყება-დასრულების დროები, ასევე დაცვის უფლება არ აქვთ განმარტებული გამოსაკითხ პირებს, მითითებული არ არის გამოკითხვის დასრულების დრო და თარჯიმნის მითითება. მოსამართლის განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის საფუძველს, დაცვის მხარეს არ ავალებს მტკიცებულებების იმ დოზით გამოკვლევას, რა დოზითაც ამას ბრალდების მხარე წარმოადგენს. მაგრამ სხვა შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის საგამოძიებო მოქმედება და დაცვის მხარეც ვალდებულია იმავე წესებით იხელმძღვანელოს და შეადგინოს წერილობითი დოკუმენტაცია როგორც ბრალდების მხარემ. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არ არსებობს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა მხრიდან არ არსებობს ერთნაირი მიდგომა, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება შუამდგომლობის დაკმაყოფილების თუ დაუკმაყოფილებლობის დროს ხშირად ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია დადგინდეს თუ როდის შეიძლება დაკმაყოფილდეს მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე და რა საპროცესო ნორმების დაცვას უნდა მიაქციოს მხარემ ყურადღება შესაბამისი შუამდგომლობის მომზადებისას. სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზისას, სამწუხაროდ, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ იღებს არა იმის მიხედვით, თუ რას ითხოვს საპროცესო კოდექსი, არამედ იმის საფუძველზე, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ამ გადაწყვეტილებას საქმის შედეგზე, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელია.



## თავი 10. ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა წესებისა და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის მიმართ პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულების გარკვევის მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები 10 პროკურორთან და 10 ადვოკატთან.

გამოკითხული პირებიდან 5 ადვოკატისა და 5 პროკურორის სამოქმედო არეალი თბილისია, ვინაიდან კვლევაში განხილული საკითხების უმრავლესობა სწორედ თბილისში დაფიქსირდა, ხოლო დარჩენილი 5 რეგიონი შერჩეული იქნა ამ კუთხით ყველაზე დატვირთული ისეთი რაიონებიდან, როგორცაა: ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, გორი და თელავი.

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი მომზადებული იქნა საპროცესო კოდექსის, მისი აკადემიური კომენტარების, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების, ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე და მასში შემავალი კითხვები, შესაძლებლობის ფარგლებში, მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც პროცესის მონაწილეების აზრი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მივიჩნიეთ. კითხვარის მომზადების პროცესში ასევე გათვალისწინებულ იქნა პროცესის მონაწილეთა როლი მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის პროცესში და მათთვის კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობები.

კითხვარის საფუძველზე ინტერვიუში მონაწილე პირებს უნდა შეეფასებინათ საქართველოს კანონმდებლობა მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებით (ზოგადი ხასიათის შეკითხვები), ამ კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკა და პროცესის მონაწილეთა ქმედებები (ძირითადი ნაწილი) და მიეცათ რეკომენდაციები როგორც პროცესის სხვა მონაწილეთათვის, ასევე კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციისათვის ამ პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით (შემაჯამებელი ნაწილი).

ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ პროცესის მონაწილეთა აზრით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა მხრიდან მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არასრულყოფილია და არ აყენებს მხარეებს თანაბარ პირობებში. კერძოდ: ადვოკატთა აბსოლუტური უმრავლესობის განცხადებით, დაცვის მხარეს არ აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებისა და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოთხოვნით,<sup>426</sup> ასევე მოითხოვოს მაგისტრატი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე<sup>427</sup> და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი

<sup>426</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136 და 143<sup>3</sup> მუხლი.

<sup>427</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 114(2) მუხლი.

თუ ნივთიერი მტკიცებულება.<sup>428</sup> ასევე, დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება თვითონ ჩაატაროს და თვითონვე გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ან საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობით, როგორც ამას აკეთებს ბრალდების მხარე.<sup>429</sup> რაც შეეხება მოსამართლის როლს შეჭიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, გამოკითხულთა ნაწილის მოსაზრებით მოსამართლეს საქმეზე ქვშმარიტების დადგენა ევალება და უფრო მეტი უფლებამოსილებით უნდა იყოს აღჭურვილი, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობამ მას უფრო მეტი უფლებები მიანიჭა ვიდრე შეჭიბრებითობის პრინციპით არის განსაზღვრული და პრაქტიკაში მისი გამოყენება კიდევ უფრო ფართოდ ხდება, ვიდრე ეს საპროცესო კოდექსმა დაადგინა. ამ მოსაზრების ავტორები თავის არგუმენტებში მოიხსენიებენ მოსამართლის კანონით განსაზღვრულ უფლებას - მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოწმეს დაუსვან დამაზუსტებელი კითხვები<sup>430</sup>, ასევე მოსამართლის შესაძლებლობას, დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, მიუხედავად იმისა შუამდგომლობს თუ არა ამას რომელიმე მხარე. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხვულთა ნაწილმა (მათი უმეტესობა პროკურორია) შეჭიბრებითობის პრინციპის მნიშვნელოვან ნაკლად იმ ბრალდებულის უფლებებების დარღვევების საშიშროება მიიჩნია, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი და არ აქვს საშუალება მცირედი კონკურენცია მაინც გაუწიოს ბრალდების მხარეს.

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა ცნებასთან დაკავშირებით კი განაცხადეს, რომ ეს ნორმები არ არის განჭვრეტადი, რის გამოც სასამართლო პრაქტიკა ყალიბდება არაერთგვაროვნად და ხელს უშლის მხარეებს სრულყოფილად მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია. კერძოდ, ამ ნორმის საფუძველზე გაურკვეველია საპროცესო დოკუმენტები (მიმართვის წერილი, შუამდგომლობა ჩხრეკის ჩატარებაზე, მოსამართლის განჩინება, დაკავების ოქმი, ბრალდების დადგენილება, დაზარალებულად ცნობა და ა.შ) წარმოადგენს თუ არა მტკიცებულებას და ვრცელდება თუ არა მასზე მტკიცებულებათა დაუშვებლობასთან დაკავშირებით დადგენილი წესები. გამოითქვა მოსაზრებაც, რომ აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს მტკიცებულებას, თუმცა სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე მოსამართლე არ იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს. გამოკითხვამ ცხადყო, რომ სხვადასხვა რეგიონში სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვაგვარად ვითარდება და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება ან ამ ნორმაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება კიდევ უფრო დეტალიზაციის თვალსაზრისით, ამ პრობლემის მოგვარების საშუალება შეიძლება გახდეს.

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა სტანდარტებთან დაკავშირებით კი მხარეებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად კანონის ჩანაწერის სრულყოფილებისა, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები მათი უგულვებელყოფისა, რის გამოც

<sup>428</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33(6)(მ) მუხლი;

<sup>429</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112 მუხლი;

<sup>430</sup> გამოკითხულთა ნაწილმა განმარტა, რომ ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვა ფორმით განვითარდა, მოსამართლეთა ნაწილი მხარეთა ნებართვის გარეშე უსვამს კითხვას მოწმეს, ხოლო ნაწილი ვერ კითხვას აყალიბებს და შემდგომ ითხოვს მხარეებისაგან ნებართვას იმ არგუმენტით, რომ კითხვის მოსმენის შემთხვევაში მხარეები შეიძლება სწორი გადაწყვეტილების მიღებას ამ საკითხზე

კანონის ჩანაწერის არსებობა აზრს მოკლებულია და ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოსამართლეთა უმრავლესობა, როგორც პირველი წარდგენის, ასევე წინასასამართლო სხდომაზე, თავისებურად განმარტავს მტკიცებულებათა სტანდარტის დაკმაყოფილების საკითხს და, ძირითადად, გადაწყვეტილებას იღებს არა იმის მიხედვით დაკმაყოფილებულია თუ არა დასაბუთებული ვარაუდის ან ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი, არამედ იმის მიხედვით თუ რა კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა პირმა და აქედან გამომდინარე უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე ან გადაეცეს თუ არა საქმე არსებითად განსახილველად მოსამართლეს. ასევე, ზოგიერთი მოსამართლე ერიდება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ამჭობინებს ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე სხვამ, ამ შემთხვევაში საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ, მიიღოს.

გამოკითხვაში მონაწილეთა განცხადებით ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ვინაიდან აღკვეთისა და წინასასამართლო სხდომის მოსამართლეები ცდილობენ არ შევიდნენ მტკიცებულებათა შინაარსის შეფასებაში და ისე გადაწყვიტონ დაკმაყოფილებულია თუ არა კანონით გათვალისწინებული სტანდარტი, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ავალდებულებს მათ, მხედველობაში არ მიიღონ ირიბი ჩვენება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ამასთან აღინიშნა, რომ განსხვავებული ვითარებაა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შემთხვევაში, რა დროსაც მოსამართლეები უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებიან და უფრო სიღრმისეულად აფასებენ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს და ამასთან, გამოტანილ განაჩენში მსჯელობენ ამ სტანდარტის არსებობა/არარსებობის თაობაზე.

ინტერვიუში მონაწილე პირებს ეთხოვათ, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე მტკიცებულებათა მოპოვებასთან, დასაშვებობასთან, გაცვლასთან და შეფასებასთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც განაცხადეს, რომ, მიუხედავად საპროცესო კოდექსში არსებული ჩანაწერისა, მტკიცებულებათა შეფასება წინასასამართლო სხდომაზე მხოლოდ მაშინ ხდება და, ისიც ზედაპირულად, როცა მოსამართლე აშკარად გამოკვეთილი საფუძვლიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. აქვე აღინიშნა, რომ მოსამართლეები იშვიათად იყენებენ საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე თუ არ არის დაკმაყოფილებული ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი, ვინაიდან ერიდებიან შემაჯამებელი გადაწყვეტილების საკუთარ თავზე აღებას და ზოგიერთი მათგანი არგუმენტად იმასაც იშველიებს, რომ აღნიშნული უფლება მათ მხოლოდ ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში გააჩნიათ.

მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში გამოკითხულმა პირებმა ერთხმად აღნიშნეს კანონით გათვალისწინებული ნორმების

არასრულყოფილება ანდა ბუნდოვანება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან (ნაკლებად მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული აკრძალვა), კომპიუტერულ სისტემაში არსებული ინფორმაციის მოპოვებასა და ამოღება/გამოთხოვის გამიჯვნასთან დაკავშირებით, რაც ძალიან ართულებს მხარეების მდგომარეობას მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში დაცვის მხარე, რომელიც კანონით შეზღუდულია გარკვეული მტკიცებულებების მოპოვებაში და იქ, სადაც მტკიცებულებების მოპოვება შეუძლია, კოლოსალური წინააღმდეგობის გადალახვა უწევს. კერძოდ, არც საჯარო და არც კერძო ორგანიზაციებს არ სურთ ადვოკატისათვის ინფორმაციის მიწოდება, რთულია მოწმეების გამოკითხვაზე ან დაკითხვაზე დათანხმება, ვინაიდან პროკურორს უფლება აქვს ადვოკატის მიერ გამოკითხული მოწმე ხელახლა დაიბაროს დასაკითხად საგამოძიებო ორგანოში, განახორციელოს მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ანდა სხვა ფორმით მოახდინოს ზემოქმედება. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები ადვოკატების მიმართ გამოძიებოს დაწყების ფაქტებისა, იმ მოტივით, რომ თითქოსდა მოწმემ ბრალდებულის სასარგებლო ჩვენება ადვოკატის ზემოქმედებით მისცა.

მხარეთა განცხადებით, პრობლემებია ამოღებისა და ინფორმაციის გამოთხოვის გამიჯვნასთან დაკავშირებით ისევე, როგორც ბუნდოვანია კომპიუტერული ინფორმაციის განმარტება. გარდა ამისა, საჭიროა დაზუსტდეს და საპროცესო კოდექსში ჩაიწეროს, რომ სასამართლო სხდომაზე დასაკითხი ყველა პირის გამოკითხვა საჭირო არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ გამოკითხვით დგინდება ამ მოწმის საქმესთან შემხებლობა. გამოკითხულმა პირებმა ასევე გამოთქვეს პრეტენზია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის სასამართლო პრაქტიკაში არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლეები არ აკმაყოფილებენ, ხოლო ინფორმაციის გამცემნი უარს ამბობენ გასცენ ისეთი ინფორმაციაც კი, რომელიც ზოგჯერ სრულიად საჯაროა და შესაბამის ვებ-გვერდზეა განთავსებული (მაგალითად მოყვანილ იქნა გამომძიებლის მიერ სპეციალური კურსის გავლის თაობაზე ინფორმაცია, ასევე ვიდეო ჩანაწერი ბენზინგასამართი სადგურიდან და ა.შ).

მტკიცებულებათა დასაშვებობასა და გაცვლასთან დაკავშირებით კი რესპოდენტებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს მხრიდან არასწორად განიმარტება და საჭიროებს დაზუსტებას საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი (არაუგვიანეს 5 დღისა), ვინაიდან სასამართლომ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებით მხარეები დაავალდებულა მტკიცებულებები ერთმანეთს გაუცვალონ 6-7 დღით ადრე, არგუმენტი, რომ სასამართლოს სრული 5 დღე ჰქონდეს მასალების გასაცნობად. ასევე საჭიროა დაზუსტდეს 83-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა სრულად გადაცემის წესი, კერძოდ, გულისხმობს თუ არა იგი ყველა ჯერზე იმ დროისთვის არსებული ინფორმაციის სრულად გადაცემას, თუ მხოლოდ იმ ნაწილის, რომლის გადაცემაც არ განხორციელებულა. როგორც აღინიშნა, საკანონმდებლო პრობლემებთან გვაქვს საქმე, როცა საუბარია გრიფით საიდუმლო დოკუმენტების გადაცემაზე და ამ პრობლემას



სასამართლო იმდაგვარად წყვეტს რომ არღვევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილ დებულებებს, ხოლო სასჯელადსრულების დაწესებულებაში არსებული რეგულაციების გამო იქ განთავსებულ პატიმარს ეზღუდება უფლება გადაეცეს დისკზე არსებული ჩანაწერები.

მხარეები ისურვებდნენ, რომ საპროცესო კოდექსში გაკეთდეს ჩანაწერი მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე შუამდგომლობის არსებითი განხილვის სხდომაზე დაყენების შესაძლებლობის შესახებ, ისევე როგორც მხარეებს მიენიჭოთ უფლება, გაასაჩივრონ მოსამართლის გადაწყვეტილება როგორც მტკიცებულებათა დაუშვებლობის, ასევე დასაშვებობის ნაწილში.

შეკითხვაზე მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული რომელიმე დებულება ხომ არ არღვევს ადამიანის უფლებებს ან ხომ არ იძლევა იმგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ პროცესის მონაწილეთა მხრიდან მათი ბოროტად გამოყენება შეიძლება მოხდეს, გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყოფითად უპასუხა და აღნიშნა, რომ ასეთი რამ არ ახსენდებათ. მხოლოდ ერთმა გამოკითხულმა გაუსვა ხაზი ზოგიერთი მოსამართლის მიერ სასამართლო პრაქტიკით დადგენილ შემთხვევას, როცა ბრალდებულს არ ეძლევა საშუალება, მისცეს ჩვენება სასამართლოში თუ ის წინასწარი არ არის შეყვანილი დასაკითხ პირთა სიაში.

ადვოკატებს და პროკურორებს ინტერვიუს პროცესში ეთხოვათ განემარტათ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 („კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვს“) და მე-40 მუხლის მე-3 პუნქტები („დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“), რა დროსაც: პროკურორთა უმრავლესობისა (80%) და ადვოკატთა მხოლოდ ნახევარის (50%) განცხადებით, მოსამართლე როგორც წინასასამართლო სხდომის, ასევე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ვალდებული იმსჯელოს მტკიცებულებათა კანონიერებაზე და მათი უკანონოდ მიჩნევის შემთხვევაში დაუშვებლად ცნოს (წინასასამართლო სხდომაზე) ან არ მიიღოს მხედველობაში (განაჩენის გამოტანის ეტაპზე) ამგვარი მტკიცებულება. რაც შეეხება უტყუარი მტკიცებულებების საკითხს, ადვოკატთა 50% და პროკურორთა მხოლოდ 30% ფიქრობს, რომ მოსამართლე ვალდებულია ეს საკითხი მხოლოდ განაჩენის გამოტანის დროს მიიღოს მხედველობაში და მას არ ევალება აღკვეთის ღონისძიებისა და წინასასამართლო სხდომაზე უტყუარობის თვალსაზრისით შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები.

შეკითხვაზე, თუ რამდენად აქტიურად გამოიყენებენ თავიანთ საქმიანობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის გადაწყვეტილებებს, როგორც

წესი, ეყრდნობიან ხოლმე მხარეები და სასამართლო საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, გამოკითხულთაგან ვერცერთმა პირმა ვერ დაასახელა ასეთი შემთხვევა. მხარეებმა ერთხმად აღნიშნეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების (ირიბ მტკიცებულებასთან დაკავშირებული) დადებითი გავლენა მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა ისაუბრა ამ მხრივ სასამართლოს არაერთგვაროვან პრაქტიკაზე და კიდევ ერთ მოუგვარებელ პრობლემაზე - პოლიციელის ჩვენებასთან დაკავშირებით, როცა ის არ ასახელებს წყაროს და სასამართლო, მიუხედავად ირიბი ჩვენებისა, მაინც მიიჩნევს ამ ჩვენებას დასაშვებ მტკიცებულებად.

მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძვლებისა, მიზეზების განმარტებისა და სასამართლო პრაქტიკის კანონთან შესაბამისობის დადგენის კუთხით დასმულ კითხვებზე ინტერვიუში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ არსებობს რა არაერთგვაროვანი მიდგომა, ხშირ შემთხვევაში ძნელია დადგენა თუ რის საფუძვლებზე ან რა ნორმაზე დაყრდნობით მიიღო მოსამართლემ ესა თუ ის გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ სასამართლოს არ ევალება და არც განმარტავს დეტალურად მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლებს.

სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე დიდ პრობლემად ერთიანი პრაქტიკის არარსებობა, „არსებითი დარღვევის“ სხვადასხვაგვარად განმარტება, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინების დასაბუთების ვალდებულებისა და დასაშვებობის გასანიშნების შესაძლებლობის არქონა დასახელდა.

ინტერვიუს მონაწილეებმა ასევე მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა „მტკიცებულებათა ნუსხა“. კერძოდ, მოსამართლეთა ნაწილი მტკიცებულებათა ნუსხის, როგორც ცალკე დოკუმენტის, არსებობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და მხარეს არ აძლევს საშუალებას, მოწმის სახით დაკითხოს პირი, რომელიც ამ ნუსხაში მითითებული არ არის. მოსამართლეთა ნაწილის მოსაზრებით, ნუსხა არ წარმოადგენს საპროცესო დოკუმენტს და მთავარია მხარეებმა ერთმანეთს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე სრული ინფორმაცია მიაწოდეს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების თაობაზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლე დაუშვებლად ცნობს მოწმის დაკითხვის ოქმს, თუმცა მხარეს აძლევს საშუალებას მოწმის სახით დაკითხოს პირი, რომელიც მითითებულია დასაკითხ პირთა სიაში.

ასევე არაერთგვაროვანი პრაქტიკის მაგალითია საქმის არსებითი განხილვისას მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას ცალკეული მოსამართლეების მიერ დადგენილი წესები, რომელთა თანახმად, მოსამართლეთა ნაწილი არ აძლევს საშუალებას ჯვარედინად დამკითხავ მხარეს დასვას ღია შეკითხვები, ხოლო ნაწილი კრძალავს მოწმის ჩვენების ციტირებას, როცა მოწმე ცდება მის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებას.

ინტერვიუში მონაწილე ადვოკატთა და პროკურორთა განცხადებით

სასამართლო პრაქტიკაში კანონის არაერთგვაროვანი განმარტების მაგალითები მრავლად და, მათი თქმით, სასურველია აღნიშნული საკითხები დაზუსტდეს ან უკიდურეს შემთხვევაში საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ პრაქტიკაში ხშირია ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მასალების დაცვის მხარის მიერ უდაოდ ცნობა, რაც ართმევს ბრალდებულს უფლებას საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მოითხოვოს მტკიცებულებათა გამოკვლევა უშუალოდ და ზეპირად. შესაბამისად, ინტერვიუში მონაწილე პირებს ეთხოვათ, განემარტათ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზები. ადვოკატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებას ბრალდებულის იღებს და მათ მოვალეობას მხოლოდ მოსალოდნელი შედეგების თაობაზე სრულყოფილი კონსულტაციის გაწევა წარმოადგენს. გამოკითხულ ადვოკატთა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ ასეთი რამ პრაქტიკაში არ ჰქონია, მაშინ, როცა პროკურორებმა დაადასტურეს ასეთი შემთხვევების სიხშირე და აღნიშნული ახსნეს იმით, რომ ნაკლებად ძვირად დანაშაულებზე ბრალდებული ამტობინებს მოიპოვოს მოსამართლის კეთილგანწყობა და აღნიშნულის სანაცვლოდ მიიღოს პირობითი სასჯელი. ამასთან, ადვოკატებმა განაცხადეს, რომ, მათი წარმოდგენით, ეს გამომწვეულია საპროცესო შეთანხმების ან განრიდების გაფორმების დაპირებით და ცუდია, რომ პოზიციის შეცვლის შემთხვევაში ბრალდებულს ერთმევა უფლება უშუალოდ და ზეპირად იქნეს გამოკვლეული მის წინააღმდეგ მოპოვებული მტკიცებულებები.

შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირია მოსამართლის ინიციატივით მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა, მონაწილე პირებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთი და არა ყველა მოსამართლე ასეთ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებებთან დაკავშირებით და პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსამართლის ინიციატივით დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა მომხდარიყო. გამოკითხულთა 50% ფიქრობს (მათი უმრავლესობა პროკურორია), რომ მოსამართლის ასეთი მოქმედება არღვევს შეტიბრებითობის პრინციპს და ეს შემთხვევა კიდევ ერთი მაგალითია საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის არაერთგვაროვანი განმარტებისა.

ინტერვიუში მონაწილე პროკურორებს და ადვოკატებს ეთხოვათ, დაესახელებინათ მათი თვალით დანახული პრობლემები მოწინააღმდეგე მხარის საქმიანობაში, რა დროსაც ადვოკატთა განცხადებით მტკიცებულებათა მოპოვების და დასაშვებობის სტადიაზე პროკურორის პრობლემები, ძირითადად, გამომძიებლების არაკომპეტენტურობასა და მათზე პროკურორის მხრიდან არასათანადო საპროცესო ხელმძღვანელობას დაუკავშირეს, მაშინ, როცა პროკურორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადვოკატთა პრობლემად მათი მხრიდან ნაკლები კომპეტენციის ქონა შუამდგომლობის დაყენებისას სათანადო არგუმენტების არ ქონა, პუბლიკაზე და არა მოსამართლეზე მუშაობა, შუამდგომლობების დაუსაბუთებლობა და ხშირად ფორმის დაუსცვლად წარმოდგენა და ზოგადად მნიშვნელოვან დეტალებზე ყურადღების არმიქცევა მიიჩნია.

ინტერვიუს შეჯამებისას მონაწილე პირებს სთხოვეს, მიეცათ რეკომენდაციები როგორც პროცესის სხვა მონაწილეთათვის (ადვოკატებს - პროკურორი და მოსამართლე, ხოლო პროკურორებს (ადვოკატი და მოსამართლე), ასევე, კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციისათვის მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული ნორმების, სასამართლო პრაქტიკისა და კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზების კუთხით.

პროკურორთა უმრავლესობამ დაცვის მხარეს ურჩია უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდნონ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვას მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის ნაწილში, თავი აარიდონ არარელევანტური მტკიცებულებების მოძიებას, უკეთესად მოემზადონ პროცესებისათვის და უფრო აქტიურად ისარგებლონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებებით. დეტალებზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად, უფრო მეტი კონცენტრირება მოახდინონ დარღვევებზე, რომელსაც ბრალდების მხარე მისდა უნებურად უშვებს ხოლმე მტკიცებულებათა მოპოვების დროს.

ადვოკატთა განცხადებით კი, სასურველია, რომ პროკურორი უფრო აქტიურად იყოს ჩართული გამოძიების პროცესში, აკონტროლოს გამოძიებლის მხრიდან არა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების ოქმების შედგენა, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვა, ნაკლები ზემოქმედება მოახდინონ მოწმეებზე ჩვენებების ჩამორთმევისას და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მტკიცებულებათა მიპოვებისას ადამიანის უფლებათა დარღვევას.

რაც შეეხება მხარეების რეკომენდაციებს სასამართლოსადმი, ერთხმად აღინიშნა, რომ, სასურველია, სასამართლომ არა მხოლოდ აქტიურად იფიქროს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე, არამედ თანაბარი სტანდარტი დაუდგინონ ორივე მხარეს მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონის დარღვევის არსებითად ჩათვლის ნაწილში, ანუ სრულყოფილად დაიცვან მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპი, მათ შორის თავი აარიდონ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას, როცა არ არსებობს მხარის შუამდგომლობა ამის თაობაზე. აქვე მხარეებმა გამოხატეს სურვილი, მოსამართლემ უფრო მეტად განმარტოს მისი გადაწყვეტილება კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებათა დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობის ნაწილში, რათა მხარეებისათვის უფრო ნათელი გახდეს, თუ რის საფუძველზე მიიჩნია მოსამართლემ მტკიცებულება დასაშვებად ან დაუშვებლად.

საკუთარი როლის გაძლიერების თვალსაზრისით კი, მხოლოდ ორმა რესპიდენტმა (ორივე მათგანი ადვოკატია) განაცხადა, რომ მისი როლი მნიშვნელოვანია და მისი მხრიდან საკითხის სიღრმისეული ცოდნა, დასაბუთებული შუამდგომლობების შედგენა და პოზიციის კარგად წარმოჩენა ისევე, როგორც ადვოკატთა კორპუსის გაძლიერება წარმოადგენს მისი როლის რეალიზაციის საშუალებას.

გამოკითხვაში მონაწილე პირთა უმრავლესობამ, არსებული ვითარების გათვალისწინებით მაძლიერება გამოხატეს კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციის მიმართ ამ მნიშვნელოვანი საკითხის გააქტიურების გამო და ისურვეს, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს სასამართლო



პრაქტიკის ანალიზს, ერთობლივი შეხვედრების მეშვეობით ხელი შეეწყოს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მოხდეს არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, შემუშავდეს რეკომენდაციები და მოხდეს მათი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

## **თავი 11. დასკვნები და რეკომენდაციები**

როგორც შესავალში აღინიშნა, ხსენებული კვლევის მიზანს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა წესების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილის გაანალიზება, მისი დახვეწის გზების შემოთავაზება და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება წარმოადგენდა. კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გამოტანილი დასკვნები და მის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები, ვფიქრობთ, დაეხმარება კვლევის შედეგებით დაინტერესებულ პირებს, კიდევ უფრო სრულყოფილი გახადონ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა წესები და მათი გამოყენება თავიანთ საქმიანობაში.

კვლევის ამ ნაწილში მიცემულია და თემატურად არის დალაგებული საკვლევი მასალის გაანალიზების შედეგად მიღებული დასკვნები და მათგან გამომდინარე რეკომენდაციები. კერძოდ:

### **1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**

როგორც კვლევაში აღინიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ჯერ კიდევ 1984 წელს არის მიღებული. განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, იგი არ შეიცავს მკაფიო წესებს მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და გამოკვლევის თაობაზე და მხოლოდ ზემოთ აღწერილი ნორმებით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, არ არსებობს არც აკადემიური კომენტარები და ამ კოდექსთან და მასში ასახულ მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებულ პრობლემებზე საქართველოს ხელისუფლება არაერთმა ორგანიზაციამ გააკრიტიკა.

“Human Right Watch“-მა, ჯერ კიდევ 2012 წელს, რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს მთავრობას მიმდინარე რეფორმის ფარგლებში დაუყოვნებლივ შესულიყო ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რათა უზრუნველყოფილიყო სამართალდამრღვევი პირის უფლებების რეალიზაცია, დაცვის მომზადებისათვის სათანადო დროის უზრუნველყოფის, დაცვისა უფლების რეალიზაციისა და დაკავებისას ოჯახის წევრებისათვის შეტყობინების ვალდებულების გათვალისწინებით, ხოლო სახალხო დამცველის აპარატმა, სხვა სახის რეკომენდაციებთან ერთად, საქართველოს საერთო სასამართლოებს მიმართა რეკომენდაციით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილებოდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრულყოფილი დაცვით, მათ შორის, მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრობითობის პრინციპისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლების

უზრუნველყოფით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2012 წელს დაწყებული რეფორმა უახლოს პერიოდში დასრულდეს და ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევი პირები სარგებლოდ ისეთივე უფლებებით, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ისეთივე ვალდებულებებით, როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული.

## **2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები**

კვლევის განხორციელების პროცესში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების ანალიზისას გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, რომელიც მხარეებს და სასამართლოს უსპობს საშუალებას ეფექტურად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებანი. კერძოდ:

**ა) მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპი** - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპი სრულყოფილად არ არის გადმოცემული კოდექსის სხვა ნორმებში, ვინაიდან დაცვის მხარეს არ აქვს უფლება ისარგებლოს ბრალდების მხარისათვის მინიჭებული ისეთი უფლებებით, როგორცაა: ჩაატაროს ფარული საგამოძიებო მოქმედებები; მოიპოვოს მტკიცებულება კომპიუტერული მონაცემებიდან; მოითხოვოს მაგისტრეტი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე; სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი თუ ნივთიერი მტკიცებულება, როგორც ამას ახორციელებს ბრალდების მხარე. ისევე როგორც დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება თვითონ ჩაატაროს და პირველმა თვითონ გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ან საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობით, განსხვავებით ბრალდების მხარისაგან.

ამ საკითხის აქტუალობასა და დაცვასა და ბრალდებას შორის უთანასწორობაზე საუბრობს ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის ტომას ჰამარბერგი მის მიერ 2011 წელს მომზადებულ ანგარიშში და მოუწოდებს საქართველოს სისტემური ღონისძიებების განხორციელებასა და ადვოკატებისათვის ფართომასშტაბიანი ტრენინგების ჩატარებას, რათა აღმოიფხვრას ეს უთანასწორობა და უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის შიდა შეჭიბრებითობის პრინციპზე აგებული პროცესის წარმართვა.

მხარეთა შორის შეჭიბრებითი პრინციპის დარღვევაზე ინტერვიუს დროს გაამახვილეს ყურადღება ასევე გამოკითხულმა პროკურორებმა და ადვოკატებზე და ერთხმად აღიარეს, რომ ეს ნორმები და მათგან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა არა მხოლოდ ბრალდების მხარეს უშლის ხელს გამოძიების სრულყოფილად ჩატარებაში, არამედ

დაცვის მხარეს ართმევს უფლებას მოიპოვონ მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილებები და დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა ა) მოიპოვოს მტკიცებულება კომპიუტერული მონაცემებიდან; ბ) სხვადასხვა სახელწიფო დაწესებულებიდან გამოითხოვოს დოკუმენტი თუ ნივთიერი მტკიცებულება, როგორც ეს გათვალისწინებულია ბრალდების მხარისათვის; გ) მოითხოვოს მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვა, თუ ეს მოწმე უარს აცხადებს ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდებაზე და დ) დაცვის მხარის შუამდგოლობის საფუძველზე გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული მტკიცებულება გამოკვლეულ იქნეს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი წესების საფუძველზე.

**ბ) მტკიცებულებათა ცნება** - მტკიცებულებათა ცნებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სადაოა ხოლმე საკითხი, წარმოადგენს თუ არა მტკიცებულებას ისეთი საპროცესო დოკუმენტები (მაგალითად მოსამართლის განჩინება ჩხრეკის ჩატარებაზე, დაკავების ოქმი, დადგენილება ბრალდების შესახებ და ა.შ.), რომლებიც ადასტურებენ ამა თუ იმ მტკიცებულების კანონიერად მოპოვებას ან/და გამოხატავენ მხარეების საპროცესო პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარეები და სასამართლო არაერთგვაროვნად განმარტავს და არასწორად იყენებს კანონით მინიჭებულ თავიანთ უფლებამოსილებებს ამ საპროცესო დოკუმენტთა დაუშვებლად ცნობის და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანის დაუშვებლად ცნობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე. ამ პრობლემის თაობაზე ისაუბრეს ინტერვიუს დროს გამოკითხულმა პირებმა და განაცხადეს, რომ აღნიშნული ნორმა არ არის განჭვრეტადი, რის გამოც სასამართლო პრაქტიკა ყალიბდება არაერთგვაროვნად და ხელს უშლის მხარეებს სრულყოფილად მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს მიერ 2014 წელს მომზადებულ ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით რეკომენდაციას სასამართლო ხელისუფლების მისამართით, რომ არ დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილების მტკიცებულებად მიჩნევა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტიურად იწვევს მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანას. ამავე ანგარიშში საუბარია მტკიცებულებათა მთლიანი ნუსხის წაკითხვის მანკიერ პრაქტიკაზე წინასასამართლო სხდომებზე, რითაც ანგარიშის ავტორთა აზრით მოსამართლეები იგნორირებას უკეთებდნენ სწრაფი მართსაჯულების უფლების რეალიზებას. ამის გამო მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სასამართლოებმა უნდა შეწყვიტონ მტკიცებულებათა წაკითხვის პრაქტიკა და ამის სანაცვლოდ სრულად განიხილონ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა დასაშვები მტკიცებულება ღია სასამართლო სხდომაზე.

ამ საკითხზე განმარტება გააკეთა ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომლის თანახმადაც დაზარალებულად ცნობის დადგენილება არ წარმოადგენს მტკიცებულებას და მისი დაუშვებლად

ცნობა მხოლოდ მისი შედგენისას საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო შეიძლება, თუმცა სასამართლო პრაქტიკა მაინც არაერთგვაროვნად ვითარდება და მოსამართლეთა ნაწილი დაცვის მხარეს უარს ეუბნება განიხილოს შუამდგომლობა მსგავსი დოკუმენტების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით, ხოლო ნაწილი კი ამ საპროცესო დოკუმენტებს მტკიცებულებებისათვის დადგენილი სტანდარტებით უდგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებათა ცნება შეიცვალოს, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მტკიცებულებები და საპროცესო დოკუმენტები, რათა სასამართლო პრაქტიკაში გამოირიცხოს დაცვის მხარის ვალდებულება თავის თავზე აიღოს მტკიცების ტვირთი, ისევე როგორც მოსამართლის შესაძლებლობა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არაერთგვაროვნად განმარტოს კანონი. ამასთან, აუცილებელია, რომ საპროცესო კოდექსში გაიწეროს საპროცესო დოკუმენტების დაუშვებლად ცნობის სამართლებრივი საფუძველი და მექანიზმი.

**გ) ბრალდებულის ჩვენება** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ბრალდებული უარს ამბობს დუმილის უფლებით სარგებლობაზე, იგი სასამართლო სხდომაზე იკითხება მოწმის სახით და მას საერთო წესით ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის. საკითხის ამდაგვარად ჩამოყალიბება პრობლემას ქმნის სასამართლო პრაქტიკაში და ხშირად იწვევს გაურკვევლობას, თუ სად მთავრდება ბრალდებულის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ და სად იწყება მისი ვალდებულება არ იცრუოს სასამართლოში ჩვენების მიცემისას.

საკითხის სამართლებრივი დარეგულირებისა და სასამართლო პრაქტიკის სწორად ჩამოყალიბების მიზნით, საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზუსტდეს, რომ ბრალდებული სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას პასუხს აგებს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - ცრუ დასმენისათვის და არა ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

**დ) მოწმის ჩვენება** - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის სამი წესის არსებობა პრობლემებს ქმნის სამართალწარმოებაში და ბრალდების მხარეს ანიჭებს მუხლებით მანიპულაციის საშუალებას არა მხოლოდ მოახდინოს ზემოქმედება მოწმეზე, რომელიც არ არის თანახმა ნებაყოფილობით, გამოკითხვის გზით მისცეს ინფორმაცია მხარეს საქმის გარემოებების თაობაზე, არამედ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე აწარმოოს საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულებზე და ისარგებლოს მოწმის დაკითხვის ძველი წესით,



რაც, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. პრობლემაა ისიც, რომ პირველ და მესამე შემთხვევაში დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს მოწმის დაკითხვაში და ისარგებლოს მოწმისათვის შეკითხვის დასმის უფლებით მაშინ, როცა ამ გზით მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს მტკიცებულებას და შესაძლოა გამოქვეყნდეს სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისას. და ბოლოს, მოწმის დაკითხვის ამ წესების გათვალისწინებით დარღვეულია მხარეთა შეჭიბრობითობის პრინციპი, ვინაიდან პირის მხრიდან გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხოლოდ ბრალდების მხარეა უფლებამოსილი მოითხოვოს ამ პირის მოწმის სახით სასამართლოში დაკითხვა და ამ პროცესში მონაწილეობის უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნია, თანახმად საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-10 ნაწილისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება და ყველა კატეგორიის დანაშაულზე ამოქმედდეს მოწმის დაკითხვის ახალი წესი ისევე, როგორც დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, ბრალდების მხარის მსგავსად, მოითხოვს მოწმის სასამართლოში დაკითხვა, თუ ეს მოწმე უარს აცხადებს გამოკითხვაში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე.

გარდა აღნიშნულისა, გამოკითხვის პროცესში გამოიკვეთა საგამოძიებო პრაქტიკაში დანერგილი ერთი მეტად საყურადღებო - დაცვის მხარის მიერ გამოკითხული მოწმეების ბრალდების მხარის მიერ ხელმეორედ დაკითხვის - ტენდენცია, რომელსაც, ადვოკატთა განცხადებით, თან ახლავს მოწმეებზე ზემოქმედება, მათი დაშინება ცრუ ჩვენების მოტივით მათ მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე და მათი იძულება მისცეს ჩვენება ადვოკატის წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, აღნიშნული აზიანებს მართლსაჭულების პროცესს, საფრთხეს უქმნის ადვოკატთა მხრიდან მტკიცებულებების მოპოვების უფლების რეალიზაციას და ახალისებს ბრალდების მხარეს ნაცვლად გამოძიების ჩატარებისა და ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოძიებისა, დაცვის მტკიცებულებათა გაბათილებით და გამორიცხვით შეასრულონ თავიანთი ფუნქციები, რაც სათანადო რეაგირებას საჭიროებს.

ე) **ირიბი ჩვენება** - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 13-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში არ განხორციელებულა შესაბამისი ცვლილებები და სასამართლოს უწევს საკუთარი და ხშირად არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია მისცეს ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებულ სხვა ნორმებსაც. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უკვე მომზადდა კანონპროექტი “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების თაობაზე”, რომელიც დეტალურად ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს მოსაზრებებს ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ ხსენებული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება დღემდე ვერ მოხერხდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებულ რეჟიმში განხილოს უკვე მომზადებული კანონპროექტი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

**ვ) კომპიუტერული მონაცემი** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27 ნაწილის შესაბამისად კომპიუტერული სისტემა არის „ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს“, ხოლო კომპიუტერული მონაცემი არის „კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას“. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კომპიუტერული მონაცემია ისეთი მონაცემიც, რომელიც მართალია ინახება კომპიუტერულ სისტემაში, მაგრამ საჭაროა ნებისმიერი პირისათვის, ისევე როგორც მონაცემი, რომლის გაცემის ვალდებულებაც საჭარო დაწესებულებებს გააჩნიათ, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა. მიუხედავად აღნიშნულისა, დაცვის მხარეს ებღუდება უფლება მოიპოვოს და გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად და ბრალდების უარსაყოფად. ამ საკითხის პრობლემურობაზე ისაუბრეს ინტერვიუში მონაწილე პროკურორებმა და ადვოკატებმა და აღნიშნეს, რომ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე საქმის გამოძიების პროცესში წარმოჭრილი საკითხების მოგვარება, საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას.

იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობა მხოლოდ ბრალდების მხარეს მიანიჭა და, ამასთან, სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით უჩვეულოდ განვითარდა, აუცილებელია საპროცესო კოდექსში დაზუსტდეს კომპიუტერული მონაცემის ცნება და ახლებურად განისაზღვროს ინფორმაციის მიპოვების შესაძლებლობები, ასევე შესაბამის ნორმებს დაემატოს მითითება მათი საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლით დადგენილი წესით ჩატარების თაობაზე.

**ზ) დოკუმენტი როგორც მტკიცებულება** - საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მაშინ თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. ამ ნორმიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა ყალიბდება არაერთგვაროვნად და სადაო საკითხი სიტყვა “შეუძლია”-ს უკავშირდება, ვინაიდან ძნელია იმის განსაზღვრა მხარე ვალდებულია დოკუმენტთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე დაკითხოს პირი თუ ასეთი პირის არსებობა და მისი წინასასამართლო სხდომაზე დასახელება სრულიად საკმარისია მოსამართლისათვის, რომ დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება

მიიჩნოს დასაშვებად. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ არსებული ფორმულირება შეიცვალოს და საპროცესო კოდექსში კონკრეტულად მიეთითოს მხარის ვალდებულებაზე მოწმის სასამართლო სხდომაზე დაკითხვის შესახებ.

**თ) საქმის მასალების გადაცემა მეორე მხარისათვის** - საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი (და არც სხვა მუხლები) არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც მტკიცებულების გამოთხოვა/მოპოვება ხორციელდება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღეზე ნაკლები ვადით ადრე ან წინასასამართლო სხდომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 239-ე მუხლი არეგულირებს ახალი მტკიცებულების არსებით სასამართლო განხილვაზე წარმოდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს, საპროცესო კოდექსში არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ თუ ასეთი მტკიცებულების მოპოვებიდან რამდენ ხანში უნდა უზრუნველყოს მხარემ მოწინააღმდეგე მხარისათვის გასაცნობად გადაცემა ან/და საერთოდ თუ არსებობს აღნიშნული ვალდებულება, თუ მხარეს ასეთი მტკიცებულების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მტკიცებულების დაშვების შესახებ. ისევე, როგორც საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს გრიფით საიდუმლო დოკუმენტების ანდა მთლიანად საქმის მასალების გაცნობა/გადაცემის წესს, რაც სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. გრიფი საიდუმლო მასალების გაცვლის პრობლემაზე თავის ანგარიშში საუბრობს ასევე სახალხო დამცველი და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრების ავტორები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ, რომელთა აზრით მიზანშეწონილია საპროცესო კოდექსში დეტალურად განისაზღვროს მტკიცებულებათა დამალვის წესი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაზუსტდეს 83-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა გაცვლის წესი და მასში დეტალურად გაიწეროს შემთხვევები როდის და რა ეტაპამდე შეიძლება მხარეს შეეზღუდოს ამა თუ იმ მტკიცებულების გაცნობა და გადაცემა.

**ი) მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით შუამდგომლობის დაყენების დრო** - საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს მხარეების შესაძლებლობას, დააყენონ შუამდგომლობები ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 219-ე, 239-ე და 169-ე მუხლები განსაზღვრავს მხარეთა შესაძლებლობებს, იმავე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოითხოვონ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა, მაშინ, როცა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველი შეიძლება გამოვლინდეს საქმის განხილვის სხვა ეტაპზეც, განსაკუთრებით კი საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე. ამ საკითხის პრობლემატურობაზე თავიანთ კვლევებში აქტიურად საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაცია “კონსტიტუციის 42-ე მუხლი” და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, რომლებიც კვლევის შედეგების შეჯამებისას რეკომენდაციით მიმართავენ

საკანონმდებლო ორგანოს საპროცესო კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმებიან ინტერვიუში მონაწილე პირებიც, რომელთა განცხადებითაც, მიზანშეწონილია მათ მიეცეთ შესაძლებლობა არსებითი განხილვის სტადიაზე დააყენონ შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ, რასაც კვლევის ავტორებით ვიზირებთ.

**კ) სასამართლო გადაწყვეტილების დაწერა** - საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მიღებული ორი გადაწყვეტილება - მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. პრაქტიკაში აღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება ე.წ. „საოქმო განჩინებით“, რაც გულისხმობს მოსამართლის არ დავალდებულებას წერილობით დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, აღნიშნული კი, თავის მხრივ, გადაწყვეტილებათა ბუნდოვანებას და ეფექტურად გასაჩივრების უფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული. ამ საკითხის მნიშვნელობაზე საუბრობენ არა მხოლოდ პროცესის მონაწილეები, არამედ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეთა ნაწილიც, რომელთა აზრით, ამით მხარეს ერთმევა უფლება არგუმენტირებულად გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში, ხოლო საჩივრის განმხილველ მოსამართლეს შესაძლებლობა - სრულყოფილად გაეცნოს მიღებულ საკვანძო გადაწყვეტილებებს, ზოგ შემთხვევაში კი შემატყობველი გადაწყვეტილებისას, გაანალიზოს მისი გამოტანის სამართლებრივი საფუძველი.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება და მოსამართლეს დაევალოს წერილობით დაასაბუთოს ამ ეტაპზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

**ლ) სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გადაწყვეტილებით მტკიცებულება ცნობილია დაუშვებლად მაშინ, როდესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და მნიშვნელოვან გავლენას ახდეს საქმის საბოლოო შედეგზე მოსამართლის გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე, რომლის დაუშვებლობასაც მხარე შუამდგომლობს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის ფორმულირება შეიცვალოს და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გაასაჩივროს მოსამართლის გადაწყვეტილებები დასაშვებობის ნაწილშიც, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარის მიერ დაყენებულ იქნა დასაშვებლად ცნობილი მტკიცებულების დაუშვებლობის მოთხოვნა.

### **3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა**



**ა) არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა** - პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა აჩვენა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას სასამართლო ავითარებს არაერთგვაროვან და ხშირად რადიკალურად ერთმანეთისაგან განსხვავებულ პრაქტიკას. ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე იღებს არა საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით, არამედ იმის მხედველობაში მიღებით თუ როგორ აისახება ეს გადაწყვეტილება საქმის საბოლოო შედეგზე. ამ პრობლემის არსებობასა და მის მნიშვნელობას არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერვიუში მონაწილე პირებმა და აღნიშნეს, რომ ამის გამო შეუძლებელი ხდება მტკიცებულებათა მიპოვების პროცესის დახვეწა და შესაბამისი პირების გადამზადებაზე ზრუნვა. საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულებათა გამოკვლევის წესებთან დაკავშირებულ არაერთგვაროვან პრაქტიკაზე აღნიშნულია ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშში, რომლის ავტორები მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიიჩნევენ ეს საკითხი საკანონმდებლო რეგულირებით დადგინდეს, რათა ხელი შეეწყოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

**ბ) მოსამართლის უფლებამოსილება დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მოსამართლეს ავალდებულებს, წინასასამართლო სხდომაზე განიხილოს მხარეთა შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. აღნიშნული საპროცესო ნორმა სასამართლო პრაქტიკაში განიმარტა იმდამგვარად, რომ მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხი, მიუხედავად იმისა შუამდგომლობს თუ არა ამის თაობაზე მხარე. ჩვენი აზრით, ხსენებული პრაქტიკა არა მხოლოდ ეწინააღმდეგება მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპს, არამედ არღვევს მხარის უფლებას მისთვის სასარგებლო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილება სასამართლოს მხრიდან მიღებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე შუამდგომლობის მეორე მხარე და მას მიეცა შესაძლებლობა ამ საკითხზე გამოეთქვა მოსაზრება. ამ პრობლემის არსებობას ადასტურებს როგორც სასამართლო სხდომის ოქმების ანალიზი, ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუები, სადაც ინტერვიუში მონაწილე პირები ერთხმად აღნიშნავენ მის ნაკლოვანებებზე და მოსამართლის გადაჭარბებულ უფლებაზე თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს ამა თუ იმ მხარის მიერ მიპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი და შესაბამისად საქმის საბოლოო ბედიც.

**გ) მოწმის დაკითხვის პროცესში მოსამართლის მონაწილეობა** - ინტერვიუების დროს მხარეებმა აღნიშნეს საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამართლის უფლების არამართლზომიერი გამოყენების თაობაზე გამონაკლის შემთხვევაში დამაბუსტებელი კითხვის დასმის შესახებ და განაცხადეს, რომ

სასამართლომ ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული უფლებამოსილება თავის სასარგებლოდ, საქმის შედეგების გათვალისწინებით მოირგო და არა მხოლოდ არაერთგვარობან პრაქტიკას ამკვიდრებს ამ კუთხით, არამედ აქტიურად ერევა საქმის სასამართლო განხილვის პროცესში. გამოკითხულთა განმარტებით, მოსამართლეთა ნაწილი ზუსტად იცავს საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით მისთვის დადგენილ შეზღუდვებს, ნაწილი მხარეთა ნებართვის გარეშე სვამს კითხვას, ხოლო ნაწილი ჯერ კითხვას აყალიბებს და შემდგომ ითხოვს მხარეებისაგან ნებართვას იმ არგუმენტით, რომ კითხვის მოსმენის შემთხვევაში მხარეები შეძლებენ სწორი გადაწყვეტილების მიღებას ამ საკითხზე. პრობლემაა მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას დამკვიდრებული წესებიც, რომელთა თანახმად, მოსამართლეთა ნაწილი არ აძლევს საშუალებას ჯვარედინად დამკითხავ მხარეს დასვას ღია შეკითხვები, ხოლო ნაწილი კრძალავს მოწმის ჩვენების ციტირებას, როცა მოწმე ცდება მის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებას.

საყურადღებოა ასევე ბრალდებულის როგორც მოწმის სასამართლოში დაკითხვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები, იმ დროს როცა დაცვის მხარე სადაოდ არ ხდის მტკიცებულებებს მაგრამ ბრალდებულს სურვილი აქვს მისცეს ჩვენება სასამართლოს, ანდა ბრალდებული არ არის მითითებული დასაკითხ პირთა სიაში, როგორც მოწმე. მოსამართლეთა ნაწილი ასეთ დროს ბრალდებულს არ აძლევს უფლებას მისცეს ჩვენება სასამართლოს და მიუთითებს მას პოზიცია დააფიქსიროს თავის საბოლოო სიტყვაში. აღნიშნული პრაქტიკით ბრალდებულს ერთმევა მისთვის მინიჭებული უფლება ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას თავი, მათ შორის მისცეს ჩვენება სასამართლოს, რის გამოც სასამართლოს ეს პრაქტიკა დაუყოვნებლივ გამოსწორებას საჭიროებს.

**დ) შუამდგომლობის დაყენების ფორმა** - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „... სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოებების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია“. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა და ინტერვიუებმა კი აჩვენებს, რომ ხშირად სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის წარდგენა ხდება ზეპირად, საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით და როგორც წესი ამ შემთხვევაზე ან სათანადო წესით არ რეაგირებს მოსამართლე.

**ე) მტკიცებულებათა ნუსხა** - არაერთგვაროვანი პრაქტიკის ნათელი მაგალითია მტკიცებულებათა ნუსხის საკითხი და მისგან გამომდინარე მტკიცებულებათა დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის საკითხი. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა და ინტერვიუების შედეგებმა ცხადყო, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს მხრიდან ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისა, მოსამართლეთა ნაწილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მტკიცებულებათა ნუსხისა და დასაკითხ პირთა სიის არსებობას და არ რთავს ნებას მხარეს სასამართლო

სხდომებზე დაკითხოს მოწმე, რომელიც არ არის მითითებული დასაკითხ პირთა სიაში, ან უარეს შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლე არ ცნობს დასაშვებად იმ მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ოქმს, რომელიც არ არის მითითებული დასაკითხ პირთა სიაში, ხოლო მოსამართლეთა ნაწილი ამ დოკუმენტის სავალდებულობას არ აღიარებს და მიუხედავად ნუსხის არსებობისა ბრალდების მხარეს აძლევს საშუალებას სასამართლო სხდომებზე დაკითხოს ექსპერი ან/და გამომძიებელი, რომელიც არც წინასწარ არის დაკითხული/გამოკითხული და მისი დაკითხვის თაობაზე მომხდარა მხარის ინფორმირება წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლებას მიეცეს რეკომენდაცია, სრულყოფილად გაანალიზოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მტკიცებულებათა დასაშვებად/დაუშვებლად ცნობის ნაწილში და მოამზადოს რეკომენდაცია ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

#### **4. პროცესის მონაწილეთა კომპეტენცია**

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით დგინდება, რომ ძალიან მაღალია (88%) დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა უდაოდ გახდის მარჯვენებელი, ისევე როგორც ძალიან დაბალია (5%) მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნა დაცვის მხარის მხრიდან. სასამართლო სხდომის ოქმებისა და ინტერვიუების ანალიზი კი ადასტურებს, რომ ეს უფრო დაცვის მხარის დაბალ კომპეტენციაზე მიანიშნებს, ვიდრე ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების დროს კანონის მოთხოვნათა სრულყოფილ დაცვაზე.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს და, შესაბამისად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისათვის, კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მტკიცებულებათა წესების შესახებ ნორმების გამოყენებისას, მხარეები ხელმძღვანელობენ მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ბოგიერთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიების გადაწყვეტილებებით, ხოლო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მოშველიება საკუთარი პოზიციის არგუმენტებით გასამყარებლად მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან თითქმის არ ფიქსირდება.

ამასთან, პრობლემაა აკადემიური ნაშრომებისა და კოდექსის კომენტარების სიმცირეც, რის გამოც მხარეები თავიანთ ფუნქციებს ვერ ახორციელებენ სრულყოფილად.

ამ მიმართულებით პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, ინტერვიუში მონაწილე პროკურორებს და ადვოკატებს ეთხოვათ, დაესახელებინათ მათი თვალით დანახული პრობლემები მოწინააღმდეგე მხარის საქმიანობაში, რა დროსაც ადვოკატთა განცხადებით მტკიცებულებათა მოპოვების და დასაშვებობის სტადიაზე პროკურორის პრობლემები ძირითადად გამომძიებლების

არაკომპეტენტურობასა და მათზე პროკურორის მხრიდან არასათანადო საპროცესო ხელძღვანელობას დაუკავშირეს, მაშინ, როცა პროკურორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადვოკატთა პრობლემად მათი მხრიდან ნაკლები კომპეტენციის ქონა, შუამდგომლობის დაყენებისას სათანადო არგუმენტების არქონა, შუამდგომლობების დაუსაბუთებლობა ან/და მისი სათანადო ფორმის დაუცველად წარმოდგენა და ზოგადად მნიშვნელოვან დეტალებზე ყურადღების არმიქცევა მიიჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია წახალისდეს აკადემიური წრეები, უფრო ფართოდ გამოიკვლიონ მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული პრობლემები, უფრო მეტი დრო დაუთმონ ან მიმართულებით აკადემიური ნაშრომების მომზადებას, ხოლო, ამ კვლევასა და სხვა მასალებზე დაყრდნობით, პროცესის მონაწილეებისათვის მომზადდეს სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც ადვოკატებს და გამომძიებლებს ჩაუტარდებათ ტრენინგები.